



1168
2011

**სიცოცხლისთვის
საუბრი პოლიტიკა
და გვერი ფული**

**რას ჭირაოვან
ლელა მებურივიძე**


**ახე
ხელისუფლების
მიერ
განდევნილი
პირადი დაცვა**

**რა კითხვის დასვა სურს
ვანო ჯავახიშვილს
ბიძინა ივანიშვილისთვის**

**რეზი ჩრეული
ლადო ასათიანი**


**ორტოპედი
ტომი II
უბიძლიათ უბიძიეთ
„გზის“ ამ მომართან ერთად!
წიგნი და „გზა“ ერთად
6 ლარი ღირს
წიგნის ფასი 5 ლარი
უფასო
ნოდარ დუმბაძე
ტომი I**

**ინალ-ივან მიერ
გაყვალბებული
აფხაზეთის ისტორია**



**და ტყვეობაში
გატარებული 100 დღე**

**გობრობით დაწყებული
LOVE STORY**



**„ოთარს გვერი უარყოფითი
თვისებას აქვს...“**

**ფეხმძივე
გობონას
ტრაგიკული
ამბავი**



**„მანქანა ლიზის დაეჯახა,
მერა კი ჩვენს წამოვიდა“**



კრიმინალზე შეყვარებული მოზარდის აღსარება

სმოკერ ხელტი

განისაღეთ სიამოვნება, იზრუნეთ პირად ჰიგიენასა და ჯანმრთელ სსოვრებაზე!



სმოკერ ხელტი

წარმოადგენს სიოის მარცვლებიდან მიღებულ აქტიურ ნივთიერებებზე დამზადებულ ნატურალურ პროდუქტს.

მისი უმადგენელი კომპონენტები ანადგურებენ პათოლოგიურ მიკროფლორას, რითაც იცვენ პირის ღრუს სხვადასხვა დაავადებისა და კბილებზე ნადების განვითარებისაგან რითაც უზრუნველყოფენ კანსად სუნთქვას.

კბილის პასტა 55 მმ

კბილის პასტა სმოკერ ხელტს განსაკუთრებით საჭიროებენ ყავის, ალკოჰოლისა და თამბაქოს მომხმარებლები!



Nabros Pharma Pvt. Ltd.

შარბოვალი: „ნაბროს ფარმა“
ოფისიური მარშრუტული საავტომობილო
შ.პ.ს. „მონა ფარმა“
შიშაპილის № 56
ბაზ: 223 63 25

გამოყენების წინ გაცანით ინსტრუქციას გვერდითი მოკლებების შემთხვევაში დამატებით ინფორმაციისთვის მიმართეთ უქიმს

ჰილ კრემი

განთავისუფლდით კანის პრობლემებისაგან!

ჰილ კრემი

წარმოადგენს უნიკალურ დამატენიანებელ და აღმდგენ საშუალებას, რომელიც მოქმედებს როგორც კანის ზედაბირულ, ისე მის ღრმა მშრებზე, რაც უზრუნველყოფს ნახეთქების და წულულებების სწრაფ შეხორცებას.

ხელს უწყობს ფსორიაზის დროს კანზე განვითარებული ქერქების დარბილებას და მის აწრეებას.



გამოყენების წესი: გამოიყენება დღეში 2-ჯერ, დილა საღამოს.



Nabros Pharma Pvt. Ltd.

შარბოვალი: „ნაბროს ფარმა“
ოფისიური მარშრუტული საავტომობილო
შ.პ.ს. „მონა ფარმა“
შიშაპილის № 56
ბაზ: 223 63 25

გამოყენების წინ გაცანით ინსტრუქციას გვერდითი მოკლებების შემთხვევაში დამატებით ინფორმაციისთვის მიმართეთ უქიმს

ქ. თბილისის მერიის პატრონაჟით



მ² - 550\$-დან

უპრეცედენტო უმართავაზება
მხოლოდ საბა ჯგუფთან ერთად
ბურაშიშვილის 78-ში



გაიცემა იკოთეკური სესხები

- სესხის გაცემა მხოლოდ პირადობის მოწმობის საფუძველზე
- თანამონაწილეობა 10%-დან
- სესხის დამტკიცება

ბელ: 227 27 27

ბურაშიშვილის 78

www.saba-group.ge

მთავარი ოფისი:
თბილისი,
ბუღაჩუბის 7

*7222

238 44 33
577 777 077
579 770 110



franco fontana italy

2011-12 წლის უახლესი კოლექცია

franco fontana - ში

5% - ცანა **20%-** ანა

ფსალაუბით

გამოიყენე შენი და შეიძინე ოქროსა
და ვერცხლის ორიგინალური
ნაბეთობები ყველაზე

ღაბალ ფასად

გაბადენიერე შენთვის ძვირფასი
აღამიანი, ყველასაგან
გამორჩეული
ძვირფასი სამაუალით.

franco fontana გამოვნიანი აღამიანების არჩევანი

რუსთაველის 26 №218-10-47; ვაჟინის 7 №230-65-56; ჯავახიძის 21 №218-10-46;
ლაღინის 7, №218-14-15 (პრავადა I სართული)

CARAPS MEDLINE

TEAM

& **DR. SASHA**



Together
Effect
And
Miracle

პლასტიკური
ქირურგია

577 22 99 22

2 22 44 17

ჭავჭავაძის გამზ. 5

www.plasticsurgerygeo.com





სად გადის გამორჩეული ფიგურის უსაფრთხოების ზღვარი

„მაგრამ იმისთვის, რომ ადამიანი მონამლო, მზარეული უნდა „დაავებოვო“. მზარეული კი შეიძლება, მანამდე გაშიფრო, ვიდრე თავის საქმეს გააკეთებს. გარდა ამისა, კილერობა ძალიან უმადური საქმეა.“

12



თაიგულში ნაპოვნი წერილი

„თეატრში ვიყავით, მერე კი სახლში მიმიყვანა. დღის ბოლოს ერთმანეთს ყოველთვის ვეხმიანებოდით. ჰოდა, თავად რომ არ დამიკავშირდა, მე დავურეკე. ვილაც კაცმა მიპასუხა. მითხრა, რომ მურიკო რეანიმაციაში იყო და სასწრაფოდ მივსულიყავი.“

26



ცხოვრება

„საჭესთან ერთი დღეც რომ არ დავჯდე, ალბათ მოვკვდები“



„ესა ჩემი საქმე და ვალდებული ვარ, მგზავრებს კარგად მოვემსახურო. მერწმუნეთ, რომ არ ვიმუშაო — საჭესთან რომ არ დავჯდე, მოვკვდები.“

31



- **მინიატიურები** 5
„რა მინდოდა წვენებში?!.“
- **ჭკალი მსოფლიო** 6
- **პოლიტიკა** 9
- **თემა** 12
პირადი დაცვა — სად გადის გამორჩეული ფიგურის უსაფრთხოების ზღვარი
- **ერთი მინის სპილავი** 16
აფხაზი ოპონენტების მიერ გადარჩენილი ქართველი ისტორიკოსი
- **ამკლავი** 18
ფეხსაცმლის გარეშე დარჩენილი დიზაინერი
- **ეკრანს ვიღვა** 20
დუტას პარტნიორი ქალები
- **ბანდები** 21
მხიარული მეგობრების გულახდილი ინტერვიუ
- **ოჯახი** 23
„ისე შემიყვარდა, ნანახიც არ მყავდა...“
- **ჭორ-მართალი** 24
აჩუქა თუ არა შს მინისტრმა ვანო ჯავახიშვილს ავტომობილი
- **პირადი მსოვრება** 26
თაიგულში ნაპოვნი წერილი
- **ბრავადია** 28
„ლიზი ჩემს მეხსიერებაში სამუდამოდ დარჩება“

გზაგანილები

„რომ ჰყვარებოდი, სოლს არ მოიყვანდა“




„მაგ ტიპს შეეშვი. მერწმუნე, ის შენი სიყვარულის ღირსი არ ყოფილა. შენ რომ ჰყვარებოდი, სხვას არ მოიყვანდა.“

68

■ პროფანია	31
„საჭესთან ერთი დღეც რომ არ დაეჯდე, ალბათ მოვკვდები“	
■ ემიგრანტი	32
„აქაურობას კარგად შევეჩვიე, ინგლისელები კარგი ხალხია“	
■ მეორე ნახევარი	34
„მსგავსი შოუს ნაყვანაზე ოთარი ჯერ კიდევ 10 წლის წინ ოცნებობდა“	
■ ნამღვილი აგაპი	36
■ თინეიჯერული პონტები	37
■ ბალანტი	40
ელჩად შერაცხილი ახალგაზრდა მევიოლინე	
■ ბაქარი	42
სამოელი — ისრაელიანთა უკანასკნელი მსაჯული და წინასწარმეტყველი	
■ ერულიტი	44
„თავში ასეთი უცნაური აზრები მომდის“	
■ არჩევანი	46
„გზა უკეთესი ვერ ვნახე“	
■ ავტო	48
■ ანტიდეპრესანტი	50
■ კულისები	50
რუსთავის თეატრის ახალი ცხოვრება	
■ ჯანმრთელობა	52
■ წვეთი პოეზია	54
■ ჩრეული	55
ადრე წასული კაცის ფიქრები	
■ ქართული დებანტი	56
რუსუდან ბერიძე. აბრეშუმის ვალეტი (გაგრძელება)	
■ რომანი	60
სვეტა კვარაცხელია. ყალბი ლტოლვა (გაგრძელება)	
■ გზავნილები	64
უხერხული სიტუაცია	
■ ყველა ერთისათვის	68
■ მოგილი-ზაყნა	70
■ ქართული სპორტის ლეგენდები	74
■ გასართობი	78
■ ასტროლოგია	80
■ სკანდორდი	81
■ მოყაიკა	82

სამყარო



„თავში ასეთი უცნაური აზრები მომდის“

„მითხრეს, უცოდინარობას შევლისო. ერთხელ სოფლიდან წამოვიღე გველის ენა და კოლეჯში ანატომიის გამოცდაზე წავიღე. 5-იანი მივიღე“.

44

ბიბლუსი



— ფუ, შენი!.. — წამოიძახა მან და ყურმილი ყურზე გაცოფებულმა მიიღო.
— მაინც ვისი? — გაისმა ყურმილში ჩაველიშვილის მამის, ცოტნეს ხმა.

56

ბანი-აუბი



უნიკალური სთამაშოები

პლუმის დათუნია ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სთამაშოა. ის თაობიდან თაობას მემკვიდრეობით გადაეცემა. უძველესი, 1894 წელს დამზადებული დათუნია ერთ-ერთ ამერიკულ ოჯახში ინახება.

82


საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, სუთმაბათოვრით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.

მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მთ. რედაქტორის მოადგილეები: ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია
პასუხისმგებელი რედაქტორი: მარი ჯაფარიძე
მენეჯერი: მათე კბილაძე

დიზაინი: ანა უთურგაიძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა: ირმა ლიპარტელიანი,
რეზო თხილიშვილი

მისამართი: თბილისი, იოსებძის ქ. #49
ტელ: 238-84-44, ფაქსი: 238-08-63. email: gza@palitra.ge
რეკლამა „გზაში“: 237-78-07; 238-78-70.



ქვეყანა


„ქართუ ბანკს“ სოლიდარობას უსხადავენ

„ქართუ ბანკს“ სოლიდარობის ნიშნად ანაბარი რამდენიმე ასეულმა ადამიანმა გახსნა. მათი თქმით, ისინი მხარდაჭერას გამოხატავენ როგორც ბიძინა ივანიშვილის, ასევე ბანკის მიმართ. სოლიდარობის აქციას ბანკის გენერალური დირექტორიც გამოეხმაურა. როგორც ნოდარ ჯავახიშვილი ამბობს, ბანკისთვის და მისი დამფუძნებლის ბიძინა ივანიშვილისთვის ანაბრებზე შეტანილი თანხის ოდენობას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს, გაცილებით მნიშვნელოვანი საზოგადოების თანადგომაა. ■

სტურუას მოსკოვში ქართველი მსახიობები მიჰყავს



რობერტ სტურუა მოსკოვში თეატრ „ეტ სეტერაში“ ქართულ სპექტაკლებს დადგამს. როგორც სტურუამ რუსულ გამოცემა „ვზგლიადთან“ საუბრისას თქვა, თეატრის ხელმძღვანელობამ თბილისელი მსახიობების მიწვევის ნება და „ეტ სეტერას“ მცირე სცენაზე ქართული სპექტაკლების დადგმის უფლება მისცა. სტურუა ირწმუნება, რომ რუსთაველის თეატრს აღარასოდეს დაუბრუნდება, თუმცა თბილისის სხვა თეატრებში სპექტაკლების დადგმას არ გამოირიცხავს. „ძალიან შეურაცხყოფილი ვარ“, — აღნიშნა მან „ვზგლიადთან“. სტურუა ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში მოსვლას მხარს უჭერს, მაგრამ თავად არც ერთ პოლიტიკურ პარტიაში განევრებას არ გეგმავს. შეგახსენებთ, რომ იგი რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობიდან „ქსენოფობიური განცხადებების“ გამო გაათავისუფლეს. ■



ბერლუსკონი ადამიანებით მოვაჭრეთა სიაში შეიყვანეს

იტალიის პრემიერ-მინისტრი სილვიო ბერლუსკონი აშშ-ის ყოველწლიურ მოხსენებაში მოხვდა, რომელიც თანამედროვე მსოფლიოში ადამიანებით ვაჭრობის პრობლემას ეძღვნება. მოხსენება 180 ქვეყნიდან მიღებულ მონაცემებს ეყრდნობა. მასში აღნიშნულია იმ ადამიანთა სახელები, რომლებიც ამა თუ იმ ფორმით დაკავშირებულნი არიან ადამიანებით ვაჭრობასთან. დოკუმენტში წერია, რომ 2011 წელს იტალიის სასამართლომ ქვეყნის პრემიერს მაროკოელი გოგონას, ერიმ ალ-მახრუგის (მეტსახელად რუბი) სექსუალური ექსპლუატაციის ბრალდება წაუყენა. გარდა ამისა, პრემიერს ბავშვთა პროსტიტუციის ხელშეწყობაშიც ადანაშაულებენ. ოპოზიცია აცხადებს, რომ ბერლუსკონიმ იტალია კიდევ ერთხელ შეარცხვინა. ამჟამად მილანში ბერლუსკონის წინააღმდეგ სასამართლო პროცესი მიმდინარეობს. ■

ტაილანდის დედაქალაქს წყლით დაფარვა ემუქრება

უცხოური მედიის ინფორმაციით, ბანგკოკის ზოგიერთ რაიონში წყალი უკვე ნახევარ მეტრს აღწევს და დედაქალაქი თანდათან წყალში იძირება. ხელისუფლებამ მოსალაოდნელი საფრთხის თავიდან ასაცილებლად ახალი არხის გაყვანის განკარგულება გასცა. წყალდიდობამ უკვე 380 ადამიანი იმსხვერპლა. ■





იაპონელთა საჩუქარი და „გზა“ „აპომაჰალი მზის ქვეყანაში“

აგვისტოში „აპომაჰალი მზის ქვეყნიდან“ თბილისში საჩუქრად გამოგზავნეს სახელმძღვანელოები იმ ქართველი ბავშვებისთვის, რომლებიც იაპონურ ენასა და კულტურას სწავლობენ. ამ კეთილი საქმის ინიციატორი — იაპონია-ევრაზიის საზოგადოების პრეზიდენტი, ქალბატონი ეიკო არაკი გახლდათ, რომელიც მჭიდროდ თანამშრომლობს საქართველო-იაპონიის ურთიერთობათა ასოციაციასთან და მის პრეზიდენტთან, ბატონ კარლო ქველამესთან... აღნიშნული აქციის შესახებ „გზის“ ფურცლებზე მოგიტხრობდით, ახლა კი ბატონმა კარლომ გვაცნობა, რომ ჩვენ ჟურნალში გამოქვეყნებული წერილი იაპონია-ევრაზიის საზოგადოების

გაზეთში დაიბეჭდა, რაც ქართული-იაპონურ ურთიერთობათა განვითარებაში კიდევ ერთ, თუნდაც მომცრო აგურად შეიძლება ჩაითვალოს.

პარლო ქველამე, საქართველო-იაპონიის პრეზიდენტი:

— უკვე 4 წელია, რაც ჩვენი ასოციაცია იაპონია-ევრაზიის ქვეყნების საზოგადოების წევრია. იაპონელებსა და ქართველებს ბევრ სფეროში (ძირითადად — კულტურას, ხელოვნებასა და განათლებაში) ერთმანეთთან ხშირი კონტაქტი გვაქვს... სახელმძღვანელოები ქალბატონი ეიკო არაკის თაოსნობით, თბილისის სკოლისთვის — „ქართული სასწავლებელი“ გამოგზავნეს. ეს საქართველოში პირველი სკოლაა, სადაც უკვე 15 წელია, იაპონური ენა ისწავლება. ამ ძღვენის გა-



იაპონია-ევრაზიის საზოგადოების პრეზიდენტი ეიკო არაკი

დაცემა აგვისტოში თქვენმა ჟურნალმა გააშუქა და მეც იაპონია-ევრაზიის საზოგადოებაში გავაგზავნე „გზა“ იაპონური თარგმანითურთ. ცოტა ხნის წინ კი ქალბატონი არაკისგან მივიღე იაპონური გაზეთი, სადაც ეს წერილი გამოქვეყნდა. ასე რომ, ჩვენი ურთიერთობის განვითარებასთან ერთად, იაპონიაში ჟურნალ „გზის“ პოპულარიზაციასაც ვენევით...



„გზის“ წერილის თარგმანი იაპონური გაზეთის ფურცლებზე



ესპანელები სასწოვრებლად ხეებზე გადავიდნენ

ესპანეთში ხეებზე სახლების აშენება ბოლო დროს მოდური გახდა და ნებისმიერს შეუძლია. ხის შერჩევის შემდეგ მსურველს მერიამში შეაქვს განცხადება, სადაც ხის აგებულება აღწერილი, მას თან ერთვის სახლის პროექტიც. პროექტის დამტკიცების შემთხვევაში, თავისუფლად შეიძლება მშენებლობის დაწყება. სახლის ზომა და მასალა შემკვეთის სურვილებზე დამოკიდებული. ასეთი სახლის მინიმალური ფასი 7.000 ევროა. ■

ინდოელი მოსწავლე კლასში 38-ჯერ ჩარჩა

დედამინის ყველაზე ცუდი მოსწავლე ინდოეთში, რაჯასტანის შტატში ცხოვრობს. ის 77 წლისაა. როდესაც შივ ჩარანი 30 წლის გახდა, გადანყვიტა, დაოჯახებამდე საშუალო განათლება მიეღო. პირველად შივი სკოლაში 1969 წელს მივიდა. მას შემდეგ უამრავი წელი გავიდა, შივი კი ყოველ წელს ცდილობს გამოცდების ჩაბარებასა და სანატრელი ატესტატის აღებას, მაგრამ ყოველი მისი მცდელობა წარუმატებელია. 2008 წელს შივმა ატესტატის აღება 38-დ სცადა, მაგრამ არც ამჯერად გაუმართლა. 10 საგნიდან მხოლოდ ერთის ჩაბარება (ისიც მინიმალური ქულების დაგროვებით) შეძლო. როგორც მოსწავლე ამბობს, ყველაზე მეტად მათემატიკის სწავლა უჭირს. მიუხედავად იმისა, რომ შივი დედამინის ყველაზე ცუდი მოსწავლე ითვლება, იმედს არ კარგავს, რომ ატესტატს ოდესმე მაინც აიღებს. ■



talizi
თქონ გალანაჩაზის მწარმოებელი

გადასახლება 27, ტელ: 2141515
www.talizi.ge



რუსეთის ეკლესია ლენინის დაკრძალვას ითხოვს



მოსკოვის საპატრიარქოში ამბობენ, რომ დედაქალაქის მთავარ მოედანზე გარდაცვლილი ადამიანის შენახვა სრული აბსურდია. „ჩვენ ვიცნობთ მის ანდერძს, მაგრამ ვიცნობთ ჩვენს ტრადიციებსაც. იმედი გვაქვს ლენინის მალე დაკრძალავენ“, — განაცხადა საპატრიარქოს კულტურის საბჭოს მდივანმა, არქიმანდრიტმა ტიხონმა.

ბრიტანეთში პენსიონერი არასრულწლოვანები უაზრით

დიდ ბრიტანეთში 92 წლის პენსიონერ ქალბატონს დაიან ტაილორს მალაზიაში ვისკის მიყიდვაზე უარი იმის გამო უთხრეს, რომ სრულწლოვანების დამადასტურებელი საბუთი არ ჰქონდა. პენსიონერის თქმით, როდესაც გამყიდველმა პირადობის დამადასტურებელი მოწმობა მოსთხოვა, იფიქრა, რომ ეს უმრებოდნენ. ქალბატონმა მას მგზავრობისა და სამედიცინო ბარათები წარუდგინა, მაგრამ გამყიდველი ამან არ დააკმაყოფილა. მალაზიის წარმომადგენლებმა ქალბატონს ბოდიში მოუხადეს და განაცხადეს, რომ ალკოჰოლურ სასმელებს პირადობის დამადასტურებელი მოწმობის გარეშე არ ყიდიან.



თინა კანდელაკი 1,7 მლნ-ს ითხოვს

თინა კანდელაკი ტურისტულ კომპანია — „ოთხ სეზონს“ უჩივის და 1,7 მლნ რუბლს ითხოვს. ის ამბობს, რომ ამ კომპანიის გამო საბურძნეთში დასვენება ჩაშხამდა და დეპრესიაში ჩავარდა. თინა ამბობს, რომ კუნძულზე არსებული მდგომარეობა და მომსახურების ხარისხი ტურისტულ ვიზაში გადახდილ თანხას არ შეესაბამება. კანდელაკი კომპანიისგან საგზურში გადახდილი თანხის ნაწილს, 850 ათას რუბლს მოითხოვს.



10 ამერიკელი სამედიცინო დახმარების დაგვიანებისთვის 10 მლნ დოლარს მიიღებს

ამერიკელი გოგონა, რომელსაც კიდურები სამედიცინო დახმარების დაგვიანების გამო მოჰკვეთეს, 10 მლნ დოლარის კომპენსაციას მიიღებს. როდესაც საკრამენტოელ (კალიფორნიის შტატი) 2 წლის მელაია ჯეფერსს ციებ-ცხელება დაემართა, მშობლებმა ადგილობრივი საავადმყოფოს გადაუდებელი სამედიცინო დახმარების განყოფილებაში მოათავსეს. ბავშვი ექიმებმა ხუთი საათის შემდეგ გასინჯეს და ჩირქოვანი ინფექციის ნიშნები დაუდგინეს. ამის შემდეგ გოგონა ვერტმფრენით სტენფორდის უნივერსიტეტის ბავშვთა საავადმყოფოში გაგზავნეს.

სტენფორდში სპეციალისტებმა ბავშვს სტრუბტოკოკით შინაგანი ორგანოებისა და პერიფერიული ქსოვილების დაზიანება დაუდასტურეს. ინფექციის გამო გოგონას ორივე ტერფის, მარცხენა ხელის მტევნისა და მარჯვენა მტევნის ნაწილის ამპუტაცია ჩაუტარდა. სტენფორდელმა ექიმებმა განაცხადეს, რომ გოგონას ამ ინფექციის მიმართ გენეტიკური მიდრეკილება ჰქონდა და მისთვის კიდურების შენარჩუნება მაშინაც შეუძლებელი იქნებოდა, საკრამენტოელ ექიმებს სამედიცინო დახმარება დროულად რომ აღმოეჩინათ.

მიუხედავად ამისა, ჯეფერსის მშობლებმა კომპენსაცია მოითხოვეს. საავადმყოფომ მათ სასამართლოს გვერდის ავლით მორიგება და კომპენსაციის სახით 10 მლნ დოლარი შესთავაზა.

რუბრიკა მოამზადა ხათუნა ბახტურიძემ

გამოყენებულია ინტერნეტპორტალ ამბები-ს მასალები



დეტალური დამატული ეზიაკი და წესები, რომელთაც სავრთაშორისო სულიგანი ამაკვიდრებს

„შვეიცარიული მხარის მიერ საქართველოსთვის შემოთავაზებულ ვარიანტში არის წვრილმანები, სადაც ეშმაკი იმალება“, — ამბობს ექსპერტი ეკონომიკურ საკითხებში სოსო ცინცაბერიძე. როგორც მოგეხსენებათ, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში რუსეთის განეწვევასთან დაკავშირებით, თბილისი შვეიცარიული მხარის მიერ შემოთავაზებულ ვარიანტს დათანხმდა. საქართველოს სახელისუფლებო წრეების ინფორმაციით, ამ კომპრომისული შემოთავაზების საფუძველზე შესაძლებელი ხდება საერთაშორისოდ აღიარებულ საქართველო-რუსეთის საზღვარზე შემოსული ყველა ტვირთის საერთაშორისო მონიტორინგი, რისი განხორციელებაც აქამდე შეუძლებელი იყო. შვეიცარიის პრეზიდენტმა მიშელის კალმი-რეიმ საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს შვეიცარიის მიერ შეთავაზებულ კომპრომისულ დოკუმენტზე რუსეთის შეხედულება უკვე გააცნო. თუმცა, პრეზიდენტის ადმინისტრაცია არ აკონკრეტებს, როგორაა მოსკოვის პოზიცია. ცნობილი მხოლოდ ის არის, რომ ელექტრონულ მონიტორინგს შვეიცარია განახორციელებს.

სათუნა პასტორიძე

— ბატონო სოსო, რატომ ასაიდუმლოებს საქართველოს ხელისუფლება მოსკოვის პოზიციას და რატომ გადაწყდა, რომ საზღვარზე მებაჟეების ჩაყენების ნაცვლად, ტვირთის შემოტანაზე ელექტრონული მონიტორინგი უნდა განხორციელდეს?

— საქართველოში წესად იქცა ხალხისთვის ნამდვილი ინფორმაციის დამალვა. რაც უნდა მალოს ხელისუფლებამ, ჩვენ ვიცით, რომ მოსკოვში მედვედევი და კალმი-რეი დიდ სიამტკბილობაში იყვნენ; ისიც ვიცით, რომ კალმი-რეისა და სააკაშვილის შეხვედრის დეტალები საგულდაგულოდაა დამალული. მგონი, სწორედ კონტროლის მექანიზმი — ანუ საზღვარზე შემოსული ტვირთი ელექტრონული საშუალებებით რომ უნდა შემოწმდეს, არის ის წვრილმანი, რომელშიც ეშმაკი იმალება.

— რას გულისხმობთ?

— თავდაპირველად საზღვარზე ქართველი მებაჟეების ჩაყენებაზე იყო ლაპარაკი, შემდეგ — ევროპელი მებაჟეების, ბოლოს არჩევანი ელექტრონულ მონიტორინგზე შეჩერდა. დარწმუნებული ვარ, ის ადამიანები, რომლებმაც შვეიცარიელების მიერ შემოთავაზებულ ვარიანტს მოანერგეს ხელი, ელექტრონული მონიტორინგის რაობაში ვერ გარკვეულან. კონტროლის ასეთ მექანიზმს რაიმე უპირატესობა რომ ჰქონდეს, მებაჟეებისა და მესაზღვრეების დაქირავებაში ამდენ თანხას არავინ დახარჯავდა. განსაჯეთ, როდესაც ჩვენი პლანეტა ატომური ელექტროსადგურების მწყობრიდან გამოსვლისგანაც კი არ არის დაცული, რა გარანტია გვა-

ქვს, რომ „ელექტრომაკონტროლებელი“ რამდენიმე საათით მაინც არ გაითიშება? ასეთ შემთხვევაში, რუსული სამხედრო ტექნიკა სრულიად უპრობლემოდ „შემოგრიხინდება“ აფხაზეთში ან ცხინვალში.

— თუ „ელექტრომაკონტროლებელი“ ვერ გააკონტროლებს ტვირთებს, რუსეთი რატომ აყენებს დოკუმენტზე ხელის მოწერას?

— ეს რუსეთის შიდაპოლიტიკური უთანხმოების შედეგია. მიუხედავად იმისა, რომ ქართველებს საკუთარი ეკონომიკური საზღვრების გაკონტროლების უფლება გვაქვს, ყველაფერი იმაზე დამოკიდებულია, რა გადაწყვეტილებას მიიღებს რუსეთის ხელისუფლება. თუ ისინი ამ კომპრომისულ ვარიანტსაც არ მიიღებენ, ეს იქნება არა საქართველოს მტკიცე პოლიციის შედეგი, არამედ რუსეთის შიდაპოლიტიკური უთანხმოება.

— რუსეთის ვმო-ში განეწვევების საკითხი კრემლში უთანხმოების მიზეზად რატომ იქცა?

— ვმო-ში განეწვევების შემდეგ, რუსეთს დამატებითი შემოსავლის სახით 13 მილიარდი დოლარი გაუჩნდება. ამ ქვეყნის მოსახლეობა და პოლიტიკურ ძალთა სოლიდური ნაწილი დარწმუნებულია, რომ ეს თანხა ოლიგარქებს მოხმარდება და არა — ხალხს. გარდა ამისა, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში განეწვევების შემდეგ მოსკოვს სამუშაო ადგილების შემცირება, უხარისხო პროდუქციის წარმოებიდან ამოღება, დაბალი ტექნოლოგიების სანარმოების დახურვა და ა.შ. მოუხდება. ასე რომ, ვმო-ში განეწვევების პირველი ეტაპი რთული იქნება არა მარტო რუსეთის მოსახლეობისთვის, არამედ ვმო-სთვის.

პუტინი და მედვედევი სწირად ამბობენ, რომ რუსები ვმო-ს გარეშეც კარგად ცხოვრობენ. მათ სურთ, ყველაფერი ისე წარმოაჩინონ, თითქოს ამით მხოლოდ დასავლეთია დაინტერესებული.

— ფიქრობთ, რომ ევროპისთვის რუსეთი შესაძლოა, მალე „თავში სახლელი“ გახდეს?

— ამას არ გამოვირიცხავ. მოსკოვში უკვე ამბობენ, რომ ვმო-ს მოთხოვნის მიუხედავად, ევროპას ციმბირის საპაერო სივრცის გამოყენებისთვის დაწესებულ ტარიფს 2013 წლამდე არ გაუიანებენ.

— რატომ არ ითვალისწინებს ევროპა რუსეთის ასეთ მიდგომებს?

— დღეს ევროკავშირის ორასამდე ქალაქში სოციალური პროტესტი „დუღს“. ევროპა იძულებულია, უზარმაზარი სესხი აიღოს, რათა ტრილიონევროიანი სარეზერვუარი ფონდი შექმნას იმ ქვეყნების დასახმარებლად, რომლებსაც ეკონომიკური კრიზისი ემუქრება. ამ ქვეყნებს შორისაა: საბერძნეთი, ირლანდია, პორტუგალია, ესპანეთი და იტალია. ევროკავშირში იმედოვნებენ, რომ ტრილიონი ევროს შეგროვებაში ჩინეთისა და რუსეთის რესურსებსაც გამოიყენებენ. აღსანიშნავია ისიც, რომ ახლა ჩინეთს თავად შეექმნა სერიოზული პრობლემები და საქმიანი აქტიურობის კოეფიციენტი მკვეთრად შემცირდა, ამიტომ ჩინეთის იმედზე ყოფნაც აღარ შეიძლება. მსოფლიო ეკონომიკაში დღეს არსებული სიტუაცია ან ევროს კრახითა და ევროკავშირის გარკვეული კონფიდერაციის შეცვლით დასრულდება, ან კრიზისს დაძლევენ და რამდენიმე წელიწადში საერთაშორისო ეკონომიკა ისევ „დაიკოქება“.

— თქვენი აზრით, როგორ იქნება საქართველო-შვეიცარია-რუსეთის მოლაპარაკებების საბოლოო შედეგი, რუსეთი ვმო-ს წევრი გახდება?

— ვფიქრობ, გახდება. თუმცა, კრემლი არ ამბობს ამ ორგანიზაციის წესდების მორჩილად შესრულებას, ვმო-ში ის საკუთარი წესრიგის დამყარებას შეეცდება. ნამდვილად არ ვისურვებდი იმ ორგანიზაციის ხელმძღვანელობას, რომლის წევრიც რუსეთისნაირი ხულიგანი სახელმწიფო იქნება. დიას, რუსეთი საერთაშორისო ხულიგანია და მასთან ნებისმიერი სახის ურთიერთობა დიდი თავის ტკივილია.



პირადი დასვა — სად გადის გამორჩეული ფიგურის უსაფრთხოების ზღვარი

ფრთხილად, თქვენ გელით სიკვდილი!.. დიას, თუ ბევრი ფული გაქვთ, პოლიტიკური ლიდერი ან უბრალოდ გავლენიანი ადამიანი ხართ, თქვენი სიცოცხლე საფრთხეშია... ამბობენ, რომ ფულით ყველაფერი იყიდება. როგორ გგონიათ — მშვიდი ცხოვრებისა და პირადი უსაფრთხოების ყიდვაც შესაძლებელია? ამის გარკვევას მეც შევეცდები. როგორც წესი, ძლიერნი ამა ქვეყნისა ცდილობენ, საკუთარი უსაფრთხოება კარგად განვრთნილი პირადი დაცვის საშუალებით უზრუნველყონ. საინტერესოა, როგორია დაცვის სამსახურის სტრუქტურა, არის თუ არა პირადი დაცვის პროფესიონალიზმზე კლიენტის სიცოცხლე დამოკიდებული და სად გადის მისი უსაფრთხოების ზღვარი.

საბუნა ბანტურიძე

დაცვის სამსახური ჯერ კიდევ პირველყოფილი წყობილების დროს ჩამოყალიბდა. რიგითი მეომრებისგან შემდგარი პირადი მცველები ტომის ბელადებსა და ქურუმებს ჰყავდათ. ეგვიპტეში ეს სამსახური გაცილებით დახვეწილი იყო. ფარაონები მცველებს ჯარის ყველაზე კარგად განვრთნილი და მობილური ნაწილისგან ირჩევდნენ. ძველი საბერძნეთის ქალაქის მმართველთა პირადი დაცვა კი ოლიმპიურ თამაშებში გამარჯვებულებისგან კომპლექტდებოდა.

სტრუქტურულად ჩამოყალიბებული პირადი დაცვის სამსახური რომის იმპერიაში შექმნეს. იმპერატორს 9 კოჰორტისგან შემდგარი ათასკაციანი „პრეტორიული გვარდია“ იცავდა. სხვათა შორის, „პრეტორიელებს“ დიდი გავლენა ჰქონდათ იმპერიის პოლიტიკურ კურსზე. ისინი იმპერატორების შეცვლასა და დანიშვნაშიც კი მონაწილეობდნენ. ბიზანტიაში იმპერატორის დაცვა 7 პოლკისგან შედგებოდა და ყოველ მათგანს ტრიბუნი ედგა სათავეში...

საქართველოში პირადი დაცვის სამსახურის ჩამოყალიბება XI საუკუნეში, დავით IV აღმაშენებლის მეფობის პერიოდიდან დაიწყო. სწორედ დავითმა შექმნა სამეფო გვარდია — „მონა სპა მცველად თვისსა“, რომელიც მეფის პირად სამსახურში მყოფი 5000 რჩეული პროფესიონალი მეომრისგან შედგებოდა. „მონა სპა“ ხშირად გარეშე მტრების წინააღმდეგ მიმართულ საპასუხისმგებლო სამხედრო ოპერაციებს ასორციელებდა და დაზვერვის ფუნქციასაც ასრულებდა. დავით აღმაშენებელი დიდად აფასებდა „მონებს“, რომლებიც ხელისუფლების დიდ დასაყრდენს წარმოადგენდნენ ფეოდალურ ოპოზიციასთან ბრძოლისას. „მონა სპას“ ჩუბჩარხი თავაკცობდა, რომელიც მეფის მებაჯრეც გახლდათ. ის წინასწარ ათვალავდებოდა იმ ადგილებს, სადაც მეფე მიბრძანდებოდა, შემდეგ ბრუნდებოდა და ყველას წინ მიუძღვებოდა. ამავე პერიოდს უკავშირდება მანდატურის სამსახურის შექმნაც, რომელიც მანდატურთუხუცესს ექვემდებარებოდა. მანდატურის ერთ-ერთი მოვალეობა, მეფესთან დარბაზობის დროს შენობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა იყო.

საქართველოში პირადი დაცვის სამსახური სტრუქტურულად, გვიანფეოდალურ ხანაში ჩამოყალიბდა. ერეკლე II-ის მეფობის დროს ერთ-ერთ მაღალ სამხედრო თანამდებობას ყულარალასი წარმოადგენდა, რომელიც

მეფის მცველ მეთოფეთა უფროსი იყო და ყორჩიბაშთან ერთად მეფის პირად მცველებს — ყულებსა და ყორჩებს ხელმძღვანელობდა. მეფის დაცვა 120 კაცისგან შედგებოდა და 3 ორმოცკაციანი მეთოფის რაზმად (უზბაშად) იყოფოდა. ეს რაზმები რეგულარული ჯარის ნიშნებით ხასიათდებოდნენ, მაგრამ სამხედრო ფუნქციებს არ ასორციელებდნენ. ასოცაციანი რაზმი ძირითადად, მეფისა და სასახლის დაცვას უზრუნველყოფდა, თუმცა დროდადრო ურჩი ფეოდალების თარეშის აღაგმავადაც მონაწილეობდა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ საქართველოში უმაღლესი თანამდებობის პირებისა და პარტიული ელიტის პირად უსაფრთხოებას სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის (სუკ) მე-9 განყოფილება უზრუნველყოფდა. გაგიკვირდებათ, მაგრამ სუკის მე-9 განყოფილება იცავდა დამოუკიდებელი საქართველოს პირველ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასაც. საინტერესოა, სად გადიოდა სუკის დაცვის ქვეშ მყოფი ექსდისიდენტი პრეზიდენტის უსაფრთხოების ზღვარი?.. ვეცადე, ამის შესახებ ინფორმაცია შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში მომეძიებინა, მაგრამ — ამაოდ (ამ უწყებაში, პრესცენტრის ხელმძღვანელის, ზურაბ გვენეტაძის დახმარების გარეშე უურნალისტები, ჩიტებადაც რომ გადავიქცეთ, მაინც ვერ შევფრინდებით. გვენეტაძე კი ბოლო დროს რატომღაც, აღარ გვწყალობს).

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის, ედუარდ შევარდნაძის განკარგულებით, იმავე მე-9 განყოფილების ბაზაზე ჩამოყალიბდა სამთავრობო დაცვის სამსახური. 1996 წელს პარლამენტმა მიიღო კანონი „სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესახებ“, რის შედეგადაც სამთავრობო დაცვის სამსახურს „სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური“ ეწოდა.

გასული საუკუნის 90-იანი წლების მიწურულს საქართველოში კერძო დაცვის სამსახურებიც შეიქმნა. პოლიტიკოსები და ბიზნესმენები (როგორც ქართველები, ისე უცხოელები), რომლებიც საქართველოში ეკონომიკური, სამეწარმეო საქმიანობით იყვნენ



პირველი დარბაზი მაშინ მივიღეთ, როდესაც ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების უფლებები შეგვიმღუღეს



დაკავებული, საკუთრების დაცვას კერძო კომპანიის წარმომადგენელს უფრო ანდობდნენ, ვიდრე სახელმწიფოს დაქვემდებარებაში არსებულ, პოლიციის მსგავს უწყებას. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ კერძო დაცვის სამსახურების დიდმა ნაწილმა ფუნქციონირება შეწყვიტა. ამის მიზეზი ახალი კანონი გახდა: მმართველი გუნდის ინიციატივით, 2009 წელს ძალაში შევიდა კანონი კერძო დაცვით საქმიანობის შესახებ, რომლის მიხედვითაც, სახელმწიფომ კერძო დაცვის კომპანიებს 50 ათასი ლარის ლიზენზიების ლიცენზია დაუწესა და 200 ათასი ლარის საბანკო გარანტია მოსთხოვა; მანამდე ცოტა ხნით ადრე კი ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების უფლება შეუზღუდა. ამასთანავე, დაცვის პოლიციის დეპარტამენტში შექმნეს სპეციალური მაკონტროლებელი, რომელსაც კერძო დაცვის — ანუ კონკურენტების კონტროლი დაევალა. ახალი კანონის ამოქმედების შემდეგ 250 კომპანიიდან მხოლოდ 13-მა გააგრძელა საქმიანობა. კერძო კომპანიის ყოფილი ხელმძღვანელები ამბობენ, რომ ხელისუფლებამ ახალი კანონი მიზანმიმართულად, კერძო დაცვის კომპანიების „ჩასაძირად“ შემოიღო.

„თავის დროზე, „კერძო დაცვამ“ შს სამინისტროს დაცვის დეპარტამენტს ბევრი ობიექტი „წართვა“. ბიზნესი ჩვენ უფრო გვენდობოდა, ვიდრე სახელმწიფო სამსახურს. გარდა ამისა, ჩვენი მომსახურების ხარისხიც გაცილებით მაღალი იყო. დაცვის დეპარტამენტი კონტინგენტს ძირითადად ჯარისკაცებით ავსებს, რომელთა შენახვა გაცილებით იაფი ჯდება... პირველი დარტყმა მაშინ მივიღეთ, როდესაც ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების უფლებები შეგვიზღუდეს. ფაქტობრივად დაგვიკინეს: ძალი — გაზის პისტოლეტით, ხოლო დასაცავ ობიექტზე ჯგუფური თავდასხმა — წყლის ჭავლით მოიგერიეთო... ახალი კანონი საბოლოო და გამანადგურებელი დარტყმა იყო. იმ შემთხვევაში, თუ ყველა ახალ მოთხოვნას დავაკმაყოფილებდით, მომსახურების საფასურიც უნდა გაგვეზარდა. ასეთ შემთხვევაში კი სახელმწიფო ბიუჯეტით ზურგგამაგრებულ დაცვის პოლიციის დეპარტამენტს კონკურენტციას ვერ გაუწევდით. ამას ისიც დაემატა, რომ სახელმწიფო დაცვის პოლიციას ჩვენი კონტროლი დაევალა. განა შეიძლება, საკუთარი კონკურენტი აკონტროლო?! გასაქანი აღარ მოგცეს. ამიტომ ავდექი და

ჩემი შპს საერთოდ გავაუქმე“, — ამბობს ერთ-ერთი კერძო დაცვის სამსახურის ყოფილი უფროსი, რომელიც ვინაობის გამხელისგან თავს იკავებს.

დღეს დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ — ხელისუფლების მიზანი მხოლოდ კონკურენტების ჩამოცილება როდი იყო. „ალგანს“, რომელიც კერძო დაცვის სამსახურებს შორის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი, სანდო კომპანიაა და კლიენტს მომსახურების სრულ პაკეტს სთავაზობს (სიგნალიზაცია, ვიდეო-თვალთვალი, საგანგაშო ლილაკი, 24-საათიანი მონიტორინგი, ცოცხალი ძალა, ოპერატიული ჯგუფების მომსახურება, ესკორტი, პირადი დაცვა), ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებული მცველი არ ჰყავს. მართალია, კომპანიის გენერალური დირექტორი ამბობს, რომ მისი „დაცვის ბიჭები“ სპორტსმენები არიან და ორთაბრძოლის ილეთებს შესანიშნავად ფლობენ, მაგრამ ბიზნესმენი ან პოლიტიკოსი, რომელიც საკუთარ სრულყოფილ უსაფრთხოებაზე ზრუნავს, ნამდვილად არ დაიქირავებს დაცვის ისეთ თანამშრომელს, რომელსაც ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების უფლება არა აქვს. იარაღის გამოყენების უფლება, კანონმდებლობის მიხედვით, მხოლოდ სახელმწიფო დაცვის სამსახურის თანამშრომელს აქვს. ხელისუფლებას კი ნებისმიერ დროს შეუძლია, მისთვის არასასურველი ბიზნესმენის ან პოლიტიკოსის დაცვა განაიარაღოს და მისი სიცოცხლე რისკის ქვეშ დააყენოს. ამის მაგალითად, ბიძინა ივანიშვილის ამბავიც იკმარება: სულ ცოტა ხნის წინ შს სამინისტროს სტრუქტურაში მყოფმა დაცვის პოლიციის დეპარტამენტმა ივანიშვილის დაცვის წევრებს ყოველგვარი ოფიციალური დოკუმენტის წარდგენის გარეშე ჩააბარებინა იარაღი. გამოდის, რომ ბიზნესმენისა და პოლიტიკოსის უსაფრთხოების ზღვრის გავლება ხელისუფლების ნება-სურვილზეა დამოკიდებული. საინტერესოა, სად გადის თავად ხელისუფალთა უსაფრთხოების ზღვარი? რადგან შსს-ს პრესცენტრის ხელმძღვანელი არც ამ საკითხის გარკვევაში დამეხმარა, შს ექსმინისტრის პირადი



კარგად დაგეგმილი და განხორციელებული გერაკტი იყო. შეგარდნაძეს ბრონირებული ავტომობილი რომ არ ჰქონოდა, ახლა ცოცხალი არ იქნებოდა

— შინაგან საქმეთა რომელ ექსმინისტრს იცავდით?

— კახა თარგამაძეს.

— რამდენად სერიოზული რისკის ქვეშ იყო მინისტრის სიცოცხლე?

— ვიდრე შინაგან საქმეთა სამინისტრო ბანდფორმირებებსა და „მხედრიონელებს“ დასდევდა, მინისტრის სიცოცხლე სერიოზულ საფრთხეში იყო. თუმცა მასზე თავდასხმას აზრი არ ჰქონდა, იმიტომ, რომ ძალიან სერიოზული დაცვა ჰყავდა.

— სულ რამდენი კაცი იცავდით?

— ეს იმაზე იყო დამოკიდებული, თუ სად მივდიოდით. ზოგჯერ ესკორტში 30 კაციც ყოფილა, ზოგჯერ 10 კაცზე მეტი არ წავყოლივართ.

— რამდენად კარგად იყავით მოზადებული?

— პირადად მე დაცვის სპეციალური სამსახურის სასწავლებელი ამერიკაში დავამთავრე და ერთხანს ბაღდადში ერთ-ერთი შეიხის პირად დაცვაში ვმუშაობდი.

— საქართველოს დაცვის პოლიციის სკოლაზე რას იტყვი?

— კარგი სკოლაა. სასწავლო პროცესი წინასწარ შემუშავებული სპეციალური პროგრამებით მიმდინარეობს. მეთოდოლოგია ნამდვილად შეესატყვისება სამსახურის ქვედანაყოფების ფუნქციების სპეციფიკას. როგორც ვიცი, სასწავლო პროგრამები მოიცავს საქართველოს პრეზიდენტისა და სხვა მნიშვნელოვან პირთა პირადი დაცვის თანამშრომელთა გადამზადებას, სპეციალური დანიშნულების ქვედანაყოფის მებრძოლთა კვალიფიკაციის ამ-



აღლების კურსს, საკონტრაქტო სამსახურში ჩასარიცხ კანდიდატთა მომზადების დაწყებით კურსს, სასწავლო-მეთოდოლოგიურ და პრაქტიკულ ტრენინგებს სამსახურის ქვედანაყოფების ხელმძღვანელებისთვის, ავტოსატრანსპორტო საშუალებების მართვას ექსტრემალურ სიტუაციებში...

— **თქვენი კლიენტის უსაფრთხოება მხოლოდ თქვენს პროფესიონალიზმზეა დამოკიდებული?**

— დიდნილად — კი, თუმცა ყველაფრისგან დაზღვეული ვერავინ იქნება. ბოლოს და ბოლოს, კენედი მოკლეს...

— **როგორ ფიქრობთ — კენედის შემთხვევაში უსაფრთხოების ყველა ზომა იყო დაცული?**

— უსაფრთხოების ზომები დაცული როგორ იყო, როდესაც პრეზიდენტი კაბრიოლეტში იჯდა?! სნაიპერისთვის ძალიან კარგი სამიზნე იყო.

— **როგორც ვიცი, დაცვის სამსახურს წინასწარ ზევრავს იმ ადგილის მიმდებარე ტერიტორიას, სადაც დაცვის ობიექტმა უნდა გაიაროს. როგორ მოხდა, რომ ჩასაფრებული სნაიპერი ვერ შენიშნეს?**

— კი, ასეა, პერიმეტრის შემოწმება რამდენიმე დღით ადრე იწყება და ვიდრე დაცვის ობიექტი იქ გაივლის, მკაცრად კონტროლდება. მის მარშრუტს კი მხოლოდ ორი კაცი — დაცვის სამსახურის უფროსი და ოპერატიული სამსახურის უფროსი გეგმავენ. მერე ოპერატიული სამსახურის უფროსი თავისი ჯგუფის წევრებს დროდადრო, სათითაოდ აძლევს დავალებებს. დაცვის რიგითმა წევრებმა წინასწარ არასდროს იციან, თუ სად მიდის დაცვის ობიექტი... როგორც ჩანს, კენედის დაცვამ ყურადღება მოაღწუნა. ის ხომ ტეხასში მოკლეს, სადაც 90-პროცენტის მხარდაჭერით სარგებლობდა. არავინ ელოდა, რომ კენედის ტეხასში ტყვიას ესროდნენ, იქაურებს ძალიან უყვარდათ. ხომ გახსოვთ, შევარდნაძეზე რომ განახორციელეს ტერაქტი? დაცვამ მაშინაც მოაღწუნა ყურადღება, მაგრამ ეს ლოგიკურიც იყო.

— **რატომ იყო ლოგიკური?**

— შევარდნაძე წლების განმავლობაში ერთსა და იმავე დროს ერთი და იმავე მარშრუტით მოძრაობდა. ასეთ დროს დაცვას ძალაუნებურად უღუნდება ყურადღება. ისე, კარგად დაგეგმილი და განხორციელებული ტერაქტი იყო. შევარდნაძეს ბრონირებული ავტომობილი რომ არ ჰქონოდა, ახლა ცოცხალი არ იქნებოდა. მას კუმულაციური ჭურვი ესროლეს,

რომელიც 100-ათასგრადუსიან ტემპერატურას წარმოქმნის და ყველა ცოცხალ არსებას ანადგურებს.

— **ვი. შევარდნაძეს არაპროფესიონალი დაცვა ჰყოლია.**

— არა, რას ამბობ?! შევარდნაძის დაცვა ერთ-ერთი საუკეთესო იყო მსოფლიოში. ამერიკისა და რუსეთის პრეზიდენტების დაცვას არაფრით ჩამოუვარდებოდა. შევარდნაძის ტერაქტი „დისქვერიზე“ განიხილეს; გაირკვა, რომ პრეზიდენტის დაცვის ოპერაცია სტანდარტების სრული დაცვით განხორციელდა — დაცვის ობიექტი თავდასხმის ადგილიდან უვნებელი გაიყვანეს და დარტყმა საკუთარ თავზე აიღეს. ერთ-ერთი მცველი დაიღუპა კიდევც.

— **დალუბუღი დაცვის წევრს ჯავშანფილეთი არ ეცვა?**

— ეცვა, მაგრამ ჯავშანფილეთი მხოლოდ წვრილკალიბრიანი ტყვიებისგან იცავს. სხვათა შორის, დაცვის თანამშრომლებს ყველაზე დიდ პრობლემას ისევ ჩვენი დაცვის ობიექტები გვიქმნიან, განსაკუთრებით — პრეზიდენტები.

— **რას გულისხმობთ?**

— უსაფრთხოების წესებს არ იცავენ, არ გვემორჩილებიან. ჩემი კოლეგებისგან ვიცი, რომ სააკაშვილი ძალიან რთული დასაცავია: ხშირად, წინასწარ შედგენილ მარშრუტს მოულოდნელად ცვლის, ძალიან ჯიუტია... დაცვის სამსახურის უფროსი გემის კაპიტანივითაა, თუ არ დაუჯერებ, დაილუბები. შექსპირის ერთ-ერთ ნაწარმოებში გემის კაპიტანი მეფეს ეუბნება: ან გემის მართვა მაცადე, ანდა ქარიშხალსაც უბრძანე, ჩადგესო.

— **თარგამაძე როგორი დასაცავი იყო?**

— ჯიუტი არ იყო. მისი ერთადერთი მინუსი ის გახლდათ, რომ საჭესთან ჯდომა და ჩქარი სიარული უყვარდა. არადა, მაინცდამაინც კარგი მძღოლი არ იყო. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ესკორტის ავტომობილს თავისებური მართვა უნდა.

— **ბიძინა ივანიშვილის დაცვაზე რას იტყვი?**

— მასაც ძალიან მაგარი ბიჭები ჰყავს. ივანიშვილი თავად იხდიდა ფულს იმისთვის, რომ ბიჭებს კვალიფიკაცია აემალლებინათ.

— **უნდა დავიჯეროთ, რომ ის ახლა შეუარაღლებელი დაცვის ანაბარად არის?**

— უნდა დავიჯეროთ. ივანიშვილის დაცვას იარაღი მას შემდეგ ჩააბარებინეს, რაც საქართველოს მოქალაქეობა შეუნცივტეს. შეუძლია,

უცხოელის სტატუსით გააფორმოს ხელშეკრულება დაცვის პოლიციის იმ სამსახურთან, რომელიც სპეციალურად უცხოელებისთვის მუშაობს, მაგრამ არა მგონია, ეს გააკეთოს. ისე, ივანიშვილი არც ისეთი დიდი საფრთხის წინაშეა, როგორც თქვენ წარმოგიდგინათ. ახლა მაგას რამე რომ მოუვიდეს, ყველაფერი ხელისუფლებას დაჰბრალდება.

— **ხომ შესაძლებელია, ვინმემ, თუნდაც ძველმა მტერმა სწორედ ამ სიტუაციით ისარგებლოს?**

— ძველი მტერი ვერაფერს დააკლებს. ივანიშვილის რეზიდენცია მთლიანად დაცულია. მისი ლიკვიდაცია რომ მოინდომო, შტურმი უნდა განახორციელო.

— **გარეთ ხომ გამოდის?**

— გარეთ მხოლოდ ესკორტით გამოდის. მისი ესკორტის ყველა ავტომობილი დაცულია, თანაც წინასწარ არასდროს არავინ იცის, რომელში უნდა ჩაჯდეს. სნაიპერის მეშვეობით მისი მოკვლა რომ მოინდომოს, ამით დაინტერესებულმა ხუთივე მანქანას უნდა გაუხსნას ცეცხლი. ეს კი ძალიან ძნელი, თითქმის შეუძლებელია. შეიარაღებული შეტაკების გარეშე ამას ვერავინ მოახერხებს.

— **ბოლო დროს, „ქმიოკილერებიც“ გააქტიურდნენ. სადაც სნაიპერის ტყვია ვერ სწვდება, იქ შხამი აკეთებს ამ საქმეს. ასეთ სიტუაციაში პირად დაცვას რისი გაკეთება შეუძლია?**

— არაფრის. ჩვენ დაცვის ობიექტს ვერც დეგუსტატორს დაფუქირავეთ და ვერც მოძრავ ლაბორატორიას მოვუწყობთ. ისე, „ქმიოკილერობაზე“ ხელისმომწერი ძალიან ცოტაა: ძალიან ძნელია, ასეთ დროს არ გაიმიფრო.

— **რატომ არის ძნელი? არის სანამლაგები, რომელთა გამოყენების შემდეგ ადამიანი უბრალოდ ცუდად ხდება ან გული შეანუნებს, ერთი კვირის შემდეგ კი ინფარქტით ან გულის უკმარისობით კვდება; ნებისმიერი კვლევა მხოლოდ ამ მიზეზს დაადასტურებს.**

— კი, მაგრამ იმისთვის, რომ ადამიანი მონამლო, მზარეული უნდა „დაავებოკოკო“. მზარეული კი შეიძლება, მანამდე გაშიფრო, ვიდრე თავის საქმეს გააკეთებს. გარდა ამისა, კილერობა ძალიან უმადური საქმეა. გგონიათ, იმ მზარეულს ცოცხალს დატოვებენ?.. ერთი სიტყვით, თუ უსაფრთხოების წესებს ზედმიწევნით კარგად დაიცავ, იცოცხლებ. ოღონდ ეს ღმერთმაც უნდა ინებოს...



ავერსი - ქველმოქმედი კომპანია

კომპანია ავერსი ქართული ფარმაცეუტის ლიდერი გახლავთ. მისი სახელი ასოცირდება დასავლეთის სტანდარტების შესაბამის სააფთიაქო ქსელთან, საერთაშორისო დონის ფარმაცეუტულ წარმოებასთან, ულტრათანამედროვე ტექნიკით აღჭურვილ კლინიკათა ქსელთან, სადაზღვევო კომპანიასა და საზოგადოებაში ძალზედ პოპულარულ საქველმოქმედო აქციებთანაც. მართლაც, კომპანიისთვის ქველმოქმედება ერთერთი პრიორიტეტული მიმართულებაა და ავერსმა დაარსების დღიდან მრავალ სასიკეთო საქმეს დაუდო საფუძველი.

ავერსი წლების განმავლობაში ზრუნავს მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა და მოხუცებულთა თავშესაფრების მოსარგებლად, ავერსი თავის სააფთიაქო ქსელში სხვადასხვა შედეგებით სარგებლობის საშუალებას აძლევს პედაგოგებს, პენსიონერებს, ვეტერანებს, ფურნალისტებს... გასულ წელს კი კომპანიის დამფუძნებელმა ბატონმა პაატა კურტიანიძემ საქველმოქმედო ორგანიზაცია - ავერსის საქველმოქმედო ფონდი დააარსა. ინვალიდებს, უდედმამო ბავშვებს, იძულებით გადაადგილებულ პირებს, გაჭირვებულ მოსახლეობას სხვადასხვა სახის დახმარებას ახლა უკვე ავერსის საქველმოქმედო ორგანიზაცია უწევს.

2011 წლის განმავლობაში ფონდმა 330 230 ლარის მედიკამენტი გადასცა იმ ფინანსურად დუხჭირ მოსახლეობასა და ორგანიზაციებს, ვისთვისაც საჭირო ნაძლევი ხელმისაწვდომი არ იყო. აგრეთვე 9 მისის აქციის დროს 348 ვეტერანმა

მიიღო 221.799 ლარის ღირებულების მედიკამენტი. ეს აქცია ტრადიციად იქცა და უკვე მეხუთე წელია რაც მიმდინარეობს. საქველმოქმედო ფონდი "ავერსი" რეგულარულად ეხმარება ქუთაისის პროფკავშირს, საქართველოს სამატრიარქოს, ოლიმპიურ კომიტეტს, საქველმოქმედო კუმანიტარულ ორგანიზაცია SOCO-ს, ხელოვნების სკოლა პარმონიას, საქართველოს ცხოველთა დაცვის საზოგადოებასა და საქართველოს ხელოვნებისა და კუმანიტარულ მეცნიერებათა სასწავლო უნივერსიტეტს. ფონდის დაფინანსებით გურიაში კვლავ გრძელდება კატარაქტის უფასო ოპერაციების სერიაც. თუმცა,



პრობლემების მოუხედავად შეილებზე უარს არ ამბობს და მათი ეკონომიკური პირობების გათვალისწინებით, ეს მართლაც დასაფასებელია.

დარწმუნებული ვარ, მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებით, სტიმულს ვაძლევთ სხვებსაც, რომ ორი და სამი შვილის ყოლით არ დაკმაყოფილდნენ.

ჩვენი პროექტის კიდევ ერთი დადებითი მხარე ის გახლავთ, რომ საზოგადოებაში მრავალშვილიანობის პოპულარიზაცია ხდება, რაც თავისმხრივ აუცილებელია ქვეყანაში დემოგრაფიული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად - აღნიშნა ბატონმა პაატამ.

მრავალშვილიანი მშობლები მაღლიერებას ყოველთვის უდიდესი სითბოთი და სიყვარულით გამოხატავენ. ყოველი მათგანი აღნიშნავს, რომ ავერსის დახმარება მათთვის არა მხოლოდ ფინანსური, არამედ მორალური მხარდაჭერაც არის, რადგან მრავალშვილიან ოჯახებს საზოგადოების მხრიდან ყურადღება ძალიან აკლიათ.

კომპანია ავერსის დამფუძნებელმა ერთერთ ინტერვიუში აღნიშნა: მაღლობელი ვარ უფლის, რომ მან სიკეთის ქმნის შესაძლებლობა მოგვეცაო. მართლაც, მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება უდიდესი სიკეთეა. ქვეყანაში მიიმე დემოგრაფიული მდგომარეობის გათვალისწინებით კი ოჯახების ნახალისება და მხარდაჭერა, სადაც ბევრი ბავშვი იზრდება ეროვნული საქმეა. პროექტი კვლავ გრძელდება და მომავალშიც მრავალი ოჯახი იგრძნობს ავერსის თანადგომას.



კომპანიისთვის ყველაზე აქტუალური, ისევე და ისევე, მრავალშვილიანთა დახმარების პროექტი რჩება. ეს მუდმივმოქმედი აქცია 2006 წელს დაიწყო და ფინანსური დახმარება უკვე 1981 ოჯახმა მიიღო. თანხა, რომელიც ამ პროგრამაზე დაიხარჯა 1 148 602. 56 ლარს შეადგენს. თანამედ შეიძლება ითქვას, რომ მრავალშვილიანთა დახმარების პროგრამა ყველაზე ეროვნული პროექტია, სწორედ ამიტომ დაიწახსურა საზოგადოების მხრიდან ასეთი ყურადღება და სიყვარული. ავერსის დამფუძნებელი თავადაც მრავალშვილიანია და როგორც აღნიშნა, ეს პროექტი მისთვის გამორჩეულად მნიშვნელოვანია:

ვფიქრობ, ოჯახებს, სადაც ხუთი და მეტი ბავშვი იზრდება საზოგადოების მხარდაჭერა და ყურადღება სჭირდებათ. ბევრია ოჯახი, რომელიც ფინანსური



ავერსი ბისურვებით ჯანმრთელობას და გამრავლებას!

ალმაშენაძლის 148/2
საინფორმაციო სამსახური: 2-967-227

WWW.AVERSI.GE



აფხაზი ოპონენტების მიერ გადაჩინილი ქართველი ისტორიკოსი

„რატომღაც ყოველთვის აჩაჩოდა, რომ ომი ალა და მათაჰრეაბოდა“

წლების წინ, როცა ქართველებსა და აფხაზებს შორის ერთი შეხედვით ძმური დამოკიდებულება იყო დამკვიდრებული, აფხაზურ სამეცნიერო წრეებში ანტიქართული განწყობილება უკვე ღვიოდა. ისტორიკოსი ზურაბ პაპასკირი ერთ-ერთი პირველთაგანი გახლდათ მათ შორის, ვინც პირადად გადაეყარა სეპარატისტულად განწყობილი კოლეგების მიერ გაყალბებულ ისტორიოგრაფიას... აფხაზეთში 90-იან წლებში გაჩაღებული ომის დამთავრების შემდეგ სოსუმელი ისტორიკოსი ტყვედ ჩააპარდა, სადაც 100 დღე გაატარა, მაგრამ ყველაზე რადიკალურად განწყობილი სეპარატისტების დახმარებით გადაარჩა.

ლალი პაპასკირი

— პოლიტიკოსი არ ვიყავი, მაგრამ ჩემი საქმიანობიდან გამომდინარე, მიმდინარე პროცესებისგან შორს არასდროს ვყოფილვარ... მოდი, ცოტა შორიდან დავიწყებ თხრობას. ისტორიკოსად ჩემი ჩამოყალიბება ჯავახიშვილის სახ. თბილისის უნივერსიტეტში დაიწყო და ლომონოსოვის სახ. მოსკოვის უნივერსიტეტში გაგრძელდა, სადაც ასპირანტურის კურსი გავიარე და საკანდიდატო დისერტაცია დავიცავი. ამ მეცნიერული „ნრთობის“ შემდეგ, პროვინციული და მიკროძოვრული აზროვნება ჩემთვის უცხო იყო. 1976 წელს საქართველოს უმაღლესი განათლების სამინისტრომ სამუშაოდ სოსუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში გამგზავნა. მუშაობის დაწყებისთანავე მივხვდი, რომ ქართულ-აფხაზური ურთიერთობები იმაზე მეტად დაძაბული იყო, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანდა. სხვა საგნებთან ერთად, ლექციებს საქართველოს ისტორიაშიც ვკითხულობდი და როცა აფხაზი ისტორიკოსების მიერ ფალსიფიცირებულ ისტორიას გავცვანი, გაოგნებული დავრჩი. ამ მხრივ განსაკუთრებით სცოდავდა პროფესორი შალვა ინალ-იფა, რომელიც ნაციონალისტურ წრეებში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. მან რუსულ ენაზე გამოსცა „საპროგრამო“ წიგნი: „აფხაზთა ეთნოკულტურული ისტორიის საკითხები“, რომელშიც უამრავი სიყალბე მიზანმიმართულად ჰქონდა შეტანილი. სოსუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორმა, პროფესორმა ზურაბ ანჩაბაძემ შემომთავაზა, ინალ-იფას წიგნში განხილულ ერთ-ერთ თემაზე აზრი გამომეთქვა.

— რა თემა იყო?
— ლაპარაკი იყო ძველრუსულ წერილობით ძეგლებში დაფიქსირებულ

ბულ ტერმინ „ობეზის“ (აფხაზეთი, აფხაზი) შინაარსზე. საქმე ეხებოდა ძველი რუსეთისა და საქართველოს ურთიერთობებს XI-XII საუკუნეებში. ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებობს დასკვნა — რომ ტერმინს „ობეზ“ — ძველი რუსი ავტორები აფხაზეთს და აფხაზს ფართო გაგებით ანუ — ერთიანი ქართული სახელმწიფოს კონტექსტში განიხილავდნენ. ერთი სიტყვით, კრიტიკული რეცენზია მოვაშაბდე... განხილვა გულისას სახ. სამეცნიერ-კვლევით ინსტიტუტში მოეწყო. ზურაბ ანჩაბაძემ ინალ-იფას ნაშრომი კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა. რაც უნდა დაუჯერებელი მოგეჩვენოთ, კრიტიკული გამოსვლა ჰქონდა შემდგომში აფხაზური სეპარატისტული მოძრაობის ცნობილ იდეოლოგს — იური ვორონოვს... ჩემი ტექსტი გამაღიზიანებელი ტონით არ გამოირჩეოდა, მაგრამ აუდიტორიამ ობსტრუქცია მომიწყო... იმ დღეს მივხვდი, რომ ეს ინსტიტუტი სეპარატისტების ნამდვილი ბუნაგი იყო. ასე დაიწყო ჩემი ბრძოლა სეპარატისტული იდეოლოგიის წინააღმდეგ, რასაც ჩემი დევნა მოჰყვა. 1982 წელს, როცა საკანდიდატო ნაშრომი ცალკე წიგნად გამოვეცი, სადაც ინალ-იფას წიგნზე კრიტიკული შენიშვნები მქონდა შეტანილი, ანტიქართულად განწყობილმა აფხაზებმა ჩემი სამსახურიდან დათხოვნა და აფხაზეთიდან გასახლება მოითხოვეს.

— კონკრეტულად რას ვერ ეგუებოდნენ?

— ყოველთვის ვამბობდი, — აფხაზები და ქართველები ამ მიწის მკვიდრნი ვართ და საერთო-ისტორიული წარსული გვაქვს-მეთქი. ვიშველიებდი ნიკო ბერძენიშვილის ცნობილ თეზას, — „ვეფხისტყაოსნის“ ეპოქის ქართული ცივილიზაცია აფხაზსაც ისევე ეკუთვნის, როგორც

ქართლელს, იმერელს, მეგრელს, სვანს-მეთქი. აფხაზებს ამის გაგონებაც არ უნდოდათ. მათი მტკიცებით, შუა საუკუნეებში აფხაზეთი (პირველ რიგში, „აფხაზთა სამეფო“) დამოუკიდებელი სახელმწიფო ერთეული იყო, რომელსაც ქართულ სამყაროსთან არაფერი აკავშირებდა და ქართველები იქ XX საუკუნიდან — „მუჰაჯირობის“ შემდეგ ჩასახლდნენო. არადა, აფხაზეთი ეთნოკულტურულად და პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივად მთელი ცივილიზებული ისტორიის მანძილზე ქართული სამყაროს ორგანული ნაწილი იყო. შუა საუკუნეების მთელი კულტურული მემკვიდრეობა — დრანდა, მოქვი, ბიჭვინთა და ა.შ. — საერთო-ქართული ცივილიზაციის ნაწილია... არასოდეს უარყოფდი, რომ აფხაზები თანამედროვე აფხაზეთის მკვიდრი მოსახლეობაა და ბოლო 2 ათასი წლის განმავლობაში ცხოვრობდნენ იქ ქართველებთან (მეგრელებთან) ერთად. აფხაზთა თითქმის ნახევარს გააფხაზებული ქართველები, მათ შორის — ჩემი და თქვენი მოგვარეები შეადგენენ. სოსუმში არსებობს ივანე პაპასკირის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკა და მის ღვანლზე აფხაზები სიამაყით საუბრობენ, მაგრამ ის აფხაზური ფესვებიდან არ მოდის...

— ყველამ ვნახეთ, თუ როგორ გაგრძელდა ეს დაპირისპირება და ნუ შეჭირვდებით... ვიცო, რომ სოსუმის დაცემის შემდეგ ტყვეობაში აღმოჩნდით. როგორ გაიხსენებთ იმ დღეებს?

— მათ ტყვეობაში 100 დღე გავატარე და ამ პერიოდმა ჩემი ცხოვრება მთლიანად შეცვალა... ვინაიდან ჯანმრთელობა არ მიწყობდა ხელს და, მართალი გითხრათ, მეომრის სულიც არ არის ჩემში, იარაღი არასდროს მჭერია; მე ჩემი „იარაღი“ მქონდა... თსუ-ში სწავლის დროს სამხედრო კათედრა გავიარე და თადარიგის ოფიცერი ვიყავი. ამიტომაც სამხედრო დაპირისპირების დაწყების შემდეგ, ჩემი სტუდენტების გვერდით ვიდექი, რათა ქართული ჯარის პატრიოტული აღზრდის საქმეში მოკრძალებული წვლილი შემეტანა. რატომღაც ყოველთვის მჯეროდა, რომ ომი მალე დამთავრდებოდა და შევრიგდებოდი, რადგან მე ვიცნობდი აფხაზებს და ვიცოდი, რომ ისინი პოლიტიკურზე წინ ადამიანურ ურთიერთობებს დააყენებდნენ. როცა აფხაზურმა მხარემ ცეცხლის შეწყვეტის შესახებ მიღწეული შეთანხმება დაარღვია, ისე განვიცადე, რამდენიმე დღე ფეხზე ვერ ვდგებოდი. სოსუმის ახალი რაიონი, სადაც



ჩვენ ვცხოვრობდით, სულ ბოლოს დაეცა. დარჩენისკენ სხვებს მოეუწოდებდი და იქიდან წასვლა არც კი მიცდიდა. დედასა და მეუღლესთან ერთად სახლში ვიყავი. მასსოვს, სოხუმის დაცემის დღეს — 27 სექტემბერს აფხაზი კარის მეზობელი, დაურ კვიწინია მოვიდა, ხელში იარაღი ეჭირა და მომიბოდიშა, — ზურაბ, მაპატიე, რომ იარაღით შემოვედი, მაგრამ შენი აქ დარჩენა არ შეიძლებაო... 10 დღე ჩემი აფხაზი და სომეხი მეზობლების მფარველობის ქვეშ ვიმყოფებოდი. მასსოვს, სომეხი მეზობელი, კალაიჯიანი თავის თანაკლასელ აფხაზს, უშიშროების სამსახურის ოფიცერს ლამის მუხლებში ჩაუფარდა, — ეს კაცო ავადმყოფი და არ ნაიყვანოო... არც მერე მოგვასვენეს. ჩათრევას ჩაყოფა ვამჯობინე და სოხუმის უშიშროებას მივმართე და ახლოებელ აფხაზს ვთხოვე. იმ დღეებში არაერთი ცნობილი ქართველი: მწერალი, საზოგადო მოღვაწე და უბრალოდ, ასაკოვანი ხალხი უდანაშაულოდ დახვრიტეს და ვერ ვიტყვი, არ მემინოდა-მეთქი, მაგრამ სხვა გზა არ მქონდა. უშიშროებაში იმ პირთა სამგვერდიანი სია დამიდეს, ვისაც ქართველ მოსახლეობაში განსაკუთრებული გავლენა ჰქონდა. ჩემი გვარი მეორე გვერდზე ეწერა. ვნერვიულობდი... იქ ჩემს ყოფილ აფხაზ სტუდენტებსაც მოვკარი თვალი. ერთი გამერიდა, მაგრამ მეორე, გვარად აგრბა, გადამეხვია და თბილად მომიკითხა. როცა აფხაზმა მაიორმა იარაღი სახეში გამარტყა, ის და კიდევ ერთი მისი მოგვარე გადამეფარნენ... ძალიან მიძიმს იმ წუთების გახსენება... იმ დღეს დახვრეტაც დამიპირეს, მაგრამ დროებითი დაკავების იზოლაციონის უფროსმა, ოთარ დელბამ გადაამარჩინა...

— იცოდნენ, რომ სამხედრო ნაწილში მასხურობდით?..

— დიას, მაგრამ მათი აგრესიის

მთავარი მიზეზი მაინც ჩემი საზოგადოებრივი საქმიანობა იყო. იდეოლოგი ხარო, — მითხრეს, — 1989 წელს მომხდარი, უნივერსიტეტის გახლეჩა და სისხლის ღვრა შენს კისერზეაო... ერთი სიტყვით, ორი მუხლი, — ერთა შორის შუღლის გაღვივება და ომის პროპაგანდა წამიყენეს ბრალოდ. თავის დაცვა არ გამჭირვებია. ვამბობდი, — ქართულ მხარეს ომის განმავლობაში აფხაზისთვის მტერი არასდროს უწოდებია, ეს დაპირისპირება ძმათაშვილებს შორის მიგვაჩნდა და აფხაზებს „ძე შეცდომილ“ მოძმეებს ვუწოდებდით-მეთქი. მათზე იმანაც იმოქმედა, რომ უშუალოდ საბრძოლო მოქმედებებში, იარაღით ხელში არ ვმონაწილეობდი.

— საკანში როგორი ვითარება იყო?

— საშინელი... ჩემთან ერთად ძირითადად ქართველები იყვნენ. ჯანმრთელობა დღითი დღე მიუარესდებოდა. ისეთი სინესტე იყო, ფაქტობრივად, სველ ლეიბებზე ვინჯით, მაგრამ ეს რა მოსატანია იმ ფსიქოლოგიურ სტრესთან, რაც მაშინ გადავიტანე.

— დედას და მეუღლეს იცოდით რამე?

— მეუღლემ მოახერხა და ჩემი დაპატიმრებიდან ერთი კვირის შემდეგ, დედაჩემი ზუგდიდში გაამგზავრა. რამდენიმე დღის შემდეგ კი ჩემს სანახავად მოვიდა. გავგეჟდი, — დედას შენც რატომ არ გაჰყევი-მეთქი?! მემინოდა, ზენოლის მექანიზმად არ გამოეყენებინათ. მან მიპასუხა, — სანამ არ დავრწმუნდებოდი, რომ ნამდვილად ცოცხალი იყავი, აქედან ვერ წავიდოდიო... იმავე დღეს ის მივიდა ჩემს ყოფილ სტუდენტთან — იმ დროს სეპარატისტული ხელისუფლების მინისტრთან და ტყვეთა გაცვლის კომისიის აფხაზური მხარის თავმჯდომარესთან — ბესლან კობახიასთან და დახმარება სთხოვა. ბოლოს, ჩემი მეზობლების დახმარებით, ჭუბურხინ-

ჯის გზით გაიყვანეს...

— ვიცო, რომ ტყვეობაში ყოფნისას ყოფილ სტუდენტს — რაულ საჯიმბასაც შეხვდით...

— მას აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში საქართველოს ისტორიის ფუკითხავდი. რაული სამართალმცოდნეობის სპეციალობის რუსულ სექტორზე, ქართველებთან, რუსებთან და სომხებთან ერთად სწავლობდა. ნიჭით, აზროვნებითა და ზრდილობით გამოირჩეოდა. მის კურსთან განსაკუთრებულად კარგი ურთიერთობა მქონდა. მათთან ერთად გადაღებული სამასსოვრო ფოტოც კი მაქვს, მაგრამ უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ აღარ შეხვედრია. მერე გავიგე, რომ უშიშროებაში მუშაობდა... ჩემი დაპატიმრებიდან თვე-ნახევრის შემდეგ მოვიდა ციხეში, სატელევიზიო ინტერვიუს ჩანერისას ჩემთან ერთად რომ ყოფილიყო. ინტერვიუს მიცემა აფხაზმა სამართალდამცველებმა „შემომთავაზეს“: „გენერალური პროკურორის“ მოვალეობის შემსრულებლის, სერგეი ბგანბას შევვითა იყო. მან დამკითხა. ბგანბას შვილი ომში მოუკლეს და თავიდან ისეთი აგრესიული იყო, დახვრეტიანაც დამეუქრა, მაგრამ 5-საათიანი დაკითხვის შემდეგ, ჩემი მეუღლის დეიდა ვახსენე. ვიცოდი, რომ მისი დის — ლილი ბგანბას ახლო მეგობარი იყო. პროკურორი ერთბაშად მოლბა და თავი დახარა, — ქალბატონი ეთერი დედაჩემის დაკრძალვაზე იყოო... ანუ ისეთ მძიმე ვითარებაშიც კი ადამიანური ურთიერთობები გადაწყვეტი აღმოჩნდა და უკვე იმაზე დავინყებ ლაპარაკი, ციხიდან გასვლის შემდეგ, აფხაზეთიდან გალის გავლით გამოვესულიყავი თუ ადღერიდან. დამშვიდობებისას, ბგანბამ უშიშროების სამსახურის მალაჩინოსან ზურაბ აგუმავას (თავდაპირველად მას მიჰყავდა ჩემი საქმე) ჩემთან სატელევიზიო ინტერვიუს ჩანერა დაავალა. პროფესორია, ვილაცა ხომ არ არის, თავისი აზრი უნდა თქვაო... ეს სიტყვები არ მესიამოვნა, მაგრამ რას ვიზამდი?! მხოლოდ ის ვუთხარი, ინტერვიუს მხოლოდ გათავისუფლების შემდეგ მივცემ და იმას ვიტყვი, რასაც აქამდე ვამბობდი-მეთქი. აი, ამ საქმის ორგანიზება ჰქონდა დავალებული საჯიმბას. როცა იზოლაციონის სამორიგეო



აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის სპეციალობის პირველი გამომგები (1984 წ.) სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები. მედა რიგში მარჯვნიდან მეხუთე — რაულ საჯიმბა; ქვედა რიგში მარცხნიდან მეორე — ზურაბ პაპასკირი.

გაგრძელება იხ. გვ. 76



სასნე

ფესსაცმლის გარეშე დარჩენილი დიზაინერი

„ღისნაი ლენდში“ ვილაქი და ცხარე ცრამლაბით ვბიროდი“

დიზაინერ ანუშკა ქიშკრიანი ამბობენ, — გონიერი გოგოა, მაგრამ მისი შეცდომა ის იყო, რომ ნაადრევად, 16 წლის ასაკში გათხოვდაო. მოგესხენებათ, ანუცა ცნობილი ბაბუების — მსახიობ თენგიზ არჩვაძისა და პირველი ქართველი პოლოტის — ბესარიონ ქებურიას შვილიშვილია და ბევრს უკვირს, ასეთი პროფესიის ადამიანების შთამომავალმა რატომ გადაწყვიტა, რომ მთელი ცხოვრება ფესსაცმელი უნდა ეხატა და ეკერა. მართალია, ხალხს უკვირს, მაგრამ თავად ანუცა თავისი არჩევანით კმაყოფილია და ახლახან მოდის სფეროში წარმატებასაც მიაღწია — ახალგაზრდა დიზაინერების საერთაშორისო კონკურსის — „რუსკი სილუეტის“ ფინალისტი გახდა.

ლიკა ქაჯაია

— რამდენიმე თვის წინ სოფო ჭყონიამ ჩაატარა კონკურსი ქართველი დიზაინერებისთვის, სადაც მე და დათო ციკოლიამ გავიმარჯვეთ და მოგვეცა საშუალება, ჩვენი ნამუშევრები საქართველოს ფარგლებს გარეთ, კერძოდ კი რუსეთში გაგვეტანა. საერთაშორისო კონკურსზე — „რუსკი სილუეტ“ — სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელი 75 დიზაინერი მონაწილეობდა. ეს იყო პირველი შექმნილი ნამუშევარი, როცა ჩემი კოლექცია უცხოელებმაც ნახეს და მიხარია, რომ გავიმარჯვე, მოსკოვის დიზაინერთა კავშირში გამაწევრეს. ასევე, გადმომცეს დიპლომი და სტაჟირებაზე დანიავი, ტყავის ქარხანაში მიშვეებენ. ამ კონკურსის გრანპრი — მილანის აკადემია Domus-ში სტაჟირება მოსკოველმა ალექსანდრა ულიანოვამ მოიპოვა, დანარჩენმა მონაწილეებმა კი მხოლოდ დიპლომები და მოკოლადები მიიღეს.

— ძირითადად, ქუსლიან ფესსაცმელებს კერავ?

— პირადად მე, თავისუფალი სტილი მომწონს — ჯინსი, კედი, მაისური, მაგრამ კოლექციისთვის გადატვირთულ რაღაცებს ვქმნი. მაღალქუსლიანი ფესსაცმელი მანდილოსანს უფრო ელეგანტურს ხდის. როცა „მაღლები“ გაცვია, უფრო თავდაჯერებული ხარ, უფრო მაღალი ჩანხარ და

ვიღაცებს ზემოდან უყურებ, მაგრამ ცხადია, ყოველდღე ასეთი ფესსაცმლით სიარული კომფორტული არ არის. მაღალქუსლიან ფესსაცმელს ჩემთვის სხვა დატვირთვა აქვს — სადღესასწაულო განწყობილებასთან ასოცირდება.

— მაგრამ ეს სადღესასწაულო განწყობილება შეიძლება, ნებისმიერ დროს შეგეცვალოს. გქონია თუ არა შემთხვევა, როცა შენს ფესსაცმელს ქუსლი მოსტყდა?


— ასეთი რამ რომ არ მოხდეს, აუცილებელია, გეცვაოს ხარისხიანი, ნატურალური მასალისგან დამზადებული ფესსაცმელი. და კიდევ, თუ ფესსაცმლის კალაპოტი კომფორტული არაა, ეს ცუდად მოქმედებს ხასიათზეც, ჯანმრთელობაზეც.

— მაგრამ თუ მატერიალური მდგომარეობა არ გეწონის ხელს, რომ კომფორტული და ხარისხიანი ფესსაცმელი შევიძინოთ, როგორ უნდა მოვიქცეთ?

— ნუ ჩაიცვამთ მაინცდამაინც ექსკლუზიურ ფესსაცმელს. ხომ არის სერიული წარმოება? სხვათა შორის, მეც ვაპირებ ასეთი ხაზის გაკეთებას და კლიენტებს ფესსაცმელს შედარებით დაბალ ფასად შევთავაზებ.

— და ხალხი ხარისხიანი ფესსაცმლის შექმნას რამდენ ლარად შეძლებს?

— დაახლოებით, 200 ლარად.



— მაგრამ 200 ლარი ბევრისთვის საკმაოდ სოლიდური თანხაა. ასეთი თანხის სხენებაც კი ბევრს გაუფუჭებს სასიათს...

— გასაგებია, მაგრამ უფრო დაბალ ფასში ხარისხიანს ვერაფერს შეიძენენ. ჯობია იყიდო ერთი და კარგი, ვიდრე ბევრი და ცუდი.

— უხარისხო ფესსაცმელი არასდროს გცმია?

— ფესსაცმელი — არასდროს!

— ოჯახის წევრები თუ გათხოვენ ფესსაცმლის შეკერვას?

— არა მარტო მათთვის, არამედ საკუთარი თავისთვისაც ვერ ვიცლი და ვამბობ ხოლმე, — ჯერ კლიენტებს მოვემსახურები და მერე ჩვენთვისაც შევეკრავ-მეთქი, მაგრამ ამას ვერასდროს ვახერხებ და ფაქტობრივად, ფესსაცმლის გარეშე ვრჩები. ჩემთვის ახლობლებს ისიც უთქვამთ, — ოღონდ შეგვიკერე და ფულს გადაგიხდითო, მაგრამ რაც არ გამოდის, არ გამოდის.



— შენზე ამბობენ, — დიდი მსახიობისა და საქართველოში პირველი მფრინავის შვილიშვილია და ეს პროფესია რამ აარჩევინა, ფესვსაცმლის კერვა რა მისი საქმეა? ეს პროფესია საზოგადოების თვალში თითქოს, დაკნინებულია.

— დიზაინერობა მსახიობობას არაფრით ჩამოუვარდება. მიყვარს ხატვა და მიხარია, როცა რაღაც ახალს ვქმნი, როცა ჩემი შემოქმედება სხვასაც მოსწონს, როცა ქუჩაში ვხედავ ადამიანებს, რომლებსაც ჩემი აღსუსუარები უკეთიათ ან ფესვსაცმელი აცვიათ... ფრენაზე მგონი, ყველა ქალი ოცნებობს, მაგრამ პილოტობა რთულია. ახლა ეს პროფესია შედარებით უსაფრთხოა, მაშინ კი, როცა ბაბუ დაფრინავდა, პილოტები აბსოლუტურად დაუცველები იყვნენ, სიცოცხლის რისკის ფასად დაფრინავდნენ... რაც შეეხება მსახიობობას, ამის სურვილი კი მქონდა, მაგრამ როცა ვთქვი, — თეატრალურ ინსტიტუტში ჩავაბარებ-მეთქი, დედას და ბაბუს ისეთი რეაქცია ჰქონდათ, გადავიფიქრე.

— მიუხედავად იმისა, რომ სახელოვანი წინაპრების გზას არ დაადექი და როგორც დიზაინერმა, უკვე წარმატებას მიაღწიე, გარკვეულწილად მაინც მათ ჩრდილქვეშ გინეცს ცხოვრება. გამოორცხულია, ადამიანმა გაგიცნოს და ბაბუებზე არ დაგისვას კითხვა...

— კი, ასეა და ამით ძალიან ვამაყობ.

— შენზე იმასაც ამბობენ, რომ ძალიან გონიერი ხარ და რომ შენი ერთადერთი შეცდომა 16 წლის ასაკში გათხოვება იყო...

— შემიყვარდა და გავეთხოვი — მგონი, ამაში გასაკვირი არაფერია. საერთოდ, ნებისმიერ ადამიანს მოსდის შეცდომა და ამისგან დაზღვეული არავინაა, მაგრამ ნამდვილად არ მიმაჩნია, რომ როცა გათხოვების გადაწყვეტილება მივიღე, შეცდომა დავუშვი. დრო უკან რომ დაბრუნდეს, ისევ ისე მოვიქცეოდი. ახლა მყავს 12 წლის ნატუკა და მერნაშენი, ძალიან ბედნიერი ვარ.

— შენ და ნატუკას მამას დიდხანს გიყვარდათ ერთმანეთი...

— კი და პირველად მაშინ გავიპარეთ, როცა 15 წლის ვიყავი, მაგრამ მაშინ მშობლებმა შინ დაამბრუნეს; ერთი წლის მერე ისევ გავიპარეთ. 16 წლის ასაკში არაფერზე ფიქრობ, უდარდელი ხარ, უბრალოდ გიყვარს, გინდა მის გვერდით იყო და მორჩა!

— როცა პატარა ასაკში დედა ხდებო...

— (მანყვევტილებს) ნატუკა 17 წლისას შემეძინა. ეს ჩემთვის უდიდესი ბედნიერება იყო და მიუხედავად იმი-

სა, რომ თავადაც პატარა ვიყავი, მას სხვებს არ ვანდობდი; მინდოდა, სულ ხელში მყოლოდა, დამოუკიდებლად გამეზარდა. რა თქმა უნდა, მშობლები გვეხმარებოდნენ. არ მომწონს, როცა შვილს ძიძას უტოვებენ. მიმაჩნია, რომ ბავშვი დედად უნდა გაზარდოს. თუ პატარას აჩენ, მისი გაზრდისთვისაც მზად უნდა იყო.

— შენმა შვილმა 16 წლის ასაკში რომ გითხრას, — ვთხოვდებიო, რას ეტყვი?

— მას სულს სხვა გეგმები აქვს: სკოლას რომ დავამთავრებ, სასწავლებლად საზღვარგარეთ წავალ, ჟურნალისტი გავხდები, მერე კი ნიუ-იორკში, „ვოგის“ რედაქტორის ჩასაწერად ჩავალ. აი, ასეთი გეგმები აქვს, ოცნების ასრულებაში კი გათხოვება ხელს შეუშლის.

— ახლა ამას კი ამბობს, მაგრამ ვინმე რომ შეუყვარდეს და გადაიფიქროს...

— თუ სიყვარული ეწვევა, უნდა გათხოვდეს, მაგრამ... უკვე 12 წლისაა და ასეთ რაღაცებზე ჯერ არ ფიქრობს. არა მგონია, 16 წლისა გათხოვდეს, არ არის ისეთი ტიპი... მე მხოლოდ ის მინდა, რომ ბედნიერი იყოს, თავი კარგად იგრძნოს, მომავალში გვერდით საყვარელი ადამიანი ჰყავდეს, აკეთოს საყვარელი საქმე და იყოს წარმატებული ქალი.

— დღეს რა ხდება შენს პირად ცხოვრებაში?

— ანუკას აქვს ძალიან ბევრი საქმე, დატვირთული დღის რეჟიმი და შესაბამისად, ყველაფრისთვის ერთად ვერ იცლის.

— პირადი ცხოვრების გარეშე ყოფნა ძნელი არ არის?

— არ ვარ პირადი ცხოვრების გარეშე და მიმაჩნია, რომ ამის გარეშე საერთოდ, არც ერთი ქალი არ უნდა იყოს (იციინის), მაგრამ პირადს პირადი იმიტომ ჰქვია, რომ მასზე ვილატებმა არ უნდა ილაპარაკონ.

— ანუკამ გათხოვება რომ გადაწყვიტოს, ნატუკას ამაზე როგორ რეაქცია ექნება? ამ თემაზე არასდროს გილაპარაკიათ?

— სხვათა შორის, ნატუკა გონიერი გოგოა. მას უნდა, რომ დედიკოც და მამიკოც ბედნიერები იყვნენ. რა თქმა უნდა, მისთვის ჯობდა, რომ ერთად ვყოფილიყავით, მაგრამ რას ვიზამთ, რეალობა სხვანაირია. თუ ვილაცის გვერდით თავს კარგად ვიგრძნობ, დარწმუნებული ვარ, ის ადამიანი ნატუკასაც ეყვარება, ჩემს გაგებას შეძლებს.

— რაში ხარჯავ ფულს, სად ატარებ თავისუფალ დროს?

— ასეთი დრო იშვიათად მაქვს და მაშინაც, შვილთან, მეგობრებთან ერთად ყოფნა მირჩევნია. ძალიან მიყვარს მოგზაურობა, უცხო კულტურის გაცნობა.

— ბევრ ქვეყანაში ხარ ნამყოფი?

— კი. ყველა ქვეყანა თავისებურად მაგარია, მაგრამ რომი გამორჩეულად მომეწონა. ძალიან მინდა, იტალიაში ნატუკაც წავიყვანო. სხვათა შორის, ის საფრანგეთში, „დისნეი ლენდში“ მყავდა და ლამის გაგიჟდა, იქაურობამ მასში სასწაული ემოციები გამოიწვია. სხვათა შორის, „დესნეიში“ პირველად მართო ნავედი და როცა იქ შევედი, მხოლოდ მაშინ გავაცნობიერე, რომ შვილის წინაშე დამნაშავე ვიყავი და ცრემლები გადმომცვივდა. ჰო, 25 წლის გოგო „დისნეი ლენდში“ ვიდექი და ცხარე ცრემლებით ვტიროდი.

— ცნობილი ადამიანების გარემოცვაში გაიზარდე. როგორ ფიქრობ, სხვა თანატოლებისგან რით განსხვავდებოდი? თუ იყო რაიმე ისეთი, რისი გაკეთების უფლებასაც მხოლოდ იმიტომ არ გაძლევდნენ, რომ ყველა გიცნობდა?

— თავისუფალი და ლაივი ვარ. არასდროს ვიცვამ და ვიქცევი ისე, რომ ამით ოჯახის წევრები დავაკომპლექსო და მათგან შენიშვნა მივიღო. სადაც უნდა მივსულიყავი, როცა იგებდნენ, რომ თენგიზისა და ბესარიონის შვილიშვილი, ნატოს, გუგულის შვილი ვიყავი, განსაკუთრებული სიყვარულით მექცეოდნენ. ხალხი ჩემი ოჯახის წევრების მიმართ ასეთ სითბოს რომ ამჟღავნებს, ეს ძალიან დიდი ბედნიერებაა. მიხარია, ჩემმა წინაპრებმა ამდენი სიყვარულია და სითბოს დათესვა რომ შეძლეს. ■



ფესვსაცმლის კალაპოტი კომფორტული არაა, ეს ცუდად მოქმედებს სასაბურთე, ჯანმრთელობაზეც



დუბანს პარტნიორი ქალები

„ლალა ჩემი ცოლი იყო, შორანა ჯი გვალის როლს ასრულებდა“



თამუნა კვინიკაძე

— ახლა არ მკითხოთ, რატომ დაიგვიანეო? წუხელ არ მძინებია — რეპეტიცია გვქონდა და სახლში დილის 7 საათზე დავბრუნდი. ვაკის სარდაფში „ინსტინქტზე“ ვმუშაობთ, მაგარი სპექტაკლია (თავისი ნათქვამის დასამტკიცებლად, მან პატარა ეპიზოდით გაითამაშა. — ავტ.)

— თელავის თეატრში რა ხდება?

— ერთი თვეა, სეზონი გავსენით და ხალხს უკვე 3 პრემიერა ვუჩვენეთ. მეოთხე სპექტაკლიც თითქმის მზად არის. არაერთი სტუმარი მივიღეთ და ბათუმის თეატრსაც ვუმასპინძლეთ. 1 წელზე ცოტა მეტია, რაც თეატრის მმართველად დავინიშნე და ვამაყობ იმით, რომ თელავში გამოცოცხლება იგრძნობა.

— ამ თანამდებობაზე ხმაურით მოხვედი — თეატრის დასთან დაპირისპირება გქონდა.

— ყველაფერი მოგვარდა. ცვლილებებს ყოველთვის თან სდევს უსიამოვნება.

— ნათესაების მიყვანაში გადაწეულიყავი...

— ამ საკითხზე ნურაფერს მკითხავ. ორივე მხარე შევთანხმდით, რომ

პრესასთან იშვიათად ურთიერთობს, მაგრამ მას ნახავთ ყველგან — თეატრში, ტელევიზიაში, კონცერტზე... ის საქართველოში ყველაზე ცნობილი შოუმენია და ამიტომაც ამბობენ: უთო რომ ჩართო, იქაც დუბა გამოჩნდებაო. სხვათა შორის, ამ ხუმრობაზე თავდაცხალისობს. დუბა სხირტლადეს გადაცემის — „ილბლიანი ბორბალი“ — ჩაწერამდე რამდენიმე წუთით ადრე შევხვდი. ის საგრიმოროში ხმაურით შემოვიდა...

ამ თემაზე აღარ ვილაპარაკებთ.

— სახელფასო დავალიანება კიდევ არის?

— რალაც ეტაპზე თეატრი დავალიანებების დასაფარად მზად არ იყო, მაგრამ ახლა სიტუაცია ამ მხრივაც გამოსწორდა... იანვრიდან ალბათ, თეატრში რეკონსტრუქცია მოხდება. უკვე დავინახე, ვინ მუშაობს, ვისი ჩანაცვლებაა საჭირო.

— მკაცრი მმართველი ხარ?

— ცოტა არ იყოს, მკაცრი ვარ, რადგან ვფიქრობ, რომ საქმე ასე უკეთესად გამოდის. იოსებ ბაკურაძემ ფრანგული პიესა — „სადილი ექვსისთვის“ დადგა, ნუგზარ ლორთქიფანიძემ — „ჯერ დაიხოცენ, მერე იქორწინეს“, კოტე აბაშიძემ — იტალიელი დრამატურგის პიესა „რკინის ბიჭები“ — ეს თელავისა და მიშა თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრის ერთობლივი სპექტაკლია და მასში გია აბესალაშვილი, ვანო იანტბელიძე და ჩვენი თეატრის ახალი მსახიობი, სოფო გურგენიძე თამაშობენ. ამ სპექტაკლის თბილისური პრემიერა თუმანიშვილის თეატრში შედგა. ორი დეკორაცია შევქმენით, წინ და უკან რომ არ ვატაროთ. მოკლედ, ნელნელა თბილისთან ინტეგრირებას ვახდენთ, ამაში გზაც გვიწყობს ხელს.

— თელავის თეატრში მიწვეული მსახიობები გყავს?

— არა მარტო მსახიობები, არამედ რეჟისორებიც მივიწვიე. მათთვის თელავში დიდი სახლი ვიქირავეთ და ახლა პრაქტიკულად, ერთად ცხოვრობენ.

— თელაველი მაცურებელი გააქტიურდა?

— ძალიან! არის ადამიანთა ჯგუფი, რომელიც არც ერთ სპექტაკლს არ ტოვებს. თეატრში 700-კაციანი დარბაზია. ჩვენთან ბილეთის ფასი მისაღებია: პარტერი 3 ლარი და 50 თეთრი ლირს, აივანზე კი ბილეთის ფასი 1 ლარით ნაკლებია. თელაველებს ხშირად ვახსენებ, მონევა კლავს-მეთქი.

— და ერთი კოლოფი სიგარეტის ფასად სპექტაკლზე დასწრებას სთავაზობ?

— რა ცუდია? არა მხოლოდ თეატრის ასალორძინებლად, არამედ მაცურებლის ჯანმრთელობის დასაცავადაც ვიბრძვი. თელავის უნივერსიტეტში ძალიან ბევრი სტუდენტი სწავლობს. მათთვის სპექტაკლზე დასწრება 2 ლარად შეუძლიათ. მინდა სტუდენტები მოვიზიდო, გავააქტიურო და კულტურული ცხოვრებით ვაცხოვრო. მხოლოდ ჭაჭის არაყი და ღვინო არ შეიძლება! თეატრში მოვანყვე ბარი, სადაც სულ მალე პოეზიის საღამოები გაიმართება, მოვიწვევთ მწერლებს, ხელოვან ადამიანებს, დაუკრავს ცოცხალი მუსიკა... ბენდის წევრები თელაველები არიან. მოკლედ, ადგილობრივები დავასაქმე. თეატრში დიდი ფოიე გვაქვს...

— თელავში პრეზიდენტი იმყოფებოდა. მან აღნიშნა, — მისარია, აქ დუბა რომ მუშაობსო. განახლებული თეატრი მოეწონა?

— თეატრის განახლების შემდეგ პირველად იყო და მგონი, უკმაყოფილო არ დარჩა... სხვათა შორის, ბევრი მცენარე გვაქვს — ანუ გამწვანებაზე ვზრუნავთ. და კიდევ, თეატრში სამლოცველოცაა. მალე ვინოთეკის გახსნასაც ვაპირებთ.

— „ჯეოსტარი“ დაინყო...



— (მანყვეტინებს) ენერგიულად დაინყო. არ ვიცი, რატომ, მაგრამ პირველ კონცერტზე შემოქმედებითი ჯგუფის ყველა წევრი ვნერვიულობდით, ასეთი განცდა პირველი „ჯეოსტარის“ დროსაც კი არ გვექონია.

— კონკურსატებს შორის ფავორიტი გყავს?

— ჯერ არა. ისე, რამდენიმე მომონს, მაგრამ ყველაზე მეტად მაინც კახელს ვგულშემატკივრობ.

— საერთოდ, როგორ ხდება, შენი ფავორიტები იმარჯვებენ?

— თუ არ იმარჯვებენ, ფინალამდე მაინც მიდიან.

— „ჯეოსტარში“ ახალი პარტნიორი გყავს, შენი კოლეგა...

— ჩემი ლელუკა!

— როგორც გავიგე, მას ამის შესახებ მხოლოდ იმ დღეს უთხრეს, როცა „ჯეოსტარი“ იწყებოდა.

— შუადღეს დაურეკეს და უთხრეს, — დღეს სალამოს ფილარმონიაში მოდიო. საერთოდ, ექსტრემალურ სიტუაციაში ადამიანი უფრო ყურადღებიანი, ბევრით ხდება. ეს მობილიზების საუკეთესო საშუალებაა, მით უმეტეს, როცა საქმე პირდაპირ ეთერს ეხება... თეატრალური უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ლელა „თეატრალურ სარდაფში“ მოვიდა და პირველი როლი „გველისმჭამელში“ ითამაშა. პარტნიორები ვიყავით: მე მინდიას როლს ვასრულებდი, ლელა კი ჩემი ცოლი იყო.

— შენი კიდევ ერთი პარტნიორი — შორენა ბეგაშვილიც სარდაფში გაიცანი, არა?

— მართალია. მისი და ლელას დებიუტი „გველისმჭამელში“ შედგა. შორენა ამ სპექტაკლში გველის როლს ასრულებდა. სხვათა შორის, ახლა „ილბლიანი ბორბალი“ უნდა ჩავწეროთ და ის უამრავ მაყურებელთან, მოთამაშებულთან ერთად მე მელოდება. გამიშვებ?

— სხვა რა გზა მაქვს, მაგრამ მანამდე ერთ კითხვას დაგისვამ: უახლოეს მომავალში მაყურებელს რაიმე სიახლეს ხომ არ შესთავაზებ?

— მალე თელავში ბასა ჯანიკაშვილის „სულიკოს“ პრემიერა იქნება, თებერვალში კი „მარჯანიშვილის თეატრში“, თელავის თეატრის კვირეულს გაემართავთ და თბილისელ მაყურებელს 6 სპექტაკლს ვუჩვენებთ.



მხიარული მებობრების გულახდილი ინტერვიუ

„ბაქას და თიასს პრობლემა რომ ჰქონდათ, ჰიბრძანი“

დიზაინერი ბიჭოლა საქართველოში ორი კვირით დაბრუნდა. 4 თვის მანძილზე მან მილანისა და პარიზის „ფეშენ ვიკებზე“ სტუმრობა და კიევში ჩვენების გამართვა მოასწრო... მიუხედავად იმისა, რომ ბევრს მუშაობს და მოგზაურობს, მეგობრები არასდროს ავინწყდება: ვიდრე თიკა ჯამბურიასა და ბექა ხოფერიას დაშორების ამბავი მის ყურამდე მიაღწევდა, მან მეგობრის — თიკას გასაჭირი იგრძნო... პრობლემების მიუხედავად, თიკა და ბიჭოლა სულ კარგ ხასიათზე არიან. რამდენიმე ხნის წინ მომღერალმა სოციალურ ქსელში ვიდეოჩანაწერი გამოაქვეყნა, რომელშიც მეგობრების ცეკვა-სიმღერა იყო ასახული და როგორც ჩემთან საუბრისას აღიარეს, „არქივში“ კიდევ ბევრი და „უარესი“ ვიდეო ჰქონიათ...



ეთი ყორღანაშვილი

თიკა:
— ისე ვერთობით, როგორც ბევრი ახალგაზრდა.

ბიჭოლა:
— მეგობრები ვიკრიბებით, ვსაუბრობთ, ერთმანეთს ჩვენს ცხოვრებაში მომხდარ სიახლეებს ვუზიარებთ... როცა ერთად ვისვენებთ, ყველა კომპლექსს ვიხსნი. თუმცა შებოჭილი ისედაც არა ვარ. ვიდეოჩანაწერი, რომელიც ინტერნეტში ნახეთ, სიონში ყოფნისას გადავიღეთ. მაშინ თიკას ჯგუფებთან ერთად კარგი დრო გავატარე, მანამდე კი წყნეთში ვიყავით და იქაც კარგი ამბები გადაგვხდა... სხვათა შორის, თიკა უგემრიელეს სალათებს ამზადებს, რომლებსაც მეგობრები სიამოვნებით შეგვეტყვი.

— აღნიშნული ვიდეოს გადაღებისას ნასვამი იყავით?

თიკა:
— არა! უბრალოდ, სიმღერა ჩავრთეთ, ბიჭოლამ ცეკვა დაიწყო,

ჩვენ კი ეს ყველაფერი ვიდეოკამერით გადავიღეთ და ცეკვაში ავეყვი.

— ცეკვასთან ერთად, ბიჭოლა სტეფანეს სიმღერას მონდომებით ასრულებდა.

ბიჭოლა:
— ის სიმღერა ძალიან მომწონს!.. დილით პლაჟზე უნდა წავსულიყავით, მაგრამ „მინორში“ ვიყავით. ჰოდა, გადავწყვიტეთ, „მაჟორი“ შემოგვეტანა — ვიმხიარულეთ...

— ერთი შესხედვით, გულშია ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებ... თიკა, ბიჭოლას რაიმე საიდუმლო თუ იცი?

— ერთმანეთის ბევრი საიდუმლო ვიცით — მეგობრები ვართ!

— კამათობთ ხოლმე?

ბიჭოლა:
— შეიძლება, რალაც საკითხზე განსხვავებული მოსაზრებები გვექონდეს და ცხადია, ამის გამო ვკამათობთ. როცა შოუბიზნესში მუშაობას ვიწყებდი, იმხელა გამოცდილება არ მქონდა, როგორც — თიკას. ჰოდა, იმ პერიოდში რჩევებს მაძლევდა და მეც ვითვალისწინებდი, არ



ვეკამათებოდი. ახლა „გაძლიერებუ-ლი“ ვარ, გამოცდილება დამიგროვ-და და რალაც თემებზე ვკამათობთ კიდევ. მაგალითად — კონცერტზე მის ჩაცმულობასთან დაკავშირებით. სხვათა შორის, კონფლიქტური ად-ამიანი არ ვარ.

თიკა:

— არც მე.
— და ეს მშვიდი ადამიანები რამ შეიძლება, გაგაბრაზოთ?

— ბიჭოლა ტყუილის, „ცუდი ენის“ გამო ბრაზდება.

ბიჭოლა:

— ყველაზე მეტად ფარისევლო-ბა მაბრაზებს.

თიკა:

— ორპირი ადამიანები არც მე მიყვარს!

ბიჭოლა:

— პირდაპირი ადამიანი ვარ: თუკი ვინმე არ მომწონს, ამას გამო-ოფხატავ. ზურგს უკან ჭორაობა არ მსიამოვნებს.



მე და თიკამ დუეტი ჩაეწერეთ, რომელიც ძალიან მაგარი გამოვიდა

— მსგავს უსიამოვნებას სშირ-ად აწყდები?

— თბილისში — განსაკუთრე-ბით სშირად. მთელი მსოფლიოს მასშტაბით, შოუბიზნესის წარმომად-გენლები ერთმანეთს „ჭამენ“, მაგრამ ამას ბევრი ფულის გამო აკეთებს, საქართველოში კი ასეთ რალაცებს მხოლოდ იმისთვის კადრულობენ, რომ ტელეეკრანზე მაქსიმუმ, ორ-ჯერ გამოჩნდნენ...

გულდანყვეტილი მეჩვენები.

— გულდანყვეტილი კი არა, გახ-არებული ვარ: ჩემ მიმართ პრესაც გულლია და საზოგადოებაც. მერწმუ-ნეთ, უბედნიერესი ადამიანი გახლავართ!..

— დღის განმავლობაში ერთ-მანეთს სშირად ხვდებით?

თიკა:

— ახლა — იშვიათად. ხომ იცით, ბავშვი მყავს, თან ბიჭოლაც საზღ-ვარგარეთ იყო. მართალია, ინტერ-ნეტით სულ ვკონტაქტობთ, მაგრამ ადრე თითქმის ერთად ვცხოვრობ-დით.

— შენს გათხოვებამდე?

— მერეც!

ბიჭოლა:

— მე და ბექაც ვმეგობრობთ.
— ისეთივე კარგი მეგობრები ხართ, როგორც შენ და თიკა?
— ბექა ძალიან მიყვარს. ის თიკას-გან გავიცანი.

— თიკას პატარას თუ მოს-წონხარ?

— (იცინის) წინა პირველად სამ-შობიაროში ვნახე, მერე საზღვარგ-არეთ გავემგზავრე და მისი მეორედ ნახვა მხოლოდ დღეს მოვახერხე — გალამაზებულია, უკვე „ვილაც-ვი-ლაცებს“ დაემსგავსა...

— მამას ჰგავს?

— შოკში ვარ, ბე-ქას ისე ჰგავს!

თიკა:

— თავზე „აბად-ოკს“ ვუკეთებ იმი-სთვის, რომ გოგოს დაემსგავსოს...

— ბიჭოლა, შოუ-ბიზნესის რომელიმე წარმომადგენელთან ცუდი ურთიერთობა ხომ არ გაქვს?

— არა. როცა ურ-თიერთობა ფუჭდება, მას საერთოდ ვწყვეტ. პრობლემების მიუხე-დავად, მე და თიკა ყოველთვის კარგ ხას-იათზე ვართ.

თიკა:

— ცუდ განწყობილებაზეც რომ ვიყო, ამას არ შევიმჩნევ.

— როცა რომელიმე თქვენგანს რალაც უჭირს, ამას გრძნობ?

ბიჭოლა:

— ზოგადად, ძალიან ყურადღები-ანი ვარ და სადაც უნდა ვიყო, მე-გობართან დარეკვა არასდროს მეზა-რება. ბექას და თიკას პრობლემის შესახებ ვილაცისგან კი არ გავიგე, ვიგრძენი და თიკას მივწერე: რა ხდება, როგორ ხართ-მეთქი? ბექაც და თიკაც ჩემთვის ძალიან მნიშ-ვნელოვანი ადამიანები არიან, მათ დაშორებას ძალიან განვიცდი. თი-კას თანავუგრძობო...

— თიკა, შენი და ბექას ურთ-იერთობა ჭორებმაც გაართულა?

— ჭორები არ გამკვირვებია. ჩვენს ურთიერთობაში ყველა ერეოდა: ჟურნალისტები, უცხო ადამიანები... აბსოლუტურად შეგუებული ვიყავი იმ აზრს, რომ თუკი ერთმანეთს დავშორდებოდით, ამას მთელი ამ-ბავი მოჰყვებოდა.

— მარტოხელა დედობა რთუ-ლია?

— ცხოვრებას ჩვეულებრივად ვაგრძელებ — ჩემთვის და ჩემი შვილისთვის.

— ბიჭოლა, პირად ცხოვრება-ში რთული პერიოდები შენც გქო-ნია?

— როცა პირადი ცხოვრება სააშ-კარაოზე გამოაქვთ, ბევრი პრობ-ლემა იქმნება, ამიტომ ამ თემაზე ლაპარაკი არ მიყვარს. დაე, პაპარა-ცები ელოდონ, თიკა ვისთან ერთად გაივლის...

— მოდი, ინტერვიუს სევდიანი თემით ნუ დავასრულებთ...

— მე და თიკამ დუეტი ჩავენ-რეთ, რომელიც ძალიან მაგარი გამ-ოვიდა! სხვათა შორის, უკვე რადი-ოშიც „ტრიალებს“. ტექსტი ნანა ცინცაძემ დაგვიწერა, მუსიკა — ქეთი გაბისონიამ (თიკას ბიცოლამ).

თიკა:

— ქეთი ჩემთან მოდის და ვმღე-რით. ერთხელ სიმღერაში ბიჭოლაც აგვეყვა. ქეთიმ შეაქო და დუეტის ჩანერის იდეაც მაშინ გაგვიჩნდა.

ბიჭოლა:

— სიმღერა 4 წლის წინაც ჩავნ-ერეთ, მაგრამ ახლა უფრო სრულ-ფასოვანი დუეტი გვაქვს.

თიკა:

— ბიჭოლა პროფესიონალი არაა, მაგრამ მოყვარულის დონეზე კარ-გად მღერის.

ბიჭოლა:

— სიმღერას ცოტათი ავუღე ალლო.

— ამ სფეროში დამკვიდრებასაც ხომ არ აპირებ?

— არა, მომღერლობა ერთ-ერთი ურთულესი პროფესიაა.


თიკა:

— როცა ადამიანი მღერის, მისი სხეულის ყველა კუნთი დაჭიმულია და შესაბამისად, ძალიან იღლება. თან, მომღერალს მყარი ნერვები უნდა გქონდეს, ბევრი უნდა იმეცადინო, სულ ფორმაში უნდა იყო... ახლა მუსიკისა და დრამის ფაკულტეტზე ვსწავლობ. მიუზიკლს — „ქეთო და კოტე“ ვდგამთ, რომელშიც ქეთოს როლს ვასრულებ. პრემიერაზე აუცი-ლებლად დაგვატიყვით.



„სკაიპით“ დაწყებული LOVE STORY და ამიკო როსარაძის მეფე

„ისა შემყვარდა, ნანახიც არ მყავდა...“



ძალიან საყვარელი და მორიდებულია, მაგრამ თუ გაბრაზდა, „კეჭა ეხსნება“ და თავზე სვანური ქუდი ეჭურება

„თქვენი შოუს“ ერთ-ერთმა წამყვანმა, იუმორისტმა ამიკო როსარაძემ მომავალი მეუღლე ინტერნეტით გაიცნო და ნანახიც კი არ ჰყავდა (თუ ფოტოებს არ გავითვალისწინებთ), როცა მიხვდა, რომ უყვარდა. მას შემდეგ ბევრი დრო გავიდა, წყვილს უკვე 7 თვის საბა ჰყავს და ამიკოც ოჯახზე დიდი სიყვარულით ლაპარაკობს.

თვის შემდეგ საბერძნეთში ჩავაკითხე, ემოციური შეხვედრა გვექონდა: რომ დამინახა, მოულოდნელობისაგან დაიბნა და გაიქცა. გავევიდე, თან ვეძახდი, — სად მირბიხარ, მოიცადე-მეთქი! მერე ჩისში ამოყო თავი და იძულებული გახდა, შეჩერებულიყო; მეხვეწებოდა, — ცოტა ხანი მოიცადე, ახლოს არ მოხვიდო... შეხვედრის შემდეგ ცალ-ცალკე ყოფნა გაგვიჭირდა და ერთ დღესაც გადაწყვიტა, საქართველოში გამოპარულიყო. ბილეთიც იყიდა, რომელიც დედამისმა იპოვა და ატყდა ერთი ამბავი... ბოლოს ანიმ მშობელს განუტყადა: — მიყვარს და მასთან ურთიერთობის დაშლას აზრი არა აქვსო. მოკლედ, თავისი გაიტანა, საქართველოში ჩამოვიდა და სიღნაღში მოვანერეთ ხელი. ჯვარი ჯერ არ დაგვიწერია. გვინდა, ბავშვის ნათლობასთან ერთად, ჯვრისწერაც გვექონდეს.

— **შენ პოპულარობა ანს დისკომფორტს ხომ არ უწმნის?**
— ამბობს, — პოპულარული რომ არ იყო, უკეთესი იქნებოდაო. ხანდახან ვილაცხები მირეკავენ, მესიჯებს მიგზავნიან, ეს კი გარკვეულწილად დისკომფორტსაც გვიქმნის. ნებისმიერ სოციალურ საიტზე ჩემი სახელით ათობით ადამიანია დარეგისტრირებული. ისინი ვილაც გოგონებს რაღაცებს სწერენ ხოლმე და ვრცელდება სულელური ქორები, ასეთ ამბებს კი მერწმუნეთ, ყურადღებასაც არ ვაქცევ.

— **როგორ მეუღლე ხარ?**
— ვფიქრობ, რომ კარგი მეუღლე ვარ. მე და ანი ყველგან ერთად დავდივართ, ერთად ვსეირნობთ, მივდივართ კლუბებში ან სტუმრად, ვცეკვავთ, ვსვამთ...
— **როცა სტუმრად მიდიხართ, ბავშვს ძიძას უტოვებ?**

— ძიძა არ გყავს — საბას მე და ანი ვზრდით. თუ სასეირნოდ მივდივართ, ბავშვიც მიგვყავს, ხოლო თუ გასართობად მივდივართ, ნათესავს ან მეგობრის დედას ვუტოვებთ.

— **ამას წინათ მითხარო, — ჩემი მეუღლე სვანა და ერთხელ ნათქვამს აღარ გადათქვამსო...**

— შესაძლოა, სხვას ანისთან საერთო ენის გამოხატვა გაუჭირდეს, მაგრამ მე მასთან მორიგებას ვახერხებ. ძალიან საყვარელი და მორიდებულია, მაგრამ თუ გაბრაზდა, „კეჭა ეხსნება“ და თავზე სვანური ქუდი ეჭურება. ქვემო სვანეთიდანაა და მთელ სვანეთში ყველაზე მაღალი კოშკი აქვს. სამწუხაროდ, საქართველოს ამ კუთხეში არასდროს ვყოფილვარ.

— **როგორი მამა ხარ?**
— მგონი, კარგი. მე რომ მხედავს, საბას ველარ აკავებენ, ჩემთან უნდა ყოფნა. ანი ამბობს, — ბავშვს მხოლოდ დილით და საღამოს ხედავ, მაგრამ მაინც, შენზე გიჟდებო! რაც უფრო იზრდება, მით მეტად ვაცნობიერებ, რომ მამა ვარ. როცა დაიბადა, ვერ

ელენე ბასილიკა

— დიდი ხანია დავოჯახდი. მე და ანის უკვე შეილიც გყავს, რომელსაც მეფეს ვეძახი. ვითომ პატარაა, სინამდვილეში კი ოჯახის უფროსია, ყველა მის გარშემო ვტრიალებთ (ილიმის).

— **მომავალი მეუღლე როგორ გაიცანი?**

— „სკაიპის“ საშუალებით. მანამდე მის დას ვიცნობდი, მასთან ვემგობრობდი. ერთ დღეს „სკაიპით“ დავურეკე და ანიმ მიპასუხა, მერე ნელ-ნელა მასაც დაუუმეგობრდი, ხშირად ვეკონტაქტებოდი და დროთა განმავლობაში ორივე მივხვდით, რომ სიყვარული გვეწვია. არც კი ვიცო, როგორ მოვიგე მისი გული. მეც ისე შემყვარდა, ნანახიც არ მყავდა. ცნობისათვის, მაშინ ანი საბერძნეთში ცხოვრობდა.

— **ანს და თქვენ სიყვარულის ამბავს როგორ შეხვდა?**

— მგონი, ცუდი არაფერი გაუვლია გულში. მასაც ხშირად ვლაპარაკობოდი და მაფრთხილებდა, — იცოდე, ანი არ გააბრაზო! აი, ჩემი სიდედრი კი ჩვენს ურთიერთობას სკეპტიკურად უყურებდა. ანის უუბნებოდა, — მას ხომ მხოლოდ ინტერნეტის საშუალებით იცნობ და რატომ ხარ დარწმუნებული, რომ უყვარხარ, იქნებ გატყუებო?! მაგრამ ჩემი გრძნობის სინრფელეში ისიც დარწმუნდა — სიყვარულმა გაიმარჯვა და მე და ანი დღეს ერთად ვართ... გაცნობიდან 9



როცა რაღაცას დააშავეს და მინდა, ვუსაყვედურო, ისეთ სახეს მიიღებს, სიცილს ვერ ვიკავებ



მივხვდით, ჩემს თავს რა ხდებოდა; შვილის დაბადებით გამოწვეულმა სისხარულმა შოკში ჩამაგდო.

— მშობიარობას დაესწარ?

— მინდოდა, მაგრამ სამშობიარო ბლოკიდან ნივილ-კვიციანი რომ გავიგონე, შესვლა ვერ შევძელი და ვთქვი: — ნავალ, მე იქით ვინერვიულებ-მეთქი. როგორც კი საბა დაიბადა, შევვარდი და ფოტოები გადავუღე. ახლა 7 თვისაა. კარგი ხასიათის ბავშვია, მაგრამ დღის 7 საათზე იღვიძებს, მერე კი მეც მღვიძებს — დედას გადმოაფოფებდება და სახეში მირტყამს ხელებს. საძინებელი ოთახიდან გამოიყვას, ჭოჭინაში ვსვამ, ვაჭმევ, ვათამაშებ, ამასობაში კი ჩემი სამსახურში წასვლის დრო დგება. როცა რაღაცას დააშავებს და მინდა, ვუსაყვედურო, ისეთ სახეს მიიღებს, სიცილს ვერ ვიკავებ. დასაძინებლადაც თავად მიიყვას, მაგრამ საძინებელში შემოსულ ანის ასეთი სურათი ხვდება: მე მძინავს, ბავშვი კი ფხიზლადაა და მიყურებს. მეუღლე მეხუმრება ხოლმე — საბა უკვე ისე გაიზარდა, ცოტა ხანში დასაძინებლად თავად შეგიყვანსო.

— ანის სახლიდან რამდენიმე საათით წასვლა რომ მოუხდეს, საბას მოუვლი?

— რა თქმა უნდა! სხვათა შორის, პამპერსის გამოცვლაც ვიცი და საჭმლის მომზადებაც. ბავშვები ძალიან მიყვარს და მათი მოვლა სიამოვნებას მანიჭებს... ჩვენს სახლში სულ ხალხმრავლობაა, მეგობრები ჩვენთან ხშირად რჩებიან და მერნაშენით, პატარას ხმაურში უკეთ ეძინება. სიჩუმე თუ ჩამოვარდება, წამოყოფს ხოლმე თავს, — რა ხდება, ხომ მშვიდობააო?! ამას წინათ, სამსახურშიც მოვიყვანე — „თქვენი შოუს“ ორ ეპიზოდში მონაწილეობდა. მთელი დღის განმავლობაში ჩაწერაზე იყო და არ უჭირვეულია, იმ ხმაურში დაიძინა კიდევ. ახლა კბილები ამოსდის და რთულ პერიოდს გმირულად იტანს — არ ჭირვეულობს, არც სიცხე აქვს.

— გარეგნობით ვის ჰგავს?

— ზოგი ამბობს, — ანის ჰგავსო, ზოგი — „გამოხობებული“ მამამისიაო, ჩემი აზრით კი, ცხვირი და თვალები დედისაა აქვს, ნიკაბი და ტუჩები — ჩემი. მოკლეა, ორივეს გვავას.

— ან პროფესიით ვინ არის?

— ჟურნალისტიკა და მუშაობის დანების სურვილიც აქვს, მაგრამ ჯერჯერობით თავს იკავებს — არ გვინდა, პატარა ძიძასთან გაიზარდოს. სხვათა შორის, გვინდა ბევრი შვილი ვიყოლიოთ, აბა, ფეხბურთის გუნდის ყოლას რა სჯობს (იღიმის)?!

აჩუქა თუ არა უს მინისტრმა ვანო ჯავახიშვილს ავტომობილი

რითი „სჯავს“ ხათუნა ალგახელიძე ვატიმრებს

გასულ კვირას დავით აქუბარდიამ პირდაპირ ეთერში განაცხადა: — „პატარა ვანიჩკა“ ანუ იუმორისტი ვანო ჯავახიშვილი მინისტრ ქალბატონს, ხათუნა კალმახელიძეს უცემიაო. მის ამ განაცხადს „ვანოს შოუს“ წამყვანმა მთელი თავისი მონოლოგი მიუძღვნა... ამ თემით ჩვენც დავინტერესდით და შევეცადეთ, სიმართლე თავად ვანოსგან გაგვეგო, თუმცა ეჭვიც არ გვეპარებოდა, რომ ეს მორიგი თბილისური ჭორი გახლდათ.

ნათია შივიძე

— პირველ რიგში, მინტერესებს, ახალი სეზონით კმაყოფილი ხარ თუ არა?

— რაც უნდა მაგარი გადაცემა ჩავენეო, კმაყოფილი მაინც ვერ ვიქნები, რადგან საოცრად თვითრეტიკული ვარ. რაც შეეხება ახალ სეზონს, გამომსაუბრება ნამდვილად დადებითია, რადგან გადაცემაში უფრო მეტი „სინათლეა“, მეტი სასაცილო რაღაცები ხდება.

— რამდენიმე წელია, დავით აქუბარდიამ ხუმრობით, ის კი თქვენ შესახებ სიტყვასაც არ ამბობდა. თუმცა გასულ კვირას პირდაპირ ეთერში აღნიშნა, რომ თურმე, მინისტრმა ხათუნა კალმახელიძემ გცემა.

— (იციხის) ჩემს გადაცემას უყურე?

— შეს გადაცემას — არა, მაგრამ ის კი მოვსმენე თუ როგორ გწოდებ ბატონს დავითს პატარა ვანიჩკა

— არა უშავს, მასთან შედარებით ნამდვილად პატარა ვარ. ასეთი რაღაცები არ მწყინს, პირიქით — რასაც აქუბარდია აკეთებს და ამბობს, ჩვენთვის მისწრებაა. პირდაპირ ეთერში ასეთი განცხადება რომ გააკეთა, გაგვიხარდა, რადგან ნამდვილად, კარგი სახუმარო მასალა ჩაგვივარდა ხელში... ხათუნა ბოლოს სტუმრად 2010 წელს მყავდა. გამოდის, რომ მაშინ გადაცემის ჩაწერაზე მოსულმა სტუმრებმა დაინახეს, როგორ მცემდა მინისტრი, მაგრამ ეს ინფორმაცია აქამდე არ გაუშვამაურებიათ.

— სხვათა შორის, საზოგადოებაში შენი ცემის ამბავი დაიჯერა...

— არც მიკვირს. გარკვეული შეგნების ხალხი ამას ადვილად დაიჯერებდა...



სხვათა შორის, ხათუნას საკმაოდ კარგად ვიცნობ. როგორც კი ეს ჭორი გავრცელდა, მაშინვე დავურეკე და ვთხოვე, — აქუბარდიას გადაცემას უყურე-მეთქი. ცოტა ხანში გადმომირეკა და სიცილით მითხრა, — ეგ რა არის, ჩემზე კიდევ ერთი ახალი ჭორი გავრცელდა, ვითომ მალალქუსლიან ფესსაცმელს სეციალურად ვიცვამ, რათა პატიმრებს თავში ვურტყაო... ჩემი აზრით, არსებობენ უსაქმური ადამიანები, რომლებიც სხედან და ჭორებს იგონებენ. კარგია, რომ ჩემს ორიენტაციაზე არ აუგორებიათ ჭორი, რადგან ასეთი რამ ნამდვილად მატყენდა გულს. ისე, ხომ იცი, ვასო ფხაკაძესა და ფაქოზე ასეთი ჭორიც გაავრცელეს... გინდა, ჩემზე გავრცელებული ბოლო სისულელე გითხრა? ამბობენ, რომ მერაბიშვილმა მანქანა მიყიდა, თანაც — „რენჯ როვერი“, მე კი ეს ავტომობილი გარაჟში მიყენია, რათა ხალხმა არ ნახოს. ჰოდა, თურმე, ცოლის მანქანით დავედივარ. ეს ამბავი ტაქსის მძღოლმა ჩვენს თანამშრომელს უთხრა...

— შენი ცემის თემას დაფუბრუნდეთ. ნამდვილად არ მახსოვს, ისეთი რა შეკითხვები დაუსვი ხათუნას, რომ გააბრაზე?

— სიმართლე გითხრა, არც მე მახსოვს. მგონი, მისთვის განსაკუთრებული არაფერი მიკითხავს. ჯერ ერთი, ჩვენ ხუმრობებს არავისთან ვათანხმებთ,



რასაც გვინდა, იმას ვამბობთ, მაგრამ რაიმე ისეთი შეკითხვა რომც დამესვა, დარწმუნებული გახლავართ, ხათუნას ეს არ ეწყინებოდა, ყველაფერს სუმრობაში გაატარებდა.

— **გადაცემის მსვლელობისას ხათუნას დაურევ, რომელიმე ყველა შენს შეკითხვას იუმორით უპასუხა. ეს ტექსტი თქვენ მიერ ნინასწარ იყო მოფიქრებული?**

— ხათუნას ნამდვილად კარგი იუმორის გრძობა აქვს. თავადვე მითხრა, — მხოლოდ შეკითხვები გამომიგზავნე, რათა არ დავიბნეო. ჰოდა, ასეც მოვიქცეით. მგონი, ყველაფერს კარგად გაართვა თავი.

— **რომელიმე შეკითხვა თუ გააპროტესტა?**

— არც ერთი.

— **სანამ აქუბარდია შენი ცემის ფაქტს გაახმაურებდა, მაცურებელს აუხსნა, თუ ვინ იყო ხათუნა კალმახელიძე. თქვა, მას „ქალწულობის კოლეჯი“ აქვს დამთავრებულიო. პირადად მე, ძალიან დავინტერესდო, სად ფუნქციონირებს ასეთი კოლეჯი ან რას ასწავლიან იქ. ამის შესახებ ხათუნას რატომ არაფერი ჰკითხე?**

— მოგესხენებათ, მე სცენარისტებზე ვარ დამოკიდებული, რომლებმაც რატომღაც, ამ საკითხზე სუმრობა არ დაწერეს, თორემ პრობლემა არ იყო, ამასაც ვვითხვდი... სხვათა შორის, დავით აქუბარდია პოპულარული სწორედ ჩვენი სუმრობების შემდეგ გახდა. მისი მეტსახელი — აქუ ჩემი მოფიქრებულია. ამას წინათ ბიძინა ივანიშვილმა ინტერვიუთი თქვა: ბატონი აქუო. ეს რომ მოვისმინე, სიცილისგან ჩავიკეცე, ეს სახელი მართლა ძალიან უნდებოდა.

— **შენი სუმრობები რომელიმე რესპონდენტს ხომ არ სწყენია?**

— მინდა გითხრა, რომ ხელისუფლების არც ერთ წარმომადგენელს ჩემი სუმრობა არ სწყენს...

— **ალბათ იმიტომ, რომ კალმახელიძის თქმისა არ იყოს, შენც**



რასაც აქუბარდია აკეთებს და ამბობს, ჩვენითვის მისწრებაა

ერთ-ერთი დიდი „ნაციონალი“ ხარ...

— ეს სუმრობა იყო. ხელისუფლებაზე არაერთხელ მქონია საკმაოდ კრიტიკული სუმრობა, მაგრამ ხმავე არავის ამოუღია; არც კი მსმენია, ვინმეს რამე სწყენოდა, ოპოზიციის წარმომადგენლები კი ხშირად ბრაზდებოდნენ. მაგალითად, ერთხელ გუბაზ სანიკიძე მყავდა სტუმრად და მერე შევიტყვე, რომ თურმე, რაღაცით უკმაყოფილო დარჩენილა. ოპოზიციანზეც და „პოზიციანზეც“ ყოველთვის კორექტულად ვსუმრობ და არანაირ შეურაცხყოფაზე არ გადავდივარ. ვილატებს შეიძლება, რაღაცები არ მოსწონთ, მაგრამ პირადად ჩემთვის ნამდვილად არავის დაურევავს.

— **არც არავის უცემისარ?**

— ცხოვრებაში არავის ვუცემივარ...

— **ბავშვობაში დედაც არ გცემდა ხოლმე?**

— როცა ვაბრაზებდი, მხოლოდ ყურს თუ ამინევდა.

— **აბა, რამ გაგისია ეგ თავი?**

— (იციინის) ალიარე, რომ ცხოვრებაში ჩვეულებრივად გამოვიყურები, სულაც არ მაქვს გასიებული თავი, უბრალოდ, ეკრანი ადიდებს...

— **ვცა, რომ შენ სასურველი სტუმარი შლვა ნათელაშვილა რატომ არ გათამაშებდა სტუდიაში?**

— „ლეიბორისტული პარტია“ ზოგადად, ძალიან რთული „სფეროა“. იმდენად რთულია, რომ შალვას თანხმობის გარეშე სხვა „ლეიბორისტების“ მოყვანაც ჭირს. უფრო მეტიც, მათთან დარეკვას აზრი აღარ აქვს, რადგან წინასწარ ვიცი, პასუხი უნდა გამიჭიანურონ და მერე მაინც უარი მითხრან.

— **როგორც ჩანს, პიარი აღარ ესაჭიროებათ.**

— მართალი ხარ, შესაძლოა, მაგასაც ფიქრობდნენ ან პირიქით, ჩემთან სტუმრობა ანტირეკლამად მიაჩნდეთ, თუმცა ჩვენ ვცდილობთ, სტუმარი ყოველთვის კარგი კუთხით წარმოვჩინოთ...

— **პოლიტიკურ ასპარეზზე ბიძინა ივანიშვილი გამოჩნდა. მისი მოპატიუების სურვილი არ გაქვს?**

— რა თქმა უნდა, მაქვს. ჩემთვის ბიძინაც და მისი გარემოცვაც საკმაოდ სასურველი სტუმრები იქნებიან. თუმცა, რამდენჯერაც ბიძინაზე ვისუმრე, ამას საკმაოდ უარყოფითი გამოხმაურება მოჰყვა. რატომღაც, ხალხს მიაჩნია, რომ



ხათუნას ნამდვილად კარგი იუმორის გრძობა აქვს



მერაბიშვილმა მანქანა მიყიდა, თანაც — „რენჯ როვერი“

მასზე მიზანმიმართულად ვსუმრობ, რომ მე ხელისუფლების ტელევიზიიდან ვარ და შესაბამისად, ხელისუფლებას ვუქსახურები. თუ დაითვლით სუმრობების რაოდენობას, მიხვდებით, რომ ბიძინაზე საკმაოდ ცოტა სუმრობა მაქვს და ხელისუფლებაზე — ბევრი. როცა ადამიანი პოლიტიკურ ასპარეზზე ჩნდება, მას გვერდს ვერ აფუვლი, მონოლოგში აუცილებლად უნდა ვახსენო. აბა, მხოლოდ ხელისუფლებაზე ხომ არ ვილაპარაკებ, ბალანსი ხომ უნდა დავიცვა? ისე, არ მესმის, ივანიშვილზე რატომ არ უნდა ვისუმრო? მიმაჩნია, რომ ძალიან საინტერესო სტუმარი იქნებოდა და მას ფულის თემამზე გავხუმრებოდი...

— **და იქნებ, მას მაინც ეწუქე ბინა შენთვის „რენჯ როვერი“...**

— რომელსაც გარაჟში დავაყენებდი, რადგან ხალხი მაინც იფიქრებდა, მერაბიშვილმა აჩუქაო.

— **უკვე ხუთი წელია, „ვანოს შოუ“ ეთერში გადის. როგორ ფიქრობ, ეს გადაცემა კიდევ რამდენ ხანს გაგრძელდება? „რუსთავი 2“-ის ეთერით ჭაღარა ვანოსაც ვიხილავთ?**

— ამ ბოლო დროს ჭაღარა კი შემომერია, ხომ იცი... გადაცემა მანამდე იარსებებს, სანამ მაცურებელი გვეყოლება. ჭაღარა ვანო უკვე ზის ეთერში, მაგრამ ხალხმა ჩემი სიბერე რომ არ შენიშნოს, თმას ვიღებავ ხოლმე (იციინის). ჩემმა გადაცემამ დროს ნამდვილად გაუძლო, ეს კი ალბათ, ჩემმა სითამამემ განაპირობა...

— **თუმცა რეალურ ცხოვრებაში საკმაოდ მორიდებული ხარ...**

— მართალია, ცხოვრებაში „უტემპო“ ადამიანი ვარ... ბევრისგან მსმენია, — საინფორმაციო გამოშვებებს არც ვუყურებთ, შენი გადაცემიდან ვიგებთ, თუ რა ხდება ქვეყანაში. ასეთი წარმატების მიღწევას, ნამდვილად დიდი შრომა სჭირდება. მომავალში რა და როგორ იქნება, ნამდვილად არ ვიცი...



თაიგულუი ნაკოვნი წერილი

„მასთან გაბარებული ყოველი წიტი დღეა სახალისო“

ბავშვობაში უნდოდა, ექიმი გამოსულიყო. თეთრი ხალათი და საჭირო აღჭურვილობაც ჰქონდა, მისი „პაციენტები“ კი თოჯინები იყვნენ. პარალელურად, საბავშვო სპექტაკლებში მონაწილეობდა, დადიოდა „ბერიკეტში“. როცა საქმე პროფესიის არჩევანზე მიდგა, სამასხიო ფაკულტეტზე ჩაბარება გადაწყვიტა და ახლა ამბობს, რომ მაშინ სწორი ნაბიჯი გადადგა. მსახიობობა მოსწონს, უყვარს და მუშაობის პროცესიც დიდ სიამოვნებას ანიჭებს. **ლელა გიგუნიძე** ინტერვიუს ჩასანერად შინ ვესტუმრე. ვილაპარაკეთ მის კარიერაზე, პირად ცხოვრებაზე, სიყვარულზე, ქორეზზე.



მეგობრებიდან პირველი ის ბიჭი გამაცნო, რომელმაც ესროლა. ძალიან მიმიძმს ამის გახსენება

თაიგულუი კვინიკაპი

— მამა ექიმი. მისი საქმიანობა იმდენად მომწონდა, რომ მსურდა, მეც ექიმი გამოვსულიყავი. სახლში სულ თეთრი ხალათი მეცვა და თოჯინებს „ვმკურნალობდი“ — ვითომ ოპერაციას ვუკეთებდი, ფონენდოსკოპით მათ გულსცემას ვუსმენდი, სისხლის ანალიზს ვუღებდი. მოკლედ, ეს პროფესია ძალიან მიყვარდა.

— მსახიობობა რატომ გადაწყვიტე?

— „საექიმო საქმიანობასთან“ ერთად, მსახიობობაც ძალიან მომწონდა და გადამწყვეტილება ბოლო წუთებში შევცვალე — საბუთები არა სამედიცინო ინსტიტუტში, არამედ თეატრალურ უნივერსიტეტში შევიტანე და გოგი ქავთარაძის ჯგუფში ვსწავლობდი. გამიმართლა, რადგან სწავლის პარალელურად, სპექტაკლებშიც ვმონაწილეობდი. კურსზე გახლდით, როცა „თავისუფალ თეატრში“, ციციანო კობიაშვილის სპექტაკლში — „მრუდ სარკები“ ჩემს ტყუპისცალ ძმასთან და ბაჩო ქავთარაძისთან ერთად ვითამაშე. მთავარ როლს ნანა ფაჩუაშვილი ასრულებდა. მასთან ურთიერთობით დიდი გამოცდილება მივიღე. მერე მარჯანიშვილის თეატრში ეპიზოდური როლი შევასრულე, პარალელურად — საინტერესო საკურსო და სადიპლომო სპექტაკლები გვქონდა. სტუდენტური სპექტაკლების ფესტივალზე დუმბაძის „მზიანი ღამე“ წარვადგინეთ, რომელშიც ლიას როლს ვასრულებდი და მაშინ ქალის როლის საუკეთესო შემსრულებლად დამასახელეს. სიხარულისგან ღამის გავგიჟდი.

— როგორ ფიქრობ, შენი წარმატება რამ განაპირობა — ნიჭმა, იღბალმა, შრომისმოყვარეობამ თუ ამ ყველაფერმა ერთად?

— მნიშვნელოვანია ის, რომ საჭირო დროს საჭირო ადგილზე აღმოჩნდე. როცა უნივერსიტეტი და-

ვამთავრე, ლევან წულაძემ და ოთარ ევაძემ კასტინგი გამოაცხადეს. მათ უნდოდათ შეექმნათ მსახიობების ჯგუფი, რომელთაც მთელი წელიწადი იმუშაებდნენ, ვაკის სარდაფში რამდენიმე სპექტაკლს დადგამდნენ. კასტინგი გავიარე და ამ ჯგუფში მოვხვდი.

— და პროფესიულ სცენაზე პირველი როლი მიიღე, არა?

— „გველისმჭამელი“ მზიას როლი შევასრულე, ჩემი მეუღლე კი დუტა გახლდათ. ის ბევრ რამეში დამეხმარა.

— ლელავდი?

— ძალიან! ეს იყო პირველი როლი, როცა აღარავინ იტყოდა: სტუდენტია და ეპატიებაო. რთული იყო ვაჟაფშაველას ენით ლაპარაკი. საბედნიეროდ, სპექტაკლს კარგი გამოხმაურება მოჰყვა, არაერთი სტატია დაინერა და „გველისმჭამელით“ ღამის მთელი საქართველო მოვიარეთ, ბევრ ქალაქში ვიყავით. არასდროს დამავინწყებდა ის დღე, როცა თელავის თეატრში ჩავდივით. ყინვა იყო, იქ კი დიდი დარბაზი, რომელიც არ თებობდა. ერთ ეპიზოდში ფეხშიშველი, ღამის პერანგით გამოვდიოდი. ვითამაშე, მაგრამ ისე გავიყინე, სცენიდან გასვლა მოვასწარი, კულისებში გაფიქრდი, ნაბიჯის გადადგმა ვეღარ შეძელი და ხელში აყვანილი შედარებით თბილ ოთახში გამიყვანეს...

— ერთდროულად რამდენიმე თეატრთან თანამშრომლობდი, არა?

— „გველისმჭამელის“ შემდეგ არაერთ სპექტაკლში მიმიწვიეს. დილით მარჯანიშვილის თეატრში მქონდა რეპეტიცია, იქიდან ვაკის სარდაფში გავრბოდი, სარდაფიდან — სამეფო უბნის თეატრში და ღამე — „გლობუსში“, სადაც „თეთრ საყელოს“ დგამდნენ...

— ეს მსახიობისთვის დიდი ფუფუნებაა.

— გეთანხმები, მით უმეტეს — დამწყები მსახიობისთვის. მერე ოთარ

ევაძემ „ქრონიკები“ დადგა და მანაც მიმიწვია. ეს სპექტაკლი სად აღარ ვითამაშეთ, თითქმის 2 თვე სახლში არ ვყოფილვარ — ეს პერიოდი სცენაზე და ავტობუსში გავატარე.

— დღეს ძალიან პოპულარული ხარ. თუ გახსოვს, ქუჩაში უცნობმა ადამიანმა პირველად როდის გიცნო?

— „გველისმჭამელი“ უკვე ნათამაშები მქონდა. ზამთარი იყო. თბილისში პირველი თოვლი მოვიდა. იმ დღეს ვაკის სარდაფში რეპეტიცია გვქონდა. მსახიობებმა გამომიარეს — ჯერ წყნეთში უნდა აესულიყავით, გვეგუნდავა, ჩაი დაგველია და რეპეტიციაზე მერე წავსულიყავით. ასეც მოვიქეცი, მაგრამ წყნეთში ისეთი თოვლი არ დაგვხვდა, როგორსაც მოველოდით და... ყველანი გუდაურში წავდივით. იქ ძალიან დიდი თოვლი იყო, ციდან ვვებერთელა ფანტელები მოფარფატებდა. როგორც იქნა, სასტუმრომდე მივალნიეთ. ყველანი სველები და გაყინულები ვიყავით. იქ მოგვიარეს, გაგვათბეს, მერე ჩაის დასალევად დაესხედით. მომსახურე პერსონალიდან ერთ-ერთმა იკითხა, — ეს ის გოგო არ არის, „გველისმჭამელში“ მზიას როლს რომ ასრულებსო? საოცარი შეგრძნება იყო.

— ზოგი ამბობს, რომ პოპულარობა დამლელია.

— ამ მოსაზრებას არ ვეთანხმები. უბრალოდ, როცა იცი, რომ თვალს გადგენენ, უფრო მეტ პასუხისმგებლობას გრძნობ. მე ისედაც მიყვარს ფორმაში ყოფნა. იმასაც მიეჩქვიე, რომ ყოველთვის ვილაც მიყურებს და ისეთს არასდროს არაფერს გავაკეთებ, მერე ჩემი საქციელის რომ შემრცხვს. შეიძლება იყო პოპულარული, ყველა გც-



ნობდეს, მაგრამ შენი დანახვა არავის სიამოვნებდა. საბედნიეროდ, ადამიანებისგან უარყოფითი განწყობილება არასდროს მიგრძნია.

— უარყოფითად იმ მსახიობების მიმართ უფრო ხშირად არიან განწყობილები, რომლებიც თამამ, ინტიმურ სცენებში მონაწილეობაზე უარს ამბობენ. შენ მაყურებლის წინაშე ასეთი როლით არ წარმდგარხარ. შემოთავაზება არ გქონა თუ უბრალოდ, ამაზე უარს ამბობ?

— ასეთ როლებს ნაკლებად მთავაზობენ. ალბათ იცინა, რომ ეს ჩემი სტილი არ არის. საქართველოში ინტიმურ სცენებს კი არა, საერთოდ კინოს ვერ იღებენ ისეთი ხარისხით, რომ მონაწილეობაზე ყველა რეჟისორს უყოყმანოდ დათანხმდე. ცუდ ფილმში მონაწილეობას მირჩევენია, უმუშევარი ვიყო. შეიძლება ვინმე შემიდაოს, — ახალგაზრდა ხარ და ყველაფერი უნდა სცადო, მაგრამ მე ასე არ ვფიქრობ. ჩემთვის მნიშვნელოვანია, რას ფიქრობს ჩემზე მაყურებელი, დადებით ემოციას ვინვევ თუ უარყოფითს.

— რა განცდა გაქვს, როცა საკუთარ თავს ეკრანზე უყურებ?

— მიჭირს საკუთარი თავის ყურება. სულ იმის განცდა მაქვს, რომ შემეძლო უკეთესად მეთამაშა. მოკლედ, თვითკრიტიკული გახლავართ. ვერ არ შემისრულებია როლი, რომლითაც კმაყოფილი დავრჩენილვარ.

— ლელა, საუბროს თემა შეცვალეთ. ვიცი, ამ თემაზე ლაპარაკი გინდობდა, მაგრამ მინდა, შენი პირველი სიყვარული — მურიკო ქართველიშვილი გავისხენოთ...

— (მანყვეტივს) წლების მანძილზე ამ თემაზე საერთოდ არ ვლაპარაკობდი. მურიკო ვაკის სარდაფში გავიცანი. მისით დანახვისთანავე მოვის-

იბლე და ურთიერთობა მალე ავანყვეთ. მასთან გატარებული ყოველი წუთი დღესასწაული იყო. ყვავილებს ყოველდღე მიგზავნიდა. თავიდან არ ვიცოდი, ამას ვინ აკეთებდა, მაგრამ ბოლოს ვეებერთელა თაიგულში ვიპოვე ასეთი შინაარსის წერილი: „ყველაზე ლამაზ, საყვარელ და ბუზლუნა გოგოს დიდი სიყვარულით“. ამ წერილს დღემდე ვინახავ.

— ბუზლუნას რატომ გეძახდა?

— თავიდან არ ვიცოდი, რა მინდობდა და ვებუზლუნებოდი, მაგრამ მართლა ბედნიერები ვიყავით, ყველა ჩვენ შემოგვგნატროდა. მეგობრებიდან პირველი ის ბიჭი გამაცნო, რომელმაც ეს როლა. ძალიან მიმძიძია ამის გახსენება.

— მათ შორის რა მოხდა, ერთმანეთს რატომ დაუპირისპირდნენ?

— ამაზე ვერაფერს გეტყვი. ბუსტად რა მოხდა, ეს არავინ იცის.

— ის ბიჭი ახლა სასჯელს იხდის?

— დიას.

— მისი ოჯახის წევრებს იცნობ?

— ვიცნობ, მაგრამ ურთიერთობა არ მაქვს.

— სასამართლოზე მომხდარის განხილვა იქნებოდა.

— შეიძლება, მაგრამ მე არავისთვის არაფერი მიკითხავს. მურიკო ჩემთან აღარ არის და სხვა არაფერი მაინტერესებს ან ამ ყველაფრის ცოდნას რა აზრი აქვს? ამ თემაზე ჩემს უახლოეს მეგობრებსაც ვერ ველაპარაკები. იმდენად ჩემია, არ მინდა, სახალხო გახდეს... მურიკო გარეგნულადაც გამორჩეული იყო, ამავ დროს ძალიან ნაკითხი და ნიჭიერი. ასაკთან შედარებით, სერიოზული იყო. ის თვისებები, რომლებიც მასში აღმოვაჩინე, სხვა ადამიანში არ შემხვედრია. ამას იმიტომ არ ვამბობ, რომ ის ჩემი იყო. ზოგიერთს მის მიმართ რიდის და შიშის შეგრძნებაც კი ჰქონდა. უცხო ადამიანებთან თავშეკავებული გახლდათ, ჩემთან მარტო დარჩენილი უსაზღვროდ თბილი, ლალი და ყურადღებიანი ხდებოდა, რაც ძალიან მომწონდა. ისეთ მურიკოს ბევრი არ იცნობდა, როგორსაც — მე.

— 3 წლის მანძილზე შეყვარებულები იყავით. დაოჯახებაზე არ გიფიქრიათ?

— როგორც კი გავაცნობიერეთ, რომ ერთმანეთი გვიყვარდა, ამ თემაზეც დავინწყეთ ფიქრი... მის ოჯახთან ახლოს ვიყავი. მათი მხრიდან დღემდე დიდ სითბოს ვგრძნობ. მურიკოს ჩემებზე იცნობდნენ.

— იმ პერიოდში, როცა ერთმანეთი გაიცანით, მურიკო კლიპს იღებდა, არა?

— მამამისმა ირანიდან დისკი ჩამოიტანა. რომ მოუსმენია, უთქვამს, — ეს მუსიკა ძველ თბილისს მაგონებსო და თბილისელი კოლორიტების მონაწილეობით, კლიპის გადაღება გადაწყვიტა. მის ნამუშევარს ჰქვია — „სადაც მთავრდება უდაბნო და იწყება სამოთხე“. კლიპის ბოლო ეპიზოდი მთაწმინდაზე გადაიღო: ქუჩაში მურიკოს კოტე ჩოლოყაშვილი ხვდება, ერთმანეთს ხელს ართმევენ, მერე ბატონი კოტე საფლაგებისკენ მიდის, მურიკო კი პანთონიდან გამოდის. ეს რომ გადაიღო, მკითხა: ბატონ კოტესთან ცუდად ხომ არ გამომივიდაო? თითქოს უხერხულობდა. სიმბოლურია, რომ ცხოვრებაში სხვაგვარად მოხდა... მუშაობის დროს სულ რაღაცას მიყვებოდა, აზრს მეკითხებოდა, ვმსჯელობდით. მურიკო პროფესიით იურისტი იყო, მაგრამ ამბობდა, — ეს საჩემო საქმე არ არისო და რეჟისორობას აპირებდა.

— იმ საბედისწერო დღესაც ერთად იყავით.

— თეატრში ვიყავით, მერე კი სახლში მიმიყვანა. დღის ბოლოს ერთმანეთს ყოველთვის ვხვდებოდით. ჰოდა, თავად რომ არ დამიკავშირდა, მე დაფურცევილაც კაცმა მიპასუხა. მითხრა, რომ მურიკო რენიმაციის იყო და სასწრაფოდ მივსულიყავი. ვერ დავიჯერე. ჩემს ძმას დაფურცე და ვთხოვე, გამყოლოდა, იქ კი სამინელი ამბავი დამხვდა. მისმა ოჯახის წევრებმა არაფერი იცოდნენ. დაგმთავროთ, რა, ამ თემაზე ლაპარაკი.

— კარგი, მეტს არაფერს გკითხავ... „ჯეოსტარში“ თავს როგორ გრძნობ?

— წამყვანობა მომეწონა. სანამ სცენაზე გავლენ, კონკურსანტები ძალიან ლელავენ, მაგრამ ყველანი ერთად ვცდილობთ, სიტუაცია განვუმსტოთ.

— შენ ის მსახიობი ხარ, რომელზეც ბევრს არ ჭორაობენ.

— იმ პროექტების შესვენებებს, რომლებშიც მაკავებენ, არაერთხელ უთქვამთ, — იმიტომ შეგარჩიეთ, რომ შენზე ბევრს არ ჭორაობენ, ხალხი ცუდს არ ლაპარაკობსო, მაგრამ ახლა გავიგე ერთი ჭორი.

— რას გულისხმობ?

— არ გეტყვი, თორემ უფრო გავრცელდება.

— მახსოვს, „დეტექტივებში“ თამაშის დროს ლევან ჯობლაშვილზე „დაგაქორწინეს“.

— მარტო ლევანზე? ჯაბა კილაძე, ზაზა იაქაშვილი რატომ დაგაინწყდა (იცინის)?!

— ახლა შენს პირად ცხოვრებაში რა ხდება?

— მნიშვნელოვანი არაფერი, შეყვარებული არ ვარ.



ყველაზე ლამაზი, საყვარელი და ბუზლუნა გოგოს დიდი სიყვარული



ცხოვრება

„ლიზი ჩემს მესხიერებაში საუბამოდ დარჩება“

აპოსტოლური შემთხვევას 4 თვის ფეხიძიე ქალი ემსხვერპლა

გასულ კვირას, ცოტნე დადიანის გამზირზე მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევა ტრაგედიით დასრულდა. შავი ჯიპი 19 წლის ფეხიძიეს ისე დაეჯახა, რომ გოგონა ჰაერში აისროლა და მეორე მანქანის კაპოტზე დაანარცხა. მანქანამ გზა განაგრძო და რამდენიმე მეტრის მოშორებით, დედა-შვილსაც დაეჯახა, შემდეგ კი მიიმალა. საუბედუროდ, 4 თვის ფეხიძიე ქალი ადგილზევე გარდაიცვალა და ერთი ლამაზი ოჯახის ბედნიერებაც წაშიერად დაიშხვრა.

თვა ხურცილავა

26 წლის გიორგი შენგელია და 19 წლის ლიზი გოგუა 6 თვის შეუღლებულები იყვნენ. ისინი ნახალადევე, ერთ პატარა ნაქირავებ ოთახში ცხოვრობდნენ. გიორგი მუშაობდა და მეუღლეს ანებიერებდა. ბედნიერი წყვილი მოუთმენლად ელოდა შვილის დაბადებას. იმ საბედისწერო დღეს ლიზი სამშობიაროში კონსულტაციაზე იყო მისული. მერე სახლში მეგობრები ესტუმრნენ და მაღაზიაში ყავის საყიდლად წავიდა. გზაზე გადადიოდა, როცა გადაჭარბებული სიჩქარით მომავალი „რავ 4“ დაეჯახა. ძლიერმა ხმამ ხალხი ქუჩაში გამოიყვანა. მათ შორის იყო იმ სახლის დი-

ასახლისიც, სადაც ცოლ-ქმარი ცხოვრობდა. „აქ ძალიან ხშირად ხდება ავარი. ცოტა ხნის წინ ორი ადამიანი დაიღუპა, მაგრამ შუქნიშანს მაინც არ აყენებენ. იმ დღესაც იმდენად ძლიერი დარტყმის ხმა გავიგონე, რომ გარეთ გავვარდი. ეზოს გოგონებიც მოვიკითხე. არ მიფიქრია, რომ ლიზი გარეთ იქნებოდა: ფეხძიობის გამო ძირითადად სახლში იყო... იქვე შემთხვევით აღმოჩნდა გიორგის ძმაკაციც, რომელსაც ვუთხარი, ერთი ნახე, ვინ არის-მეთქი? „სასწრაფოს“ მანქანაში რომ შეიხედა, ადგილზე გაშეშდა, რადგანაც მიცვალებული ლიზი აღმოჩნდა... კეთილი, თბილი, მოსიყვარულე გოგო იყო. შეხმატებილებული და ბედნიერი წყვილი იყო. ლიზი ხშირად ჰყვებოდა გიორგის ოჯახის შესახებ და მას თბილად მოიხსენიებდა... ძალიან დაგვწყვიტა გული“, — გვითხრა დიასახლისმა.

ია ხურცილავა გიორგი შენგელიას ოჯახის ახლობელია და მომხდარი ტრაგედიით ისიც შეძრულია. ვერ აუხსნია, ასეთ მოკლე ხანში ამ პატარა გოგომ ამხელა სიყვარულის დათესვა როგორ შეძლო?!
ია ხურცილავა:

— მომხდარს ისე განვიცდი, რომ საუბარი მიჭირს... ლიზი ჩემს მესხიერებაში სამუდამოდ დარჩება... გიორგიმ ლიზი შეუღლებამ-

დე გაგვაცნო და ამ ადამიანმა ძალიან შეგვაყვარა თავი. გიორგი ობლობაში გაიზარდა, ფეხბურთელი იყო, სამტრედიის გუნდში თამაშობდა. ყველაფერს თავისი შრომით მიაღწია. მეუღლე ძალიან უყვარდა. მთელი სანათესავო ხელისგულზე ატარებდა პირველ რძალს. ლიზის ერთი ძმა ჰყავს, 7 წლის; ის ფაქტობრივად, მისი გაზრდილია... შვილზე ოცნებობდა და უბედნიერესი იყო, როცა შეიტყო, რომ ორსულად იყო...

გიორგიმ მეგობრისგან შეიტყო მომხდარი. სასონარკვეთილი, შემთხვევის ადგილზე თავის მოკვლაც კი სცადა, მაგრამ პატრულმა შეაჩერა... მოკლული გოგონას ცხედარი ექსპერტიზის შემდეგ, სამტრედიიაში, სოფელ კულაშში, გიორგის სახლში გადაასვენეს. 19 წლის გოგომ იქაც მოასწრო უდიდესი სიყვარულის დათესვა და ყველას შეაყვარა თავი.

გიორგი შენგელიას მათი სიყვარულის ამბის მოყოლა ვიხსოვთ. დაგვთანხმდა. ცდილობდა, ემოციები მოეთოკა, ცრემლი შეეკავებინა, მაგრამ ამას მაინც ვერ ახერხებდა. სიყვარულით იხსენებდა ლიზისთან გატარებულ წუთებს, დროდადრო ჩუმდებოდა, საუბრის გაგრძელება უჭირდა, მაგრამ თავს ძალა მაინც დაატანა.

— კიდევ ამ მჯერა, რომ ჩემი დიდი სიყვარული ცოცხალი აღარ მყავს და ყველაფერი დამთავრდა...

— როგორ გაიცანით ერთმანეთი?

— ყველაფერი 4 წლის წინ დაიწყო. ლიზის დაქალთან ვმეგობრობდი. მას მიუცია ჩემი ტელეფონის ნომერი და ლიზიმ გახუმრების მიზნით დამირეკა. შემდეგ ერთმანეთს დავუახლოვდით. დიდხანს ვემსიჯებოდით ერთმანეთს, ვირტუალური ურთიერთობა გვქონდა. გარეგნულად ერთმანეთს არ ვიცნობდით, მაგრამ ვგრძნობდით, რომ

კიდევ ამ მჯერა, რომ ჩემი დიდი სიყვარული ცოცხალი აღარ მყავს





უერთმანეთოდ აღარ შეგვეძლო... სამსახურიდან გავეთავისუფლეთ და ლიზის გასაცნობად ბათუმში წავედი. შევხვდი და ძალიან მომეწონა. დიდხანს ვილაპარაკეთ და მივხვდით, რომ დაუსწრებლად ერთმანეთი უკვე შეგვეყვარებოდა... შეყვარებულები ხშირად ეჭვიანები ხდებიან და ჩვენც ასე ვიყავით. ერთხელ, ჩემს ნომერზე დარეკა; ახლობელმა გოგომ უპასუხა, მასზე იეჭვიანა და ამის გამო სერიოზულად გამებუტა და დავშორდით. ორი წლის განმავლობაში არ გვეკონდა ურთიერთობა. მაგრამ ლიზის გარეშე ცუდად ვიყავი და „ოდნობიდან“ ვწერდი წერილებს. ბოლოს შევრიგდით. ბოლოს გადავწყვიტე, პირდაპირ ოჯახში მივსულიყავი და მამამისს დავლაპარაკებოდი.

— ქალის ხელი ოფიციალურად ითხოვეთ?

— დიას, მისი ოჯახი დავაფასე და ოჯახში მივედი. მათგან თანხმობა მივიღე, კარგი ოჯახი აქვს... 28 აპრილს ულამაზესი ქორწილი გვეკონდა. ბედნიერებისგან დავფრინავდით. ბათუმში მოვანერეთ ხელი. ლანირის წმინდა გიორგის ტაძარში ჯვარი დავინერეთ... თბილისში ნაქირავეები ბინა პატარა კი იყო, მაგრამ ისე გვიყვარდა ერთმანეთი, რომ სივინროვე ნამდვილად არ გვიგრძნია. სანამ ცოლს შევირთავდი, ის ბინა ჩემი ხელით გავარემონტე, ძმაკაცები მეხმარებოდნენ, მინდოდა მყუდრო გარემო შემექმნა. ლიზი მეუბნებოდა, — ბავშვი რომ გვეყოლება, აქედან არ გადავიდეთო... საოცრად თბილი და საყვარელი ადამიანი იყო. ჩემზე ბედნიერი ამქვეყნად არავინ მეგონა. პატარის გაჩენისთვის ვმზადდებოდით, სახელიც შევურჩიეთ — დავითი უნდა დაგვექმნია...

— ლიზის რაიმე წინათგრძნობა ხომ არ ჰქონდა?

— ბოლო 6 თვის მანძილზე სამჯერ მაინც აქვს ნათქვამი, — უცრად მანქანა რომ დამეჯახოს და მოვკვდე, შენ რას იზამ, მეორე ცოლს ხომ არ მოიყვანო? მისი ამ ნათქვამისთვის მაინცდამაინც არ მიმიქცევია ყურადღება. რას წარმოვიდგენდი, ასეთი უბედურება თუ დამატყდებოდა?! იმ დღეს დილის ცვლაში ვმუშაობდი. 8 საათზე ავდექი, მოვწესრიგდი... დილით არ ვსაუზმობდი და ამიტომ, ვცდილობდი, ლიზი არ გამეღვიძებინა. სახლიდან გასვლამდე ყოველთვის ვკოცნიდი და ისე მივდიოდი. იმ დილითაც სამჯერ ვაკოცე ფრთხილად და ისე წავედი...

— იმ დილით თქვენი წასვლა არ გაუგია?

— ჩემს კოცნას აუცილებლად გაიგებდა, მაგრამ არ გაუღვიძია, ისე საყვარლად ეძინა. ჩვენს პატარასაც მუდმივად ველაპარაკებოდი, ვკოცნიდი და მის დაბადებას მოუთმენლად ველოდი... ჩემმა დეიდაშვილმა იმ დღეს ლიზი მანქანით საკონსულტაციოდ, ექიმთან წაიყვანა... ცოლშვილი კი წამართვეს, მაგრამ იმ ბედნიერ დღეებზე ტკბილ მოგონებას ხომ ვერავინ წამართმევს!..

— ვისგან შეიტყვეთ მომხდარი ტრაგედიის შესახებ?

— ჩემი მეჯვარე, მისი მეუღლე და ახლობელი გოგო იყვნენ ჩვენთან სტუმრად მოსული. მეჯვარემ დამირეკა, — ლიზის მანქანა დაეჯახა... მთელი უბანი გარეთ იყო გამოსული. ყველა ტიროდა, მეც ბოლო ხმაზე აყვირდი... მერე რალაც მომენტები არ მახსოვს. როგორც მითხრეს, თურმე მანქანას ვუვარდებოდი... აგერ მაქვს ჩემი ლიზის ჯვარი და მთელი ცხოვრება მეკეთება... სულ იმას ვფიქრობ, რატომ დამემართა ასეთი უბედურება?! იმ კაცსაც არ ვუსურვებ ასეთი ტრაგედიის გადატანას, ვინც ცოლშვილი მომიკლა... ეს ყველაფერი ჩემი ცხოვრებაა და ამის დავინწყება არასდროს მოხდება! ლიზის ძირითადი ტრავმა კეფაზე აქვს... ნეტავ, დაინვალიდებულყო, ოღონდ ჩემ გვერდით ყოფილიყო... ულამაზესი იყო; ისე უხდებოდა ფეხშიშობა, მე კი მისი ამ პერიოდის ფოტოებიც არ დამრჩა... მეორე კლასში ვსწავლობდი, როცა მამა აფხაზეთის ომში დამეღუპა. ორი ძმა მყავს, ძალიან თბილი ოჯახი მქონდა. პირველი რძალი იყო ლიზი. ძლივს გავიხარეთ და... ლიზი სოხუმიდან დევნილია. ბათუმში ცხოვრობდა მშობლებთან და ძმასთან ერთად... წინააღმდეგი ვიყავი ბათუმში მისი გადასვენების, მაგრამ მამამისმა მითხრა, — 19 წელი ჩემთან იყო, მე გავზარდე, 6 თვე შენ გყავდა და ახლა მინდა, ჩემი შვილი ჩემთან იყოსო! მოძღვარს ვკითხე, — მამაო, ეს უბედურება თავს რატომ დამატყდა-მეთქი?... ისიც ატირდა და მითხრა, — ბედნიერება მიცვალეულისთვის ის, რომ ამ ქვეყნიდან ფეხშიშვე წავიდაო... მოკლედ, ყველანაირი გეგმა და ოცნება დაიშლავს. ახლა მხოლოდ მოგონებებით უნდა ვიცხოვრო. აღარ ვიცი, რა ვთქვა, ძალიან მენატრება ჩემი ცოლ-შვილი...



ცოლ-შვილი კი წამართვეს, მაგრამ იმ ბედნიერ დღეებზე ტკბილ მოგონებას ხომ ვერავინ წამართმევს!..

მარბოხალა ქალის ტაივილიანი ცხოვრება

იმ საბედისწერო დღეს, იგივე ავტომანქანა დედა-შვილსაც დაეჯახა, რომლებიც სასწაულებრივად გადაურჩნენ სიკვდილს. ბავშვი იაშვილის სახელობის საავადმყოფოში მოათავსეს, დედამისი კი — ლუდუშაურის სახ. კლინიკაში. მოგვიანებით, ძალოვნებმა გაქცეულ მძღოლსაც მიაგნეს. მას ექსპერტიზა ჩაუტარდა და დადგინდა, რომ ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ არ იმყოფებოდა. თვითმხილველთა მტკიცებით, მძღოლი გადაჭარბებული სიჩქარით მოძრაობდა. ფაქტზე სისხლის სამართლის საქმეა აღძრული და მიმდინარეობს გამოძიება.

დედა-შვილის მდგომარეობის გასარკვევად, მათ ბინაში მივაკითხე. ქალს ტვინის შერყევა და სხეულზე დაუწყობლობები აღენიშნება. საავადმყოფოდან მეორე დღეს განურეს და ახლა შინ წევს. მითხრა, საჭირო რომ ყოფილიყო, საავადმყოფოში მაინც ვერ დავრჩებოდი, რადგან ამის საშუალება არ მაქვს — ერთი ღამე ვიყავი და 475 ლარი უნდა გადავიხადო, ხელწერილით გამომიშვესო. საბედნიეროდ, 10 წლის ბავშვს დაზიანებები არა აქვს, მაგრამ ის უშიშრად სტრესულ მდგომარეობაში იმყოფება. როცა დედას ვკითხე, — ბავშვი სად არის-მეთქი? — თავი ველარ შეიკავა, აქვითინდა და მითხრა, — კოჯრის ბავშვთა სახლშიაო (შვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, ვი-



ნაობის დასახელებისგან თავი შეიკავა, მაგრამ თავის მიძიმე ცხოვრებაზე მიაბნო).

მარტონილა დედა:

— მე და ჩემი 10 წლის ბიჭი გზაზე გადავდიოდით. დავინახე, მანქანამ გოგო ჰაერში როგორ ააგდო. მისგან 6-7 მეტრის მოშორებით ვიყავით. მერე ჯიბი „ღმუილით“ ჩვენკენ წამოვიდა. არ დავბნეულვარ, წამებში ბავშვს ხელი ვკარი და მეც გარიდება ვცადე. როგორც ჩანს, დაჯახების შემდეგ მძღოლმა „გაზს“ უფრო მეტად მიასჭირა ფეხი და ჩვენი მიმართულებით წამოვიდა. საბედნიეროდ, მანქანამ მხოლოდ ფეხზე გამკრა, თორემ იმხელა ჯიბი რომ დაგვჯახებოდა, ორივეს ადგილზე დაგვხოცავდა. საპირისპირო გზაზეც არ მოდიოდნენ მანქანები, თორემ ისინი გადაგვივლიდნენ. მე და ჩემი შვილი ძირს ვეყარეთ. მაშინვე წამოვდექი; იმწუთას ტკივილი არ მიგრძნია და ტროტუართან ჩამოვჯექი. ამასობაში ხალხიც მოგროვდა. ბავშვს არ მიუღია დაზიანება, მაგრამ იმხელა შოკში ჩავარდა და ისეთ ისტერიკაში იყო, რომ ყველას ბოდიშს უხდიდა. ისედაც ავადმყოფი ბავშვია და არ ვიცი, ამის შემდეგ დამატებით, რა ფობიები გაუჩნდება... როგორც გამომძიებელმა მითხრა, — მანქანის პატრონი 70 წლის კაცია, პარკინსონის დაავადება აქვს; ნარკოლოგიური ექსპერტიზა რომ ჩავუტარებთ, რაიმე ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ არ აღმოჩნდაო, — მაგრამ ფაქტია, ნორმალური ადამიანივით არ მოქცეულა: ყველას შეიძლება, ასეთი რამ დაემართოს და შემთხვევის ადგილიდან გაიქცეს, იმ მომენტში შეიძლება, ვერ გააჩეროს მანქანა, მაგრამ ხომ შეეძლო, რაღაც მანძილი რომ გაიარა და აზრზე მოვიდა, ელიარებიანა დანაშაული. როგორც ვიცი, გაქცევის შემდეგ მანქანა სადღაც მიუგდია და სახლში წასულა. პოლიციელებისთვის უთქვამს, მანქანა ვილაცამ მომპარაო. გამოძიების თქმით, ახლა ის კაცი სტაციონარშია და თავზე ბადრაგი ადგას. როგორც ჩანს, ამ ავარიის შემდეგ თვითონაც სტრესშია და ცუდად არის. მისმა ახ-

ლობებმა შემომითვალეს, იმდენად ცუდად არის, დიდხანს ვერ იცოცხლებსო...

— შეილს მარტო ზრდით?

— არ ვიცი, ღირს კი ამ თემაზე საუბარი?.. ეს ჩემთვის უმძიმესი ტკივილია... დედისერთა ვარ. მშობლები მანებივრებდნენ, არაფერი მაკლდა, მაგრამ ცხოვრებამ მძიმე განსაცდელი მომივლინა. ახლაც მიკვირს, როგორ გადავრჩი. მშობლები გარდაცვლილები არიან... ჩემი მეუღლეც დედისერთა იყო. შვილი არ გამიჩნდა და ამიტომ 42 წლის ასაკში ბავშვის აყვანა გადავწყვიტე. 6 დღის ბიჭი სახლში მოვიყვანეთ. დედისერთა რომ ვიყავი, ჩემმა მეუღლემ ჩემებს ასიამოვნა — ბავშვს მამაჩემის სახელი დავარქვით და ჩემს გვარზე დავწერეთ. ქმარიც გვერდით მყავდა და ბავშვს ერთად ვზრდიდით. თავიდან პატარა ჩვეულებრივად ვითარდებოდა, იზრდებოდა, მერე კი ჩემს ცხოვრებაში ყველაფერი აირია.

— რატომ?

— ჩემი მეუღლე ერთი უბედური შემთხვევის გამო ციხეში მოხვდა და ავადმყოფ ბავშვზე უარი თქვა. ამიტომ, მას გავცილდი და მარტო დავრჩი. მუსიკის მასწავლებლად ვმუშაობდი და დეკრეტულ შვებულებაში მყოფი შემამცირეს. ძიძის აყვანის საშუალებაც არ მქონდა და პატარას მარტო ვზრდიდი. ვერ წარმოიდგენთ, რა ჯოჯოხეთური წლები გამოვიარე. სრული სიმარტოვის და განწირულობის პერიოდი მქონდა. ყველამ ზურგი შემაქცია — ალბათ ეშინოდათ, რომ დახმარებას მათ ვთხოვდი და გამირბოდა. უეცრად

სრულიად მარტო, ყველასგან მიტოვებული აღმოვჩნდი, მაგრამ უფლის წყალობით, მე და ჩემი შვილი გადავრჩით!.. რაც დრო გადიოდა, ვატყობდი, ბავშვი ცუდად იყო, ვერ ვითარდებოდა. ექიმებთან დამყავდა, არაფერს ვაკლებდი, მაგრამ ამ დაავადებასთან უძლური აღმოვჩნდი.

— რა დაავადება სჭირს?

— გონებრივი ჩამორჩენა — არადა, გარეგნულად ძალიან ლამაზი ბიჭია, მაგრამ, სამწუხაროდ, ექიმები განკურნების იმედს არ იძლევიან... რაც დრო გადიოდა, მისი ყურება და მოვლა მიჭირდა. ავადმყოფურად განვიცდიდი და მეც დავავადდი. შეემშინდა, — მოკვდები და ბავშვი უპატრონოდ დამრჩება-მეთქი,— და ბავშვთა სახლში მივიყვანე... 8 წლამდე მხოლოდ სიტყვებს ამბობდა... ახლა კოფრის უნარშეზღუდულ ბავშვთა სახლშია. ძალიან განვიცდი მის მდგომარეობას, პერიოდულად სახლში მომყავს. ძვირად ღირებული მედიკამენტები სჭირდება და რომ არ ვიმუშაო, წამალს ვერ ვუყიდი... ვცდილობ, დედის სითბო არ მოვაკლო და როგორც შემიძლია, ვანებივრებ. შეიძლება, ვინმემ გამაჩრითიკოს და თქვას, ბავშვი იშვილა და მერე ბავშვთა სახლში ჩააბარაო, მაგრამ მერწმუნეთ, ამის გაძლება რთულია. 24-საათიანი ზედამხედველობა სჭირდება და სახლში ამის პირობები არ მაქვს. თან, მისი წამლებისთვის ხომ უნდა ვიმუშაო? მინდა, იმ მდგომარეობამდე მივიდეს, რომ დამოუკიდებლად თავის მოვლა შეძლოს. პროფესიით ფსიქოლოგიც ვარ. ფსიქოლოგი რომ არ ყოფილიყავი, ალბათ ამდენს ვერც გადავიტანდი. საკუთარ თავს სულ ვუბნებოდი, — არ დანებდე გაჭირვებას, გადარჩები-მეთქი, — და ასე გადავრჩით მე და ჩემი შვილი! ამაყი ვარ იმით, რომ ამდენი პრობლემის მიუხედავად, დაჩოქილი და მათხოვარი არავის ვუნახავვარ და ამის გამო ახლობლების დამოკიდებულება ჩემ მიმართ ისევე შეიცვალა. მე გადარჩენა შევეძელი, ცხოვრებას ვაგრძელებ, მაგრამ გულდაწყვეტილი ვარ იმ ადამიანებზე, ვინც ზურგი შემაქცევს...



ბავშვს არ მიუღია დამიანება, მაგრამ იმხელა შოკში ჩავარდა და ისეთ ისტერიკაში იყო, რომ ყველას ბოდიშს უხდიდა

„საჭესთან ერთი დღეს რომ არ დავედო, ალბათ მოკვდებო“

„დღეს ვმუშაობ და თუკი რამდენიმე საათს ჩემთან ერთად გაატარებთ, გზადაგზა ჩემს ამბავსაც მოგიყვებით“, — მითხრა მადონა ნაროუშვილმა — მძღოლმა ქალბატონმა, რომელიც უკვე დიდი ხანა, ამ პროფესიით მუშაობს და მუდამ დატვირთულია...



მარბს ჭონივილი

— მამაჩემს ვაჟები არ ჰყავდა და ალბათ ამიტომ გადაწყვიტა, ჩემთვის მანქანის მართვა ესწავლებინა. მაშინ ისეთი პატარა ვიყავი, შედლებსაც ვერ ვწვდებოდი და მამა სკამზე ბალიშებს მიდებდა ხოლმე. სენაკის რაიონის სოფელ ახალსოფლიდან ვარ. როცა წამოვიზარდი, მეზობლის გოგო-ბიჭებს მანქანაში ჩავისვამდი ხოლმე და მდინარე ტყუარაზე საბანაოდ დამყავდა.

— მართვის მოწმობა რა ასაკში აიღეთ?

— მართვის მოწმობა სკოლის დამთავრებისთანავე ავიღე, მაგრამ პრინციპში, არც მჭირდებოდა, რადგან მოწესრიგებული მძღოლი ვიყავი და არაფერს ვაშავებდი. თან, სენაკში ჩემი ბიძაშვილი ავტომისტირად მუშაობდა და მისი ხათრით, არავინ მაჩერებდა. სკოლის დამთავრების შემდეგ, მამა მალე დაშლულა, ოჯახის რჩენა საკუთარ თავზე ავიღე და დღემდე ასეა.

— მამათქვენს რა მანქანა ჰყავდა?

— ადრე „პობედა“ ჰყავდა. მერე „ვოლგა“ იყიდა. მეც იმ მანქანაზე ვისწავლე მართვა.

— როგორც ვიცი, თავიდან ტრამვაის ვატიმან იყავით, ხომ?

— კი, მაგრამ მანამდე სენაკში ხალიჩების ფაბრიკაში ვმუშაობდი. იქ თავისუფლად ვერ ვგრძობდი თავს, სუნთქვა მიჭირდა: გარეთ ყოფნა და მოძრაობა მიყვარს. იმ პერიოდში გავიგე, რომ თბილისში ტრამვაის მძღოლობის შემსწავლელი კურსები იხსნებოდა. ვიფიქრე, სწორედ ეგაა, რაც მჭირდება-მეთქი და თბილისში ჩამოვედი. 1982 წელს დავინიყე ტრამვაიზე მუშაობა. შემდეგ ტრამვაი გააუქმეს და მეც, წელიწად-ნახევარი უმუშევარი ვიყავი. მერე კი ეს ავტობუსები შემოიყვანეს და დამასაქმეს.

— ხალხს არ უკვირს, ავტობუსის საჭეს ქალი რომ მართავს? თქვენი დანახვისას როგორი რეაქცია აქვთ?

— ადრე უფრო უკვირდათ, ახლა უკვე მთელი თბილისი მიცნობს. ცოტა ხნის წინ იყო ერთი ასეთი ფაქტი: მგზავრი ამოვიდა; შევატყვე, სვანი იყო.

მკითხა: ამა და ამ ადგილას თუ გაივლიო? — კი-მეთქი, — თავი დავეუქნიე. დაჯდა. ერთი გაჩერებაც არ მქონდა გავილი, რომ მკითხა, ხომ არ მივსულვართო? თან, წინ გადმოინია და, — ვა, ქალი ხარო?! — რა გაგიკვირდა, ქალი არ გინახავს-მეთქი? — იმიტომაცაა ჩვენი საქმე კარგად, თბილისში ავტობუსზე მძღოლად ქალები რომ ხართო. ცოტა არ იყოს, გავზრახდი და ვკითხე: — საიდან ხარ-მეთქი? — უმგულიდანო. — ჰოდა, აბა, იქ ქალს სად ნახავდი-მეთქი?! გაზრახდა და ჩემკენ წამოინია, მაგრამ მგზავრებმა დააკავეს, — ხელს ნუ შეუშლი, ქალია, სხვა თუ არაფერიო. მართალია, ავტობუსიდან არ ჩასულა, მაგრამ მთელი გზა კი ბუზღუნებდა.

ამასობაში ავტობუსი მგზავრებით აივსო. ერთ-ერთმა ქალბატონმა მძღოლს ჰკითხა: — მასწავლე, 2 ბილეთი როგორ ავიღო, თორემ ამოვა კონტროლიორო და დამაჯარიმებსო. ქალბატონმა მადონამ აუხსნა, შემდეგ კი მე მომიბრუნდა:

— ბევრჯერ შეგვანყვევინებენ საუბარს, რადგან მთელი დღე ასეა.

— მერე, არ იღლებით?

— არა, რას ამბობ?! ესაა ჩემი საქმე და ვალდებული ვარ, მგზავრებს კარგად მოვემსახურო. მერწმუნეთ, რომ არ ვიმუშაო — საჭესთან რომ არ დავვდე, მოკვდებო.

— თქვენს ოჯახზე მომიყვიეთ...

— გათხოვილი არა ვარ და არც არასდროს ვყოფილვარ. მყავდა და, რომელსაც სიმსივნე აღმოაჩნდა და გარდაიცვალა. მას 3 წლის გოგონა დარჩა და ის გაზარდევ. ერთად რომ დავდიოდით, ყველას ჩემი შვილი ეგონა. მეც არასდროს უარყვოფდი. ორი შვილიშვილი მყავს — ბიჭი და გოგო. სხვათა შორის, საჭის მართვა ორივემ კარგად იცის.

ამასობაში, „მერსედესის“ ნითელმა კაბრიოლეტმა გადაგვისწრო და ქალბატონმა მადონამ თვალი გააყოლა.

— ეს თქვენი ოცნების მანქანა ხომ არაა?

— კი, კაბრიოლეტები ძალიან მიყვარს.

— თქვენ რა მანქანა გყავთ?

— „ოპელ ვექტრა“.

— სისწრაფე გიყვართ?

— ავტობუსის საჭესთან როცა ვზივარ, იმდენი ხალხის სიცოცხლე მამართავს, რომ აქ გადაჭარბებული სიჩქარე არ შეიძლება. ფრთხილად, დაკვირვებით უნდა იარო. მაგრამ როცა საკუთარი მანქანის საჭეს ვუზივარ, მაშინ სისწრაფე მიყვარს. ახლა სპეციალურად ვიყიდე ისეთი მანქანა, რომელიც დიზელზე მუშაობს. ამ მანქანით სწრაფად ვერ ივლი. ადრე 160-180 კმ/სთ-ით დავდიოდი და სენაკში დაახლოებით სამსაათ-ნახევარში ჩავდიოდი. ახლა ამ მანქანით ხუთსაათ-ნახევარი ვუნდები. ეს მანქანა რომ ვიყიდე, ჩემებს დაეურეკე, მოვდივარ-მეთქი. რომ ჩავედი, გაგიჟებულები დამხვდნენ, — ამდენ ხანს სად იყავი? გვეგონა, რამე შეგემთხვიაო.

— ავტოავარია თუ მოგსვლიათ?

— არა და მადლობა უფალს, რომ არასდროს არაფერს დავფახებდივარ.

— არადა, მამაკაცები ამბობენ, ქალი საჭესთან რომ ზის, ეს უკვე საფრთხეს ნიშნავს!

— ამ მოსაზრებას არ ვეთანხმები. თუ მოვინდომებთ, ქალებს ყველა საქმე კარგად გამოგვდის, მათ შორის — მანქანის მართვაც. მამაკაცი ქალს რომ დაინახავს, თვალი მისკენ გაურბის და შეიძლება, ამის გამო, ავარიაც მოახდინოს. ქალი კი მამაკაცისაგან არ გაიხედავს და რაც მთავარია, საჭესთან ნასვამი არ დაჯდება. მეც მიყვარს ქეიფი და დროს ტარება, მაგრამ თუ დავლევ, ან მანქანას დავტოვებ, ან იქ დავრჩები, სადაც ვარ; მამაკაცებს კი ნასვამ მდგომარეობაში მოუნდებათ ხოლმე მანქანის მართვა და ამიტომაც ხდება ბევრი ავარია.

— პატრულთან როგორი დამოკიდებულება გაქვთ?

— მუშაობას გვიან ვამთავრებ, სახ-



ლში კი ჩემი მანქანით მივედივარ ხოლმე. ავტოლაში ვცხოვრობ. როცა მუშაობა ახალი დანაშეული მქონდა, ავტოლისკენ რომ გადავუხვევდი, რესტორნებთან ხშირად მაჩერებდნენ. დაღლილი ვიყავი, მათ კი ნასვამი ვეგონე. ერთ-ერთი ასეთი გაჩერებისას, პოლიციელმა „ჩასასუნთქი აპარატი“ რომ ამოიღო, გაბრაზებულმა ვუთხარი: ახლა თუ არ გამიშვებ, ისე მშია, პურად მომეჩვენები და შეიძლება, შეგჭამო-მეთქი. შემომხედა და მიცნო: თქვენ ის არა ხართ, ავტობუსს რომ მართავსო? გაეცინა, ბოდიში მომიხადა და გამიშვა. ერთხელ კიდევ, რაღაცის ყიდვა მინდოდა და მანქანა მალაზიის წინ გავაჩერე. იქ სხვა მანქანებიც იდგნენ, პოლიციელი კი ჩემთან მოვიდა და საბუთები მომთხოვა: — ჯარიმა უნდა გამოგიწეროთო. — რატომ-მეთქი? — აგერ ბაზაში ჩანს, რომ 1997 წლის შემდეგ ჯარიმა შენთვის არავის გამოუწერია და ერთი 10-ლარიანი ჯარიმა რომ გამოგიწერო, არაფერი მოხდებაო... ასეთ პასუხზე გამეცინა და, — კარგი, დანერე-მეთქი, — ვუთხარი.

ამასობაში 84 ნომრის ბოლო გაჩერებისკენ — პატარა დილმისკენ გადავუხვევით. ქალბატონი მადონა აქ ზოგს ხელის აწევით ესალმებოდა, ზოგს — უსიგნალებდა...

— 4 წელია, ამ საზღვრებში ვმუშაობ, თითქმის ყველა ოჯახში ვარ ნამყოფი. თუ რაღაც დამჭირდება, უარს არ მეუბნებიან, ხილით, ცივი წყლით მანებობენ. ცოტა ხნის წინ ასეთი ამბავი შემემთხვა: საკუთარი მანქანით ვმოძრაობდი, უკან „ბეჭევეთი“ ახალგაზრდა ბიჭი მომეყვებოდა. გასწრებას ცდილობდა, მაგრამ ისეთი მოძრაობა იყო, გზის დათმობას ვერ ვახერხებდი. რომ აღარ მოისვენა, როგორღაც მოვახერხე და გავატარე. მომადხა, — ბებერო, თუ მანქანის მართვა არ იცი, სახლში დაჯექიო!.. მიხაილის საავადმყოფოში მივიდიო. იქ ეს ბიჭიც დამხვდა. ჩემი ნაცნობი კაცი ვნახე, გამოველაპარაკე და იმ ბიჭზე ვკითხე, — ხომ არ იცი, ვინ არის-მეთქი? — მთავარი ექიმის შვილიაო, — მიპასუხა. — ვისი შვილიც უნდა იყოს, უზრდელია-მეთქი, — ვუთხარი და მოვუყევი, გზაში რაც შემემთხვა. როგორც ჩანს, იმ ბიჭს ჩვენი საუბარი ესმოდა. მოვიდა, ბოდიში მომიხადა და დარცხვენილი დადგა ჩემ წინ. უნდა გითხრაო, რომ ამ ბიჭის საქციელმა გამახარა, რადგან მიხვდა თავის დანაშაულს და შერცხვა. რაკი ასე მოხდა, ე.ი. კარგი ახალგაზრდაა და მისგან კარგი კაცი დადგება-მეთქი, — გავიფიქრე. შეცდომა ხომ ყველას მოგვდის...

„აქაშრობას კარგად შევეჩვიე, ინგლისელები კარგი ხალხია“



ემიგრანტი **სალომე მებრანაძე** რამდენიმე წელია, ქალაქ ბირმინგემში ცხოვრობს. ბრიტანულ ჯეი დარამშთან შეუღლების შემდეგ, პატარა მიქაელი შეეძინა. თბილისში სამედიცინო უნივერსიტეტი დაამთავრა და სწავლა იქაურ სასწავლებელში განაგრძო, ახლა კი ექიმის საერთაშორისო გამოცდისთვის ემზადება...

თამთა დაღუპული

— ბირმინგემში მაშინ ჩამოვედი, როცა 2008 წელს საქართველო-რუსეთის ომი მიმდინარეობდა. ფრენის თარიღი რამდენჯერმე შეცვალა და საბოლოოდ, ერევნიდან წამოსვლა მოვახერხე. თბილისში სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტი დავამთავრე, მაგრამ მაგისტრატურის კურსი მენეჯმენტის განხრით დავასრულე. ინგლისში ჩასული კი მივხვედი, რომ ექიმობის პერსპექტივა მართლაც მქონდა და ჩემს პროფესიას დავუბრუნდი. ბირმინგემში ჩემს ბრიტანულ მეუღლესთან — ჯეი დარამშთან და მ თვის შვილთან — მიქაელთან ერთად ვცხოვრობ. ჯერ აქაურ კოლეჯში, შემდეგ სტაფორდშირის უნივერსიტეტში ვსწავლობდი, რომელიც შარშან დავამთავრე. სწავლის პერიოდში „სტუდენტური სამუშაოები“ მქონდა, ბავშვის გაჩენის შემდეგ კი ჯერჯერობით სახლში ვარ. ახლა ექიმების საერთაშორისო გამოცდებისთვის ვემზადები, რომელსაც სავარაუდოდ, ერთ თვეში დავამთავრებ და უკვე ექიმად მუშაობის უფლება მექნება.

— საქართველოში დაახლოებით 10 წელი უნდა ისწავლო, რომ ექიმ გახდეს; ინგლისშიც ასეა?

— დიახ. სხვაობა ის არის, რომ სასწავლო კურსის დამთავრების შემდეგ, კვალიფიციური კონსულტანტი

ხდები და ხელფასიც ბევრად მაღალი გაქვს, ვიდრე სტუდენტ ექიმს. სწავლის პერიოდში სტუდენტებს საჭირო ინვენტარით ამარაგებენ, პაციენტებთანაც მუდმივი კავშირი აქვთ. გადაუდებელი სამედიცინო დახმარების კურსი რამდენიმე ტრენინგს ითვალისწინებდა, რომელშიც სერტიფიკატები ავიღე, სწავლების დონითა და ხარისხით გაცილებული ვიყავი.

— ადვილია ექიმისთვის სამსახურის შოვნა? საქართველოს მსგავსად, ინგლისშიც ხომ არ გხვდებიან დიპლომიანი, შინ მჯდომი ან სხვა სფეროში მომუშავე ექიმები?

— იმის გამო, რომ ექიმების რაოდენობა აქ საკმაოდ მცირეა, სამსახურის შოვნაც იოლია; მთავარია, დიპლომი ინგლისის ჯანდაცვის სამინისტროში იყოს დარეგისტრირებული. თუმცა, საერთაშორისო გამოცდების ჩაბარება და დიპლომის დარეგისტრირება საკმაოდ რთულია. მაგალითად, ვისაც საქართველოში „აიუტი“ ან სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი აქვს დამთავრებული, აქ მუშაობას თავისუფლად შეძლებს. საინტერესოა, რომ ექიმი იქნება, ექთანს თუ ფარმაცევტი — ძირითადად, უცხოელები არიან.

— რატომ? ინგლისელებში ექიმობა ნაკლებად პოპულარული პროფესიაა?

— არა, პირიქით — იმდენად დიდ პასუხისმგებლობას მოითხოვს, რომ ბევრი ადამიანი ვერ რისკავს, ექიმი



გახდეს. თუ ნამდვილად არა აქვთ ექიმის მონოდება, მხოლოდ დიპლომის გამო იქ არ ჩააბარებენ. ექიმებს ყველაფერში უბრატესობა აქვთ — მაგალითად, შეუძლიათ, პასპორტში, გვარის წინ, წოდება doctor-იც კი ჩაინერონ. ექიმობა რაღაც, მიუწვდომელი პროფესია ჰგონიათ.

— ტექნიკისა და აღჭურვილობის თვალსაზრისით, როგორ შეგიძლიათ ალგენეროთ ბირმინგემის საავადმყოფოები?

— ვოცნებობ, საშუალება მომეცეს, რომ საქართველოში იმის ნახევარი დონით დაბალი კლინიკა მაინც გავაკეთო, როგორც აქაა. ბრიტანეთში მედიცინის მაღალი დონის ერთ-ერთი განმსაზღვრელი — უმაღლესი ხარისხის ტექნიკაა. თერაპევტს დაავადების სიმპტომები კომპიუტერში შეჰყავს და — დიაგნოზი დასმულია. ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ექიმმა არ იცის, — უბრალოდ, არ რისკავს, რომ ავადმყოფი შეცდომაში არ შეიყვანოს. პაციენტის უფლება მეტადაა დაცული! საქართველოში ექიმსა და პაციენტს შორის კომუნიკაცია უფრო მეტია, ვიდრე — ბრიტანეთში, რაც ჩემი აზრით, აუცილებელი და კარგია.

— ოჯახის შესახებაც გვიამბეთ: მეუღლე როგორ გაიცანით და რას საქმიანობს?

— ინგლისში რომ ჩამოვედი, ჯეი მალევე გავიცანი. მას ბრიტანეთის სხვადასხვა რეგიონში უძრავი ქონების ბიზნესი აქვს — საცხოვრებელი და საოფისე ფართობის ყიდვა-გაყიდვა და გაქირავება. ჩემს უნივერსიტეტთან საქმიანი შესება ჰქონდა და სწორედ იქ დავეგობრდით, შარშან კი დავექორწინდით. სხვათა შორის, ჩვენი შვილი გაზაფხულზე საქართველოში მოვნათლეთ და სამების საკათედრო ტაძარში ჯვარიც დავინერეთ. ჯეის თბილისი ძალიან უყვარს. ბირმინგემში რომ ჩამოვედი, ძალიან მომეწონა — ტრადიციული ინგლისური სახლები ლამაზია, მაგრამ ყველა უბანი იმდენად ერთნაირია, რომ პირველი თვის განმავლობაში სახლს ძლივს ვაგნებდი ხოლმე. ომის გამო დიდ ტკივილს განვიცდიდი, ჩემი ოჯახი თბილისში იყო და სულ იმაზე ვფიქრობდი, მათთან როდის დავბრუნდებოდი. მაგრამ აქაურობას საბოლოოდ, კარგად შევეთვისე. ინგლისელები კარგი ხალხია. ზოგიერთ ქვეყანაში უცხოელისთვის ნორმალური სამსახურის შოვნა საკმაოდ რთულია, ინგლისში კი ყველა პროფესიონალს აქვს უფლება, თავისი სპეციალობით იმუშაოს. ასე რომ, ადაპტირება ჩემთვის იოლი აღმოჩნდა,

თანაც, ჯეი ყველანაირი პრობლემის გადალახვაში დამეხმარა.

— ძირითადად, რა პრობლემები ექმნებათ ბრიტანეთში სწავლის მსურველ უცხოელებს?

— ცხოვრება რთული იმ მხრივაც, რომ სტუდენტების უმრავლესობას თავის შესანახად, სწავლასთან ერთად, ფიზიკური შრომა უწევს. გადასახადები საკმაოდ მაღალია. მასარებს ის ფაქტი, რომ ქართველი სტუდენტების უმეტესობა ახლა საკმაოდ კარგად ცხოვრობს და ბევრი თავის სფეროში წარმატებასაც აღწევს. სტუდენტები სამუშაოს ძირითადად, რესტორნებში, მაღაზიებში, ქარხნებში შოულობენ, რაც აქ ცუდ სამსახურად ნამდვილად, არ მიიჩნევა. ყველა დასაქმებულის უფლება მაღალ დონეზეა დაცული და კანონი განსაზღვრავს, თუ სად და რამდენი საათი უნდა იმუშაოს.

— ინგლისური ტრადიციების შესახებაც ვისაუბროთ: რა დღესასწაულებს აღნიშნავენ წლის განმავლობაში?

— როგორც მთელ ევროპაში, შობა ინგლისშიც ყველაზე დიდი დღესასწაულია. 1-ელი დეკემბრიდან უკვე ქალაქის მორთვა იწყება და აქაურობა ულამაზესი ხდება; „გერმანული ბაზარი“ (ასე ეძახიან) იწყებს მუშაობას, სადაც ნებისმიერ ადამიანს აქვს საშუალება, საკუთარი პროდუქციაც გაყიდოს, — მაგალითად, ორიგინალური, ხელნაკეთი ნივთები — და სხვისი ნამუშევრებიც დაათვალიეროს. ხალხი მთელი წელი ზოგავს ფულს, რომ შობას ერთმანეთს ბევრი საჩუქარი მიუძღვნას. ბირმინგემის ცენტრში ვცხოვრობ და ბევრი უცნაური ფაქტის მომსწრეც გავმხდარვარ — მაგალითად, ცოტა ხნის წინ, არატრადიციული ორიენტაციის მქონე ადამიანების ალღუმი გაიმართა. ჰომოსექსუალებისთვის ერთად დასეირნობდნენ, პარკში ატრაქციონებზე ერთობოდნენ, მათ სხვა ადამიანებიც უერთდებოდნენ და ყველანი ერთად ხალისობდნენ. პირადად ჩემთვის, ეს ყველაფერი ცოტა უცნაური იყო...

— რომელია ტრადიციული ინგლისური კერძები?

— ამ თვალსაზრისით, ინგლისში მრავალფეროვნება ვერ დავინახე. ძირითადად, აზიური კერძებია „მოდაში“. აქ ტრადიციუ-

ლი საკვები — ჩიფსი და შემწვარი თევზის ფილა — Fish-and-chips, რაც არც ისე გემრიელია... ასევე აცხოვენ ხორციან ან ტკბილ „პაეს“ — ვაშლით ან სხვა ხილით.

— ქალაქს ღირსშესანიშნაობებიდან რას გამოარჩევდით?

— ბირმინგემი კარგადაა გამწვანებული. ვინაიდან ძველი ქალაქია, სანახავიც ბევრია. აქ მსოფლიოში ცნობილი და ერთ-ერთი უდიდესი შოკოლადის ქარხანაა, სადაც მუზეუმიცაა და სტუმრებს საშუალება აქვთ იხილონ, როგორ მზადდება შოკოლადი, ასევე დააგემოვნონ. აქვე ახლოს შექსპირის ქალაქი (სადაც დაიბადა) — ეივონი სტრატფორდზე მდებარეობს და ხშირად, როცა უქმე დღეებია, მას ვსტუმრობთ. თეატრში „რომეო და ჯულიეტას“ რომ დავსწრებოდით, 11 თვით ადრე დავჯავშნეთ ბილეთი!.. ბევრი ტურისტია, ისევე, როგორც ლონდონში. აღსანიშნავია, რომ ყველა ისტორიული ადგილი „კომერციულად“ არის გადაქცეული და მისი დათვალიერება ძვირი ღირს. საქართველოში ტურისტს უფასოდ ათვალიერებინებ მცხეთასა და სვეტიცხოველს, აქ კი, ისტორიულ ნაგებობას რომ ეწვიო, მინიმალური ფასი — 25 გირვანქა სტერლინგი უნდა გადაიხადო, რაც დაახლოებით 70 ლარს უდრის. ფული თუ არ გაქვს, ვერაფერს ნახავ; ერთადერთი, რაც უფასოა, შენი უბნის პარკში ძელსკამზე ჯდომაა.

— საქართველოში დაბრუნებას ხომ არ აპირებთ?

— წელიწადში ორჯერ, რამდენიმე კვირით ჩამოვედივართ ხოლმე. დიდი ხნით კი, არა მგონია, ჩემმა მეუღლემ მოახერხოს. თუმცა ქართული სტუმართმოყვარეობით აღფრთოვანებული, ყოველთვის მზადაა, საქართველოში იმოგზაუროს.



ინგლისში რომ ჩამოვედი, ჯეი მალევე გავიცანი



„მსგავსი შოუს წაყვანაზე ოთარი ჯერ კიდევ 10 წლის წინ ოცნებობდა“



თამთა დაღეშელი

— თქვა, გვიამბეთ, რას საქმიანობთ, რით ხართ დაკავებული?

— პროფესიით სტომატოლოგი ვარ და ერთ-ერთ კლინიკაში ვმუშაობ. ჩვენი შვილი — ნანიკო 13 წლისაა. ინტერესიანი გოგონაა, ენების შესწავლა მოსწონს და ახლა სკოლაში იაპონურს ეუფლება. უყვარს მუსიკა, რაშიც ალბათ მამას ჰგავს, — ყოველთვის გემოვნებიან და დახვეწილ კომპოზიციებს უსმენს...

— მამენია, რომ ოთარს გემოვნებიანი და მრავალფეროვანი მუსიკალური დისკების კოლექცია აქვს.

— დიას და ამანაც ხელი შეუწყო ნანიკოს მუსიკალური გემოვნების ჩამოყალიბებას. ოთარი ბავშვობიდან სერიოზული მელომანია და შვილსაც ხშირად ურჩევდა, რა ჟანრის მუსიკისთვის უნდა მოესმინა. მოგეხსენებათ, მას რადიოში ჯაზის შესახებ გადაცემა მიჰყავს, მაგრამ კლასიკური მუსიკაც არანაკლებ უყვარს და მასში კარგადაც ერკვევა...

— მსახიობური მონაცემები ნანიკოსაც ხომ არა აქვს?

— სხვათა შორის, ნანიკო უფრო ადრე იყო მსახიობი, ვიდრე ოთარი. 7 წლის გახლდათ, როდესაც გოგა პიპინაშვილთან, სტუდიაში, სრულიად შემთხვევით მოხვდა. გოგამ პირვე-

ლამის „შოუს“ პოპულარულმა წამყვანმა — ოთარ ტატიშვილმა და თიკა სპანიშვილმა ოჯახი 15 წლის წინ შექმნეს და მას მერე ერთად არიან. სად გაიცნეს ერთმანეთი? როგორ ცხოვრობს პოპულარული ექიმისა და მსახიობის ოჯახი? საერთოდ, რა გზა განვლო წარმატებამდე? ამ ყველაფერს ბატონი ოთარის მეორე ნახევარი მოგიყვება.

ლივე დღიდან ჩასვა სპექტაკლში და მათი „შელადოსი“ 2 წლის განმავლობაში იყო თუმანიშვილის თეატრის რეპერტუარში. ამასთან, ეს წარმოდგენა საქართველოს მასშტაბით, თითქმის ყველა თეატრში (დაახლოებით 150 სპექტაკლი) ითამაშეს.

— როგორ ფიქრობთ — ნანიკო პროფესიად მსახიობობას აირჩევს?

— ბავშვებს ხშირად

ეცვლებათ ინტერესები და ვერ გეტყვით, ბოლომდე გაჰყვება თუ არა ხელოვნებას. თუმცა უკვე გამოცადა, თუ რა რთული და შრომატევადი სამუშაო აქვთ მსახიობებს. ამას წინათ გამოგვიცხადა, — ძალიან მინდა, ფესვაცმლის დიზაინერი გამოვიდეო... მოკლედ, ჯერჯერობით საბოლოო არჩევანი გაკეთებული არა აქვს. საერთოდ, ხელოვნებისკენ რომ უფრო აქვს მიდრეკილება, ეს ფაქტია. არ მიყვარს გამოთქმა, — ნიჭიერია, მაგრამ ცოტა ზარმაციაო, — მაგრამ მგონია, რომ ეს ნანიკოზეა ნათქვამი. მოუსვენარი გოგონაა; რომ მეცადინეობს, ნორმალურად დაჯდომაც კი არ შეუძლია.

— მამა-შვილს მეგობრული ურთიერთობა აქვთ?

— მათი ურთიერთობა მართლაც განსაკუთრებულია. ასეთი სიყვარული და ურთიერთგაგება მამა-შვილს შორის იშვიათად მინახავს. ოთარი ნანიკოს თითქმის ყველაფერზე ეთანხმება. ისიც დიდ პატივს სცემს მამის აზრს. ოღონდ მას არ აწყენინოს და თუ საჭიროა, საკუთარი სურვილის საწინააღმდეგოდ კი იმოქმედებს.

— ოთარი ძალიან დაკავებულია, ბევრი სამსახური აქვს და ალბათ შინ ცოტა დროს ატარებს, არა? და აქვე გვითხარით, როგორი მეუღლეა?

— მართლა ძალიან დაკავებულია

და სახლში თითქმის არასდროს არის. გვიან ბრუნდება და ისეთი დაღლილია ხოლმე, რომ ლაპარაკის თავიც არა აქვს. როცა დავეკორწინდით, მოსკოვში ვცხოვრობდით და ირგვლივ ახლობელი არავინ გვყავდა. ამიტომ, საკუთარი თავის პატრონები ჩვენვე ვიყავით. ოთარი აბოლოუტურად დამოუკიდებლად ინახავდა ოჯახს. ბევრი რამ დაანვა მხრებზე... კარგია, როდესაც მეუღლე სულ გვერდით გყავს, მაგრამ როცა ეს ვერ ხერხდება — რა გაენყოფა?! ვცდილობთ, კვირაში ერთხელ მაინც, სამივე ერთად სადმე წავიდეთ. რთულია, მაგრამ ნელ-ნელა მივეჩვიეთ მის ასეთ დატვირთულ ცხოვრებას.

— როგორი იყო ოთარ ტატიშვილი, სანამ ტელეეკრანის პოპულარული მსახიობი გახდებოდა?

— ვერ ვიტყვი, რომ ის ჩემთვის შეიცვალა. ოთარი ახლაც ისეთივეა, როგორც 10-15 წლის წინ იყო. ვისაც მასთან ყოველდღიური ურთიერთობა აქვს, ამაში დამეთანხმება. ეს მას ჩაცმის სტილზეც ეტყობა. რაც საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა, მის დანახვაზე ყველას ელიძება. ვფიქრობ, ბედნიერებაა, როცა ადამიანებს შენი დანახვა უხარიათ.

— როგორც მეუღლე, მის რომელ დადებით თვისებას გამოაჩვენებთ?

— ჩვენ უპირველესად, უახლოესი მეგობრები ვართ. ოთარს უარყოფითიც ბევრი აქვს, ისევე, როგორც ნებისმიერ ჩვენგანს, მაგრამ კარგი თვისებები სწონის. ამას იმიტომ არ ვამბობ, რომ ჩემი მეუღლეა, მაგრამ მასთან თანაცხოვრება და საერთოდ ურთიერთობა ძალიან კომფორტულია. უპრეტენზიო ადამიანია. შესაბამისად, მისი ასეთი ხასიათი მშვიდად და წყნარად ცხოვრების საშუალებას გვაძლევს.

— როდის გაიცანით ერთმანეთი და რამ შეუწყო ხელი თქვენს დაახლოებას?

— მე და ოთარმა ერთმანეთი სამედიცინო უნივერსიტეტში, საერ-



თო მეგობრების წრეში გავიცანით და დავმეგობრდით. როდესაც მე უნივერსიტეტში ჩავირიცხე, ის უკვე სწავლას ამთავრებდა და „კავენის“ გუნდში — „კოზანოსტრა“ თამაშობდა. ბევრი შეჯიბრება იმართებოდა არა მარტო თბილისში, არამედ საქართველოს სხვადასხვა რეგიონშიც და ოთარიც აქტიურად იყო ამ ყველაფერში ჩაბმული — პოპულარული და გამორჩეული ბიჭი იყო.

— იმ დროისთვის მას პირველი მეუღლე უკვე ჰყავდა?

— დიას და ამიტომაც იყო, რომ მასთან მხოლოდ მეგობრობა მაკავშირებდა და მეტი არაფერი. იმდენად ბევრი საერთო მეგობარი გვყავდა, რომ ზოგჯერ მერევა კიდევც, ისინი უფრო ადრე გავიცანი, თუ — ოთარი. ცხოვრებაში ისეთი რაღაცეებიც ხდება, რასაც წინასწარ ვერ დაგეგმავ და ვერ იტყვი — ეს მე არ დამემართებო, მაგრამ... ჩვენ შორის ძლიერი და სერიოზული გრძნობა გაჩნდა და მეგობრობა ნელ-ნელა სიყვარულში გადაიზარდა...

— როდის აღმოაჩინეთ, რომ ერთმანეთი გიყვარდათ? როგორ განვითარდა თქვენი რომანი?

— ერთხელაც, დამირეკა და მითხრა: — სად დაიკარგე? შენი ნახვა მინდაო. როცა შევხვდით, მივხვდი, რომ მის მიმართ რაღაც სხვანაირი გრძნობა მქონია... იმის შემდეგ ხშირად ვხვდებოდით. დაახლოებით ერთი წელი შეყვარებულები ვიყავით და უკვე მეხუთე კურსზე გახლდით, როცა დაქორწინდით.

— როგორი ურთიერთობა აქვთ ნაწილსთან ოთარის შვილებს პირველი ქორწინებიდან?

— შესანიშნავი. მათ შორის ისეთივე სითბო და სიყვარულია, რო-



გორიც ერთ სახლში გაზრდილ დამძებს შორის. ორივე ძალიან კარგი ბიჭია: ზუკა სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტი, შოთიკო კი ჯერჯერობით მოსწავლეა, 15 წლისაა და რადგან მასა და ნანიკოს შორის მცირე ასაკობრივი სხვაობაა, ერთმანეთთან უფრო მეგობრობენ. ხშირად გამიგონია, თუ როგორ ეამაყება ნანიკოს, რომ უფროსი ძმები ჰყავს და ისინიც, როგორც უმცროს დას, ძალიან ფაქიზად ექცევიან. ბავშვებს ხშირი კონტაქტი აქვთ.

— როგორც ვიცო, ოთარის პირველი მეუღლე თქვენი ახლო მეგობარი იყო. ახლა თუ გაქვთ მასთან რაიმე კონტაქტი?

— არა, რა თქმა უნდა... ეს ალბათ არც მისთვის იქნებოდა სასიამოვნო და არც — ჩემთვის. ბავშვებთან კი აბსოლუტურად ჩვეულებრივი, კარგი ურთიერთობა მაქვს.

— თქვენ პირადად, ტელენამყვანი ოთარ ტელევიზიის უფრო მოგონით თუ მსახიობი?

— მოსკოვში რომ ვცხოვრობდით, ერთ-ერთ არხზე „ლამის შოუს“ მსგავსი გადაცემა გადიოდა, რომელიც უგოლნიკოვს მიჰყავდა; სტუდიაში ბენდიც მუშაობდა. ოთარი კი იმ გადაცემის ყურებისას ამბობდა ხოლმე, — რა მაგარი შოუა, მას მეც დიდი სიამოვნებით წავიყვანდი და ასეთ სახელს დავარქმევდი, — „როცა ჩაქრება ჭადრებშიო“. ეს დაახლოებით 10 წლის წინ იყო. წლების შემდეგ, როდესაც სერიალში მოხვდა, თვითონაც განიცდიდა და ჩვენც, რადგან არაპროფესიონალი მსახიობია და წინასწარ არავინ იცოდა, რა და როგორ გამოუვიდოდა... ვფიქრობ, გადაცემა „ლამის შოუ“ ჯერჯერობით განვითარების პროცესშია! სერიალი

ველილობო, კვირამი ერთხელ მაინც, სამივე ერთად სადმე წავიდეთ

კი 4 წლის განმავლობაში გადიოდა და ძალიან შეუყვარდა მაყურებელს, თუმცა თავიდან ზოგიერთს ისიც არ მოსწონდა. ოთარისთვის სერიალი მეორე ოჯახივით იყო — კვირამი 3-4 დღე, დილიდან შუალამემდე, იქ „ცხოვრობდა“ და კოლექტივის წევრებიც ერთი ოჯახის წევრებივით იყვნენ ერთმანეთთან. გადაცემა უფრო სანერვიულო და საპასუხისმგებლოა... მე კი ოთარი სერიალშიც მომწონდა და შოუშიც. ვფიქრობ, მისი ინტელექტი და დადებითი თვისებები შოუში უკეთ გამოვლინდება, ვიდრე სერიალში ვლინდებოდა, სადაც დანერ-



მამა-შვილს განსაკუთრებული ურთიერთობა აქვს

ილი როლი უნდა მოერგო. — როგორ ეგუება იმ ფაქტს, რომ „შუა ქალაქში“ აღარ მონაწილეობს?

— თვითონაც ამბობდა, ცვლილებები საჭიროაო... სერიალიდან გამოთიშვის შესახებ არ დაუჩივლია, მაგრამ ალბათ მაინც გული სწყდება, სერიალის ახალ მსახიობებს კი გულშემატკივრობს.

— საზოგადოების დიდ ნაწილს ახალი მსახიობები დიდად არ მოსწონს და ძველების დაბრუნების სურვილი აქვს. ამ თემაზე ინტერნეტფორუმებზეც აქტიურად წერენ.

— ზოგჯერ ეს ახალი მსახიობები, რაღაც კუთხით, მეტოდეებიან კიდევ: დიდი კონკურენციის პირობებში უნევთ მუშაობა, რადგან ძალიან პოპულარულ სერიალში უხდებათ თამაში. თავიდან ბევრს ძველი გუნდიც არ მოსწონდა, მაგრამ მერე ძალიან შეიყვარეს! ვფიქრობ, ამ შემთხვევაშიც ასე იქნება. ძველების დაბრუნებაზე საუბარი ჯერჯერობით არ არის, თუმცა სერიალში სიტუაცია თანდათან როგორ შეიცვლება, არავინ იცის... ყველას წარმატებებს ვუსურვებ!



ქუთაისელი „უახესადიორის“ თავგადასავალი „ჭოლივუდში“

ინგა ჯაყელი

2 წლის წინ ამერიკაში წასული ქუთაისელი ანზორია მშობლიურ ქალაქში კისერზე არტამანდადებული დაბრუნდა და 40 წლის კაცმა ორიოდვე კვირაში, ინვალიდობის პენსიაც დაინიშნა, ისეთი ცნობა ჩამოიტანა: მიუხედავად იმისა, რომ წარმატებული აღმოჩნდა ამერიკელი ექიმების მიერ ჩატარებული ოპერაცია, იმის გარანტიას ვერაზინ იძლეოდა, რომ სპეციალური, კისრის მალეების დამაფიქსირებელი აპარატის გარეშე ის თავის დაჭერას შეძლებდა...

პენსია, რა თქმა უნდა, სიმბოლურია, როგორც სხვა ყველაფერი საქართველოში და იმის იმედზე დარჩენილი ინვალიდს სულიც გასძვრებოდა შიმშილითა თუ უწამლობით, რომ არა ის სოლიდური კომპენსაცია, ამერიკელებს რომ „აატყავა“ სულიერი თუ ფიზიკური ზიანის კომპენსაციისთვის. „დენიკინის დროინდელი“ ურემონტო „ხრუშჩოვკა“ გაყიდა და პატარაუბოიანი სახლი და მანქანაც შეიძინა. მოსამსახურე ქალიც დაიქირავა და ძველმა ძმაბიჭებმაც უცებ გაიგეს მისი მისამართი.

— ეს რა მოგსვლია, ანზორია შეჩვენებულო?! კაცი ხეირის სანახავად გაგიშვით და კისერმოტეხილი რავა დაგვიბრუნდი?! — ავიშვიშა ხან ერთი, ხან მეორე და ანზორიამაც „მოალო პირი“:

— რაია, ბუჯო, თუ იცი? ჩვედი თუ არა, მაშინვე მივიქციე ამერიკელების ყურადღება ჩემი გარეგნობით და „ნაკაპავები“ კუნთებით. ამერიკაში ლამაზ კაცს იშვიათად დეინახავ, ყველა „რიჟა“, ქონიან-ჭუჭყიანი თმით, რის კუნთები, რაის მხარ-ბეჭი?... მაგენს რაც ლამაზი ხალხი ყავთ, ყველას კინოში იღებენ და მეც ამიზა გამემეცა ქუჩაში რომელიღაც რეჟისორის თანაშემწე. ნემეტნავი ეწყინა, ამერიკელი რომ არ ვიყავი და არც ინგლისურის გემეგებოდა ინჩინინჩი, თლათ მთავარი როლებისთვის ვერ გამოვდგებოდი, ამიტომ, კასკადიორათ მიმიწვიეს — გედერიენ სიხარულით რომ გეიგენ, მანქანის ჭია ხომ ვიყავი და ვიყავი, ცხენზეც ხომ ბოვმობიდან ვზივარ და ქალაქის ჩემპიონიც ხომ გავხტი ორჯერ წყალში სტომაში და ცურვაში?! ორ წელიწადში ასზე მეტ კინოში გადამიღენ, მარა რათ გინდა, ვინ მიცნობს?! — ყველგან ჩემი ხელი, ფეხი და საჯდომია — სახე ხან ტომ კრუზის და ხან ჰიუ გრანტის თუ ჯეკ ნიკოლსონის... მე არ ვყოფილიყავი, რაცხა „ოსკარებს“ ეილ-

ებდენ, ცალკე ეთვალათ... უსმენდენ ანზორიას ტრახახს ბიჭები პირდაფრენილები და ხედებოდნენ, რომ იტყუებოდა, მაგრამ მათი რა მიდიოდა, ყლურნავდნენ უფასო ლუდსა და არაყს და აქეთ-იქით იქნევდნენ თავს: — ეჰ, დაგცლოდა ცოტა, ხომ აშენდებოდი, შავი დედალივით!..

— აჰა, ბუჯო!.. მეცხრე სართულიდან გადმოვხტი და ძირს რბილი, ელასტიკური ბატუტი რომ უნდა დევხედებინათ, განზე გამიწიეს, ჰოდა, კისრის მოტეხას ვინ დეიძებს, ყველას უკერძო, ცოცხალი რომ ვარ, მილიონის გადახდას ჩიოდენ?! — მილიონის?! — ნერწყვი გადასცდა ვსიკოს. — ე, ბუჯო, მევიტეხე მეც კისერს, თუ ვინმე მილიონს იძლევა მაგამი..

— კი, მარა თინაე სადაა, შენი ცოლი? მარტვა რავა გამოგიშვა ინვალედი კაცი?! იმასთან არ ნადი 2 წლის წინ?

— თინაე არ მისხნოთ, არ მყავს ცოლი! — კატეგორიული ხდება ანზორია. — ამომხადა სული: მალაატომ ჰოლივუდელ ბოზებთანო: ნიკოლ კიდმანზე და ჯულია რობერტსზე უბნობდა... არც უმაგისობა იყო, მარა... მოკლეად, გევეყარე და აღარაა ჩემი ცოლი, ეგდოს ახლა სიცოცხლის ბოლომდე ამერიკაში და ურეცხოს იმ ბებერ მილიონერს ბინძური ნიფხვები!..

სინამდვილეში რაც მოხდა, ეს მოგვიანებით გაიკვავა. ანზორიას ცოლი, თინა ამერიკაში ქმარზე ბევრად ადრე წავიდა და მართლა მილიონერის ოჯახში მოხვდა მოსამსახურედ, რომლის ცოლიც ავარიის შემდეგ სანოლს მიეჯაჭვა და, როგორც ალალ დას, ისე მოუარა თინამ მასაც, მის შვილებსაც და ქმარი ხომ მთლად გადაარია: ის ქალი რომ მოკვდა, კარგად გაცივებულ იც არ იქნებოდა, კაცი მუხლებზე რომ დაუდგა ქალს:

— აქამდე არ ვკადრულობდი გამხელას და ახლა უნდა გითხრა, შენ გარდა ქალს არ გავიკარებ,

ცოლად მინდებარ და უარი არ მითხრა, თორემ აქვე ტყვიას დავიხლი შუბლშიო!..

ცოლდა გამხელილი ჯობს და, ბევრიც არ უფიქრია თინას: კაცად რომ ვარგებულყო ანზორია, ამერიკაში გადასახვენად კი არ გაუხდებოდა საქმე!..

მოკლეად, მისთხოვდა ამერიკელს და ქმარსაც „პატიოსნად“ შეატყობინა: ნულარ დამელოდებოო!.. ერთადერთი ქალიშვილი 16 წლის ასაკში გაუთხოვდათ და თავისი პატრონი ჰყავდა, თინას მეტი არც რამე აკავებდა ანზორიასთან...

ბევრი იბოროქრა, მაგრამ ქუთაისში გინებთ რას დააკლებდა ოკეანის გაღმა მყოფ ცოლს?! ამიტომ „გაინყვიტა შუბლის ძარღვი“ და მიტოვებულ-დაობლებულმა საკომპენსაციო ფული სთხოვა ცოლს. თინას შეეცოდა და გამოუგზავნა იმდენი, რომ ჭკვიანი კაცი ბიზნესს აანყობდა და სიცოცხლის ბოლომდე ბედნიერად იცხოვრებდა, მაგრამ უტვინო კაცს ჭკვიანური რა მოაფიქრებდა?! იყიდა ბილეტი, შეკრა ბარგი და გაემგზავრა ამერიკაში „ცოლის მოსაკლავად“...


ვინ მიუშვა თინამდე?! ცისის გალავანს ჰგავდა იმ სახლზე (უფრო სასახლეზე) შემორტყმული ლობე, სადაც თინა ცხოვრობდა უდარდელად და 38 წლის ასაკში ბიჭიც გაეჩინა თავისი „რიჟა“ ქმრისთვის...

ხან ქუჩაში ეძინა ანზორიას ამ ხნის განმავლობაში და ხანაც — უსახლკაროთა თავშესაფარში; ნაგვის ყუთებშიც ბევრჯერ ეძება საქმელი და მთლად რომ გადარია სიდუხჭირემ, ლამით დააპირა თინას სასახლის გალავანზე გადაძრომა. ჩაირთო სიგნალიზაცია და მართალია, რეზინის, მაგრამ მანაც ტყვია გლიჯა თავში დაცვამ. დარტყანებულ ბურთივით შესტა ჰაერში, ორჯერ ამოტრიალდა და აუზში ჩავარდა; მანამდე ბუტონის კიდეს მიაგრტყა კისერი და ეტყობა, მაშინ მოსტყადა კიდეც...

ბედი მისი, შენიშნეს და დროზე ამოათრიეს, თორემ დახრჩობა გარანტირებული ჰქონდა...

რომ არა თინა, ცხენში ამოალპობდნენ სიცოცხლის ბოლომდე: მისი ხათრით, უმკურნალეს და საქართველოში გამოგზავრებულს, ფულიც გამოატანეს იმ პირობით, რომ თინას სახელს აღარ ასსენებდა...

ან კი, რა სახსენებელი და მოსაყოლი იყო ის სიმართლე, რაც მას დაემართა?! რომ არა ამ ამბის შემსწრე, თინას ქუთაისელი ნათესავი, ვინ იცის, იქნებ მართლა დაეჯერებინათ ანზორიას კასკადიორობის ამბავი!





კრიმინალზე შეყვარებული მოზარდის აღსარება

ბევრჯერ მოუწერიათ ჩემთვის: მიყვარს პიროვნება, რომელსაც კრიმინალური წარსული აქვსო, მაგრამ არასდროს მსმენია ისეთი ამბის შესახებ, როცა ადამიანს თავდამსხმელი შეუყვარდა. ამას წინათ 17 წლის წინ მომწერა: „ჩემი ამბავი მართლა გაგაკვირვებს. ძალიან მინდა, შეგხვდე და მოგიყვე, თუ რა გადამხდა თავს, მაგრამ შენ ალბათ, უბრალო ადამიანის ბედით ნაკლებად დაინტერესდები. ისე კი დაგაინტრიგებ და გეტყვი, რომ ძალიან მაგარი თავგადასავალი მაქვს — თავდამსხმელი შემიყვარდა“. წინამდინარე მართლა შექლო ჩემი დაინტრიგება და შესვედრა ვთხოვე. უარი არ უთქვამს, მაგრამ არც რედაქციაში მობრძანდა და არც შინ მიმიწვია: — მირჩენია, ნეიტრალურ ადგილას გნახო. არ ვარ დარწმუნებული, რომ ჩემები უკან არ დამდევენ, არ მაკონტროლებენო. მისმა ასეთმა პასუხმა კიდევ უფრო დამაინტრიგა და ალბათ, ცხრა მთის იქითაც რომ დაენიშნა ჩემთვის პაემანი, მასთან მაინც მივიდოდი. საბედნიეროდ, მთებისა და ზღვების გადალახვა არ დამჭირდა — მას ეწ. ბუკიას ბაღში შევხვდი.

ლიკა ქავაია

— შენ ხარ ლიკა? ისე მოიქეცი, ვითომ ჩემი დიდი ხნის ნაცნობი ხარ, კარგი?

— ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს ვილაცხას უმაღლავ, ყურნალისტან შესვედრა რომ გადაწყვიტე.

— მშობლებს არა მარტო შენთან ურთიერთობას, არამედ ბევრ რამეს ვუმაღლავ. ახლა ყველაფერს მოგიყვები და მიხვდები, რასაც ვგულისხმობ. მოკლედ, ჩემი უბედურება 2 წლის წინ დაიწყო. იმ დღეს მეგობრის დაბადების დღეზე ვიყავი. შინ დაბრუნება გვიან მომიხდა. დედამ კი მითხრა, თუ გინდა, გაჩერებასთან დაგხვდებიო, მაგრამ ვიუარე: არ მეშინია და ქუჩაში რატომ უნდა გაიყინო, მალე მოვალ-მეთქი. ჩემი გარეგნობა ხალხს ყოველთვის ატყუებდა: რადგანაც მალაღი და ცოტა არ იყოს, ტანსრული ვარ, ასაკით ყველას იმაზე დიდი ვგონივარ, ვიდრე სინამდვილეში გახლავართ. ახლაც, ჩემზე ვერავინ იტყვის, 17 წლისააო. ყველა მეუბნება, — ასე, 25-ის მაინც იქნებიო. ჰოდა, მაშინაც მოტყუვდ-

ნენ „ქუჩის ბიჭები“ და როცა სამარშრუტო ტაქსიდან ჩამოვედი, იფიქრეს: ამ კარგად ჩაცმულ გოგონას აუცილებლად ექნება ფული, უკან გავყვით და „ავახიოთო“. რა იცოდნენ, ჩემს ჩანთაში მხოლოდ რვეულები, წიგნები და სანერი კალამი, ფანქრები თუ ენყო. როცა სადარბაზოში შევედი, მხოლოდ მაშინ მივხვდი, ვილაცხები რომ მომდევდნენ — მანამდე მეგონა, უბ-



ერთ-ერთმა მათგანმა ჯიბაჯი დაიხსია ხალი. იმის ნაცვლად, რომ შეამჩნაო, სიამოვნებისგან ჟრანბალმა დაიბარა, გაიბრუნა

ნელები იყვნენ — და ნაბიჯს ავუჩქარე. მეშვიდე სართულზე ვცხოვრობ, მაგრამ რადგანაც ლიფტში ჩაჯდომის შემეშინდა, კიბეს ავუყევი. მეორე სართულზე დამენივნენ და... ზურგს უკან რაღაც ცივი მომადეს, თან — გამაფრთხილეს: იცოდე, ხმა არ ამოიღო, თორემ ყელს გამოგჭრით. ახლავე მოგვეცი ჩანთა, საფულე, ტელეფონი, სამკაულები და თითსაც არ დაგაკარებთო. ძალიან შემეშინდა და მათ ისე დავემორჩილე, ხმაც არ ამომიღია: საყურე მოვიხსენი, ჯიბიდან ტელეფონი ამოვიღე და მივანოდე. სულ ეს არისო? — მკითხეს. თანხმობის ნიშნად, თავი დავუქნიე. მერე ჩანთა ამოაყიარავეს და ყურში ჩამჩურჩულეს: საფულეს ვერ ვხედავთ, ახლავე მოგვეცი, თორემ თავად გაგჩხრეკთო. — არა მაქვს-მეთქი, — ამოვილულულე. ერთ-ერთმა მათგანმა ჯიბეებზე დამისვა ხელი. იმის ნაცვლად, რომ შემეშინებოდა, სიამოვნებისგან ჟრუნტელმა დამიარა, გავიტრუნე. ამასობაში დანარჩენებმა წიგნები შეათვალიერეს და გაეცინათ, — სკოლის მოსწავლე ყოფილა, შევეშვათო. იმ ბიჭმა, რომელმაც ჯიბეები ამომიტრიალა, მეგობრებს ჩემი ტელეფონი გამოართვა, რაღაც ნომერი აკრიბა, მერე კი დამიბრუნა, — აიღე, ეს მობილური შენ უფრო გამოგადგებაო. მერე მკითხა: ნამდვილად სკოლის მოსწავლე ხარო? — კი-მეთქი, — ვუპასუხე. — კარგი, ახლა ჩვენ ნავალთ და იცოდე, ეს ამბავი არავის უთხრა, თორემ რომ დაგვიჭირონ, ამას არასდროს გაპატიებთო. მისი ხმა სამუდამოდ დამამახსოვრდა...

— არავისთვის გითქვამს, თავს რომ დაგესხნენ?

— არა. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ამის შემდეგ მარტოს არსად გამიშვებდნენ და მეორეც, ის ბიჭი გულში რაღაც სხვანაირად ჩამრჩა და ვერ „ჩაფუშვებდი“...

— შინ მისულს მშობლებმა ვერაფერი შეგატყვეს?

— მკითხეს: რა ხდება, ასეთი ალღეღებული რატომ ხარო? ვუპასუხე: სადარბაზოში ვილაც ბი-



ჭები იდგენენ, ლიფტში ჩაჯდომის შემეშინდა და კიბით ამოვედი-მეთქი. დედამ, — მეტის ღირსი ხარ. რომ დაგერეკა, ჩამოვიდოდი, დაგხვდებოდი და შიშსაც არ შეჭამდიო... იმ დღის მერე იმ ბიჭს ყველგან ვეძებდი. ერთხელაც, მობილურზე ვილაცამ დამირეკა, — შენი თაყვანისმცემელი ვარ, ძალიან მომწონხარო. ვერ ვიცანი და ვიფიქრე, — ეტყობა, ვილაც უსაქმურია და ჩემთან ალაღებდნენ მოხვდა-მეთქი, მაგრამ ის ტიპი არ შემეშვა: ამის შემდეგ აღარ მირეკავდა, უბრალოდ, მესიჯს-მესიჯზე მწერდა. როცა ვურეკავდი (მინდოდა მეთქვა, — შემეშვი-მეთქი), ყურმილს არ იღებდა ან იღებდა და ხმას არ მცემდა. რაღაც პერიოდის შემდეგ ამიყოლია და ლამის მთელი დღე და ღამე ვმესიჯობდით. როცა მიხვდა, რომ „გაბმული“ ვყავდი, გაბედა და დამირეკა. მისი ხმის გაგონებისას ვერ გეტყვით, რა დამემართა. ცხადია, მაშინვე ვიცანი, მაგრამ ისე მოვიქეცი, ვითომ ვერ მივხვდი, სინამდვილეში ვინც იყო. მერე შევხვდი. თავი ლაშად გამაცნო და მითხრა, რომ უნივერსიტეტში, იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლობდა. არაფერი უთქვამს იმის შესახებ, თუ რას საქმიანობდა თავისუფალ დროს. ჩვენ ერთმანეთი თავდავინწყებით შეგვიყვარდა. ის რაიონიდან გახლდათ და აქ ნათესავებთან ცხოვრობდა. ჩემებმა მის შესახებ კი გაიგეს, მაგრამ იფიქრეს, რომ ეს ჩემი უბრალო გატაცება იყო და არაფერი უთქვამთ. ზაფხულში, როცა ლაშას ნათესავეები დასასვენებლად წავიდნენ, მან ბინაში ამიყვანა და სწორედ იმ დღეს დავინებდი — მაშინ უკვე 16 წლის ვიყავი. ვიცი, რომ შევცდი, მაგრამ რაც იყო, იყო, დროს უკან ვერ დავაბრუნებ. სულ მქონდა შიში — თავისი ხომ გაინაღდა და ახლა არ მიმატოვოს-მეთქი, მაგრამ ასეთი რამ არც დასცდენია; უფრო მეტიც, ჩემთვის „სხვანაირი“ ურთიერთობა აღარ შემოუთავაზებია: — მეშინია, არ დაფეხმძიმდე. როცა სკოლას დაამთავრებ, მერე ცოლად მოგიყვან და ყველაფერს მოვესწრებითო, — ამ სიტყვებს ხშირ-ხშირად მიმეორებდა.

— ეი. რაღაც დადებითი მასაც ჰქონა.

— ჰო, ასეა! რაღაც კი არა, ბევრი დადებითი აქვს და მასზე ჭკუას ამიტომაც ვკარგავ.

— მისთვის დღემდე არ გითქვამს, რომ იცი, სინამდვილეში ვინც არის?

— ერთხელ, როცა ვსეირნობდით, ამაში თავადვე გამომიტყდა და პატიება მთხოვა. მითხრა, — მაშინ ფული ძალიან გეჭირდებოდა, ჩვენი მეგობრის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი წყდებოდა და ამიტომაც გაზედვით ასეთი რამ. ვერც წარმოვიდგენდით, თუ მოსწავლე იყავი, თორემ მართლა არ აგედევნებოდიო. ვუთხარი, — თავიდანვე ვიცოდი, ვინც იყავი, შენი ხმა ვერაფრით დავივიწყებ-მეთქი.

— ვინიდან ჩემთან შესვედრა გადაწყვიტე, ეტყობა, რაღაც დიდი პრობლემა გაქვს...

— კი, ასეა! არ ვიცი, როგორ, მაგრამ მშობლებმა გაიგეს, ქალიშვილი რომ აღარ ვარ.

— ეტყობა, ეს საიდუმლო ვილაცას გაანდე, იმ ვილაცამ კი „ჩაგვიშვა“.

— ეს მხოლოდ ჩემმა უახლოესმა დაქალმა იცოდა, მაგრამ დარწმუნებული ვარ და თავადც მიმტკიცებს, რომ ამის შესახებ სიტყვაც არავისთან დასცდენია. უბრალოდ, ეს ყველაფერი კაფეში ვუამბე და ეტყობა, ჩვენს ლაპარაკს ვილაცამ მოჰკრა ყური, მერე კი დედაჩემს „ახარა“. ასე იყო თუ ისე, დედამ სიმართლე რომ გაიგო, ჯერ კარგად გამომლანძლა, მერე კი მომთხოვა, — იმ ბიჭს შემახვედრე, ვინც შენი ცოდო დაიდოო. ვაპირებდი კიდევ, ლაშა შინ მიმეყვანა, მაგრამ... ჩემი სიყვარული დაიჭირეს.

— ისევ ვილაცას დაესხა თავს?

— დაახლოებით ასე იყო... გარკვეული მიზეზების გამო არ მინდა, მისი კრიმინალური საქმის შესახებ გაიმბოთ... დედამ ეს ამბავი რომ გაიგო, ლამის გაგიჟდა, — ვილაც კრიმინალთან როგორ გააბი ურთიერთობაო და მას მერე ხშირად მაკონტროლებდა, მობილური ჩამომართვა, მხოლოდ სკოლაში მიშვებდა და თან, მასწავლებლების მეშვეობით თვალყურს მადევნებდა. მოგვიანებით, სიმართლე მამასაც უთხრა, რადგანაც ის დაინტერესდა, — ბავშვს ასე რატომ ექცევიო? მამა ლამის ხელით შემეხო: შე ლანირაკო, თავი რატომ მოგჭყერი, როგორ გაბედე მასთან გორაობაო?.. ლაშა ახალი დაჭერილი იყო, როცა ძმაცაცის პირით შემომითვალა: ჩემთან შემოვიდესო. მას მერე თვეში ერთხელ მივიდოდი და ვნახუ-

ლობდი, მაგრამ ახლა ამასაც ვერ ვახერხებ — ეს ამბავი მშობლების ყურამდე მივიდა და სახლში გამომკეტეს. ახლა სახლიდან გასვლის უფლებას ძალიან იშვიათად მაძლევენ და მაშინაც, დროს მინიშნავენ. მაგალითად, ახლა 1 საათში თუ არ მივალ, მთელი კვირა გარეთ ცხვირსაც ვერ გამოვყოფ. თან, აუცილებლად დაინწყებენ რეკვას, ნერვებს ამიშლიან. უკვე თვეებია, შეყვარებული არ მინახავს და ადგილს ვერ ვპოულობ. ტელეფონი მაინც ჰქონდეს, რომ მასთან ლაპარაკის წყურვილი მოვიკლა. მირჩიეთ, როგორ მოვიქცე? ჩემთვის ხსნა ის იქნება, თუ მასთან გავიპარები და ციხეში მოვანერო ხელს, მერე კი საცხოვრებლად მის ოჯახში გადავალ, მაგრამ ამის გაკეთებაც არ მინდა. ლაშუკას სურს, სკოლა დავამთავრო და იმედს ვერ გავუცრუებ, მისი ხატორით წიგნებს ვურტყამ თავს. ჰოდა, არ ვიცი, რა გზას დავადგე.

— შენ გგონია, მის ოჯახში რძლად მიგიღებენ და იქ თავს უკეთ იგრძნობ? შენს შეყვარებულს რამდენი წელი აქვს მისჯილი?

— 4 წელიწადი მომიწევს მის გარეშე ყოფნა... არ მესმის, მისმა მშობლებმა რატომ არ უნდა მიმბილონ? თუ შვილი უყვართ, მის რჩეულსაც არ მკრავენ ხელს! აბა, დედ-მამასთან ერთად, ოთხ კედელში გამოკეტვილმა ვიცხოვრო? მაინტერესებს, ჩემს ადგილას როგორ მოიქცეოდით? ჩემს ასაკში ბიჭის შეყვარება თქვენც დანაშაული გგონიათ? თუ არ დამეხმარებით, ერთი დღესაც შეიძლება, ერთი თბილისელი გოგონას გარდაცვალების ამბავი შეიტყვით და მერე იმაზე დაწეროთ, თუ როგორ მოიკლა თავი სკოლის მოსწავლემ, მხოლოდ და მხოლოდ სიყვარულისა და მშობლების სისასტიკის გამო...

P.S. სიმართლე გითხრათ, ძალიან მინდოდა, ნინისტვის რჩევა მიმეცა, მაგრამ ამისგან თავი შევიკავე. იმედია, თქვენ შეძლებთ მის დახმარებას, მე კი ამ საქმეში ფსიქოლოგს დავიხმარებ.

P.P.S. თუ ნინის ინტერვიუს წაკითხვის შემდეგ მასთან დაკონტაქტების სურვილი გაგიჩნდებათ, დაგვიმესიჯეთ ტელეფონის ნომერზე: 5(58) 25.60.81. მას თქვენი დახმარების იმედი აქვს.



რა არის სიყვარული

ამ გრძობაზე ყველგან
ლაპარაკობენ — ქუჩაშიც,
სახლშიც, სამსახურშიც და
ცხადია, სოციალურ
ქსელებშიც. ამას წინათ
ერთ-ერთ ფორუმზე მკვ-
ლევრების მიერ ჩატარებუ-
ლი გამოკითხვა დაიდო,
რომელიც ცხადია, კომენ-
ტარების გარეშე არ დაუ-
ტოვებიათ.

პუცუპია:

„მკვლევრებმა 4-დან 8 წლამდე
ბავშვებს ჰკითხეს, — რა არის
სიყვარული? აი, რას ამბობენ პა-
ტარები:

6 წლის რებეკა: როცა ჩემი ბებო
ართრიტით დაავადდა, ვეღარ იხრე-
ბოდა, ვეღარც ფეხის ფრჩხილებზე
ისვამდა ლაქს და ამ საქმეში ბაბუ
ეხმარებოდა მაშინაც
კი, როცა თავადაც
დაუავადდა ხელები
ართრიტით. აი, ეს
არის სიყვარული.

6 წლის კრისი:
სიყვარულია, როცა
შემწვარ კარტოფ-
ილს სხვას უწილა-
დებ და სამაგიეროდ
არაფერს სთხოვ.

5 წლის ერიკი:
სიყვარული გაიძუ-
ლებს გაიღიმო, რო-
ცა ძალიან დაღ-
ლილი ხარ.

7 წლის დენი:
სიყვარულია, როცა
დედა ყავას უმზა-
დებს მამას და მიტანამდე მოსვამს,
რათა დარწმუნდეს, გემრიელია თუ
არა.

7 წლის ნოელი: სიყვარულია,
როცა ბიჭს ეუბნები, — შენი პერ-
ანგი მომწონსო, ის კი ამ პერანგს
ყოველდღე იცვამს.

5 წლის მერიენი: სიყვარულია,
როცა შენი ლეკვი სახეს გილოკავს
მაშინაც, როცა მთელი დღით შინ
მარტო დატოვე.

7 წლის ბილი: როცა ვინმეს
უყვარხარ, შენს სახელს გან-
საკუთრებულად წარმოთქვამს და
იცის, რომ შენი სახელი სამუდა-
მოდაა დაცული.

8 წლის ჯესიკა: თუ არ გიყ-
ვარს, არავითარ შემთხვევაში არ
უნდა თქვა მიყვარსო და თუ გიყ-
ვარს, ეს გაუთავებლად უნდა იმე-
ორო, თორემ ადამიანებს ავიწყ-
დებათ სიყვარული“.

LYCAN:

„ეს გრძობა ვერტიკალური და
ბრუნვადი რალაც მგონია...“

NOSPERATO:

„სიყვარულია, როცა მისი „მაჩ-
ვური“ შორტებიც კი მოგწონს, როცა
ზიხარ „კომპთან“ და ფოსტას „არე-
ფრეშე“ მიუხედავად იმისა, რომ იცი,
არ (ვერ) მოგწერს; როცა ამბობ: „ეგ
დამპალი, როგორ არ მომწერა“ და
მანც, მის გახსენებაზე თვალები
გიბრწყინავს; როცა დერეფანში მი-
დის და უსმენ მისი ნაბიჯების ხმას.
მოკლედ, კიდევ ბევრი როცაა, რა...“

TDD:

„რა არის სიყვარული? როცა გშია
და გაჭმევენ“.



სამანი:

„სიყვარული აჩრდილივითაა —
მასზე ყველა ლაპარაკობს, მაგრამ
სინამდვილეში არავის უნახავს. ჩემი
აზრით, სიყვარული არ არსებობს;
არსებობს მულამი და როცა შენსას
მიალწევ, ის სადღაც იკარგება. მე
არასდროს არავინ მყვარებია... მე
თავად სიყვარული მიყვარდა“.

VAMPIRE_W:

„სიყვარული ისაა, რაც ადამი-
ანებს არ შეუძლიათ, განსაკუთრე-
ბით — ამ ბოლო დროს... როცა
სხვაზე უფრო ზრუნავ, ვიდრე საკუ-
თარ თავზე, როცა არ შეგიძლია
ზიანი მიაყენო სხვას, როცა გირ-
ჩევნია, შენ დაზარალდე, ვიდრე —
ის და როცა მზად ხარ, მის გამო
ყველაფერი, თუნდა სიცოცხლეც კი
დათმო... სიყვარული ეს არის მარა-
დიული გაცემა სამაგიეროს მოლო-
დინის გარეშე...“

„ნამდვილი სიყვარული ალბათ,
ნიჭია და ის მხოლოდ რჩეულთა
ხვედრია. სიყვარული წმინდა, ამაღ-
ლებული, უმანკო, ნაზი და სათუთი
რამაა. იცით, რა ბედნიერებაა იმის
გაცნობიერება, რომ შენ გაქვს ნიჭი
— ნიჭი იმისა, რომ გიყვარდეს, ნიჭი
იმისა, რომ გენატრებოდეს, რომ
ალმერთებდე, რომ მისი არსებობაც
კი ბედნიერებას განიჭებდეს, მისი
სიხარულით ხარობდე და მისი ტკი-
ვილი გტკიოდეს... სიყვარული ცხოვ-
რებაში მხოლოდ ერთხელ მოდის...
როცა გულში გრძობა იზადება, ის
მთელ შენს ცხოვრებას, ფიქრებს,
აზრებს იყვრებს... მთელ შენს ცხოვ-
რებას მხოლოდ საყ-
ვარულ ადამიანს უკ-
ავშირებს, მასთან რა-
ღაც უხილავით ხარ
მიჯაჭვული და გა-
საქანს არ გაძლევს.
ნამდვილი სიყვარუ-
ლი მარადიულია, ის
არასოდეს ქრება, მით
უმეტეს — უკვალოდ;
თუ ნავიდა, აუცილე-
ბლად, დიდ ტკივილს
ტოვებს სულში... ბევ-
რი დრო და სიძლი-
ერეა საჭირო იმი-
სთვის, რომ სიყვარუ-
ლით გამოწვეული
სიგაჟიერების, მძაფრი
განცდებისა და ეი-

ფორიისაგან გათავისუფლდე... ამას
იმდენად ბევრი დრო სჭირდება, რომ
მთელი დარჩენილი ცხოვრების მან-
ძილზე სხვის შეყვარებას ვეღარ
მოვახერხებთ... ზოგი იტყვის, — სიყ-
ვარული ვნებააო. მათ გასაგონად
მინდა ვთქვა, რომ ძალიან ცდებიან.
სიყვარული ვნებაც არის, მაგრამ
ვნებას არ შეიძლება ვუნოდოთ სიყ-
ვარული! ნამდვილი სიყვარული
წმინდაა, ხელუხლებელი. ვნებამ მარ-
თლაც, ცეცხლივით იცის აგიზგი-
ზება, მაგრამ მალევე ქრება, თანაც
— უკვალოდ, ნამდვილი გრძობა
კი მარადიულია, ჩაუქრობელი... სიყ-
ვარული ყველაზე დიდი ვნებაა,
რადგან იგი ერთბაშად ეუფლება
გონებას, გულსა და სხეულს.

დაბოლოს, ეს გრძობა პატარა
გულში ყველაზე დიდ ადგილს
იკავებს... აი, ეს არის, ნამდვილი
სიყვარული!“



სამყარო

ელჩად უჩაძისილი ახალგაზრდა მკვირი

ადამიანებს ხანდახან მოგვწონს რაიმის გალამაზება, ჩვეულებრივ საგანს რომანტიკულ იერს მივანიჭებთ ხოლმე. ცოტა ხანში კი ვალიარებთ, მგონ, ზედმეტი მოგვივიდაო. ზოგჯერ ამის გამო დავიმორცხვებთ კიდეც. მაგრამ როცა ამას ვწერ, ნამდვილად ვიცი, მომავალში არ დავიმორცხვებ იმის თქმის გამო, რასაც ახლა ვამბობ: ქართულ სავილინო სელოვნებაში ახალი ვარსკვლავი მოვიდა და მისი სახელია სანდრო ტიბიშვილი. სანდრო თიბიშვილი შვეიცარიაში საქმიანობს და თუ სამშობლო მისით სერიოზულად არ დაინტერესდება, საქართველოში კონცერტს სშირად ვერ გამართავს. სწორედ ამიტომ ეკუთვნის მადლობა მანქანის ვახტანგ კახიძეს, რომელმაც სანდრო „შემოდგომის თბილისის“ ფესტივალზე მიიწვია და მსმენელს დიდი სიამოვნება მიანიჭა. თბილისის მუსიკალური ცენტრის დარბაზს ალბათ დიდხანს ემასხოვრება სანდრო თიბიშვილისთვის დაკრული ტაში და, რასაკვირველია, ისევ დაელოდება მისი ვიოლინოს ჯადოსნურ მელოდიებს.

სანდრო კი შვეიცარიაში გამგზავრებამდე რედაქციაში მოვიწვიეთ და მოვაცოლეთ, როგორ იქმნებოდა ეს ჯადოსნური მელოდიები.

„ქართველები ერთმანეთისგან ბევრს მოვიტხოვთ, მათ შორის – მუსიკას“

ეთერ ერეკლე

— აბა, რა გითხრათ, ალბათ, „ჯადოსნური შრომით“. რადგან პატარა ბიჭს ყოველდღე დილის ექვს საათზე რომ ააყენებ, დილის რვა საათამდე ვიოლინოზე დააკვრევენ და მერე დილის ცხრა საათისთვის სკოლაში გაგზავნი, მთლად იოლი საქმე არ უნდა იყოს. მაგრამ ასე გადაწყვიტა დედამ, როცა მუსიკალურ ათნლედში შეიღი ნლისა ვიოლინოს შესასწავლად მიმიყვანა. მეცადინეობა რომელ ბავშვს მოსწონს და არც მე მომწონდა. მარტო კონცერტზე დაკვრა მიხაროდა. მაგრამ 14 წლის ასაკში, როცა კონსერვატორიის პროფესორი და მუსიკალური ათნლედის დირექტორი გივი ხატიშვილი გამოჩნდა, ყველაფერი შეიცვალა (ეს ის კაცია, რომელიც ბორის ჭიაურელთან ერთად პირველ სახელმწიფო მუსიკალურ



14 წლის ასაკში, როცა კონსერვატორიის პროფესორი და მუსიკალური ათნლედის დირექტორი გივი ხატიშვილი გამოჩნდა, ყველაფერი შეიცვალა

კვარტეტში უკრავდა. სხვათა შორის, სტალინის დაკრძალვაზეც). მან „ცარიელ სიმებზე“ დამსვა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ 5 წელიწადი ვიოლინოს დასაკრავად თითებს არ ვამოძრავებდი, მხოლოდ ხემს ვატარებდი და საძულველ გამებს ვუკრავდი შეშის ღუმელთან, სანთლის შუქზე. ეს საშინლად მძიმე წლები იყო, როცა არც შუქი გვქონდა, არც სითბო და არც არაფერი. მქონდა ვიოლინო, რომელიც მშობლებმა, რომ ეყიდათ, ლამის ყველაფერი გაიღეს, და მყავდნენ კარგი მეგობრები, რომლებთანაც ისევ ისეთივე გულით მოვიკლავდი თბილისში, როგორც იმას მამის გავრბოდი ქუჩაში. აი, ეს იყო. დღეს კი ეს სანთლის შუქი და ღუმლის სითბო ძალზე რომანტიკულად მაგონდება. მე სწორედ ამ გარემოში მივხვდი, როგორ შემეყვარდა ეს საძულველი გამები და მომეწონა ვიოლინო.

— მერე რა იყო?

— მერე ხუთი წელიწადი ბატონ გივი ხატიშვილთან რომ ვსწავლობდი, პარალელურად, ბორის ჭიაურელთან ოთხი წელიწადი ვინვრტენბოდი უძლიერეს სახელმწიფო კვარტეტში. ასე შევიძინე ფასდაუდებელი ცოდნა... მათდამი მადლიერება მთელი სიცოცხლე გამყვება. მერე, ყველაფერი თითქოს მარტივად მოხდა. 1997-ში საქართველოში ჩამოვიდა შვეიცარიელი ცნობილი მევიოლინე ჰაბიბი კაილა მასტერკლასების ჩასატარებლად... მახსოვს ის მასტერკლასები. მართლაც ჯადოსნური იყო. ზოგადად ეს კაციც, ჩემი აზრით, ჯადოსნური სამყაროდან არის,

უდიდესი მევიოლინეა, მსოფლიოში სადაც კი ინვევენ მასტერკლასებისთვის, ყველგან ფულს უხდინან, ჩვენთან კი გროშიც არ მიუციათ, ისე აკეთებდა ამ საქმეს, რადგან ქართველები, საქართველო მოენონა — ხომ არის რალაცები, როცა ფულს არავითარი მნიშვნელობა არ აქვს. მოკლედ, ამ კაცთან დავუკარი თუ არა, მაშინვე უთხრა ხატიაშვილს, — ამ ბიჭს მე წაიყვან და ვასწავლიო. მას შვეიცარიის დიდი სკოლა აქვს. ბატონმა გვიომ, — ჯერ არა, უმჯობესია, ჯერ კონსერვატორიაში ჩააბაროსო. მეორე წელს კაილა იხეე ჩამოვიდა და წაყვევი. სხვათა შორის, ამის გამო კონსერვატორიიდან გამრიცხეს და დღემდე გარიცხული ვარ. სამაგიეროდ, რადგან უცხოეთში სწავლის არანაირი საშუალება არ მქონდა, შვეიცარია კი ძალიან ძვირი ქვეყანაა, მით უმეტეს სწავლა, ეს კაცი ორი წელი თავად მიხდიდა სტიპენდიას, ბინასაც ის ქირაობდა.

— ძალიან მაგარი კაცი ყოფილა!

— ჰო, არის ასეთი ხალხი. შვეიცარიაში ძალზე ბევრს ვსწავლობდი. ვალიარებ, მე არ ვარ ის ადამიანი, რომელიც 24 საათი იმეცადინებს, მაგრამ ასეთ შრომას ევროპის ქვეყნებში კაილაეს ორკესტრთან ერთად ხშირი კონცერტები მიიძღვლებდა.

ჩემთვის ყველაზე დიდი შეფასება ის იყო, ჟანკის ჯონსონის შემდეგ ერთმა ახმა ხელი რომ ჩამოართვა და მითხრა, — თქვენ ხართ საუბათასო ელჩი საქართველოსიო

— როცა ძალზე ახალგაზრდა მიდიხარ სამშობლოდან და უცებ კონცერტებით მოივლი ევროპას, რა განცდაა?

— საუკეთესო. მაგრამ იქაც ის გიყვარს, რაც შენს ხალხს, შენს ბავშვობას გაგონებს. ამიტომ მიყვარს იტალია და იტალიელები. ბუნებრივები არიან. იტალიაში, სხვათა შორის, 2007 წელს ძალიან რთული საერთაშორისო კონკურსი მოვიგე და, რაც მთავარია, შემდეგი ორი წელიწადი ჟიურის წევრიც ვიყავი. საერთოდ, მუდმივ წევრად მიმიწვიეს, მაგრამ სუბიექტური მიზეზების გამო ეს ვერ

შეძელი. სამშობლოში კი მეორედ ვუკრავ.

— ალბათ, მონვევით.

— რასაკვირველია, თორემ მუსიკალური ცენტრის მართლაც მშვენიერ დარბაზში სხვა დროსაც დამიკრავს, 1995-97 წლებში ვუკრავდი. ერთხელაც დამირეკეს, — ჯანო კახიძე გელოდებო. მივედი, ხელი მომიკიდეს და ორკესტრში დამსვენეს დასაკრავად. მაშინ მივხვდი, რომ მაესტრომ სამსახურში ამიყვანა... მასთან მუშაობა საოცრება იყო. ის მართლა დიდი მაესტრო გახლდათ... მისი ორკესტრი მაშინაც ბრწყინვალე იყო და ახლაც, მისი ვაჟის, ვახტანგ კახიძის ხელშიც დიდებულია. ბატონი ვახტანგიც ჩინებული მუსიკოსია, ამავე დროს, ქართული მოვლენაა — მუსიკის რამდენიმე სფეროს არაჩვეულებრივად ფლობს. მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია ის, რომ დიდი ადამიანიცაა. ამ ყველაფრის გამო დიდ მადლობას ვუძღვნი. ვოცნებობ, თუკი მისი სურვილიც იქნება, ჩემთვის სავიოლინო კონცერტი დანეროს. თუ ეს მოხდა, უბედნიერესი ადამიანი

ვიქნები. აქვე ვიტყვი, რომ „შემოდგომის თბილისიც“ ძალიან მაღალი დონის ფესტივალია, არანაკლები, ვიდრე ევროპის ფესტივალები. ისე კი, ქართველისთვის ყველაზე რთული საქართველოში დაკვრაა. ჩვენ, ქართველები, ერთმანეთისგან ბევრს მოვიტხოვთ, მათ შორის — მუსიკაშიც.

— მიუხედავად იმისა, რომ სავიოლინო ხელოვნებაში თქვენნაირი ცოტა გვყავს...

— რატომ? ნანა იაშვილი, მაგალითად, რომელიც გერმანიაშია და არ ვიცი, საქართველოში საერთოდ ინვევენ თუ არა, ბრწყინ-



მისი ორკესტრი მაშინაც ბრწყინვალე იყო და ახლაც, მისი ვაჟის, ვახტანგ კახიძის ხელშიც დიდებულია

ბაში ფულს არ დებენო. დებენ, როგორ არა, ალტაცებული არიან ავანგარდული ოპერით, უცხოური მომღერლებიც გამუდმებით ჩამოჰყავთ...

— ეს გულის ტკივილს ჰგავს...

— სამშობლოსთან სიახლოვის სურვილი ყოველთვის არის ტკივილთან დაკავშირებული, თორემ უცხოეთში არც კონცერტების დეფიციტი მაქვს, — რაც დრო გადის, მით უფრო ხშირად მიწვევენ, — და არც მეგობრების. შვეიცარიაში უნიჭიერესი მეგობარი მყავს, დორიან ემანუელ რაბა — ახალგაზრდა კომპოზიტორია. როცა შვეიცარიაში მის ნაწარმოებებს ვუკრავ, ვგრძნობ, რა იოლია წარმატების მიღწევა. წელს მე მომიძღვნა სავიოლინო კონცერტი, რომელიც ძალიან მინდა, ჩემს სამშობლოშიც შევასრულო. წელან ვთქვი, უცხოეთში კონცერტების დეფიციტი არ მაქვს-მეთქი და ისიც ვიცი, რომ ამით ჩემი სამშობლოს სახელი გამაქვს. ამიტომაც მთელი ამ წლების განმავლობაში ჩემთვის ყველაზე დიდი შეფასება ის იყო, შენთვის კონცერტის შემდეგ ერთმა კაცმა ხელი რომ ჩამომართვა და მითხრა, — თქვენ ხართ საუკეთესო ელჩი საქართველოსიო.

— ახლა ის მითხარით, ვიოლინო, რომელზეც კონცერტზე უკრავდით, სად შეიძინეთ, მშვენიერი ვიოლინო იყო.



— ნამდვილად. მაგრამ ჩვეულებრივი მსმენელი ალბათ ვერ შენიშნავს იმას, რომ ის ჩემთვის 4 მმ-ით პატარაა და ამიტომ მასზე დაკვრა ჭირს. საქმე ის არის, რომ ვიოლინო 5 ზომის არსებობს, — ხელი იზრდება, ვიოლინოც უნდა გადიდდეს... ჩემი ზომის და თანაც ძალიან კარგი ინსტრუმენტი ის იყო, რომლისთვისაც ჩემმა მშობლებმა, ლამის რაც გააჩნდათ, ყველაფერი გაყიდეს. ახლა ამ ინსტრუმენტზე ჩემი მოსწავლეები უკრავენ, მე კი დღემდე არ მაქვს საკუთარი ინსტრუმენტი, ნათხოვრით ვუკრავ. ინსტრუმენტები ძვირია, განსაკუთრებით — ძველი, იტალიური, ამიტომაც მევიოლინეები ხშირად ნათხოვარ ინსტრუმენტზე ვუკრავთ. მას კერძო კოლექციონერები ანათხოვრებენ. თხოვებაც ძალიან ჭირს. მე ჩემი შვეიცარიელი პროფესორის, კაილეს ვიოლინოზე ვუკრავდი.

— ანუ ამაში დიდ ფულს იხდით?

— გააჩნია, ვინ გათხოვებს. ნაცნობობა ყველგან ჭრის. ვინც ჩემს კონცერტზე ყოფილა, ყველა უსასყიდლოდ მათხოვებს. თვითონ ვიოლინოსთვისაც კარგია, როცა მასზე უკრავენ, უფრო და უფრო უკეთესდება. ცხადია, გააჩნია დამკვრელს. ხალხს ჰგონია, თუ ინსტრუმენტი კარგად ჟღერს, მაშასადამე, ინსტრუმენტი კარგია. უპირატესი კი დამკვრელია — რაც უფრო რთულია ინსტრუმენტი, მით ძნელია მასზე დაკვრა. როგორც ულავის მოთვინიერებაა ძნელი, ასევე ჭირს ინსტრუმენტის მოთვინიერება. სამაგიეროდ, თუ მოათვინიერე, არაჩვეულებრივი გრძნობაა.

— ახლა ერთი კითხვა: ფაქტია, რომ კაცობრიობას ტექნოლოგიები იპყრობს და ხელოვნებისადმი ინტერესიც თითქოს უკანა პლანზე გადადის. ეს ევროპაშიც შეიმჩნევა?

— ეს ყველგან შეიმჩნევა, თუმცა „შემოდგომის თბილისზე“ იმდენი ხალხი იყო და მათ შორის იმდენი ახალგაზრდა, კიდევ ერთხელ გავიფიქრე, ჩვენში ხელოვნების სული არასოდეს ჩაკვდება-მეთქი. ისე კი, ჩემი აზრით, რაც ხდება, დიდხანს ვერ გაგრძელდება. რადგან ტექნიკა, როგორც უნდა იყოს ის, ვირტუალურია, ხელოვნება კი სულშია და იგი ადამიანს სულ დასჭირდება. ვირტუალობა არ შეიძლება მუდმივი იყოს...

სამოელი — ისრაელიანთა უკანასკნელი მსაჯული და წინასწარმეტყველი

სამოელი წინასწარმეტყველებდა იმ პერიოდში, როდესაც ისრაელის ერისთვის მსაჯულთა ხანა იდგა. ის იყო ისრაელიანთა ბოლო მსაჯული, რომელიც უფალმა წინასწარმეტყველადაც გამოარჩია. მოხედან სამოელამდე ისრაელის ერს წინასწარმეტყველი არ ჰყოლია...

შორანა ბერაქვილიაძე

ისრაელიანთა აღთქმულ ქვეყანაში იპყრობს და მსაჯულთა ხანა

ისრაელიანები აღთქმულ ქვეყანაში ისუ ნავეს ძემ შეიყვანა. მათ 6 წელიწადი დასჭირდათ იმისათვის, რომ აღთქმული ქვეყნის ტერიტორიაზე მცხოვრები ქანანელები დაემარცხებინათ და აღთქმულ ქვეყანაში დამკვიდრებულიყვნენ. ისრაელიანები ეგვიპტელთა 400-წლიან მონობაში ქრისტესშობამდე 1800 წელს აღმოჩნდნენ. აღთქმულ ქვეყანაში კი 440 წლის შემდეგ — დაახლოებით ქრისტესშობამდე XIV საუკუნის შუა ხანებში შევიდნენ. ამ დროიდან 400 წლის მანძილზე მსაჯულთა ხანა იდგა.

როდესაც ისრაელის ერი საღვთო სჯულს არღვევდა და ჭეშმარიტ უფალს განუდგებოდა, უფალი თავის რჩეულ ერს სხვადასხვა სახის სასჯელს უწოდებდა; ხშირად ეს გარეშე მტრების სახითაც ხდებოდა, რომლებიც ისრაელიანებს ნაწილობრივ ან მთლიანად იპყრობდნენ. განსაცდელი ისრაელიანებში სინანულს აღძრავდა — მაშინ შესთხოვდნენ უფალს შემწეობასა და სხნას. ამ შემთხვევაში მათ ღვთისგან ევლინებოდნენ მსაჯულები — მართალი და ღვთისმოსავი ადამიანები, რომლებიც მტრის წინააღმდეგ ბრძოლისას ეხმარებოდნენ, წინამძღოლობდნენ, ამასთანავე — სარწმუნოებაშიც განამტკიცებდნენ. როდესაც ერს მტრის მონობიდან გაათავისუფლებდა, მსაჯული ისრაელის ერის მმართველი ხდებოდა, თუმცა მას არ ჰქონდა იმდენი უფლება, რაც შემდგომ მეფეებს მიეცათ. მსაჯულები ერს ძირითადად, გარეშე მტრებთან დაპირისპირებისას წინამძღოლობდნენ. ისინი წყვეტდნენ სადავო საკითხებსაც — სასამართლოს ფუნქციასაც ითავსებდნენ, თუმცა ეს მისია უმეტესად, სამღვდლოებას ჰქონდა მინდობილი. როდესაც უფალმა ისრაელიანებს მოსეს სჯული მისცა, დაწვრილებით მიუთითა, თუ რომელი

დანაშაულისთვის რა სახის სასჯელი უნდა გამოეტანათ ადამიანისთვის, ამიტომ ამ დროისათვის ახალი კანონების შემოღება საჭირო აღარ იყო.

უკანასკნელი მსაჯული და წინასწარმეტყველი

ისრაელიანების ბოლო — მეთხუთმეტე მსაჯული იყო სამოელი, რომელიც უფალმა წინასწარმეტყველადაც გამოარჩია. სამოელი ლევიტელთა ტომიდან გახლდათ. მის მშობლებს შვილი არ ეძლეოდათ. დედამისი ანა ძალზე ნუხდა უშვილობის გამო და წლების მანძილზე გულმხურვალედ შესთხოვდა ღმერთს შვილის მინიჭებას. უფალმა ისმინა მისი ვედრება და მიეცა ძე, რომელსაც სამოელი უწოდა, რაც „გამოთხოვილს“ ნიშნავს. ერთი წლის შემდეგ მშობლებმა ბიჭი ღვთის ტაძარში მიიყვანეს — ღვთისგან მიცემული შვილი ისევ უფალს შესწირეს, მისთვის რომ ემსახურა, — და ჩააბარეს ელი მღვდელმთავარს, რომელიც იმ პერიოდში ისრაელიანთა მსაჯულიც იყო. სამოელი მის ოჯახში იზრდებოდა.

როგორც ვთქვით, მოხედან სამოელამდე პერიოდში ისრაელის ერს წინასწარმეტყველი აღარ ჰყოლია, რადგან მთელი ამ ხნის განმავლობაში ისრაელიანები, ასე თუ ისე, ღვთის მცნებებს იცავდნენ; თუ მთელი ერი — არა, უმეტესობა მაინც იყო აღმსრულებელი სჯულისა და ემორჩილებოდა მღვდელმთავარს. მაგრამ ელი მღვდელმთავრის შვილებმა სჯულის სანინალმდეგო ცხოვრება დაიწყეს, უწესოდ იქცეოდნენ, ელი კი არ ამხელდა მათ. როდესაც უკვე თავად უმაღლესი სამღვდლოებაც გაირყვნა და ერში ღვთის მცნებების მასწავლებელი აღარ დარჩა, უფალმა ისრაელიანებს მოუვლინა სამოელ წინასწარმეტყველი, რომელსაც მათთვის ღვთის ნება უნდა ეუწყებინა. სამოელმა ჯერ კიდევ 12 წლის ასაკში შეიტყო ღვთისგან, რომ ელის შვილები ამოწყდებოდნენ, ამას ელი ვერ გადაიტან-

და და მოკვდებოდა. ამის შესახებ ელისაც წინდანი აუწყა სამოელმა, მისივე თხოვნით. წინასწარმეტყველება ახდა: როდესაც რჩეული ერის სამევიდრებელს შემოსეულმა ფილისტიმელებმა 30000 ისრაელიანი ამოხოცეს, მათ შორის ელის ვაჟებიც იყვნენ. ამ ამბის შეტყობისას მღვდელმთავარი ელი თავზარდაცემული დაეცა ძირს, ხერხემალი გადატყდა და მოკვდა.

სწორედ ელის გარდაცვალების შემდეგ იქნა სამოელი დადგენილი ისრაელიანთა მსაჯულად. იგი 40 წლის განმავლობაში მსაჯულებდა და წინასწარმეტყველებდა ისრაელში. უკვე მცხოვრანმა, ისრაელის მსაჯულეზად თავისი ვაჟები — იოველი და აზდია დაადგინა. მაგრამ ისინი ვერ აღმოჩნდნენ მამის ღირსეული მემკვიდრეები, ანგარების გამო ხშირად დამნაშავეს სასარგებლოდ წყვეტდნენ სადავო საკითხებს. ამის გამო ისრაელიანთა უხუცესებმა სამოელს მოსთხოვეს, სხვა ხალხების მსგავსად, მათთვისაც მეფე დაედგინა. სამოელ წინასწარმეტყველი ეწინააღმდეგებოდა ისრაელიანთა ამ სურვილს, რადგან მასში ჭკრეტდა საშინელ დაცემას ერისას. ხალხს უხსნიდა, რომ მსაჯულთა და მეფეთა მმართველობა აბსოლუტურად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან; თუ მეფე ეყოლებოდათ, არა ღვთის, არამედ მეფის იმედი ექნებოდათ. უფალმაც აუწყა რჩეულ ერს, რომ მათი მეფე თვითონ იყო, მაგრამ ისრაელიანებს არაფრის გაგონება არ სურდათ. მაშინ უფალმა სამოელ წინასწარმეტყველს აუწყა, რომ ისრაელიანებისთვის მეფე უნდა დაედგინა, და ისიც, თვითონ უნდა გამოერჩია მეფედ. ღვთის ბრძანებით, სამოელმა მეფედ მირონცხებით აკურთხა საული — ბენიამინის ტომიდან, რომელიც ფიზიკური აღნაგობითა და ძალით გამოირჩეოდა. საულს მამამისის ვირები დაეკარგა და როდესაც მათ საძებრად წავიდა, სწორედ მაშინ შეხვდა სამოელ წინასწარმეტყველი და ღვთის ბრძანებითა და ნებით მეფედ სცხო...

საული 40 წელიწადი მეფობდა ისრაელში. თავიდან ის აღასრულებდა ღვთის მცნებებს და ემორჩილებოდა სამოელ წინასწარმეტყველს, მხნედ იცავდა თავის ხალხს მტრებისგან და საყოველთაო საყვარულიც მოიპოვა, მაგრამ შემდგომ, ნელნელა ღვთის გზიდან გადახვევა დაიწყო და ურჩობა გამოიჩინა. პირველად ეს მაშინ გამოვლინდა, როდესაც საომრად გამზადებული ერი სა-

მოელ წინასწარმეტყველს ელოდა, რათა მსხვერპლთშენიერვა აღესრულებინა. სამოელს მისვლა შეეგვიანდა და ისრაელიანთა ჯარმა დაშლა დაიწყო. საულ მეფეს შეეშინდა, ჯარი არ დაშლილიყო, და თვითონ აღასრულა მსხვერპლთშენიერვა. სწორედ



ამ დროს მოვიდა სამოელი. მან ამხილა საულის უსჯულო ქმედება, აყვედრა მოუთმენლობის გამო და უწინასწარმეტყველა, რომ მის შთამომავლობაში მეფობა აღარ გაგრძელდებოდა. სამოელის წინასწარმეტყველება საულის სიცოცხლეშივე აღსრულდა: ღვთის ნებით, სამოელმა ისრაელის მეფედ გამოარჩია დავით (მეფსალმუნე და წინასწარმეტყველი) იესეს ძე — იუდას ტომიდან, საიდანაც უნდა წარმომადგარიყო მაცხოვარი ხორციელად.

მეფე დავითის ცოდვით დასჯა და 50-ი ფსალმანი

სამოელ წინასწარმეტყველის მიერ დავითის მეფედ გამოარჩევა საულის მეფობის 25-ე წელს მოხდა, თუმცა დავითი სამეფო ტახტზე მხოლოდ 15 წლის შემდეგ ავიდა, როდესაც საული და მისი ვაჟები ერთ-ერთ ბრძოლაში დაიღუპნენ. უფალმა სამოელ წინასწარმეტყველს უბრძანა, ნასულიყო ბეთლემში, იესესთან და მისი ერთ-ერთი ვაჟი მირონცხებით, მეფედ ეკურთხებინა. სამოელი ღვთის ნებას დამორჩილდა. როდესაც იესესთან მივიდა, მან წინასწარმეტყველის წინაშე თავისი ყველა ვაჟი წარადგინა, დავითის გარდა, რომელიც იმ დროს მამამისის ცხვრებს მწყემსავდა; მამამ იგი წინასწარმეტყველის წინაშე წარდგინის ღირსადაც არ მიიჩნია. ღვთის კარნახით სამოელმა იესეს ყველა ვაჟი უარყო და იესეს ჰკითხა: „გყავს კიდევ შვილი?“ — „უმცროსი ცხვრებს მწყემსავს საძოვარზე“, — უპასუხა იესემ. სამოელის ბრძანებით, დავითი მის წინაშე წარადგინეს. ამ დროს სამოელს მოესმა ხმა უფლისა:

„ადექი, სცხე მას, რადგან სწორედ ეს არის ის“. წინასწარმეტყველმა აღასრულა ღვთის ნება. მაშინ დავითი 15 წლის იყო. იმ დროს სამოელის გარდა არავინ უწყოდა, რომ დავითი ღვთისგან მეფედ იქნა გამოარჩეული.

როდესაც სამოელ წინასწარმეტყველმა საული გამოარჩია ისრაელის მეფედ, ისრაელიანთა შორის ის იყო ყველაზე ღირსეული და რჩეული. დავითი საულის მეფობის მეათე წელს დაიბადა. მისი მეფედ გამოარჩევისას, საული უკვე აღარ ცხოვრობდა ღვთის მორჩილებით, ხშირად არღვევდა მის მცნებებს. როდესაც ისრაელიანთა შორის საულზე ღირსეული და ერთგული კაცი — დავითი იესეს ძე გამოჩნდა, უფალმაც სწორედ ის აირჩია და დაადგინა ისრაელის მომდევნო მეფედ...

სწორედ სამოელ წინასწარმეტყველმა ამხილა იგავით დავით მეფე-მეფსალმუნეც, როდესაც მას ცოდვით დაცემა მოუხდა თავისი ქვეშევრდომის — ურია ხეთელის ცოლთან, თავად ურია ხეთელი კი ბრძოლაში მოაკვლევინა. ამ ცოდვით დაცემის შემდეგ მივიდა მასთან სამოელ წინასწარმეტყველი და უთხრა: „როგორც მეფემ და წინასწარმეტყველმა, ერთი საკითხი უნდა განსაჯო: კაცს ცხვრის ფარა ჰყავდა; ერთხელ სტუმარი ეწვია, მან კი ერთი ცხვარიც ვერ გამიგეტა, რომ დაეკლა და პატივი ეცა მისთვის; მის მეზობელს ერთადერთი ცხვარი ჰყავდა, ის წაართვა და სტუმარს დაუკლა. რას იმსახურებს ასეთი კაცი?“ დავითმა მიუგო: „სიკვდილის ღირსია, ახლავე სიკვდილით დავსჯი“. სამოელ წინასწარმეტყველმა უთხრა — სწორედ შენ ხარ ის კაცი; ურია ხეთელს ერთი ცოლი ჰყავდა და ისიც წაართვი და მიითვისეო... სამოელმა დავითს ისიც უწინასწარმეტყველა, რომ ამ ცოდვით დაცემის გამო მკაცრად დაისჯებოდა — ბერსაბესგან შობილი უსაყვარლესი შვილი მოუკვდებოდა. წინასწარმეტყველის მხილებამ უდიდესი სინანული აღძრა დავით მეფე-მეფსალმუნის გულში. უდიდესი სინანულითა და სულიერი მწუხარებით შეძრულმა დავითმა სწორედ ამ დროს დაწერა 50-ე ფსალმანი, რომელშიც უდიდესი, განსაცვიფრებელი სინანულია გადმოცემული.

სამოელ წინასწარმეტყველი ღრმად მოხუცებულბაში აღესრულა. 406 წელს წმინდა წინასწარმეტყველის წმინდა ნაწილები იუდეიდან კონსტანტინოპოლში გადააბძანეს. მისი ცხოვრება გადმოცემულია „წმინდა წერილში“.



„თავუი ასათი უცნაური აზრები მოქდის“

ის პროფესიით სტომატოლოგია, მაგრამ საზოგადოება იცნობს, როგორც იუმორისტს. ამბობს, რომ მის პროფესიულ არჩევანზე გავლენა დედამ იქონია. პირველი წიგნი, რომელმაც მასზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა, „სამი მუშევეტი“ იყო. ამ წიგნის წაკითხვის სურვილი ცოტა ხნის შემდეგ კიდევ გაუჩნდა, მაგრამ გული ვეღარ დაუდო. წაკითხულ ნაწარმოებებს ხელმეორედ არასდროს უბრუნდება. ლიტერატურულ პერსონაჟებთან მეგობრობის სურვილი ნაკლებად აქვს. ამბობს, ძველ დროში რომ მეცხოვრა, აუცილებლად ლეონარდო და ვინჩის მოსწავლე ვიქნებოდი და მისგან ბევრ საინტერესო რამეს ვისწავლიდიო. კითხვაზე — წიგნი მოგიპარავს? მისი პასუხი ასეთია: — მაგ დონის ინტელექტუალი არასდროს ყვოფილვარ, რომ წიგნი მომიპარა, ნათხოვარსაც კი ყოველთვის უკან ვაბრუნებო. ბევრს აღარ გავაგრძელებ და გეტყვით: „ერუდიტი“ მიშა ანდლულაძის წარმოგიდგენთ.

მიშა ანდლულაძის „ცოლი“ და „საყვარელი“

თამუნა კვინიკაძე

პრაკტიკული აზიარ

- მიშა, ბოლოს რომელი წიგნი წაკითხე?
- ლაშა ბულაძის „ბოლო ზარი“. მგონი, ამ ადამიანს უნდა ვთხოვოთ, ჩვენთან სცენარისტად დაიწყო მუშაობა: წიგნში ავტორის დიდი იუმორი იგრძნობა. მოუცლელობის გამო მხატვრულ ლიტერატურას ხშირად ვეღარ ვკითხულობ. ბავშვობაში რისი წაკითხვაც მოვასწარი, ყველაფერი კარგად მახსოვს.
- ახალგაზრდა ავტორების შემოქმედებას კარგად იცნობ?
- არა, ამით ნამდვილად ვერ დავიკვებხნი. საერთოდ, მხატვრულზე მეტად ხელოვნებაზე, მუსიკის ისტორიასა და მუსიკოსებზე დანერგილ ლიტერატურას ვეცნობი.
- ჩემი რესპონდენტები ამ რუბრიკაში სტუმრობას გამოცდაზე გასვლას ადარებენ ხოლმე...
- ახლა მეც ზუსტად ასეთივე შეგრძნება მაქვს.
- როგორი მესსიერება გაქვს?
- კარგი. გააჩნია, რას მკითხავ.
- სანამ კითხვარზე გადავალთ, გამოცდებთან დაკავშირებული საინტერესო ამბავი მომიყვი.
- ასეთი რამ თუ გაგიგონია, გამოცდაზე გასვლისას ჯიბეში გველის ენა უნდა ჩაიდო?
- გამიგონია.
- მითხრეს, უცოდინარობას შეველისო. ერთხელ სოფლიდან წამოვიღე გველის ენა და კოლეჯში ანატომიის გამოცდაზე წავიღე. 5-იანი მივიღე.
- ამას გველის ენას უნდა უმაღლოდ?
- არა, მე ვარ ძალიან ნიჭიერი (იციინის). გველის ენა ინტერესის გამო წავიღე. მერე ჯგუფულს ვათხოვე და მასზე აღარ გაჭრა.



- რა ერქვა წვეტიან ჯოხს, რომლის დახმარებითაც ძველ რომში საქონელს მიერეკებოდნენ?
- არ ვიცი.
- ამ სიტყვას დღეს სულ სხვა მნიშვნელობით იყენებთ.
- კაკვი? ვიცი, სისულელეს ვამბობ. რომ მცოდნოდა, ისევ გამოცდაზე გასვლა მომიწევდა, ერთ გველს კიდევ დავამუნჯებდი.
- სწორი პასუხია — სტიმული. „ლიტერატურა ჩემი კანონიერი ცოლია, ხოლო მედიცინა — საყვარელი. როცა ერთ-ერთი მათგანისგან ვიღლები, მთელ ლამეს მეორესთან ვატარებ“. რომელი რუსი დრამატურგია ამ სიტყვების ავტორი?
- ტოვსტონოგოვი ან სტანისლავსკი.

- არა. არც ერთი იყო დრამატურგი და არც მეორე.
- მაშინ ანტონ ჩეხოვი იქნება.
- გამოიცანი. ძალიან გიყვარს მუსიკა, ამავდროს, იუმორისტულ შოუში მუშაობ. რომელია შენი „ცოლი“ და რომელი — „საყვარელი“?
- ჩემი ცოლი ჩემი საყვარელია. ამ მხრივ ძალიან გამიმართლა.
- ახლა ერთ გამოცანას გეტყვი: „რაც უფრო მოკლდება წინ, მით უფრო გრძელდება უკან“ — რა არის?
- ცხოვრების წლები, გზა... რა ვიცი, კიდევ როგორ გითხრა?
- მეტის თქმა საჭირო აღარ არის, გამოიცანი. ეს მუსიკალური საკრავი ორნაირია — ენანი და უენო. რომელ საკრავზეა ლაპარაკი?
- არ მიკარნახო, დავფიქრდები და გიპასუხებ. (პაუზის შემდეგ) დავაზუსტებ: ხალხური საკრავია?
- დიახ.
- სალამური.
- ფეხბურთი გიყვარს?



— არა. სპორტის სახეობებით ნაკლებად ვინტერესდები. ადრე კარატეზე დავდიოდი და კარგი შედეგიც მქონდა — საქართველოს პრიზიორი ვარ, II ადგილზე გავედი. სახლში 16-ლარიანი ყავის სერვიზი მაქვს, რომელიც მაშინ საჩუქრად გადმომცეს.

— სტადიონზე შევედი ფეხბურთის მატჩზე დასასწრებად. ისეთ ადგილზე დავჯექი, რომ თბილისის „დინამო“ ჩემგან ხელმარჯვნივ იყო, ხოლო „ზესტა-ფონი“ — მარცხნივ. თამაშის პირველი ნახევარი მარჯვენა მხარის სასარგებლოდ დამთავრდა — 2:1, ხოლო თამაშის მეორე ნახევარი — მარცხენა მხარის სასარგებლოდ ანგარიშით 2:0. გამოიცანი, რომელმა გუნდმა მოიგო და რა ანგარიშით?

— კითხვას თუ არ გამიმეორებ, ვერაფერი გავიგე. (გამეორების შემდეგ) ვაიმე! ჩახლართული მდგომარეობაა. აჯობებს, სწორი პასუხი თავად მითხრა.

— თბილისის „დინამო“ მოიგო ანგარიშით 4:1. ვინ არის ოპერების — „დაისი“ და „აბესალომ და ეთერი“ ავტორი?

— ზაქარია ფალიაშვილი.

— ვაჟა-ფშაველას ერთ-ერთი პოემის პერსონაჟმა — მინდიამ, ქაჯებთან ტყვეობის გამო მალულად მათი სადილი მიირთვა. „ესმის დღეიდან ყოველი, / რასაც ფრინველი გალობენ / ან მცენარენი, ცხოველნი, / როდის ილხენენ, წვალობენ“. რისგან იყო სადილი მომზადებული?

— გველის ხორცისგან.

— დასახელები მოგზაური, რომლის სახელსაც ატარებს ზღვა, სრუტე და კუნძული.

— არაერთი მოგზაურის დასახელება შემიძლია, მაგრამ არ ვიცი და მკითხაობას ხომ არ დავინწყებ.

— ბერნგი. იტალიაში ზოგიერთი ქუჩის კუთხეში დგას ლეთისმშობლის სკულპტურა. მასზე მიკრულია აბრები. რა აწერია ამ აბრებზე?

— არ ვიცი.

— ქუჩის დასახელებები. „ჭეშმარიტი არსით მოჩვენებას ჰგავს, მასზე ყველა საუბრობს, მაგრამ ცოტას თუ უნახავს“ — რის შესახებ წერდა ამას ლაროშფუკო?

— სიყვარულის ან შიმშილის შესახებ.

— ერთი პასუხი მითხარი.

— სიყვარულის. სწორია?

— რა თქმა უნდა, მაგრამ შიმშილი რამ გათქმევინა?

— თავში ასეთი უცნაური აზრები მომდის.

— ის 1952 წელს, ნიუკასლში დაიბადა. მამამისი მერძევე იყო, დედა — პარკმახერი. მომავალმა ვარსკვლავმა ბავშვობა გაჭირებაში გაატარა. მუსიკის სიყვარული დედამ ჩაუწერა. მალე ბენდში „ფენიქს ჯაზმენი“ დაკვრა დაიწყო. ხშირად ყვითელ-ზოლიანი პულოვერი ეცვა. ჯგუფის ლიდერი ეუბნებოდა, ამ სამოსში ფუტკარს ჰგავხარო და მეტსახელი შეარქვა. დღეს მას მსოფლიო ამ მეტსახელით იცნობს. ვისზეა ლაპარაკი?

— (ფიქრობს) სტინგი. არა?

— გამოიცანი. მისი ნამდვილი სახელი და გვარი თუ იცი?

— არა.

— გორდონ მეთიუ სამნერი. ფიქრობენ, რომ პირველად ეს კულტურა 1493 წელს ამერიკიდან ესპანეთში ქრისტეფორო კოლუმბმა ჩაიტანა. ესპანეთიდან საფრანგეთის სამხრეთ ნაწილში მოხვდა, შემდეგ — იტალიაში, ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, თურ-

ქეთში... დასავლეთ საქართველოში ეს კულტურა XVII საუკუნეში შემოვიდა. რომელ მცენარეზეა ლაპარაკი?

— სიმინდზე. მაშინ გენმოდიფიცირებული არ იყო.

— ცხენით ჯირითი თუ შეგიძლია?

— კი, ძალიან მიყვარს.

— მაშინ გეცოდინება, რამდენი ფლოქვი აქვს ცხენს თითოეულ კიდურზე?

— ეგ ვასო ფხაკაძეს უნდა ჰკითხო — ვეტერინარია.

— შენ ვერ მიპასუხებ?

— თუ არ ვცდები, 1 ფლოქვი აქვს.

— ნამდვილად ასეა. რა ერქვა ფეოდალთა უმაღლეს ფენას რუსეთში?

— ბურჟუები.

— ბოიარები. ნოდარ დუმბაძის რომელი ცნობილი მოთხრობის გმირია გოგი თუშურაშვილი?

— „კუკარაჩა“.

— რამდენი წლის იყო თამარი, როცა მამამ, გიორგი III-მ მეფედ გამოაცხადა?

— 12-ის.

— ბარონი დენონი ფრანგი გრაფიორი, მხატვარი, მწერალი და დიპლომატი იყო. ის დანიშნურებული იყო ლუდოვიკო XVI-ისა და ნაპოლეონ I-ის დროს. ალექსანდრე I კი მისგან სურათებსა და სხვადასხვა ნივთს იძენდა. სად ინახავდა იგი ამ ნივთებს?

— არ ვიცი.

— მიგანიშნებ, ახლა იქ დიდი მუზეუმი.

— ლუვრში. არა?

— ერმიტაჟში ინახავდა. ნებისმიერ ზრდასრულ ვეფხვს აქვს საკუთარი სანადირო ტერიტორია. იქ არავის უშვებს, მაგრამ ხდება გამონაკლისიც. როდის?

— ალბათ მაშინ, როცა გამრავლების პერიოდი აქვთ.

— ბელორუსია, პოლონეთი, ავსტრია, უნგრეთი — ჩამოთვლილთაგან რომელი არ მიეკუთვნება ალმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს?

— ავსტრია.

— გაიუს მარიუსი, იულიუს კეისარი, პომპეუსი, მარკუს კრასუსი — ამ რომაელი სარდლებიდან რომელმა დალაშქრა საქართველო?

— პომპეუსმა.

— ამერიკელები ამაცობენ იმით, რომ მათ არც ერთ პრეზიდენტს მამაკაცებისთვის დამახასიათებელი ეს კოსმეტოკური ნაკლი არ ჰქონდა. რას გულისხმობენ ისინი?

— არ ვიცი.

— მიგანიშნებ. შენ ეს „ნაკლი“ არ გაქვს. ზოგიერთს კი ის ძალიან უხდება.

— ვაა! რა უნდა იყოს? დავინტერესდი.

— შემდეგ კითხვას დაგისვამ, რომელზე სწორი პასუხის გაცემის შემთხვევაში, ამ კითხვის პასუხსაც გამოიცნობ. ერთმა ბრიტანულმა კლუბმა გამოსცა პლაკატი, რომელზეც ეწერა: „ღმერთმა შექმნა არც ისე ბევრი სრულყოფილი თავი, ხოლო დანარჩენები დაფარა თმით“. ვინ იყვნენ ამ კლუბის წევრები?

— (იციან) მივხვდი, ამ კლუბის წევრები მელოტები იყვნენ, ხოლო ამერიკის პრეზიდენტებიდან მელოტი არც ერთი არ იყო.

— დაბოლოს, დაასრულე ფრიდრიხ ნიცშეს ცნობილი გამოხატულება: „საკმარისია ერთი უბრალო გასეირნება ფსიქიატრიულ კლინიკაში, რათა დარწმუნდე, რომ ძალა“...

— აღმართს ხნავს. არა, ნიცშე ამას არ იტყოდა.

— „...რომ ძალა არაფერს ნიშნავს“.



„გზა უკეთესი ვერ ვნახე“



ირმა ხარშილაძე

— 27 წლის ვარ და უკვე 9 კრებული გამოვეცი. ამ ბოლო დროს 4 წიგნის პრეზენტაცია მქონდა. ორ წიგნში ლექსებს მოვუყარე თავი, მესამეში — სხვადასხვა თემაზე დანერჩილ 7 პოემას, მეოთხეში კი 1000-სტროფიანი პოემა — „წამის ათასწლეული“ დაუბეჭდე. ამ პოემას 2 თვის განმავლობაში ვწერდი: ფაქტობრივად, არც დღე მეძინა, არც ღამე. წიგნებთან ერთად დისკიც წარმოვადგინე, სადაც მურმან ჯინორიას, გურამ სალარაძისა და მარინა სალარაძის მიერ წაკითხული ჩემი ლექსებია ჩანერილი. ბატონი გურამისა და ქალბატონი მარინას წაკითხული ლექსების კრებულს „პოეზიის ტაძარი“ ჰქვია და ფონად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია მეორის საგალობლები გასდევს, რასაკვირველია, პატრიარქისავე კურთხევით.

— ძალიან მახარებს შენი წარმატება. შენი შემოქმედებით მართლა მოახდინე შთაბეჭდილება, მაგრამ გულწრფელად გავოცდი, როდესაც შევითქვე — საკუთარ სადარბაზოში წმინდა ექვთიმე თაყაიშვილის სამლოცველო გახსნა და ბიბლიოთეკაც მოაწყო. უცნაური ადამიანი ხარ: თითქოს რამდენიმე სულიერი „ფორმაცია“ გამოიცვალე, თავის ძიებაში, პირდაპირ თუ ირიბი მნიშვნელობით, ბევრი იმოგზაურე და, მგონი, ჭეშმარიტებასაც მიაგენი. მოდი, გვიამბე შენს ცხოვრებაზე —

12 წლის იყო, როცა ბორჯომის კომპოზიტორთა სახლში გავიცანი — სუსტი, თმასუტუტა საყვარელი ბავშვი. იმხანად რადიოში ვმუშაობდი და მახსოვს, ინტერვიუც კი ჩავწერე. მას შემდეგ წლები გავიდა და, ფაქტობრივად, მეორედ მომიწია გაცნობამ — ამჯერად სვანეთში ვიმოგზაურეთ ერთად. უკვე ლექსებს წერდა. იქიდან მოყოლებული, დროდადრო ვიგებდი მისი წარმატებების ამბავს. მერე შევიტყვე, ლიტერატურული ფსევდონიმაც ჰქონია — მეზალე; რამდენიმე კრებული გამოუცია და ბევრი საინტერესო იდეაც განუხორციელებია... თუმცა აჯობებს, თავად გვიამბოს ყველაფერი. „გზა“ ახალგაზრდა პოეტს, მიხეილ ტყეშუჩავას, იმავე მეზალეს წარმოგიდგენთ.

მიშოს თავგადასავალსა და მეზალეზე, რომლის პოეზიასაც უკვე ბევრი თაყვანისმცემელი და გულშემატკივარი ჰყავს.

— შენ რომ ლექსების მოყვარული პატარა ბიჭი გაიცანი, ის ბიჭი მერე ძალიან გაცელქდა: ესვამდი, რებს ვუსმენდი, ბევრ დროს ქუჩაში ვატარებდი, ხანდახან კიდეც ვჩხუბობდი. მოკლედ, „ამოვარდნის“ პერიოდი მქონდა. მერე კი, 22 წლის ასაკში პირველი ლექსი დაწერე და მას შემდეგ პოეზიამ რადიკალურად შეცვალა ჩემი ცხოვრება... მაგრამ მანამდე ბევრი რამ მოხდა. ჯერ კიდევ სკოლაში სწავლისას ავურიე. არაფერს ვსწავლობდი, საქართველო სად იყო რუკაზე, მგონი, ისიც არ ვიცოდი. ძალიან უვიცი ვიყავი. მეთერთმეტე კლასში მივხვდი, რომ უაზროდ ვცხოვრობდი. ძველ მეგობრებს ჩამოვეცილდი და 4 საგანში ვემზადებოდი, ერთი წლის განმავლობაში თავაუღებლად ვმეცადინებოდი. მართალია, მსახიობობა ან რეჟისორობა მინდოდა, მაგ-

კურსი რომ დავხურე, სტიპენდია-საც კი ვიღებდი... „ბურაში“ მოგებული ხუთიანებით, თორემ არაფერი მისწავლია. ზღვა ენერჯია მქონდა, მინდოდა, სადღაც დამეხარჯა და ამიტომაც ჰოლივუდის დაპყრობა გადავწყვიტე. ვარსკვლავობა მოვინდომე და ამერიკაში გავემგზავრე. მეგონა, კვენტინ ტარანტინო და სხვა ვარსკვლავები შემომეგებებოდნენ და მიშა ტყეშუჩავას „დაიტაცებდნენ“. 31 შტატში მარტომ ვიმოგზაურე, თუმცა ყველგან მხვდებოდნენ ხან მამის მეგობრები, ხან ჩემი მეგობრების ახლობლები. მახსოვს, ატლანტიკ-სიტის ერთ-ერთ მაღაზიაში ორ ხანში შესულ კახელს შევხვდი, თურმე 40 წლის წინ წასულებიანი საქართველოდან. რაღაცები გამომკითხეს, შეიტყვეს, რომ ჰოლივუდში ჩასვლასა და მსახიობობას ვაპირებდი და დამშვიდო-

რასაკვირველია. მე რომ ასეთ სადარბაზოში გაგზრდილიყავი და ასეთი ლამაზი გარემო მქონოდა, იმდენ შეცდომას აღარ დაუშვებდი

რამ მამას დავუჯერე და სახელმწიფო უნივერსიტეტის დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობის ისტორიის ფაკულტეტზე ჩავაბარე. მერე კვლავ ავურიე, „ამოვარდნის“ ახალი ტალღა დამეწყო და სტუდენტობისას ქეიფისა და დროს ტარების მეტი აღარაფერი მიკეთებია. რაც უნდა სასაცილო მოგეჩვენოს, პირველი

ბებისას, — კარგი ბიჭი ხარ, ყველაფერს მიაღწევო, — დამაიმედეს, ბოლოს კი კახური აქცენტით მომამახეს, — „გუდ ლაქი“ გქონდესო! (იცინის).

— მერე, გქონდა „გუდ ლაქი“?

— „გუდ ლაქი“ მქონდა ყოველ



ნაბიჯზე ამერიკაში, მაგრამ ამ ილ-ბალს მუდმივად დაჰყვებოდა სეროზული ნოსტალგია. ბოლოს, ჰოლივუდში რომ ჩავიდი, ჰალუცინაციები დამეწყო: თითქოს ყველგან ქართული ლაპარაკი მესმოდა... მოკლედ, ვეღარ გავძელი და საქართველოში დავბრუნდი. ვერ გამოვცემ იმ ემოციას, თბილისში ტრაპზე ფეხი რომ დავდგი, რა ვიგრძენი. უბედნიერესი ვიყავი.

— იცოდი, რას გააკეთებდი საქართველოში, რა გინდოდა?

— არ მაინტერესებდა — მთავარი იყო, საქართველოში ვყოფილიყავი. იმავე საღამოს მამამ, სოსო ტყეშუჩავამ, საპატრიარქოში (იქ მუშაობს) უწმინდესთან მიმიყვანა... მის უწმინდესობას ამერიკაში გამგზავრების წინაც ვესტუმრე. მაშინ გამაფრთხილა, — იქ ბევრი კარგი და ბევრი ცუდია, ცუდს არ მიეკაროო. ჩამოსული რომ მნახა, ძალიან გაიხარა... უწმინდესს პირველად 1989 წელს შევხვდი: 5 წლის ვიყავი, ლურსმანი გადავვლამე და უკვე ოპერაცია უნდა გაეკეთებინათ, წინა საღამოს მამამ პატრიარქთან რომ წამიყვანა. მახსოვს, „მრწამსი“ და „ათი მცნება“ ზეპირად ვუთხარი და არ მავინწყდება მისი აცრემლებული და ღიმილიანი სახე, — ეს ხომ დიდებულმა არ იციანო!.. მერე მაჩუქა ოქროს წყალში ამოვლებული ღვთისმშობლის მედალიონი და ახალი ალტემა, რომელსაც წააწერა: „ღმერთმა დალოცოს მიხეილ ტყეშუჩავა!“ — და შინ გამომისტუმრა. იცი, რომ ოპერაცია აღარ დამჭირდა?! სასწაული მოხდა და ვიდრე საავადმყოფოში წამიყვანდნენ, ლურსმნის პრობლემა მოგვარდა. სწორედ იმ ასაკიდან ვიცნობდი პატრიარქს და ხანდახან მამასთან ერთად ვხვდებოდი. ძალიან ვუყვარდი და გაუხარდა, ამერიკიდან მშვიდობით დაბრუნებული რომ მნახა. მოკლედ, ნელ-ნელა „დავლაგდი“, დავწყნარდი და ამ დროს გავიგე მამისგან, ივერიის ღვთისმშობლის სასწაულთმოქმედი ხატის ასლს (დღეს რომ სამების საკათედრო ტაძარშია დაბრძანებული) საქართველოს სხვადასხვა კუთხეში რომ დააბრძანებდნენ. მეც გავემგზავრე ვერტმფრენით და ხატი წავაბრძანეთ მთათუშეთში. ძალიან შთაბეჭდილი აღმოჩნდა ეს მოგზაურობა. ახალი ჩამოსული ვიყავი, შინ რაღაცების ძებნისას გალაკტიონის პატარა ფოტოს რომ

წავაწყდი, სადაც პოეტს კალთაში პატარა გოგონა უზის — ჩვენი შორეული ნათესავი (სხვათა შორის, ამ ამბავს ასე საჯაროდ პირველად ვყვები). რომ დავრწმუნებულიყავი, მართლა გალაკტიონი



სამლოცველოს შენების დროსაც ყველანი რიგში ჩავაყენე და თითო აგური „მივაკვრეინე“ სადარბაზოს კედელზე

იყო, დედასთან მეორე ოთახში გამქონდა ფოტო, და უნებლიეთ „წამოვიდა“ გართმული სტრიქონი: „ეს ჩამიჩუმი უსასრულობის ძლიერი მიზიდავს“... და იმ ღამეს პირველი ლექსიც დაიწერა. ამის შემდეგ დავიწყე კლასიკური მუსიკის მოსმენა, ოპერაში სიარული. ასე ნელ-ნელა „შევქვერი პოეზიის სულში“ და მთელი სამყარო შემიყვარდა. იმ პერიოდში დაწერილ ჩემს ერთ-ერთ ლექსს „საით წავიდე, უფალო?“ დავარქვი: „საით წავიდე უფალო? დაბნეული ვარ ძალიან./ იქ მისვლა მინდა, სადაცა სათნონი მრავლად არიან./ გულში ჩავიკრა სამყარო, თბილი და ტკბილი აღერსით,/ მსურს, მაგრამ ჩემი სურვილი სხვებს მცირედიდაც არ ესმით./ როგორ მოვიქცე, მითხარი, დრო რომ სიკეთეს აფრქვევდეს./ გარშემო მყოფთა გული კი სახელსა შენსა აქებდეს?/ შენთან მოვდივარ, უფალო, მოწაფე შენი, ცოდვილი./ გზა უკეთესი ვერ ვნახე, დედამინა მაქვს მოვლილი.“

— კარგი ბიჭი ხარ! მოდი, სადარბაზოს სამლოცველოსა და ბიბლიოთეკაზეც გვიამბე. ამის გაკეთება შენს წარსულს უკავშირდება?

— რასაკვირველია. მე რომ ასეთ სადარბაზოში გავზრდილიყავი და ასეთი ლამაზი გარემო მქონოდა,

იმდენ შეცდომას აღარ დავუშვებდი, რამდენიც დავუშვი, გაცილებით მეტ წიგნს წავიკითხავდი, მანამდე მიფხვდებოდი, რომ სასარგებლო არაფერი მოაქვს ქუჩას, ძველბიჭობას და ა.შ. უნდა ნა-

ხოთ, როგორ მემადლიერებიან მშობლები, რადგან დიდ დილომაში ჩვენი კორპუსის ბავშვები ძალიან ამაყობენ, რომ სადარბაზოს გალამაზებაში მათი წვლილიცაა. უბნელებზე არაფერს ვამბობ, ხალხი საზღვარგარეთიდანაც კი მირეკავს მადლობის სათქმელად. ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ ამერიკაში წასვლის წინაც და საქართველოში ჩამოსვლის შემდეგაც გარემოს შეცვლაზე ვფიქრობდი. უბანში ჩვენი კორპუსი ყველაზე ცუდი იყო. ძალიან ცელქი ბავშვები ცხოვრობდნენ, სულ რაღაცას აფუჭებდნენ, იპარავდნენ, ტყბდნენ, ძარცვავდნენ. ჩვენი ლიფტის სარკე წამდაუნუმ ტყდებოდა; რა განცხადებაც უნდა გაეკრათ, ხევდნენ. ერთხელ ექსპერიმენტი ჩავატარე: სარკის ადგილას „ათი მცნება“ ჩამოვკიდე. მაინტერესებდა, რას იზამდნენ. გავიდა ერთი კვირა, ათი დღე, ერთი თვე და ხელი არავინ ახლო. მერე სარკე გვერდით დავკიდე ამონარიდები გენიოსების გამონათქვამებიდან. არც ის ჩამოხიეს. მერე სხვა მხარეს ბაგრატიონების გენეალოგია დავეკიდე და ასე იქცა ჩვეულებრივი ლიფტი შემეცნებით ლიფტად.

— იცოდი, მანამდე ვინ ამსხვრევდა სარკეს და ვინ ხვდა განცხადებებს?



— რა თქმა უნდა, ვიცოდი: ჩემი კორპუსის ბავშვები — ჩემს ხელში და ჩემს მაგალითზე გაზრდილები. მოკლედ, ჩემს კვალზე ხტუნავდნენ (იციინის). მერე კი... ყველა ონავარი ბავშვი შევკრიბე



— როგორც ვიცი, ცნობილი ადამიანებიც სტუმრობენ ხოლმე შენს სამლოცველოსა და ბიბლიოთეკას.

— პაატა ბურჭულაძე იყო, გიზო ნიშნიანიძე, მერაბ სეფაშვილი, ოთარ მელვინეთუხუცესი, გურანდა გაბუნია, ჯემალ ჭკუასელი, თემურ ნიკლაური, ანსამბლების — „გორდელასა“ და „შვიდ-

ბიბლიოთეკაში წიგნები ჩვეულებრივად აწყვია და ნებისმიერ მსურველს შეუძლია გაგანა

კაცას“ ნევრები, ეთერ კაკულია... ყველამ გადმოსცა შთაბეჭდილებების ნიგნში თავისი ემოცია:

„ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ასეთი რამის მომსწრე ვაგხდით. ასეთი რამ არსად არასოდეს მინახავს, არც საქართველოში და არც მსოფლიოში, მარტო ქართველს თუ შეეძლო ეს მოეფიქრებინა და ასე ლამაზად და კარგად გაეკეთებინა. ნამდვილად აღფრთოვანებული მივდივარ აქედან. პაატა ბურჭულაძე“.

„დღეს რაც ვნახე, ნამდვილი სასწაულია. ისეთი გრძნობა მაქვს, რომ ტაძარში ვარ. ეს არის ახალი ტრადიციის დასაწყისი. იმედი მაქვს, ამას აიტაცებენ თბილისელები და სხვა სადარბაზოებშიც გამოჩნდება ასეთი რამ. ყველაზე მაგარი თბილისელი მეგონა ჩემი თავი და ჩემზე მაგრებიც ყოფილან. გიზო ნიშნიანიძე“.

— მიშკო, „მებაღე“ რატომ დაირქვი?

— მთელი სამყარო ერთი დიდი ბალი მგონია, სადაც პატარა, რიგითი მებაღე ვარ. მიყვარს ეს ბალი ძალიან და ყოველდღე წყალს ვუსხამ, ვეფერები: „უცაბედად რომ ვიგრძენი ჩემი სული/ მაშინ მივხვდი: არ არსებობს დასასრული/ ბევრს ვცდილობდი, რომ დამედო მაღლი ქვაზე/ ხელს ვუნვდიდი წამოცმულს ხარის რქაზე/ აქ სიკეთე თუ დათესე, თბილად რჩები/ მარადიულ წვლებსგან გადარჩები/ დიდ სიყვარულს მოაქვს მხოლოდ სულთა შვება/ და ამ გრძნობით ბოროტება შორით ქრება/ თბილი ჰანგი მსურს მე ჩემი სამოთხისა/ და გავიგო უფრო ახლოს იმ ზე ხმისა/ რამაც მითხრა: არ არსებობს დასასრული/ მაგრძნობინა ეს უკვდავი ჩემი სული.“

და საკუთარი ხელით გავაკეთებინე ის სადარბაზო. თანხები, რა თქმა უნდა, მე მოვიძიე, შინიდანაც კი გავიტანე ნივთები და დავალომბარდე; იმ ბავშვების მშობლებიც დაგვეხმარნენ, თითქმის ყველა მოზარდი დავასაქმე. ფოტოები თვითონ გააკრეს, სამლოცველოს შენების დროსაც ყველანი რიგში ჩავაყენე და თითო აგური „მივაკრევი“ სადარბაზოს კედელზე. ეს გავაკეთეთ სადარბაზოში, რომელიც 24 საათის განმავლობაში ღიაა... ბიბლიოთეკაში ნიგნები ჩვეულებრივად აწყვია და ნებისმიერ მსურველს შეუძლია გატანა. იქვე წარწერაცაა: „გიცხადებთ სრულ ნდობას“. ძალიან ხშირად შემოდიან ბავშვები, ირჩევენ ნიგნებს, მიაქვთ ისე, რომ არავინ არაფერს ინიშნავს და მერე უკან აბრუნებენ. სადარბაზოში შემოხვალ თუ არა, ერთ მხარეს სამლოცველოა, მეორე მხარეს — ბიბლიოთეკა, შუაში — პოეზიის კუთხე. ერთადერთი ცუდი რაც მოხდა, ცოტა ხნის წინ შესანიერი ყუთი გატეხეს. ასე, 15 ლარი იქნებოდა მოგროვებული. არადა, ვერაფრით წარმოვიდგენდი, თუ ვინმე ხელს ახლებდა. გადავწყვიტე, კარგი საკეტი გავუკეთო ყუთს, მაგრამ შეიძლება ისიც გატეხონ. მთავარია, უბნის ბავშვებისთვის ეს ადგილი ძალიან მნიშვნელოვანი გახდა. შთაბეჭდილებების ნიგნიც გვაქვს. უკვე გაივსო და ალბათ ახლის დადება მოგვიწევს.

ქროსოვერ „ალფა რომეოს“ პროტოტიპი

ერთ-ერთმა ინტერნეტსაიტმა ქროსოვერ „ალფა რომეოს“ პროტოტიპის არაოფიციალური ფოტოები გამოაქვეყნა. დეტროიტში გადაღებულ სურათებზე ე. წ. „ჯორია“ აღბეჭდილი — ჰენრიკე „ჯულიეტას“ ძარაზე სიახლის აგრეგატების ტესტირება მიმდინარეობს. ადრე გავრცელებული ცნობით, „ალფა რომეოს“ სამოდელი რიგში ორი სრული ამძრავიანი — კომპაქტური და საშუალო ზომის ქროსოვერი გამოჩნდება. ორივე ავტომობილის გამოშვება „კრისლერის“ ერთ-ერთ ქარხანაში იგეგმება. ამასთან, მანქანების გასაღება მსოფლიოში მხოლოდ იტალიური ბრენდის სახელით განხორციელდება. სიახლის შესახებ დე-



ტალური ინფორმაცია ამ ეტაპზე უცნობია. მხოლოდ ისაა ცნობილი, რომ მომავალი არასაგზაოებიდან ყველაზე მცირე ავტო უნიფიცირებული იქნება „ჯიპის“ ახალ ქროსოვერთან, რომელიც ავტომობილ Liberty-ს (სხვა ბაზრებზე — Cherokee) შეცვლის. არც ისაა გამორიცხული, რომ ასეთი მანქანების ძრავათა გამაში ახალი, 4-ცილინდრიანი, 1,8-ლიტრიანი, 300 ცხძ-იანი მოტორი შევიდეს. სავარაუდოდ, „ალფა რომეოს“ ქროსოვერების გაყიდვა 2013 წლის შუიდან დაიწყება, როდესაც აშშ-ის ბაზარზე იტალიური ბრენდის სრულფასოვანი დაბრუნება იგეგმება.

ტელევიზიული Top Gear ფილმის გამოშვება

ნოემბერში ბრიტანული ტელევიზიული Top Gear გაყიდვაში გამოუშვებს



ფილმს, სახელწოდებით — Top Gear at the Movies („ტოპ გარი კინოში“), რომელშიც რიჩარდ ჰამონდი და ჯეიმს მეი სპორტავტობილებითა და ბორბლებიანი ოთახებით დაქრიან, სროლებში მონაწილეობენ და მანქანებს აფეთქებენ. ამასთან, იმის შესახებაც ჰყვებიან, თუ რამდენად საჭიროა თანამედროვე კინოში ავტომობილი. ფილმი 14 ნოემბერს DVD და Blue-ray ფორმატებში გამოვა და iTunes-ში გა-

მოჩნდება გაყიდვაში, თუმცა მასში ვერ ვიხილავთ Top Gear-ის ყველაზე ქარიზმატულ წამყვანს, ჯერემი კლარსონს, რომელიც საკუთარ DVD-ს ყოველწლიურად უშვებს და მისი ფილმი ზემოთ ხსენებულზე ერთი კვირით ადრე, 7 ნოემბერს გამოჩნდება და Powered Up ერქმევა.

Citroen C4 რუსულ ბაზარზე

მიმდინარე წლის ბოლომდე რუსულ ბაზარზე პეჰიბე Citroen C4-ის გაყიდვა დაიწყება. ეს მანქანა დიზელის ძრავითა და „სტარტ-სტოპის“ სისტემითაა აღჭურვილი, რაც მიკროჰიბრიდული ტექნოლოგიების პაკეტში შედის. სიახლეს 1.6-ლიტრიანი, 110 ცხძ-ის მქონე ტურბოდიზელი და სიჩქარის გადაცემათა 6-საფეხურიანი, რობოტიზებული კოლოფი აქვს. 6 კმ/სთ სიჩქარის მიღწევის შემთხვევაში ელექტრომომწოდებლობა ავტომობილის მოტორს ავტომატურად ჩააქრობს, ხოლო შემდეგ სტარტერ-გენერატორის საშუალებით მას კვლავ ჩართავს. ძრავას ასამუშაველად „სტარტ-სტოპის“ სისტემას სულ რაღაც 4/10 წამი დასჭირდება. „სიტროენის“ მონაცემებით, „სტარტ-სტოპი“ საწვავის ხარჯის მაჩვენებლისა და ატმოსფეროში CO2-ის გამონაბოლქვის 15%-ით შემცირების საშუალებას იძლევა. შერეულ ციკლში მიკროჰიბრიდული პეჰიბე C4 100 კმ მანძილის დაფარვისას 4.4 ლ საწვავს იყენებს. რუსულ ბაზარზე ასეთი ავტომობილის ღირებულების შესახებ ჯერ არაფერია ცნობილი. დღეისთვის ჩვენს მეზობელ ქვეყანაში Citroen C4 ბენზინის ორი, — 110 და 120 ცხძ. სიმძლავრის, 1.6-ლიტრიანი ძრავით იყიდება. „სიტროენის“ პრაის-ლისტზე უკვე გაჩნდა ინფორმაცია ახალი მოტორის შესახებ.



Nissan GT-R-ს ნიურბურგრინგზე ტლიან

განახლებული სუპერავტო Nissan GT-R, რომლის ტექნიკურ მაჩვენებლებს უახლოეს მომავალში გამოაშკარავებენ, ნიურბურგრინგის „ჩრდილო მარყუჟს“ დაახლოებით 7 წუთსა და 16 წამში დაფარავს. ეს ვარაუდი პროექტ GT-R-ის მთავარმა ინჟინერმა, კაცუტოსი მიცუნომ სილვერსტოუნში ავტომობილის პრეზენტაციისას გამოთქვა. შეგახსენებთ, რომ დღეისათვის ყველაზე კარგი შედეგები Porsche 911 GT2 RS-სა (7 წუთი და 18 წამი) და Chevrolet Corvette ZR1-ს (7 წუთი და 19.63 წამი) აქვთ ნაჩვენები. მიცუნოს თქმით, ნიურბურგრინგზე განახლებული Nissan GT-R-ის გამოცდამ აჩვენა, რომ



ავტომობილი ყოველ მოსახვევში თავის წინამორბედზე 5-6 კმ/სთ-ით უფრო სწრაფად მოძრაობდა. გარდა ამისა, პირდაპირ საფინალო ტრეკზე მანქანამ 296 კმ/სთ განავითარა, რაც 5 კმ/სთ-ით მეტია ადრინდელი სუპერავტოს მიერ ნაჩვენებ შედეგზე. მიცუნო ამბობს, რომ ასეთი მონაცემებით „ჩრდილო მარყუჟის“ გასაველელად GT-R-ს დაახლოებით 7-8 წამით ნაკლები დრო დასჭირდება. 2009 წელს მანქანამ ტრასა 7 წუთსა და 26.7 წამში დაფარა. განახლებულ სუპერავტოს მოდერნიზებული 3,8-ლიტრიანი, 6-ცილინდრიანი ბი-ტურბო ძრავა დაუმონტაჟდება, რომელიც 530-დან დაახლოებით 550-560 ცხძ-მდე იქნება ფორსირებული. გარდა ამისა, Nissan GT-R აღიჭურვება განახლებული ელექტრონული სიჩქარის გადაცემათა კოლოფითა და სხვა დეტალებით, რომლებიც აგრეგატების გაგრძელებას შეუწყობენ ხელს და აეროდინამიკური წინააღმდეგობის კოეფიციენტს შეამცირებენ. ასევე სუპერავტოს სატრეკო უკანა ამძრავიანი მოდიფიკაცია ექნება, ხოლო ავტომობილის სპეციალური სერიები — Premium Black და Egoist — ამჯერად ყველა ბაზრისთვის იქნებიან განკუთვნილი.




ანტილაკრასანტი

გზაში საკითხავი კოლაჟი

ჰელენელი ოქუბი ივანიძე

1. გურანდა გაბუნია სუხიშვილების ანსამბლში ცეკვავდა.
2. მარგარეტ ტეტჩერი 54 წლის ასაკში გახდა პრემიერ-მინისტრი.
3. თავისი პირველი რბოლა ნიკი ლაუდამ ინგლისური „მინი“ მოიგო.
4. ლელობურთს გურულები უდროოდ დაღუპული ვაჟაცის საფლავს სწირავდნენ.
5. ჩინგის-ყაენის მიერ შემოღებული ერთ-ერთი კანონით, მონღოლი მონის ყოლა იკრძალებოდა.
6. სოსუმის თეატრში ქართული, აფხაზური, რუსული და ბერძნული დასი ფუნქციონირებდა.
7. ებრაელს ჰკითხეს, მილიონი რომ მოიგო, პირველ რიგში რას იზამდიო? — გადავივლიდიო.
8. ინდიელთა ტომაჰაუკს სამხედრო დანიშნულებით დღესაც იყენებენ სპეცდანიშნულების რაზმები.



9. ლეონარდო და ვინჩის „ჯოკონდა“ შუშის ვიტრინით არის დაცული, რომელიც სარაკეტო დარტყმას უძლებს.
10. ვილაცა ჰევებოდა, შორენა ბეგაშვილმა ოქროს თევზი დაიჭერა და თევზი ეხვეწებოდა, ერთი სურვილი შემისრულეო.

11. „ნე ბოისია გალავაკრუჟენია ოტ ვისოტი, ა ბოისია ზდეს ლიმიტსა ზრენია ოტ კრასოტი“, — წერდა რასულ გამზათოვი მშობლიური დაღესტნის შესახებ.
12. ნიუ-იორკელთა 75%-ს არ ჰყავს ავტომობილი. ქალაქში მეტროს სახით იმდენად მოწესრიგებული სატრანსპორტო სისტემა არსებობს, რომ ავტომობილი ხშირად ზედმეტი ბარგია.
13. საბჭოთა კავშირში 1941 წლის ნოემბერში შემოიღეს გადასახადი უშვილობაზე, რომელიც ხელფასის 6 პროცენტს შეადგენდა. ამ გადასახადს იხდიდნენ უშვილო მამაკაცები 20-დან 50 წლამდე და უშვილო ქალები, 20-დან 45 წლამდე.
14. „ძალიან მინდა, სტენდალზე უკეთესი გამოვივიდე“, — ამბობდა „ომისა და მშვიდობის“ წერისას ლევ ტოლსტოი. p.s. ასეთი რანგის მწერალსაც ჰქონდა თავისი ორიენტირი...

რუსთავის თეატრის ახალი ცხოვრება



დაახლოებით 9 თვეა, რაც რუსთავის თეატრს ახალი სამხატვრო ხელმძღვანელი — ლაშა ნოზაძე ჰყავს. შენობის განახლების შემდეგ თეატრმა ახალი ცხოვრება სპექტაკლით — „გველისმჭამელი“ დაიწყო, რომლის რეჟისორიც თავად ლაშაა...

ეთი უორდანაშვილი

ლაშა ნოზაძე:

— ვაჟა-ფშაველას შემოქმედება განსაკუთრებული ფენომენია. ამ მწერალს ჩემი ქება არც სჭირდება. მისი შეცნობა ასაკობრივად ხდება: სხვადასხვა ასაკში ვაჟა-ფშაველას განსხვავებულად ეცნობი. რუსთავის ქალაქურ ცხოვრებაში სწორედ ვაჟას შემოქმედების სიმართლე გვავლნობს. დღეს თეატრებში ბევრ უცხოურ პიესას დგამენ, ჩვენი ვაჟა-ფშაველა კი „იცდის“... ადრე „ვაკის თეატრალურ სარდაფში“ „გველისმჭამელი“ ლევან წულაძემ დადგა; მანამდე რობერტ სტურუამ „ლაშარა“ შემოგვთავაზა. ჩვენ ვაჟას „გველისმჭამელს“ სიმძაფრისთვის, გრიგოლ რობაქიძის „ლაშარადან“ დავამატეთ პერსონაჟები. ჩემი აზრით, მინდა — საქართველოა, რომელსაც ყველასი ესმის... ჩვენს ქვეყ-

ანაში ყველაზე კარგ „ვაჟაოლოგად“ ნიაზ დიასამიძე მიმაჩნია. მისი ნაამბობი ყოველთვის ნაღია! ნიაზი ჩემი მეგობარია. ჩვენი ურთიერთობა მხოლოდ ძმაცაცობას როდი გულისხმობს — შემოქმედებითადაც ვმეგობრობთ. „გველისმჭამელის“ მუსიკალურად გაფორმებაზე ნიაზის თანხმობამ მუშაობისას უფრო განგვამტკიცა. სპექტაკლისთვის ილეთები უკრაინის თეატრის ქართველმა ქორეოგრაფმა დაგვიდგა. კიდევ ბევრ რამეს დავამატებთ: თეატრში რეკონსტრუქციის შემდეგ ყველაფერი ნელ-ნელა უნდა მოვსინჯოთ და გავაძლიეროთ.

„გველისმჭამელი“ მაყურებელმა როგორ მიიღო?

— დროთა განმავლობაში ვნახავთ, ვაჟა მის გულზე რამდენად „შევიდა“, ჩვენი სათქმელი რამდენად სწორად გადმოვეცით. ასეთი ჩანაფიქრი გვექონდა: სპექტაკლი ისე უნდა „ნასულიყო“, რომ მაყურებლები „დაგვეჭიროს“ და ტაში მანამდე ვერ დაეკრათ, სანამ სპექტაკლის ბოლოსთვის მტერი მინდიას შვილად არ აიყვანდა. მიზანს მივაღწიეთ, დანარჩენი — გემოვნების საკითხია.

სპექტაკლის მაგიურ პერსონაჟს — მინდიას როლისთვის მსახიობი როგორ შეარჩიე?



თეატრს ასეთი „ხასიათი“ აქვს: შეიძლება, „გამეფდეს“, მაგრამ შეიძლება, ისე „წაიქცეს“, რომ 20 წელი ფეხზე ვეღარ ააყენო...

— დიდი ხანია, რაც დავით ხახიძე რუსთავის თეატრის მსახიობია. მოზარდ-მაყურებელთა თეატრში, „ბრაგომიც“ თამაშობდა. „კოსმოსური არტისტია“, „ნაღდი ურთიერთობის“ კაცია თუ როლი მოენონა, ბოლომდე გულიანად ასრულებს. თუ არ მოენონა, რასაც ეტყვი, გააკეთებს, მაგრამ „იქ არ იქნება“. მინდიას როლი მისთვის საამაყოა, რადგან თავად თუშია. მის სულში მთის მინა ისე ფორიაქობს, რომ დავითთან მუშაობისას პრობლემა არ გვექონია, — ერთმანეთს კარგად გაუგვით.

— ლაშა, თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელობისთვის საკმარისი გამოცდილება გაქვს?

— ეს პასუხისმგებლობა ჩემთვის ძალიან საამაყოა და რთულიც, რადგან ეს კითხვა სულ თან მდევს. გამოცდილებას რაც შეეხება, პირველ კურსზე ვიყავი, როცა პირველი სპექტაკლი დავდგი. 1 წლის განმავლობაში ანშლაგით მიმდინარეობდა. მაშინ ეკა მაზნიშვილი და ლევან ნულაძემ ძალიან გამიმართეს ხელი. მერე ბოლნისში, „გაჩერებულ“ თეატრში სამხატვრო ხელმძღვანელად ვიმუშავე... რუსთავში საკუთარი თავისგან განსაკუთრებულად ბევრს ვითხოვ, რადგან მშობლიურ ქალაქში ვარ.

— რუსთავში როგორი სიტუაციაა — ხალხს თეატრი აინტერესებს?

— თეატრს ასეთი „ხასიათი“ აქვს: შეიძლება, „გამეფდეს“, მაგრამ შეიძლება, ისე „ნაიქცეს“, რომ 20 წელი ფეხზე ვვლარ ააყენო... ახლა რუსთავის თეატრი ახალ ცხოვრებას იწყებს. საზოგადოებაში სპექტაკლების ნახვის სურვილი უნდა გაავსდეს, მოდაში შემოვიტანოთ... სწორ ნაბიჯს თუ გადავდგამთ, ქალაქიც „გამოგვეყვება“. ყველა ცდებოდა, ვინც ამბობდა, — რუსთავის თეატრს მაყურებლები არ ჰყავსო. ძალიან მაგარი მაყურებლები ჰყავს, უბრალოდ, მათი ინფორმირება სწორად უნდა მოხდეს; ამისთვის ვმუშაობთ.

— მათ დანიტერესებს როგორი ცდილობ?

— უპირველეს ყოვლისა, რეპერტუარით. ბევრი გვეკითხებოდა, — ვაჟა-ფშაველას შემოქმედებით რატომ დაინწყით? კომედია დავდგათო. ჩვენ ისეთი გეზი გვაქვს აღებული, რომელიც თეატრისთვის მომგებიანი იქნება, ხალხისთვის კი — საინტერესო. ჩემს დასს დიდ მადლობას ვუხდით,

მისი წევრები ძალიან მიყვარს!..

— კლუბურ თეატრ „ბრაგოს“, რომლის დამფუძნებელიც ხარ, რა ბედი ეწევა?

— „ბრაგო“ ახალგაზრდული, „კეთილი“ თეატრია. ის სულ იცოცხლებს.

— მის საქმიანობაში აღარ ერევი?

— „ბრაგოს“ სხვა გეზი აქვს, იქ სხვა გმირები „ცხვებიან“... კლუბური თეატრი ნიჭიერი ახალგაზრდებისთვისაა. წინათ „ბრაგო“ და რუსთავის თეატრი თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ. ასეთი აზრი ალბათ იმიტომ გაჩნდა, რომ რაც რუსთავის თეატრში უნდა დადგმულიყო, ის კლუბურში იდგმებოდა და — პირიქით...

— შენს მუსიკალურ ჯგუფ „რეგიონში“ რა სდება?

— მუსიკა ერთადერთია, რაც არასოდეს მლღის. იმდენი წელია, ამ სფეროში ვმუშაობ, რომ უფლებაც არ



სწორ ნაბიჯს თუ გადავდგამთ, ქალაქიც „გამოგვეყვება“

მაქვს, თავი დავანებო. ნიაზ დიასამიძესთან, „ფრანთან“ დუეტები გვაქვს ჩანერილი. უკვე დროა, ჩვენმა ჯგუფმა თავისი იდეოლოგია „დადოს“.

— რა იდეოლოგია გაქვთ?

— მეტი სიტბო და ნაკლები შური.

— თქვენს კონცერტზე დასწრეების საშუალება მაყურებლებს სწორად აქვთ?

— ცოტა სანწყენია, რომ რუსთავში უფრო იშვიათად ვართ, ვიდრე — თბილისში, საზღვარგარეთ... ახლახან კიევში ვიყავით. კიდევ რაღაც გეგმები გვაქვს... რაც მთავარია, ჩვენს ქალაქს საჭირო მუსიკალური აპარატურა უკვე აქვს. დროა, აქ ბევრმა შემსრულებელმა დაუწყოს. მუსიკა და თეატრი ძალიან დიდი მეგობრები არიან, თუმცა მუსიკას „არავინ აინტერესებს“ — „ეგოისტია“, თეატრს კი ის სულ სჭირდება.

ანტილუკრასანტი

გზაში საკითხავი კოლაჟი

ქელტენელი თქუბ ივანიძე

15. რა სამწუხაროა, რომ სამხედრო ხელოვნებას ისე ვერ ვფლობ, როგორც მუსიკალურ ხელოვნებას, თორემ მე მას გავანადგურებდი!“, — ამბობდა ბეთჰოვენი ნაპოლეონის შესახებ.

16. „arbeit macht frei“



(„შრომა ათავისუფლებს“) — ეწერა ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკის შესასვლელში.

17. რამდენიმე

წლის წინ ციმბირის უმაღლესმა შამანმა, ტოიზინ ბერგენოვმა განაცხადა, მზად ვარ გავწმინდო რუსეთის დუმის შენობა ავი სულებისგანო. შამანის აზრით, მართლმადიდებლური რიტუალები არ კმარა დუმის შენობიდან ბოროტი ძალების გასაღვენად.

18. გაქცეულ ყმებს, რომლებიც დონელ კაზაკებთან პოულობდნენ თავშესაფარს, ბატონის შიში აღარ ჰქონდათ, რადგან თავისუფალი დონელები დახმარების სათხოვნელად მისულ ლტოლვილებს პატრონთან არ აბრუნებდნენ, როგორც ამას კანონი ავალდებულებდათ. აქედან გავრცელდა ცნობილი გამოთქმა: „ს დონა ვიდაჩი ნეტ“.

19. ალექსანდრე ნეველის სახელობის ორდენზე გამოსახული პიროვნება სულაც არ გახლავთ ალექსანდრე ნეველი. რუსებს არ გააჩნიათ საკუთარი „ველიკი კნიაზის“ არც ერთი პორტრეტი და ორდენზე მსახიობი ნიკოლაი ჩერკასოვი ჰყავთ გამოსახული, რომელმაც ფილმში შეასრულა ნეველის როლი.

20. ალექსანდრე დიუმა „სამ მუშვეტერს“ თავდაპირველად სერიალის ფორმატში წერდა და გაზეთში აქვეყნებდა. რედაქცია მას ჰონორარს სტრიქონთა რაოდენობის მიხედვით უხდიდა და ამის გამო მწერალმა ჰონორარის გაზრდის მიზნით რომანში ახალი პერსონაჟი, ათოსის მსახური, სიტყვაძუნნი გრიმო შეიყვანა, რომელიც კითხვებზე ძირითადად მხოლოდ „კის“ და „არას“ პასუხობდა. რომანის გაგრძელებაში „ოცი წლის შემდეგ“ მწერლის ჰონორარი სიტყვების რაოდენობის მიხედვით განისაზღვრებოდა და ათოსის მსახურმაც, დიუმას საკეთილდღეოდ, ლაპარაკს უმატა.



რუმბოვას უძღვება ექიმი ნინო ჩარბიიშვილი

რევმატიზმი და მისი დიაგნოსტიკა

რამდენიმე მკითხველმა დაგვირეკა და გვთხოვა, რევმატიზმის საკითხებში დაგვაკვლიანეთო. თემა საკმაოდ ვრცელია, ამიტომ „გზის“ ფურცლებზე ორ ნომერში შემოგთავაზებთ. აქვე გაცნობებთ, რომ მკურნალობის ნაწილში მხოლოდ ხალხურ მეთოდებსა და ვარჯიშებს შევხებით.

რევმატიზმი

რევმატიზმი შემაერთებული ქსოვილის (შემაერთებელი ქსოვილი მთელი ორგანიზმის უჯრედებს ერთმანეთთან აკავშირებს) სისტემური ანთებითი დაზიანებაა. რაკი შემაერთებული ქსოვილი ადამიანის ორგანიზმის მთავარი საშენი მასალაა, მისი ანთებითი დაზიანება არა რომელიმე ერთი, არამედ რამდენიმე სისტემის დისფუნქციასა და მწყობრიდან გამოსვლას იწვევს. რევმატიზმი გადატანილი ტონილიტის (ანგინის) ან ფარინგიტის შემდგომი ინფექციური გართულებაა. იგი ნებისმიერ ასაკში შეიძლება განვითარდეს, თუმცა უპირატესად მაინც 6-დან 15 წლამდე ასაკის ბავშვებსა და მოზარდებს ემართებათ, ამასთან, ქალებს — მაკავცებზე 3-ჯერ უფრო ხშირად.

კლინიკური სურათი

რევმატიზმის საწყისი სტადიის სიმწვავე ავადმყოფის ასაკზე დამოკიდებული. ბავშვთა ასაკში რევმატიზმი ნახევარზე მეტად, ანგინიდან ან ფარინგიტიდან 2-3 კვირის შემდეგ იწყება. დასაწყისი უეცარია, თან სდევს მალალი ტემპერატურა,

სიმეტრიული მიგრირებადი ტკივილი მსხვილ სახსრებში (უმეტესად — მუხლებში) და კარდიტის ნიშნები (ტკივილი გულის არეში, ქოშინი, გულისცემის გაძლიერება...).

მოზრდილებსა და ახალგაზრდებში რევმატიზმი თანდათან იჩენს თავს, თუმცა ისიც ანგინის ან ფარინგიტის გადატანიდან 2-3 კვირის შემდეგ ვლინდება. ამ დროს აღინიშნება სუბფერული (3მ გრადუსამდე) ტემპერატურა, მსხვილი სახსრების ტკივილი (ართრალგია) და კარდიტის სურათი.

ამის კვალობაზე, ბავშვებში, იშვიათად — მოზარდებსა და ახალგაზრდებში ტონილოგენური ან ფარინგეალური ინფექციიდან 2-3 კვირის შემდეგ ზემოთ ჩამოთვლილი სიმპტომების უეცარმა აღმოცენებამ უნდა გვაფიქრებინოს, რომ მწვავე რევმატულ ცხელებასთან გვაქვს საქმე. ასეთ დროს აუცილებლად მიმართეთ ექიმს (პედიატრს ან რევმატოლოგს).

რევმატიზმი და

გულ-სისხლქარვთა სისტემა

პირველი რევმატული შეტევის დროს გულის დაზიანება (რევმოკარდიტი) ასიდან დაახლოებით 50-75 შემთხვევაში გვხვდება. უპირატესად ვითარდება ვალვულიტი (სარქვლოვანი აპარატის ანთება), მიოკარდიტი (გულის კუნთოვანი გარსის ანთება) და/ან პერიკარდიტი (გულის გარეთა გარსის ანთება). რევმოკარდიტის, განსაკუთრებით — მისი პირველი გამოვლენის ერთ-ერთ მთავარ კრიტერიუმს ანტირევმატულ თერაპიაზე კლინიკური სიმპტომების დადებითი დინამიკა (შემსუბუქება) წარმოადგენს. დაავადება ხშირად მწვავედ, ტემპერატურის მომატებით, ძლიერი ოფლიანობით იწყება. ავადმყოფი უჩივის ძლიერ სისუსტეს, ყრუ, ზოგჯერ — მჩხვლეთავ ტკივილსა და უსიამოვნო შეგრძნებას გულის



მიდამოში, გულისცემის აჩქარებას, გულის ფრიალს და ქოშინს ფიზიკური დატვირთვისას.

გულის რევმატული მანკი დაავადების დაწყებიდან სამ წელიწადში ყალიბდება. პირველი შეტევის შემდეგ მისი ჩამოყალიბების სისშირე ბავშვებში 20-25%-ს შეადგენს, მოზარდებში — 33%-ს, ხოლო მოზრდილ პაციენტებში — 39-45%-ს.

რევმატიზმი და სახსრები

მწვავე რევმატიზმის პირველი შეტევის შემდეგ სამიდან ორ შემთხვევაში რევმატიზმის ერთ-ერთი წამყვანი სიმპტომი რევმატული პოლიართრიტია. ამ დროს ყველაზე ხშირად, მუხლების, კოჭ-წვივის, სხივ-მაჯისა და იდაყვის სახსრები ზიანდება. ავადმყოფს აწუხებს მოძრაობის შეზღუდვა (ზოგჯერ — სრულ უმოძრაობამდე მიდის), სახსრების ტკივილი, შესივება, შეწითლება. შემთხვევათა 10-15%-ში შეიძლება, თავი იჩინოს პოლიართრალგიამ (რამდენიმე სახსრის ტკივილმა), რომელიც ართრიტისგან იმით განსხვავდება, რომ ავადმყოფს მოძრაობა არ ეზღუდება, პალპაციის დროს არ აღინიშნება ტკივილი და ანთების სხვა სიმპტომები.

რევმატული პოლიართრიტი კუთლთვისებანი მიმდინარეობით, ანთებით დაზიანებათა მფრინავი, ცვალებადი და სიმეტრიული ხასიათით გამოირჩევა. ამ დროს აღნიშნული ცვლილებები ანტირევმატული მკურნალობის ფონზე 2-3 კვირაში რეგრესს (უკუგანვითარებას) განიცდის.

უთუოდ უნდა ითქვას, რომ რევმატული ართრიტი, როგორც წესი, შერწყმულია რევმოკარდიტთან და





იზოლირებულად იშვიათად (15%-ში) მიმდინარეობს.

სხვა სიმპტომები

რევმატიზმის დროს სხვა ორგანოებისა და სისტემების ცვლილებები შედარებით იშვიათად ვითარდება. მწვავე რევმატული ცხელების დროს ასიდან 5-7 შემთხვევაში ზემოაღნიშნულ სიმპტომებთან შერწყმულია ცნს-ის დაზიანება — მცირე ქორეა. ის რევმატიზმით დაავადებულთა 6-30%-ში გვხვდება. მეტწილად, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გოგონები და ქალიშვილები ავადდებიან. პათოლოგიისთვის დამახასიათებელია უნებლიე მოძრაობები. იშვიათად ეს დაავადება ენცეფალიტსა და მემინგიტში გადაიზრდება.

რევმატიზმის დროს მოსალოდნელია კანის დაზიანება. კერძოდ, კანის საფარველზე შეიძლება წარმოიქმნას რგოლისებრი ერითემა (4-17%; უმტკივნეულოა, არ არის მქაფანა და თითის დაჭერით ქრება) და კანქვეშა რევმატული კვანძები (1-3%). ეს უკანასკნელი უმეტესად, მსხვილი სახსრების მიდამოშია ლოკალიზებული და ხშირად თანსდევს პოლიართრიტსა და კარდიტს. კვანძები უმტკივნეულოა და მკურნალობის შედეგად იოლად ქრება.

რევმატიზმის დროს არაა გამორიცხული სერიოზული გარსების დაზიანება — პერიკარდიტის, ძალიან იშვიათად — პლევრიტის სახით.

სხვა კლინიკური სიმპტომებიდან (ე.წ. მცირე კრიტერიუმებიდან) პირველ ყოვლისა, უნდა ვახსენოთ ცხელება, რომელიც რევმატიზმისთვის არასპეციფიკურია და რაიმე თავისებურება არ ახასიათებს. იზოლირებული ქორეის მქონე ბავშვებს ცხელება არ აღენიშნებათ.

ართრალგიები — სახსრებისა და მათ ირგვლივ ძვლების ტკივილი — სახსრების პათოლოგიის შედარებით მსუბუქი ფორმაა და რევმატიზმისათვის არასპეციფიკურია.

დიაგნოსტიკა

კლასიკურ შემთხვევაში, მწვავე რევმატიზმის დიაგნოსტიკა ძნელი არ არის, თუმცა ძირითადი კლინიკური სიმპტომები (გარდა რგოლისებრი ერითემისა და კანქვეშა რევმატული კვანძებისა, რომლებიც იშვიათად გვხვდება) არასპეციფიკურია, სრულფასოვან დიაგნოსტიკებს ართულებს და ჰიპერდიაგნოსტიკამდე მივყავართ.

რევმატიზმის დიაგნოსტიკურება ხდება ტ. დ. ჯონსის დიაგნოსტიკური

კრიტერიუმებით, რომლებიც ამერიკის კარდიოლოგიური ასოციაციის მიერაა მიღებული და შემდგომში მოდიფიცირებული. არსებობს მთავარი (ე.წ. დიდი) და დამატებითი (მცირე) კრიტერიუმები.

დიდი კრიტერიუმები:

- * პოლიართრიტი;
- * კარდიტი;
- * ქორეა;
- * რგოლისებრი ერითემა;
- * კანქვეშა კვანძები.

დამატებით კრიტერიუმებად, რომლებიც ჯგუფის სტრუქტოკო-

კით გამოწვეულ ინფექციაზე მიუთითებს, მიიჩნევა ხახის ნაცხიდან A ჯგუფის სტრუქტოკოკის ამოთესვა და/ან სწრაფი რეაქცია სტრუქტოკოკური ანტიგენების ტესტებზე.

შედარებით არასპეციფიკური (მცირე) კრიტერიუმებია:

- 1) ართრალგია (სახსრების ტკივილი), ცხელება;
- 2) ლაბორატორიული მაჩვენებლები — მწვავე ფაზის ცილების მომატება, ედსის, C რეაქტიული ცილის ცვლილებები, ekg-ზე PR ინტერვალის გაზრდა.

C რეაქტიული ცილა რამდენად ინფორმაციულია

C რეაქტიული ცილა რევმატული პროცესის სიმწვავეს, აქტივობას ასახავს, მაგრამ მისი დიაგნოსტიკური მნიშვნელობა გადაჭარბებით ფასდება, რაც ხშირად სამედიცინო შეცდომის მიზეზი ხდება, ამას კი, თავის მხრივ, სრულიად გაუმართლებელი და არცთუ უვნებელი ხანგრძლივი მკურნალობა (მაგალითად, ბიცილი-

ნის ყოველდღიური შეყვანა) მოჰყვება.

C რეაქტიული ცილა საკმაოდ მგრძობიარეა, მაგრამ — ისევე, როგორც ანთების მწვავე ფაზის სხვა მაჩვენებლები, — ისიც არასპეციფიკურია და ასევე იმატებს ნებისმიერი სხვა ანთებითი პროცესის შემთხვევაშიც.

P.S. პროფილაქტიკასა და მკურნალობაზე ინფორმაციას „გზის“ მომდევნო ნომერში შემოგთავაზებთ.

P.S. პატივცემულო მკითხველებო, მოგვწერეთ, თუ რომელი დაავადების შესახებ გასურთ ინფორმაციის მიღება. რასაკვირველია, ჩვენი ჟურნალის ფურცლებიდან სრული განკურნების მიღწევა შეუძლებელია, მაგრამ იმის გაგებას, თუ რა შეიძლება იყოს თქვენი ჩივილების მიზეზი და ვის უნდა მიმართოთ, ნამდვილად შეიძლება. რუბრიკის ავტორს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელეფონის ნომერზე: 5(99) 30.35.97 ან ელფოსტაზე: nino.char@yahoo.com.

თავაზური წიგნები
ჟურნალ „ოჯახის მკურნალობა“ პირად
წიგნი №10
3 ნომბრიდან

სარიის მომთავეთა თაგები:
 №11 ყველაფერი თაგის ბავიბილის შესახებ
 №12 ყველაფერი სისხლდენის შესახებ
 №13 ყველაფერი სახსრების დაავადებების შესახებ

უკანა გათქმული წიგნები შეიძლება შეიძინოთ წიგნის მაღაზიაში!



ბიბლუსი

ბიბლუსი — იგივეა, რაც პაპირუსი, გრაგნილი, წიგნი

წვეთი პოეზია

* * *

ველურმა ვარდმა დაფარა ძელი,
ჭრიალებს ყიბე დროთა

ჭრილობით,

ნელ-ნელა მიდის თაობა ძველი
სიდარბაისლით, უდემით,

ზრდილობით...

ქედებზე ლურჯი სალამო წვება,
და გარეუბნებს ტოვებს ივლისი...

ვისმენ იშხნელებს და გული მწყდება...

და სიბნელეში მოჩანს თბილისი...



რეზო ავაგუაელი

სახსოვარი



სოლომონ დოდაშვილი

◆ სათნოება, სიბრძნე და სიმართლე არიან საჭირონი ბედნიერებისათვის.

◆ ცნობა თავისა თვისისა არს საიმედო მკურნალობა ამპარტავნებისაგან.

◆ არა გვართა იქების კაცი, არამედ გონებითა და მოქმედებითა.

◆ განათლება არს უმტკიცესი და უსაიმედოესი საფუძველი კეთილმდგომარეობისა ყოვლისა საზოგადოებისა.

ქართულ სიჭყვათა კონა

შედგენილია

არნოლდ ჩიქობავას რედაქტორობით

1982 წელს გაიმოცემული

ქართული ენის

განმარტავიტი ლექსიკონის

ერთტომეულის მიხედვით

შემდგენილი თეგურ ივანისა

ა

დასაწყისი იხ. „გზა“,

№2-52, 2010 — №1-43, 2011

მინალთუნი თურქ. (ძვ.) — ერთი მანეთი.

მინამბერი — მუშა, რომელიც მინის ნაკეთობას ამზადებს ბერვით.

მინარეთი არაბ. — მეჩეთის კოშკი, საიდანაც მუსლიმანებს მოუწოდებენ სალოცავად.

მინდი (ძვ.) — მარცვლეულის დაფქვის საზღაური მარცვლის ან ფეკელის სახით.

მინიატურა იტ. — 1. ფერადებით მოხატული მთავრული ასო ან სურათი ძველ ხელნაწერებში; 2. ფაქიზად შესრულებული პატარა ხატი რაიმე ნაკეთობაზე; 3. პატარა ლიტერატურული ან მუსიკალური ნაწარმოები; 4. დაპატარავებული რამ.

მირონი ბერძნ. — სურნელოვანი ზეთი, ნელსაცხებელი, რომელიც მზადდება ტროპიკულ მცენარეთა ფისისგან; იხმარება ქრისტიანული მღვდელმსახურების დროს.

მირჩილა — ლითონის ნაწილების ერთმანეთთან დაკავშირება (კალით).

მისამარას (კუთხ.) — ნანილაკი; გამოხატავს მუქარას: გიჯობს, გირჩვენია (მისამარას ჭკუით იყავ!).

მისხი — შორეული ნათესავი (მისხის მისხი — ძალიან შორეული ნათესავი).

მისხალი — ძველებური წონის ერთეული, უდრის დაახლოებით — 4,25 გრამს.

მიტკალი — ბამბის თეთრი ქსოვილი.

მიტრა ბერძნ. — მღვდელმთავრის მთავარი თავსარქმელი; გვირგვინი; იხუთავენ მღვდელმსახურების დროს.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ადრე წასული კაცის ფიქრები

ლადო ასათიანის უბის წიგნაიდან

დასაწყისი იხ. „გზა“ №43

• „ვინც ღვინოს არ ეტანება, ყველა ღვინისმსმელი ლოთი და ვაგაბუნდი ჰგონია. ყურძნისა და ღვინის ქვეყანაში ლოთები უფრო ნაკლებია, ვიდრე უვენახო და უვაზო მხარეში,“ — ეს გერცენის ნათქვამია.

• „ვეფხისტყაოსანს“ გაჩუქებ, მასვე გაგატან მზითევად, ბნელში გადაშლი, აშუქებს, იფრქვევა მარგალიტებად... გმირობის გამომხატველმა, აგასიმღეროს, ვარდო, მან... ასე დასწერა ქართველმა ასათიანმა ლადომან.

• ჭიანჭველამ თუ იცის ჩვენი არსებობა? საერთოდ, ცხოველებმა თუ იციან, რას ვხლავართობთ ჩვენ. საინტერესოა, რას ფიქრობენ, როცა უყურებენ ჩვენს ნაცოდვილარსა და ნახელავს? ალბათ, ჩვენც იმ ჭიანჭველასავით ვერ ვხედავთ და არ ვიცით ბევრი რამ. იქნებ არის ვინმე ჩვენზე დიდი და ახლა ის დაგკყურებს, როგორც ჭიანჭველებს. ჩვენ კი ვერ ვგრძნობთ ამას!

• მშვენიერი ხალხური სიმღერები: „ფერად შინდი“, „ვახტანგური“, „შვიდკაცა“, „წინწყარო“, „ბროლის ყელსა“ და სხვები, — მეტად ძნელად შესასრულებელი და ჩახლართული სიმფონიებია.

• უილუსტრაციო წიგნი ცოცხალი ლექსითაა. რა იქნებოდა „დონ კიხოტი“ უდორეოდ?

• ელიოზ ხუციშვილმა მითხრა:



ერთხელ კონსტანტინე გამსახურდია დავინახეთ პროსპექტზე. მარტოლმარტო იყო

ზოგიერთი რომანის წაკითხვამდე უნდა ამოხიო და გადააგდო ის წინასიტყვაობა, რომელიც თან ერთვის ამ რომანს, რადგანაც აბითურებს ავტორსა და მის მსოფლმხედველობას და ადამიანს წაკითხვის ხალისს უკარგავს.

• სიძნელეთა წინაშე კაცი არ უნდა შედრკეს და ქვითინი არ უნდა დაინყოს.

• ზოგიერთები, იმის გამო, რომ ხეირიანი ხმის იოგები აქვთ, ხალხის სახელით ლაპარაკის მონოპოლიას იჩემებენ.

• რა მერქმეოდა მე სახელად, სხვა რომ ვყოფილიყავ, სხვა ქვეყნისა და გვარის კაცი? ისევ ლადო?

• ანდაზა: მდივნები წავლენ, წამოვლენ, მწერლები დარჩებიანო.

• ისე მწყუროდა მე შენი ნახვა, ვით უცხოეთში ქართველს ქართველი...

• ერთხელ კონსტანტინე გამსახურდია დავინახეთ პროსპექტზე. მარტოლმარტო იყო. გვიდოდა მისვლა. გვერდი ავუარ-ჩავუარეთ — ვერ შეგვაჩნია. წინ გავუსწარიტო, უკანვე დავბრუნდით და მოწინებით მივესალმეთ. შემდეგ ბევრი ვისაუბრეთ. ეს დამამახსოვრდა:

— „ჩემო მეგობრებო, — გვითხრა მან, — მეგობრობით შეგნებულად მოგმართავთ, რადგან ჩემი სიტყვის მეგობარს ჩემად ვთვლი. უკანასკნელ ხანს ისე კარჩაკეტილია ჩემი ცხოვრება, რომ გარესამყაროდან კანტიკუნტად თუ შემოაღწევს ისეთი თბილი სიტყვა, როგორც თქვენგან მესმის. საერთოდ, აღარავისა და აღარაფრისათვის დამრჩენია მოცლა ამქვეყანაზე. ნამდვილი ანაქორეტის ცხოვრებას ვეწევი, რადგან უამისოდ ვერაფერს გააკეთებს ადამიანი. ამჟამად ვერიდები მძაფრ შთაბეჭდილებებს და ადამიანებთან შეხვედრას მრავალგზის, რათა ერთხელ დამყარებული განწყობილების დონე შემრჩეს.

...მე მგონია, მწერლის ერთადერთი ჰონორარი ეს ის სიყვარულია, რომელსაც უცნობი ადამიანებისაგან გაიგონებ. ამ დილით ფოსტალიონმა გამაღვიძა, ღამენათევი. ერთმა მოსკოველმა ჭაბუკმა ფრიად ტკბილი ბარათი მომწერა. ხანაც დაფიქრებული ვრონინებ ქუჩაში და ვილაც უცნობი წამომენევა და მელაპარაკება იმ სიყვარულის გამო, რაც დამითესია მის გულში, სხვა რაღაა? თითქმის არც ერთი ჩემი წიგნი ხანგრძლივად არ არის ჩემს



წიგნთსაცავში. ჩვენ, პოეტები და მწერლები, ყველაზე საწყალნი ვართ, — გამოთქმის ტანტალოსნი. საშინელია, მაგრამ ტკბილი წაწყმედებაა შემოქმედება და, ვინც ამ თრი-აქით მოიშხამება, მშვიდობა არ უწერია მის სულს.

სხვა ყოველივე ამაოების ეფენების ჟღარუნია მხოლოდ. ვგონებ, შემოქმედებაც. ასე ვფიქრობ ხანდახან. და ეს იმიტომ, რომ ბუნება დედალ ღორსა ჰგავს გააფთრებულს, საკუთარი გოჭების მშუსვრელს. ვინ იცის, ეგებ, ყოველივე თებაისა და პომპეის დაამსგავსოს დროთა ბრუნვამ...

...ჩვენი ჟურნალ-გაზეთების არსებობა სასიხარულო მოვლენად მიმაჩნია, მაგრამ უნდა მოგახსენოთ, ძალიან გულნატკენი ვრჩები ყოველთვის, როცა უსამართლოდ გამაბიაბრებენ და გამკვილავენ... თუ რომელიმე კრიტიკოსი სტილის გამოწერილის წერას დაინწყებს, მე უნდა დამეტაკოს და ჩემი „არქაული სიტყვაქმედობა“ ასე დაასაბუთოს: რად ხმარობსო ჰაე-სა და ა.შ. ნუთუ მწერალს არა აქვს უფლება, როცა კონტექსტი მოითხოვს, XIX საუკუნის ლექსიკას გადასცდეს? უნდა გაიგოს კრიტიკოსმა, რომ ეს არქაული არაა. მარსელ პრუსტი უახლოეს ფრანგულში, საშუალო საუკუნის ძველი ფრანგულის ლექსიკონიდან სესხულობდა სიტყვებს...“

საერთოდ, ამდენ ხანს კონსტანტინეს მისი ნაწერებით უფრო ვიცნობდით და დაახლოებულნი არ ვიყავით მაინცდამაინც. ამიტომ, ცოტა უფრო გვერიდებოდა და გვეუხერხულებოდა მასთან საუბარი და სეირნობა. მაგრამ იგი ძლიერ კარგი ადამიანია, ჩვეულებრივი მოსაუბრე, მომღიმარი და გულთბილი მასპინძელი.



რუსუდან პერიკა

ოპერატიულ თათბირზე ბოლოს მისული აქოშინებული ჩავლეიშვილი სულს ძლივს ითქვამდა. შეკრებილები გაკვირვებით მიაშტერდნენ, მაგრამ კითხვით მაინც არაფერი უკითხავთ. თათბირმა ათიოდე წუთს გასტანა, რადგან გამოძიებასთან დაკავშირებით ახალი სათქმელი არავის აღმოაჩნდა. და ის იყო, დაშლას აპირებდნენ, რომ უეცრად ირაკლი იკითხა:

— ხომ ვერ მეტყვი, ვინ არის თეიმურაზ ქსოვრელი?

— ქსოვრელი? — გაკვირვებით შეხედა მას ანდრო მიროტაძემ. — მეგონა, მას საქართველოში ყველა იცნობდა.

— მაშინ ჩავთვალეთ, რომ ცხოვრებას ჩამოვრჩი და იქნებ ვინმემ „გამანათლოს“.

— თეიმურაზ ქსოვრელი ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ქართველი ბიზნესმენია, რომელიც, თავისი საქმიანობიდან გამომდინარე, დროის დიდ ნაწილს საზღვარგარეთ ატარებს. საქართველოში დაბრუნებისას კი ჩრდილში ყოფნას ამჯობინებს და თბილისთან ახლოს, თავის სახლში კარჩაკეტილად ცხოვრობს.

— ოღონდ, ის უბრალო სახლი არ გეგონოს, — დასძინა ლევან ხარაიშვილმა, — ნამდვილი სასახლეა, რომლის ბაღშიც ფარშავანგები დაწარნარებენ, აუზში კი ოქროს თევზები დასრიალებენ — მოკლედ, ეს კაცი ფულს არ ითვლის...

— ნუ გავიწყდება, რომ ქსოვრელი ქველმოქმედია, — დაამუნათა ხარაიშვილი ლვინიაშვილმა, — ისე, მართლა რას არ გააკეთებ, როცა ამდენი ფული გაქვს...

— ასეა თუ ისე, თეიმურაზ ქსოვრელი თავისი საქმიანობით პატივისცემას იმსახურებს, — მაინც თავის აზრზე იდგა მიროტაძე, — ფული საქართველოში სხვებსაც არ აკლიათ, მაგრამ სარგებლის გარეშე ერთ თეთრსაც ვერ გააგდებინებ.

— რაც შეეხება ფულს, ალბათ, იცით, რომ თეიმურაზ ქსოვრელი ამირან ალადაშვილის კლიენტი იყო და ავარიის დღეს ადვოკატი სწორედ მისგან მოდიოდა, — დასძინა ჩავლეიშვილმა, — ამიტომაც, მის მონახულებასა და ცოტა უფრო ახლოს გაცნობას ვაპირებ.

— ოღონდ, ჯერ წინასწარ დაურეკე და მისვლაზე შეუთანხმდი, —

ქართული დეპეჩივი

წარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით gza.fantazia@gmail.com



პანკსის პანელი

ნამოდგა ანდრო და ამით ოპერატიული თათბირი დასრულდა.

თათბირიდან გამოსულმა ჩავლეიშვილმა ყავა დაისხა და თავისი კაბინეტისკენ გასწია. ახლა მისი ფიქრი სოფიო ბიბილაშვილის სახლიდან გამოსულ უცნობ ქალს უტრიალებდა. გამოძიებელს ინტუიცია კარნახობდა, რომ ამ ქალთან რაღაც მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო დაკავშირებული, რაც გამოძიების საქმეში გარკვეულ სიცხადეს შეიტანდა. ის იყო, ირაკლი მაგიდას მიუჯდა და ქაფქაფა ყავით სასვე ფინჯანი გვერდით მოიდგა, რომ ქალაქის ტელეფონი ანკრიალდა. გამოძიებელი ყურმილს დასწვდა, მაგრამ შემთხვევით ფინჯანს გაჰკრა, გადააბრუნა და ყავა შარვალზე გადაისხა.

— ფუ, შენი!.. — წამოიძახა მან და ყურმილი ყურზე გაცოფებულმა მიიღო.

— მაინც ვისი? — გაისმა ყურმილში ჩავლეიშვილის მამის, ცოტნეს ხმა.

— აჰ, მამა შენ ხარ? — შერცხვა ირაკლის.

— მე ვარ, აბა, ვინ უნდა იყოს? ერთხელ არ უნდა დარეკო, ბიჭო? ან ეს ტელეფონში გინება რა უბედურებაა?

— ყავა გადამესხა და ფეხი დამეწვა... — ბავშვით თავის მართლებას მოჰყვა ირაკლი, რომელსაც ნელ-ნელა ბრაზი ემატებოდა.

ასე ემართებოდა მამასთან ყოველი ურთიერთობისას. „ნეტავ, ოდესმე თუ მოვრიგდებით?“ — თავისთვის გაიფიქრა.

— მანდ რას აკეთებ? — თითქოს შვილის ნათქვამი საერთოდ არ გაუგონიაო, ისე განაგრძო ცოტნემ. — თუ მასსოვრობა არ მალატობს, რამდენიმე დღის წინ, ისე ავად იყავი, რომ ექიმები საპენსიოდაც კი გამზადებდნენ.

— რამდენიმე დღის წინ ასე იყო, მაგრამ ახლა ისევე სამსახურში ვარ.

— გასაგებია.

— რა არის გასაგები?

— ის, რომ მამის გარდა ყველაფრისთვის იცვლი.

„დაიწყო...“ — გაიფიქრა ჩავლეიშვილმა, რომელმაც უკვე კარგად იცოდა, მსგავსი საუბრები როგორც მთავრდებოდა.

— სალამოს შემოგივლი და ყველაფერს დანვრილებით აგიხსნი, ახლა კი სასწრაფო საქმეზე უნდა გავიქცე, — ლაპარაკის გაგრძელება აღარ ისურვა მან.

— გაიქეცი, ოღონდ, ბეჭი არ ამოიგდო, — ჩაიბურღლუნა ცოტნემ და შვილს ყურმილი დაუგდო.

ჩავლეიშვილს ხასიათი უფრო გაუფუჭდა. ადრე დაქვრივებულ მამასთან დავარცხნილ-დალაგებული ურთიერთობა არც არასდროს ჰქონია და მის ბუზლუნსა და საყვედურებსაც მიჩვეული იყო, მაგრამ მას შემდეგ, რაც ირაკლის კაცი შემოაკვდა, ცოტნე მართლა ქადაგად დავარდა: „ხომ გეუბნებოდით, პოლიციელობა შენი საქმე არ არის-მეთქი. არ დამიჯერე და ამიტომაც წაიტეხე კისერი“, — გაუთავებლად უმეორებდა შვილს და ამით, ცეცხლზე ნავთს ასხამდა. ბოლოს ირაკლიმ ვეღარ გაუძლო და მამას აღარ ეხმინებოდა. ვალში არც ცოტნე დარჩა და აღარც მას შეუწუხებია თავი შვილის მოკითხვით. ერთ დღეს კი, ირაკლიმ შორეული ნათესავისგან შეიტყო, რომ მამამისს მასზე თითქმის ოცდაათი წლით უმცროსი ქალი შეერთო ცოლად. ეს ქალი მამას ჩავლეიშვილმა თვითონ დაუქირავა და ისიც უქალოდ დარჩენილ მოხუცთან კვირაში სამჯერ მიდიოდა და საოჯახო საქმეებში ეხმარებოდა. მამის საქციელმა ირაკლი თავიდან ისე გააცოფა, რომ ადგილს ვეღარ პოულობდა, მაგრამ მერე თავი იმით



დაიმშვიდა, რომ ხმის გამცემი მაინც ეყოლებათ.

ჩავლემშვილმა ხელში შერჩენილი ყურმილი დადო, შარვალი ცხვირსახოცით გაწმინდა და დერეფანში ახალი ულუფა ყავის დასასხმელად გავიდა, სადაც ანა მორჩილაძეს გადაეყარა.

— როგორ მიდის საქმე? — ჰკითხა მან ქალს.

— მდორედ და მოსაწყენად, — უპასუხა ანამ.

— სულ ეს არის?

— არა. კიდევ იმის განცდაც არაფრით მტოვებს, რომ ამ ორი ადვოკატის სიკვდილში რაღაც უჩვეულო უნდა იყოს.

— მართლა? — წამოიძახა ქალის სიტყვებით სასიამოვნოდ გაკვირვებულმა ჩავლემშვილმა. — კონკრეტულად მაინც რა გეჩვენება უჩვეულოდ?

— ჯერ ვერ ვხვდები, — მხრები დამნაშავესავით აიჩეჩა ანამ.

— მეც შენს დღეში ვარ, — გაელიმა ირაკლის, — მოდი, ხვალ უფრო დანვრილებით დავილაპარაკოთ. იქნებ ერთად მივიდეთ რაღაც დასკვნამდე.

— სიამოვნებით.

კაბინეტში დაბრუნების შემდეგ ირაკლიმ ბლოკნოტი ამოიღო და ჩაწერა: „მგონი, ანას სახით ამ საქმეში ერთი მოკავშირე მაინც გამოჩნდა... თავად საქმის გამოძიება კი ჩემთვის ჯერ კიდევ გურამ ალადაშვილის სიცოცხლეში დაიწყო“. შემდეგ იმ ყველაფრის გახსენება სცადა, რაც 2 დაღუპული ადვოკატის შესახებ იცოდა. მის ხელთ არსებული ყველა ფაქტის შეჯერებასა და შეფასებაში თითქმის ერთი საათი გავიდა. „მაინც რა არის ისეთი, რასაც თითქოს ვხედავ, მაგრამ მაინც ვერაფრით ვამჩნევ? — გაუთავებლად ეკითხებოდა საკუთარ თავს. — ამირან ალადაშვილი ცოტა უცნაურ, ალბათ, უფრო ინსცენირებულ ავტოკატასტროფაში დაიღუპა. ამის ჩამდენი (თუ სულაც ჩამდენი) გულცივი მკვლეელი იყო, რომელიც დანაშაულის კვალის დაფარვას ყველანაირად შეეცადა. და ტალახში ჩარჩენილი სკამის მოტეხილი ფეხი რომ არა, მიზანს მიაღწევდა კიდევ. ეს მისი ერთადერთი, მაგრამ შეიძლება, საბედისწერო შეცდომაც კი აღმოჩნდეს. როგორც ყოველთვის, ამჯერადაც 2 მთავარი მომენტია გასარკვევი: ვის და რატომ დასჭირდა ამის გაკეთება? მაგრამ იქნებ კიდევ არის რაღაც სხვა, რაც ასევე უნდა გავითვალისწინო? მაგრამ რა?“ ჩავ-

ლემშვილი მიხვდა, რომ რამდენიმე დამატებითი საკითხის გარკვევის გარეშე წინ ვერ წაინდვდა. ამიტომ, ტელეფონის ყურმილს დასწვდა და სოფიო ბიბილაშვილის ნომერი აკრიბა.

— ბოდიში, რომ განუხებთ, მაგრამ ერთ კითხვაზე სასწრაფო პასუხის მიღება მჭირდება.

— მზად ვარ თუ, რა თქმა უნდა, პასუხი მაქვს, — მშვიდად მიუგო სოფიომ.

„ისე, ამ ქალთან ერთი კი არა, 2 კითხვა მაქვს“, — გაახსენდა ჩავლემშვილს, მაგრამ სოფიოს სახლიდან გამოსული ახალგაზრდა ქალის ამბის გარკვევა ბოლოს მაინც სხვა დროისთვის გადადო.

— დალუპვის დღეს ამირან ალადაშვილი თეიმურაზ ქსოვრელს მის სახლში შეხვდა. რამდენმა ადამიანმა იცოდა ამ შეხვედრის შესახებ?

სოფიოს პასუხის გაცემა არ უჩქარია. „საინტერესოა, ზუსტად ვერ იხსენებს თუ რაც შეიძლება დამაჯერებელი პასუხის ჩამოყალიბებას ცდილობს?“ — გაიფიქრა ჩავლემშვილმა.

— ეს, პირველ რიგში, ვიცოდი, — როგორც იქნა, ამოლერდა სოფიომ, — და შესაძლოა, მაია ლობჯანიძესაც ვუთხარი, მაგრამ ალბათ, უფრო არ მითქვამს. სამწუხაროდ, ზუსტად ვერ ვიხსენებს.

— გურამ ალადაშვილმა არაფერი იცოდა?

— არა მგონია. მამა-შვილს სხვადასხვა სამუშაო გრაფიკი ჰქონდა და შეხვედრებსაც დამოუკიდებლად გეგმავდნენ.

— მაშინ გამოდის, რომ ეს ამბავი მხოლოდ თქვენ იცოდით.

— ასე გამოდის თუ, რა თქმა უნდა, თეიმურაზ ქსოვრელს არ მივიღებთ მხედველობაში.

— დიახ, რა თქმა უნდა... დიდი მადლობა და დიდი ბოდიში რომ შეგანუხეთ, — უთხრა ქალს ირაკლიმ და მაშინვე დაემშვიდობა.

მეორე დღით ქუჩაში გამოსულ ჩავლემშვილს უეცრად თავში გაუელვა, რომ სამსახურში მისვლასა და თათბირზე უაზრო ჯდომას პირდაპირ თეიმურაზ ქსოვრელთან ნასვლა აჯობებდა. „მაგრამ შინ რომ არ დამხვდეს? — წამით ჩაფიქრდა იგი. — არა უშავს, ვიღაც ხომ მაინც დამხვდება. გზიდან დაფურეკავ და გავაფრთხილებ, რომ მისვლას ვაპირებ.“ — დაასკვნა მან ბოლოს და გეზი პირდაპირ ბიზნესმენის სახლისკენ აიღო. ამირან ალადაშვილის დაღუპვის ადგილზე მანქანა მცირე

ხნით შეაჩერა და იქაურობა კიდევ ერთხელ დაკვირვებით მოათვალიერა, მაგრამ ახალი ვერაფერი შეინიშნა. ამიტომ, მანქანა ისევ დაქოქა და ცოტა ხანში გზის პირას მდებარე პატარა კაფესთან გაჩერდა.

კაფე ცარიელი იყო. ირაკლიმ ყავა შეუკვთა. დრო ნელა გადიოდა. ჩავლემშვილი ყავას ნელ-ნელა წრუპავდა და, თან, გონებაში ქსოვრელთან გასამართი საუბრის გეგმას აწყობდა. შემდეგ მობილური ტელეფონი ამოიღო და სამსახურში დარეკა. ადგილზე მხოლოდ გოგი ღვინიაშვილი დახვდა. ის სამსახურში ყოველთვის ადრე ცხადდებოდა. ჩავლემშვილმა ორი სიტყვით აუხსნა, საქმეზე მივდივარ და სამსახურში ცოტა მოგვიანებით გამოვჩნდები.

— იცი, დღეს დილით რომ გამეღვიძა, რა ვიფიქრე? — დაიწყო უცბად ღვინიაშვილმა.

— მაინც რა?

— რა და ის, რომ ამირან ალადაშვილი მისმა შვილმა მოკლა.

— შვილმა? — გაკვირვება ვერ დამალა ჩავლემშვილმა.

— ჰო, რა გაგიკვირდა?

— შეიძლება, მართლა ასე იყო, მაგრამ მაშინ იმას როგორ ახსნი, ამის შემდეგ თვითონ შვილს რაც დაემართა?

— მარტივად. რაც დრო გადის,



უფრო ვრწმუნდები, რომ ამ საქმის გახსნის გასაღები მამა-შვილის საქმიანობაშია საძებნელი და არა მათ პირად ცხოვრებაში.

— ანდა, ერთშიც და მეორეშიც.

— რა თქვი?

— არა, არაფერი, — პასუხს თავი აარიდა ჩავლემშვილმა, — მოკლედ, იმის სათქმელად დავრეკე, რომ დღეს ცოტა შემეგვიანდება.



ღვინიაშვილთან გამომშვიდობების შემდეგ ირაკლიმ ქსოვრელის მამულის ტელეფონის ნომერი აკრიბა. მას იმწამსვე უპასუხეს:

— გისმენთ, — გაისმა ყურმილში ქალის სასიამოვნო ხმა.

— გამომძიებელი ირაკლი ჩავლევდილი გახლავართ. ბატონ თეიმურაზ ქსოვრელთან მინდა დალაპარაკება.

— ბატონი თეიმურაზი ჟენევაშია.

— როდის დაბრუნდება?

— ზუსტად ვერ გეტყვი.

— ხვალ, მომავალ კვირაში, ერთ თვეში?... როდის?

— ამის თქმა ტელეფონში არ შემძლია. თანაც, ბატონი თეიმურაზის მოგზაურობის გრაფიკი მკაცრადაა გასაიდუმლოებული.

— არ დაგავიწყდეთ, რომ პოლიციის წარმომადგენელს ელაპარაკებით, — ხმაში გაღიზიანება დაეტყო ჩავლევდილს.

— რით დამიმტკიცებთ რომ მართლაც პოლიციიდან ხართ? ასე აქ ნებისმიერს შეუძლია დარეკვა და იმის თქმა, რომ პოლიციიდანაა.

— გასაგებია. თხუთმეტ წუთში ბატონი ქსოვრელის სახლთან ვიქნები. ვინ ვიკითხო?

— ადგილზე დაცვა დაგვდებათ და ყველაფერს ის აგისწიოს. იმედია, პირადობის დამადასტურებელი ნამდვილი საბუთიც თან გექნებათ.

— ნამდვილი რას ჰქვია?

— აი, ამას კი უკვე ადგილზე გავარკვევთ, — ცივად მოუჭრა ქალმა და ყურმილი დადო.

ჩავლევდილმა ყავის ფინჯანი მაგიდაზე ხმაურით დადგა, ოფიცინანტს ფული გადაუხადა, კაფედან სწრაფი ნაბიჯით გავიდა და მანქანაში გაცოფებული ჩასტა. ცოტა ხანში ცენტრალური გზიდან გადაუხვია. ქსოვრელის მამულისკენ მიმავალი გზა გულმოდგინედ იყო მოასფალტებული. მამულს გარს ქვის მაღალი გალავანი ერტყა. ირაკლი გალავანს გაუყვა და ცოტა ხანში უზარმაზარ ალაყაფთან აღმოჩნდა, რომლის ერთ კუთხეშიც რაღაც ბუნკერის მსგავსი დაბალი შენობა იდგა. ჩავლევდილი მიხვდა, რომ ეს დაცვის ჯიხური უნდა ყოფილიყო. მანქანა გააჩერა და დაელოდა, სანამ მის შესახვედრად ვინმე გამოვიდოდა, მაგრამ „ბუნკერიდან“ არავინ გამოსულა. რეაქცია არც ჩავლევდილის მანქანის სიგნალს მოჰყოლია. და ის იყო, მანქანიდან გადასულ საბოლოოდ გაცოფებულ ირაკლის ალაყაფზე მუშტების ბრა-

გუნი უნდა დაენყო, რომ „ბუნკერის“ რკინის კარი, როგორც იქნა, გაიღო და იქიდან უცნაურ უნიფორმადი ჩაცმული მამაკაცი გამოვიდა. ჩავლევდილს აქამდე მსგავსი ფორმა არავისზე ენახა და ვერაფრით შესწევოდა იმას, რომ სხვადასხვა დაცვის სამსახური ქვეყანაში უკვე ლამის სოკოებივით მრავლდებოდა.

ამასობაში დაცვის თანამშრომელი ჩავლევდილის მანქანას მიუახლოვდა:

— ბატონ ირაკლის ვახლავართ.

მამაკაცი ირაკლიმაც მამინვე იცნო:

— მერაბ, შენ აქ საიდან?

— პირდაპირ პოლიციიდან... ასეა, ძმაო, ცხოვრება... თქვენ „დამბრაკეთ“, ესენი კი ხელგაშლილი შემხვდნენ...

ჩავლევდილმა და მერაბ კაკაურიძემ მრავალი წლის წინ, თითქმის ერთად დაინწყეს პოლიციაში მუშაობა. ირაკლი მამინ მთლად პირტიტველა ყმანვილი იყო, მერაბი კი მასზე 3-4 წლით უფროსი თუ იქნებოდა. განსაკუთრებულად არ დამეგობრებულან, ერთმანეთთან უფრო სამსახური აკავშირებდათ. მოგვიანებით კი ჩავლევდილი სხვა განყოფილებაში გადავიდა სამუშაოდ და კარგა ხნის შემდეგლა შეიტყო, რომ კაკაურიძე პოლიციიდან წასულიყო, უფრო სწორად, რომელიღაც სერიოზულ საქმესთან დაკავშირებული ნივთმტკიცების გადამალვის გამო დაეთხოვათ.

— გამიკვირდა, როცა მითხრეს, რომ აპირებდი მოსვლას, — გამომძიებელი ყურადღებით აათვალიერჩათვალეირა კაკაურიძემ.

— აი, მე კი ძალიან გამიმართლა, რომ შენ დამხვდი აქ. თორემ მითხრეს, რომ თუ ნამდვილ პირადობის მოწმობას არ წარმოგიდგენ, ხმასაც კი არ გაცემთო. ამისსენი ერთი, თქვენთან ნამდვილად რა ითვლება?

— ნამდვილი ყველგან ნამდვილია. უბრალოდ, ჩვენთან უსაფრთხოება განსაკუთრებით მაღალ დონეზეა დაცული და ყველა მომსვლელს საგულდაგულოდ ვამოწმებთ.

— ასეთს მაინც რა სიმდიდრეს იცავთ ამ მაღალი კედლების მიღმა?

— სიმდიდრე არაფერ შუაშია. მთავარი აქაურობის პატრონის უსაფრთხოება და სიმშვიდეა.

— თეიმურაზ ქსოვრელს გულისხმობ?

— რა თქმა უნდა. აბა, სხვას ვის უნდა ვგულისხმობდე? ამ კაცს ისე-

თი რამე აქვს, რაზეც ბევრი ვერც კი იოცნებებს.

— მგონი, სიმდიდრეზე ოცნება ჯერ არავისთვის აუკრძალავთ?

— სიმდიდრეზე არ ვამბობ.

— აბა, კიდევ რა აქვს შენს ბოსს ასე გამორჩეული?

— მრავალმხრივი ცოდნა.

— ცოდნა?

— აბა, რა. და ის აქ ნებისმიერ ფულზე უფრო ფასობს.

— „აქ“ სად? ამ ცხრაკლიტულში?

— თუნდაც.

— ყველაფერი გასაგებია, — კეფა მოიფხანა შეფიქრიანებულმა ჩავლევდილმა, — ალბათ, ხვდები, აქ რატომაც ვარ.

— რა მიხვედრა უნდა? ალბათ, იმ ადვოკატის გამო.

— ადვოკატების, — დაუზუსტა კაკაურიძეს ჩავლევდილმა. ორი ადვოკატი მკვდარი, თანაც — მამაშვილი. თუმცა, თუ არაფერი მეშლება, ქსოვრელთან მხოლოდ მამას ჰქონდა ურთიერთობა.

— მეც ასე ვიცი. სხვათა შორის, ის მოხუცი ადვოკატი აქაურობას ხშირად სტუმრობდა.

— უკანასკნელად ის აქ ავტოავარიამდე რამდენიმე საათით ადრე იყო. იმ საღამოს შემთხვევით შენ ხომ არ მორიგეობდი?

კაკაურიძემ გამომძიებელს თანხმობის ნიშნად, თავი დაუქნია.

— მამინ ალბათ, ჩანანერიც გექნება თუ ვინ როდის მოვიდა და წავიდა აქედან?

— რა თქმა უნდა. კომპიუტერში ყველანაირი მონაცემია დაცული.

— მხოლოდ იმ დღის მონაცემების ნახვა მინდოდა.

— არაფრის ჩვენების უფლება არ მაქვს.

— გასაგებია, მაგრამ ალბათ, რაღაცის დამახსოვრების უფლება მაინც არავის წაურთმევია შენთვის?

— ვიცი, რომ მოხუცი ადვოკატი იმ საღამოს აქ ნამდვილად იყო. მაგრამ როდის მოვიდა ან წავიდა, ზუსტად ვერ გეტყვი, რადგან აღარ მახსოვს.

— მანქანაში მარტო იყო თუ კიდევ ვინმე ახლდა?

— ვერაფერს გეტყვი.

— იმიტომ, რომ უფლება არ გაქვს?

კაკაურიძემ ჩავლევდილს ისევ თავი დაუქნია.

— იცი, ხანდახან მეც მიფიქრია, კერძო დაცვაში ხომ არ დამენყო მუშაობა-მეთქი, მაგრამ ახლა ვფიქრობ, რომ შესავით უუფლებოდ



ცხოვრება ძალიან გამიჭირდებოდა. — რას იზამ, ძმაო, ყველაფერს თავისი ფასი აქვს... — ჩაიბურღულუნა ნირნამხდარმა კაკაურძემ.

— მართალი ხარ... — ყოფილი კოლეგის კიდევ გალიზიანება აღარ ისურვა ირაკლიმ. — ისე, მაინც რა კაცია ეს თეიმურაზ ქსოვრელი?

— ვერ გეტყვი, იმიტომ, რომ წარმოდგენა არ მაქვს.

— კარგი რა, მერაბ, ეს უკვე მეტისმეტია.

— დამიჯერე, ასეა.

— მაგრამ რალაცის თქმა ხომ მაინც შეგიძლია? ის ხომ მაინც იცი, როგორ გამოიყურება, მაღალია თუ დაბალი, მსუქანი თუ გამხდარი... თუ ამის თქმის უფლებაც არ გაქვს?

— მე ის არასდროს მინახავს, — თვალი ვეღარ გაუსწორა ირაკლის კაკაურძემ.

— დიდი ხანია, რაც მასთან მუშაობ? — მაინც არ მოეშვა ჩავლეიშვილი.

— მალე 10 წელი გახდება.

— და ამ ხნის მანძილზე, ერთხელაც კი არ მოგიკრავს თვალი?

— ის ჩამუქებულმინებიანი მანქანით დადის.

— ალბათ, ესეც უსაფრთხოების ერთ-ერთი ატრიბუტია, ხომ?

— რა თქმა უნდა...

ჩავლეიშვილი მცირე ხნით ჩაფიქრდა და შემდეგ ისევ განაგრძო:

— გამოდის, რომ დაბეჯითებით იმის თქმაც კი არ შეგიძლია, ამ წუთში ქსოვრელი შინ არის თუ არა. რადგან როცა მისი მანქანა აქაურობას ტოვებს ან პირიქით, უკან ბრუნდება, არავინ იცის, შიგ თვითონ ზის თუ ვიღაც სხვა, ხომ?

— ამას უსაფრთხოების წესები მოითხოვს.

ამის შემდეგ ირაკლი თავის მანქანაში დაბრუნდა, კაკაურძე კი რკინის კარს იქით გაუჩინარდა. იმავე წუთს ალაყაფის კარი სრულიად უხმაუროდ გაიღო და გამოძიებული მაშინვე სხვა სამყაროში აღმოჩნდა. სახლამდე, უფრო სწორად კი უზარმაზარ სასახლემდე რამდენიმეკილომეტრიანი ხეივანი იყო გასავლელი, თვითონ სასახლე კი საუცხოოდ მოვლილი პარკის შუაგულში იდგა. სასახლის მახლობლად, ბეტონისსაფარიან მოედანზე, ვერტმფრენი იდგა, რომელმაც ჩავლეიშვილს რატომღაც ფრთებდაშვებული უზარმაზარი ფრინველი მოაგონა.

ირაკლი მთავარი შესასვლელისკენ წელა და სიფრთხილით მიიწევა და, რათა პირდაპირ შუა გზაზე მოსეირნე ფარშავანგებისთვის შემთხვე-

ვით მანქანით არ გადაევიდო. ირგვლივ სრული სიჩუმე სუფევდა, სწორედ ისეთი, რომელმაც გამოძიებული პირველად მაშინ გააოცა, ამირან ალადაშვილის სახლისკენ მიმავალ მოკირწყლულ ბილიკს რომ მიუყვებოდა. „იქნებ სწორედ ასეთი უცნაური სიჩუმით, უფრო სწორად კი, არაამქვეყნიური მღუმარებით გამოირჩევა შეძლებული ადამიანების ცხოვრება?“ — ჰკითხა ფიქრში საკუთარ თავს და ამასობაში სასახლის მაღალი ორფრთიანი კარის ერთი ფრთაც გაიღო. ზღურბლზე ოცდაათი-ოდე წლის ძალიან ლამაზი ქალი გამოჩნდა, რომელსაც ტანზე საუცხოოდ მომდგარი ძვირფასი კაბა ეცვა.

— მობრძანდით, — მიმართა ჩავლეიშვილს ღიმილით.

— არ ვიცი, რამდენად შეესატყვისება თქვენს მოთხოვნებს ჩემი საბუთი, — უთხრა მას ჩავლეიშვილმა და, თან, თავისი პირადობის მონიშნა გაუნოდა, — მაგრამ საბედნიეროდ, თქვენი დაცვის თანამშრომელმა — მერაბ კაკაურძემ მიცნო.

— ვიცი, — კიდევ ერთხელ განყენებულად გაელიმა ქალს და გამოძიებულს შენობის სიღრმისკენ გაუძღვა.

მალე მქრქალად განათებულ ფართო ჰოლოში აღმოჩნდნენ, სადაც ქვის პოსტამენტებზე მოდერნისტული ქანდაკებები იყო ჩამორიგებული. ჰოლის შორეულ ბოლოში, მეორე სართულზე ამავე კიბის ქვეშ ჩავლეიშვილმა 2 თითქოს უსახო აჩრდილივით მამაკაცი დალანდა. ქალი კი მას ერთ-ერთი კარისკენ გაუძღვა და ისიც მორჩილად მიჰყვა. ამჯერად უკვე უზარმაზარ ოვალურ დარბაზში აღმოჩნდნენ, სადაც გამოძიებულს კიდევ უფრო მეტი ქანდაკება დახვდა. მათ გარდა დარბაზში სანერი მაგიდა და რამდენიმე სკამი იდგა. ქალმა ჩავლეიშვილს დაჯდომა შესთავაზა, თვითონ კი მაგიდაზე მდგარი კომპიუტერის კლავიშებს თლილი თითებით თითქმის უხმაუროდ გადაურბინა, ორიოდ წამში პრინტერზე ამოებჭდილ ფურცელს ყურადღებით დააკვირდა და შემდეგ ისევ გამოძიებულს მიუბრუნდა:

— თუ სწორად გავიგე, თქვენ საკონტროლო პუნქტის 11 ოქტომბრის მონაცემები გჭირდებათ.

— დიახ.

— აი, ინებეთ. აქ ყველაფერია აღნიშნული, მათ შორის ისიც, თუ

როდის მოვიდა ჩვენთან ადვოკატი ალადაშვილი და როდის დატოვა აქაურობა.

ჩავლეიშვილმა ფურცელი აიღო და გვერდით მდგარ სკამზე დადო.



— მარტო ამისთვის არ მოვსულვარ, — უთხრა შემდეგ ქალს, — რამდენიმე შეკითხვა მაქვს, რომლებზეც ამომწურავი პასუხი უნდა მივიღო.

— გისმენთ, — სკამზე მოხერხებულად მოეწყო ქალი.

— ჩემი მონაცემებით, თეიმურაზ ქსოვრელი ამირან ალადაშვილის ყველაზე მსხვილი კლიენტი იყო...

— დიახ, ასე იყო.

— მაგრამ როგორც ვხვდები, ბატონი თეიმურაზი ამჟამად საზღვარგარეთაა.

— დიახ, ის დუბაიშია.

— დუბაიში? — გაკვირვებით შეხედა ქალს გამოძიებულმა. — სულ რაღაც ერთი საათის წინ ფენევაში იყო.

— მართალი ბრძანდებით, — წარბიც არ შეურხევია, ნათქვამი ისე დაუდასტურა ჩავლეიშვილს ქალმა, — ოღონდ, ეს ერთი საათის წინ კი არა, ამ დილით იყო. ირაკლიმ ბლოკნოტი და ავტოკალამი ამოიღო:

— მიბრძანეთ ერთი, რა გქვიათ და აქ რას საქმიანობთ?

— თეონა ინწკირველი ვარ, ბატონი თეიმურაზ ქსოვრელის ერთ-ერთი მდივანი გახლავართ.

— ერთ-ერთი?.. რა, ბატონ ქსოვრელს ბევრი მდივანი ჰყავს?

— რა თქმა უნდა.

— მაინც რამდენი?

— ეს იმაზეა დამოკიდებული თუ რა პრინციპით დათვლით, მაგრამ არა მგონია, ამის გაგება ასე მნიშვნელოვანი იყოს.

— მოდი, რა არის მნიშვნელოვანი და რა არა, მე გადავწყვეტ, კარგი? — ხმაში გალიზიანება დაეტყო ჩავლეიშვილს.

— როგორც ინებებთ.

გაგრძელება შემდეგ ნომერში



სვეტა კვარაცხელია
ნაწარმოებზე თქვენი
შთაბეჭდილება შეგიძლიათ
გაგვიზიაროთ ელფოსტით
gza.fantazia@gmail.com

დასაწყისი იხ. „გზა“ №23-43

მისი ყინულივით ცივი ხმის გაგონებაზე ოთახში თითქოს ტემპერატურა დაეცა და ამაცახცახა, კბილი კბილს დავაჭირე და შუბლშვერულმა გავხედე, კარის გაღება გონებაშიც არ გამივლიდა.

— გააღე კარი! — ისე დაიქუხა, შემეშინდა, მეზობლები არ შემიყაროს-მეთქი.

გვრძნობდი, როგორ ამებურძენა სხეულზე თითოეული ბენვი, ზუსტად ისე, კატა რომ აიჯაგრება ხოლმე უცხო კატის დანახვაზე.

— არა! — რაც შეიძლებოდა, მტკიცე ხმით შევეწინააღმდეგე და კარს მივანეჭი, რომ კვლავ გასაღებით ჩამეკეტა.

ხელი მძლავრად ჩაავლო ძვიდეს და არ დამანება. ცოტა არ იყოს, უკან დავიხიე, ხელს ხომ არ მოვავოლებდი, თუმცა ისე დავიბენი, არ ვიცოდი, რა გამეკეთებინა.

— მოხსენი ეს დანყველილი ჯაჭვი, თორემ ჩამოვიღებ კარს, იცოდე! მივხვდი, რომ სხვა არჩევანი არ მქონდა. სასწრაფოდ უნდა ჩამომეხსნა ჯაჭვი, სანამ კიბის მოედანზე ცნობისმოყვარე მეზობლები გამოჩნდებოდნენ. ძალიანაც კარგი! გავაღებ, შემოვუშვებ და ერთხელ და სამუდამოდ დავუხვამ ნერტილს ამ ურთიერთობას! აჯობებს, სამუდამოდ დაიკარგოს ჩემი ცხოვრებიდან, სანამ ჯერ კიდევ გვიან არ არის. და რა შეიძლება „გვიან“ იყოს? რა და... რა და... ამის ფიქრის დრო აღარ მქონდა, არც სურვილი, რადგან ვი-

ცოდი, ამ კითხვის პასუხი კიდევ ერთხელ მომაცინებდა საშინელ ტკივილს. მხრები ჩამოვუშვი, ოდნავ მივხურე კარი და ჯაჭვი ავხსენი.

ჩემდა სამწუხაროდ, ძალიან გვიან გამახსენდა, რა ამაზრუნად გამოვიყურებოდი. სულაც არ მინდოდა, ასეთ მდგომარეობაში ვენახე მას, მაგრამ უკვე გვიანი იყო. გარდა ამისა, „სალი კლდე“ ისეთი გაცოფებული შემოიჭრა ოთახში, არა მგონია, ჩემი დაკვირვების სურვილი ჰქონოდა.

შეშლილი სახით შემომაცქერდა. უსიამოვნო ჟრუანტელმა დამიარა. თვალები ჩასისხლიანებოდა.

— სად იყავი?!

— მგონი, ეს უკვე აღარ არის თქვენი საქმე! — თავადაც გამიკვირდა, ისე მშვიდად წარმოვთქვი.

— ჩემი საქმე არ არის?! — თავიდან ფეხებამდე ჩამათვალეირა.

ჩემდა უნებურად, აბურდულ თმაზე ხელი გადავისვი. ჰო, ეს უნებლიე რეაქცია იყო და არა მის მოსაწონად გაკეთებული შესტი.

— სად არის? ი-იქ? — საბაზანოსკენ გაიშვირა საჩვენებელი თითი.

ვერც პასუხის გაცემა მოვასწარი და ვერც იმის გააზრება, ვის ექებდა ჩემს ბინაში, რადგან გიჟივით შევარდა საბაზანოში. სანამ უკან მივყვი, ის უკვე გამოვიდა იქიდან. ველურივით იქცეოდა. მსგავსი არაფერი მინახავს ცხოვრებაში. შემდეგ მზერა არეულ-ღარეულ ლოგინზე გადაიტანა და წამით გაქვავდა.

— სად არის?! — შეკითხვა გამიმეორა და მიხედ-მოიხედა.

— ვინ?
— შენი საყვარელი! — ზიზლით მომახალა.

წამიერად უძლიერესი ბიძგები ვიგრძენი შიგნიდან და მხოლოდ მოგვიანებით მივხვდი, რომ ეს გულის ბაგაბუფი იყო.

— რა-ა? — გაცეზულმა თვალები დავაჭყიტე.

— მე ხომ გაგაფრთხილე შენ, ანა!.. გარკვევით გავიგონე, როგორ გააღრჭილა კბილები.

ის იყო, პასუხის გაცემა დავაპირე, რომ ხმა გაისმა.

— ანა, ხომ მშვიდობაა? კარი რატომ გაქვს ღია?

ორივე ერთდროულად შევბრუნდით. ზღურბლთან ნუკრი იდგა.

— აი, ისიც! — ისე დაიღრიალა ლადომ, მეგონა, ჰაერმა ვიბრაცია განიცადა.

ნუკრი ადგილზე გაშეშდა, ვერ მიხვდა, რა ხდებოდა, მე კი მუხლები მომეკვეთა. ლადოს აბსურდულ ბრალდებას საზღვარი არ ჰქონდა, მე კი თავის მართლებას ვერ ვახერხებდი. ჩემი ნახევარძმა ერთხანს ორივეს გამომცდელად გვიმზერდა. როგორც ჩანს, ვერაფერს მიხვდა და დაინტერესდა.

— რატომ გამითიშე, რომ მირეკავდი? მცხეთაში ვიყავი და მაშინვე ვერ მოვედი. ვიფიქრე, რალაც უჭირს-მეთქი და ჩამოვედი თუ არა, მოგაკითხე... რა ხდება აქ?

— ჰო, აუხსენი, აუხსენი ამ კაცს, რა ხდება აქ! — უაზრო მზერით მომიბრუნდა ლადო.

ამწუთას იგი სიკვდილის მანქანას ჰგავდა, ტერმინატორს, რომელიც მზადაა, ყველაფერი გაანადგუროს, რაც გზაზე გადაელობება. თუმცა, მთლად რობოტი არ იყო, რალაც-რალაც მცირე „დეტალები“ აკავშირებდა ცივილიზაციასთან, რადგან არ მიეჭრა ნუკრის და „შუაზე არ გაგლიჯა“, თუმცა არც ამას გამოვრიცხავდი უახლოეს ერთ წუთში.

— ბატონო ლადო, — ჩახრინწული, მაგრამ აუღელვებელი ხმით დავინწყე, რადგან მივხვდი, რამაც გაამწანარა, — ვერ ვხვდები, რა საერთო აქვს ნუკრის ამ ყველაფერთან? ის არაფერ შუაშია.

როგორ შემომხედა! მის მზერას ვინმეს მოკვლა რომ შესძლებოდა, უკვე განგმირული ვიქნებოდი.

— გაჩუმდი, შენი!.. — ლამის შემაგინა, თუმცა მაინც თავის შეკავება ამჯობინა.

— ერთი წუთით, ერთი წუთით! — ამრეზით შესძახა ნუკრიმ და ნაბიჯი გადმოდგა, — არ ვიცი, ვინ



ხართ ან რატომ ხართ აქ, მაგრამ ანასთან ასეთი ტონით ლაპარაკს გიკრძალავთ, გასაგებია?! ახლავე დატოვებ აქაურობას, თორემ... ამ ლამეს ცუდად დაამთავრებთ! — „მეტოქის“ მკაცრმა ხმამ უარესად გააცოფა ლადო.

შეშინებული ნუკრის მივარდი და მაჯაში ვწვდი.

— ძალიან გთხოვ, შენი ჭირიმე, შენ არ ჩაერიო, კარგი? მე თვითონ მივხედავ, გესმის?

— ვინ არის ეს კაცი და რას აკეთებს შენთან? რაღაც ვერ გავიგე! — უფრო აუწია ჩემმა ძმამ ხმას.

— ჩემს საყვარელთან მოვედი, რომელიც ჩემთან წევს და მას ამაში ფულს ვუხდი. ასე რომ, მე კი არა, შენ არ გესაქმება აქ არაფერი.

ლამის გული წამივიდა ლადოს ამ განაცხადის მოსმენისას. შევამჩნიე, როგორ გაუნაცრისფრდა ნუკრის სახე. რაღაც გმინვისმაგვარი აღმოხდა.

— რაო? რა თქვა? — გადმოიმხედა და გაფართოებული თვალებით.

ნუკრის ხელი ვუშვი და სასომისხდილი კედელს მივეყრდენი. შეძრწუნებული მივაჩერდი ლადოს. ვერ გამოვხატავ, იმწუთას რა ხდებოდა ჩემს გულში. როგორ არ მინდოდა, ეს ამბავი ნუკრის და ნანას გაეგოთ. როგორ არ მინდოდა, დავენიებულებიყავი მათ თვალში.

— მართალი თქვა... — ჩურჩულით ამოვთქვი და თვალები დავხუჭე.

— რაღაც ვერ გავიგე... — ნუკრი ყურებს არ უჯერებდა.

— მართლა ვაკეთებ ამას... — გაიგე? ახლა კი, თუ შეიძლება, მარტო დაგვტოვე, — მომესმა ლადოს ხმა.

ჩემს ნახევარძმას ხმა არ ამოუღია. როგორც ჩანს, მიხვდა, რასაც უნდა მიმხვდარიყო.

— ანუ ის ფული... — კვლავ გავიგონე მისი ხმა და თვალები ძლივს გავახილე.

— ჰო, ის ფული... ათი ათასი დოლარი მან შენ მოგცა! მას კი მე მივეცი! და იმისთვის მოვედი, რისთვისაც მივეცი! — ნიშნის მოგებით წარმოთქვა ლადომ.

ნუკრის კარგა ხანს ხმა არ ამოუღია. მერე ერთი ამოიქშინა, თავის კანტურით გატრიალდა და გავიდა...

— ახლა კი, კეთილს ინებებ, ჩამიჯღღები მანქანაში და უკან დაბრუნდები, ჩემთან! — დამიღრინა ლადომ.

მექანიკურად დავუქნიე

თავი, უმწოდ მიმოვიხედე ირგვლივ და მორჩილად მივეყვი უკან...

კიდევ კარგი, ხელი ჩამკიდა, თორემ ჩემით ვერ ჩავიდოდი კიბეზე. სანამ მანქანაში ჩავჯდებოდი, გავუძელი, მაგრამ როგორც კი სავარძელზე მივესვენე, მივხვდი, რომ გონებას ვკარგავდი... როგორც ჩანს, გული წამივიდა...

ვილაცის ცივი ხელის შეხებამ გამომაფხიზლა. თვალები გავახილე, მაგრამ თავიდან ვერ მივხვდი, სად ვიმყოფებოდი. ლადო თავზე დამდგომოდა, მე კი მის სახლში ვიყავი და ჩემს საწოლზე ვინექი.

უხმოდ ამოვიოხრე.

— როგორ ხარ? — კუშტად მკითხა.

— მარტო დამტოვეთ!

— ამ სახლიდან ჩემი ნებართვის გარეშე დღეიდან ნაბიჯს ვერ გააძგამ. თვითონ გავაკონტროლებ ამას! გასაგებია? არასდროს მოგცემ უფლებას, აქედან ნახვიდე, მით უმეტეს, მასთან! — მისი ბოლო სიტყვები მუქარად გაისმა.

— დამტოვეთ, თუ შეიძლება, — იმავე ხმით დავიჩურჩულე, არაფრის ახსნის თავი არ მქონდა.

ან ეს კაცი შეიშალა ჭკუიდან, ან მე მესიზმრება ყველაფერი. ჩემს თავში წამდვილი ქაოსი ტრიალებდა და ერთი სურვილი მქონდა — თვალით არ დამენახა ადამიანი, რომელმაც ასე დამამცირა და ამხელა ტკივილი მომაყენა.

— მე ვხედავდი, როგორი თვალებით უყურებდი მას! შენ ის გიყვარს!

ახლა კი ველარ მოვითმინე. მისმა „განაცხადმა“ წყობილებიდან გამომიყვანა და ავეყირდი ბოლო ხმაზე.

— შე ავადმყოფო! შენ რა გესმის, საერთოდ! ჰო, მიყვარს! დიხაც, რომ მიყვარს! მაგრამ შენ ამას ვერასდროს გაიგებ, შე პირუტყვო. ვერ გაიგებ, რადგან უგრძობელი ხარ! იმიტომ, რომ შენთვის არაფერი ნათესაური ამქვეყნად არ არსებობს!

ნუთუ არასდროს გყოლია ან და, ან ძმა, ან ბიძაშვილ-მამიდაშვილი?! რა დღეში ჩააგდე ის ბიჭი!.. და მეც როგორ დამამცირე მის თვალში! — ახლა უკვე აღარ მერიდებოდა, „შენობით“ მიმემართა და გემრიელად გამომელანძლა. თითქოს ერთბაშად ამოხეთქა აქამდე შეკავებული და გულში დაგროვილმა ბოლმამ.

— ნათესაურიო? ეგ ახალი მოდური ტერმინია? ახლა ამ ურთიერთობას ასე ეძახიან? — გესლიანად ჩაიქირქილა, — გუშინ ისე ეხვეოდით ერთმანეთს შუა ქუჩაში და ისე კოცნიდით, შენი მოკვლა მინდოდა, იცი?! ხომ გაგაფრთხილე, რომ არც ერთი მამაკაცი...

— ამისთვის დაგჭირდა ეს უნიჭო სპექტაკლი? შენი აზრით, საკუთარ ძმას რომ ვაკოცო, ამორალობა? მეგონა, უფრო საზრიანი იყავი! — არ დავინდე.

მოულოდნელად საწოლზე ჩამოჯდა, მხრებში მძლავრად ჩამავლო ხელები და წამომწია. შეშლილი სახე ჰქონდა.

— რა-ა? შენი ძმა? ჩემი თვალის ახვევას ცდილობ?! დაგავინწყდა ჩვენი კონტრაქტი?! სად გყავს ძმა, ვის ატყუებ! გგონია, ამით შეძლებ მის გამართლებას?! — და ისე შემეჯანჯღარა, მხრის ძვლებმა ტკაცუნის გაიღო.

ნაპირზე ამოგდებული თევზივით ვალები პირს, სუნთქვა შემეკრა. რა სისულელეა, ლმერთო! მას ნუკრი ჩემი საყვარელი ჰგონია! უარესად შემიპყრო სიბრაზემ.

— მოლაპარაკება? მიმიფურთხებია შენი კონტრაქტისთვის! ის ჩემი ძმაა, გესმის? ძმა, ძმა! რომელიც ახლახან შევიძინე! მაგრამ შენ ვერასდროს გაიგებ ამას! — ბოლო წინადადება ჩურჩულით დავამთავრე და ღონემიხდილმა თვალები დავხუჭე. აუტანელი იყო იმის გახსენება, როგორ დამამცირა ნუკრის წინაშე. ახლა მხოლოდ ის მინდოდა, მარტო დავრჩენილიყავი და საერთოდ არ მაინტერესებდა, სჯეროდა თუ არა ჩემი.

მარტოს მინდოდა, ეს ტკივილი გადამეტანა... ან მოვმკვდარიყავი... ეს უფრო ხელს მაძლევდა...

— შემომხედე! — მითხრა მან, რადგან იგრძნო, რომ კვლავ გული მიმდიოდა. სისუსტისგან ისე მოვეშვი, ხელი რომ შეეშვა, საწოლზე დავხეთქებოდი.

ისეთი ტონით იყო ნათქვამი ეს სიტყვები, ჩემდა უნებურად გავახილე თვალები და შევხედე... ერთხანს მზერა არ მოუცილებია ჩემთვის... როგორც ჩანს, ბოლოს და ბოლოს,





მან იქ სიმართლე დაინახა, თუმცა უკან დახევა არც უფიქრია, — ფული რისთვის დასჭირდა? — ეჭვანურევი ხმით მკითხა, — შენ ხომ მისთვის გადადგი ეს ნაბიჯი?

— ეს შენი საქმე არ არის!

— ახლა უკვე არის! მითხარი, მისთვის გააკეთე ეს ყველაფერი?

— არა მხოლოდ მისთვის. ჩემს დას უფრო სჭირდებოდა, ვიდრე მას.

— მაგრამ... მაგრამ... თუ ასე იყო, რაში დაგჭირდა თამაში? ვითომ გრძნობების გამოხატვა და რალაცები? — უცნაური ნაპერწკალი გაუკრთა მხერგაში.

— არავითარი თამაში არ ყოფილა. ეს უბრალო გარიგება იყო და მეტი არაფერი. წინადადება კი შენგან წამოვიდა და უფრო ადრე, ვიდრე ფულს გთხოვდი. ასე არ იყო?

როგორც კი ეს ვთქვი, მის თვალეში გამკრთალი ნაპერწკალი მამინვე ჩაქრა, მაგრამ დაკითხვა არ შეუწყვეტია.

— რისთვის სჭირდებოდათ ფული, მითხარი! მე უნდა ვიცოდე ეს!

— რა მნიშვნელობა აქვს? თუკი ასე მნიშვნელოვანია შენთვის ამის გაგება, თავად გაარკვიე. შენ ხომ არაჩვეულებრივი დეტექტიური ნიჭი გაქვს! ამას დღეს მივხვდი! არაფერი არ მინდა, ოღონდ, გადი აქედან და მარტო დამტოვე! არანაირი სურვილი არ მაქვს, შენთან რაიმე საერთო მქონდე!

როგორც იქნა, შემეშვა. ხელებით დავეყრდენი სანოლს, რომ თავი შემეკავებინა. ის წამოდგა, მაგრამ ოთახიდან არ გასულა. ზურგმუქცევით დადგა და გაირინდა. აუტანელმა სიჩუმემ მოიცვა იქაურობა. ცუდად გავხსდი. ერთბაშად მოვეშვი და ვიგრძენი, როგორ მომანვა თვალებზე ცრემლი. რაც შეიძლებოდა, ფართოდ გავახილე თვალები, რომ ტირილი შემეკავებინა, მაგრამ ვერ შევძელი... წამიც და... ლანგებზე უხმო ცრემლის ნაკადი დამედინა. სწრაფად წამოვდექი, ტანსაცმელი მოვიწმინდე და კარისკენ დავიძარი.

მეგონა, კვლავ შეეცდებოდა ჩემს შეჩერებას, მაგრამ არა. ისე ჩამოვედი დაბლა, უკან არ გამომყოლია...

— ანა, საით? — ლევანი გადამიდგა წინ. — რატომ ტირი? მოხდა რამე?

— სახლში უნდა წავიდე, ლევან. ავად ვარ და არ მინდა, ჩემი ავადმყოფობით ვინმე შევანუხო. მეშინია, არ გადაგოთ რომელიმეს... დაგირეკავთ, როგორც კი უკეთ გავხდები, — ჩემი ბოლო სიტყვები ამკარად ყალბად ჟღერდა, რადგან არც

დარეკვას ვაპირებდი და არც — დაბრუნებას.

— მე წაგიყვან!

უარი მინდოდა მეტქვა, მაგრამ გადავიფიქრე. ვიცოდი, ასეთ მდგომარეობაში ორ ნაბიჯსაც ვერ გადავდგამდი და სადმე იქვე მოვადენდი ზღართანს...

კორპუსამდე ისე მიმიყვანა, არაფერი უკითხავს. მეც ჩუმად, ჩემთვის ვიცრემლებოდი მხოლოდ. გადმოსვლის წინ სანყლად გავუღიმე, მადლობა გადავუხადე და სადარბაზოში შევიძურწე. ფეხის წვერებზე ავიარე კიბის საფეხურები, რომ მეზობლებს არ გაღვიძებოდათ. ასე მეგონა, ყველამ ყველაფერი გაიგონა და ახლა მხოლოდ ჩემზე ლაპარაკობდნენ.

პირველ რიგში, რაც გავაკეთე, წყლის გადავლება იყო. სხვა არაფერი მინდოდა, მხოლოდ ერთი სურვილი მამომრავებდა — ცხელი წყლით ჩამომერეცხა ლადოსთან გატარებული ყველა ღამის კვალი...

როგორც იქნა, დავმშვიდდი. ლოგინში ჩაგნექი და მობილური ჩავრთე. ნუკრის დავურეკე. პირველსავე ზარზე მიპასუხა.

— გესმის ჩემი? — ძლივს გასაგონად ვკითხე.

— მესმის, კი, — თბილი ხმით მომიგო.

— მაპატიე, კარგი? და ნანასთან ნუ მომჭრი თავს...

— რას ამბობ, ანა! რა გჭირს ჩემი საპატიებელი? ცოტა არ იყოს, თავიდან დამშოკა იმან, რაც მოვისმინე, მაგრამ მერე რომ დავფიქრდი, თვითონ შემრცხვა. ჩვენი გულისთვის რამხელა რამეზე წასულხარ! აუცილებლად გადაგიხდი მაგ ფულს, გესმის? აუცილებლად და რაც შეიძლება, მალე, რომ მისი სალაპარაკო არ გახდეს... სად ხარ ახლა?

— სახლში.

— გინდა, მოვიდე?

— არა, ნუკრი, ახლა მარტო მინდა ყოფნა. დიდი მადლობა... ყველაფრისთვის დიდი მადლობა!

— ისა და... 10000 რატომ თქვა იმან, შენ ხომ...

— 10 გამოვართვი და იმიტომ, — გავანყვეტინე, — ნაკლებად არ მინდოდა, ჩემი თავი შემეფასებინა, — მწარედ გავუღიმე სიბნელეს, — დანარჩენი ფული ჩემთანაა. ვიფიქრე, როცა ბოლომდე მოვაგროვებ, ერთად დავუბრუნებ-მეთქი.

— ძალიან მალე დაგაბრუნებინებ მაგ ფულს, გპირდები! ოღონდ კი, ახლოს არ გაიკარო ის არაკაცი, გაიგე?

— ჰო, გავიგე...

— ყველაფერი კარგად იქნება, ანა. მინდა, ეს იცოდე! ყველაფერი კარგად იქნება, გჯეროდეს ჩემი!

— მჯერა, ნუკრი... მიყვარხარ, საყვარელო, ორივენი მიყვარხართ.

— ჩვენც გვიყვარხარ, ანა, ორივეს გვიყვარხარ...

ერთი კვირის მერე ისე გამოვიყურებოდი, თითქოს მშრალი შიმშილობა მქონოდა გამოცხადებული. ისე გავხსდი, რომ იტყვიან, ერთი დაბანალა დავრჩი. მთელი დღეები ვინექი, საღამოს ვდგებოდი მხოლოდ, რომ სახლი დამეღაგებინა. ამ დროს განსაკუთრებულად ბევრს ვმუშაობდი, რომ დავლილიყავი, რათა ღრმად დამძინებოდა ღამით, მაგრამ მაინც არაფერი გამომდიოდა. როგორც კი ძილი თავს წამართმევდა, მამინვე ლადო შემოიჭრებოდა ჩემს სიზმრებში და მოსვენებას არ მაძლევდა. ვერაფერს ვუხერხებდი ჩემს თავს. სწორედ ეს იყო ჩემი უბედურება, ამ მამაკაცის დაიწყება არ შემეძლო. ისე ძალიან მიყვარდა, ვგრძნობდი, წლები დამჭირდებოდა, მისი სიყვარული გულიდან რომ ამომეგდო. სულ მასზე ვფიქრობდი, ვლანძლავდი, ვთათხავდი, ყველაფერში ვადანაშაულებდი, მაგრამ მაინც მიყვარდა. მტანჯავდა მისი გახსენება და მაინც მახსენდებოდა.

ნუკრი ყოველდღე მოდიოდა, მამშვიდებდა, მეფერებოდა. ამ ამბავმა ძალიან დაგვაახლოვა ერთმანეთს. ერთი დღე არ დავუტოვებია მარტო. მხეხუნებოდა, სადმე გავიდეთ, გავისეირნოთ, ან თეატრში წავიდეთ, ან კინოშიო, მაგრამ ცოცხალი თავით არსად მივყვებოდი. სახლიდან გასვლა მეზიზღებოდა.

ამ ხნის განმავლობაში ლადოსგან არაფერი ისმოდა. არც უცდია, დამკავშირებოდა, რაც უფრო აძლიერებდა ჩემს წყენას. მიუხედავად ამისა, მისმა სიჩუმემ და გულგრილობამაც კი ვერაფერი უყო ჩემს გრძნობებს. ჩემი წამება გრძელდებოდა.

უღიმამოდ გადიოდა დღეები. ყოველი ახალი დღე წინაზე უფრო მოსაწყენი მეჩვენებოდა.

ერთი კვირის შემდეგ კი საოცრება მოხდა...

როზამ დამირეკა.

— ანა, როგორ ხარ, შვილო? — თბილად მომიკითხა ქალმა.

— არა მიშავს, ქალბატონო როზა, თავად როგორ ბრძანდებით?

— რა ვიცი, დედი, ახლა კარგად ვარ, არაფერი მიჭირს... შენი ნახვა მინდა, უნდა დაგელაპარაკო, შეგიძლია?



— მაპატიეთ, მაგრამ... მაგრამ ახლა არ შემიძლია, — შეცბუნებულმა თავიდან ავირიდე მასთან შეხვედრა, — მეჩქარება, გავრბივარ... მე თვითონ შეგეხმინებთ მოგვიანებით, — სწრაფად ვიპოვე გამოსავალი და გავითიშე.

როზას ჩემგან ნამდვილად არ დაუშვასურებია, ასე მოპყრობა, მაგრამ ახლა მასთან შეხვედრა არ შემიძლო. ჯერ კიდევ დიდი დრო მჭირდებოდა, რომ ჭრილობები მომეშუშებინა. მისი დანახვის კი ყველაზე მეტად მრცხვენოდა. არ ვიცოდი, იყო თუ არა იგი საქმის კურსში, მაგრამ ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა. თუ არ იცოდა, მით უფრო რთული იქნებოდა მასთან შეხვედრა, აუცილებლად გავცემდი ჩემს თავს.

მეორე დღით, ზუსტად 8 საათზე, კარზე ზარის ხმა გაისმა. ვიფიქრე, ნუკრი მოვიდა-მეთქი. გამიკვირდა, დილაუთენია რომ მომადგა და ცოტა არ იყოს, შემეშინდა. რამე ხომ არ უჭირთ? ეს ერთადერთი იყო, რამაც გონებაში გამიღვავა.

კარი გავაღე და... თვალებს არ დავუჯერე — სადარბაზოში როზა იდგა.

— დილა მშვიდობისა, ანა... შეიძლება შემოვიდე? — ღიმილით მკითხა, როცა ჩემს გაოცებულ მზერას ნაანწყდა და დუმილიც გაინელა.

— ოჰ, რა თქმა უნდა... მაპატიეთ... ცოტა არ იყოს, დავიბენი... მობრძანდით, როზა დეიდა, უბრალოდ, არ გელოდით და... როგორ ხართ? ვასიკო როგორ არის?

— კარგად, რა უჭირს, დაატარებს ლევანი სკოლაში.

— რატომ არ მოიყვანეთ?

— აბა, როგორ მოიყვანდი, გაკვეთილებს ხომ ვერ გააცდენდა.

— ჰო, რა თქმა უნდა... ეგ კი ვეღარ მოვიფიქრე.

როზა ტახტზე დაჯდა თუ არა, შორიდან შემოვლა არც უცდია, პირდაპირ დაინყო.

— ანა, რა მოხდა? რატომ აღარ მოდიხარ ჩვენთან?

— მე... დავეთხოვე ბატონ ლადოს... — თვალბეზირილი მივუგე, თან, გაენითლდი, — მე უკვე აღარ ვჭირდები ვასიკოს... ყოველ შემთხვევაში, ისე აღარ, როგორც ადრე, — სასწრაფოდ დავამატე, რომ არ გაეპროტესტებინა, — მაგრამ მას ნებისმიერ დროს შეუძლია მესტუმროს... როზა დეიდა, გამიხარდა, რომ მოხვედით, — არეულ-დარეულად ვლაპარაკობდი.

თუმცა, ამას გულწრფელად ვამბობდი. და მისგანაც გულწრფელ სით-

ბოს ვგრძობდი. ერთხანს ვილაპარაკეთ. როზას ერთხელაც არ უხსენებია ლადო, მე — მით უმეტეს. მხოლოდ მოგვიანებით, როცა სალაპარაკო თემები ამოვწურეთ, ავწრიალდი, რადგან რაღაც იდეა გამიჩნდა.

— როზა დეიდა, თქვენთან ერთი თხოვნა მექნება...

— მითხარი, შვილო, შენი გულისთვის ყველაფერს გავაკეთებ. ყველას ისე შეგვაყვარე თავი, გული მწყდება, რომ აღარ ხარ ჩვენთან.

საძინებელში გავედი და ნაჭერში გადახვეული ფული გამოვიტანე.

— თუ არ შენუხდებით, ეს ბატონ ლადოს გადაეცით.

— რა არის ეს?

— ფულია. მისი ვალი მმართველს და მინდა, დავუბრუნო. მართალია, ნაწილი აკლია, მაგრამ ორ თვეში იმასაც გავუსტუმრებ.

— მაგრამ მე... იქნებ ჯობია, შენ თვითონ მიუტანო?

— მე დაკავებული ვარ და ვერ ვიცლი. თანაც... ცოტა არ იყოს, მერიდება, რომ დავუგვიანო... მრცხვენია... — ვიმართლე თავი.

— იცი რა, ანა? სიმართლე გითხრა, სულ სხვა რამის გამო მოვედი შენთან, იცი?

— რა მითხარით? — ამის გაგონებაზე გავფითრდი. ვიფიქრე, ალბათ ლადომ გამოგზავნა და დამიმალა-მეთქი.

— მინდა, ერთ ამბავს მოგიყვე, თუ მომისმენ და ამის დრო გაქვს.

მისი სახის იდუმალება გამომეტყველებამ მიმახვედრა, რომ რაღაც მნიშვნელოვანი უნდა მოეთხრო, რომ სწორედ ამიტომ დამადგა თავს ამ დილაუთენია.

— რა თქმა უნდა, ჯერ არსად მეჩქარება, როზა დეიდა, გულისყურით მოგისმენთ. ოღონდ, ჯერ ყავას მოვადუღებ.

— არ მინდა, შვილო, ყავა ჩემთვის არ შეიძლება. ორიოდე წუთით დაჯექი აქ და მომისმინე.

მუხლები ნაწერთვა. მივხვდი, რაღაც დიდი საიდუმლო უნდა გამეგო. ამიტომ, მის გვერდით დავჯექი და სმენად ვიქეცი.

— შენ უკვე იცი, რომ მთელი ჩემი ცხოვრება იმ სახლში გავატარე. მათთან ჯერ კიდევ ლადოს დაბადებამდე ვცხოვრობდი. გარდა იმისა, რომ ნათესავად ვეკუთვნი, დედა-მისი ჩემი უახლოესი მეგობარი იყო. მერე ის ცხოვრებული რომ გარდაიცვალა, სადღა ნავიდოდი? ლადო კი

უკვე დიდი იყო, მაგრამ სახლსაც და მასაც მომვლელი ხომ სჭირდებოდა? მეც დავჩრი. მერე ცოლი შეირთო... იმასაც ანა ერქვა. ისიც შესწავით ლამაზი იყო... შეიძლება უფრო ლამაზიც... არ იცოდი? როგორ გაგიკვირდა... ჰო, ასე იყო. მარტო ლამაზი კი არა, ჭკვიანიც იყო, განათლებულიც, თან, ძალიან ახალგაზრდა, 4 წლით იყო ლადოზე უმცროსი. კარგი გოგო, გადასარევი ოჯახის შვილი. 24 წლის იყო ლადო, მასზე



რომ დაქორწინდა. ისე უყვარდა ცოლი, ისე უყვარდა, რომ ამის გადმოცემა სიტყვებით გამიჭირდება. არაფერს აკლებდა, ყველანაირად ანებივრებდა. თან ბევრს მუშაობდა, დღე და ღამე საქმეში იყო ჩაფლული, ძალიან დაღლილი ბრუნდებოდა შინ. ანას კი მუშაობის უფლებას არ აძლევდა, ცოლი შინ უნდა იჯდესო, აჩემებული ჰქონდა... იმ გოგოსაც, როგორც ჩანს, მოაკლდა ქმრის ყურადღება. ახალგაზრდების ამბავი ხომ იცი... ერთი სიტყვით, რომ არ გამიჭიანურდეს, ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ ერთ მშვენიერ დღეს, ანა ლადოს გერ ძმასთან ერთად გაიქცა. აი, იმ ძმასთან, ყველას ვასიკოს მამა რომ ჰგონია და რომელიც არა მარტო ძმა, ბიზნესპარტნიორი და მარჯვენა ხელი იყო ლადოსი.

— რას ამბობთ! — ხელი შემოვირტყე ლოყაზე, იმდენად გამაოგნებელი ამბავი იყო ჩემთვის.

— ლადოსთვის იცი, რამხელა დარტყმა იყო ეს? ორივეს თვეების განმავლობაში ეძებდა. ბოლოს, როგორც იქნა, ცოლს მიაგნო, თანაც, მარტო ნახა, ვილაც სხვა გოგოსთან, ბინაში. უკვე განარკმინებულს, გაუბედურებულს... მის ძმას მიუტოვებია და გადაკარგულა. მას მერე საზღვარგარეთაა, რადგან იცის, თბილისში ვეღარ გამოჩნდება ლადოს შიშით. მოსაკლავად დასდევდა. ჰოდა, რაღა ბევრი გავაგრძელო და, ანა რომ იპოვა, გაიგო, რომ ორსულად იყო... ვასიკო ანას შვილია...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

გზის გზნიღლები

უხარხული სიზუასია

მარი ჯაფარიძე

მივესალმები მკითხველს და რაღა თქმა უნდა, მოვიკითხავ კიდეც. სამწუხაროდ, იმის საშუალება არ მაქვს, სათითაოდ გკითხოთ, როგორ ხართ-მეთქი, მაგრამ თქვენი მესიჯებიდან მეტ-ნაკლებად ვიგებ თქვენს მდგომარეობას. მიხარია, რომ ფლამინგო გაგვიტხოვდა, მიხარია, რომ ერთ-ერთმა მგზავნელმა (მისივე თხოვნით არ დავასახელებ) სიყვარული იპოვა და ახლა თავს ბედნიერად გრძნობს. მინდა, შეგაქოთ კიდეც და მადლობაც გადაგიხადოთ, რადგან ჩემი თხოვნა ყურად იღეთ და ამ კვირაში უდროოდ დროს აღარ გაგიღვიძებიათ. ამ კვირის თემაზე ამბის მოყოლა მეც გადავწყვიტე და სწორედ ამ მძიმე, სევდიანი და თითქმის დაუჯერებელი, უხერხული სიტუაციით დავიწყებ.

სასოწარკვეთილი მამის განაჩენი

„წლების წინ, ოჯახის ერთ-ერთი წევრის გამო, თითქმის 1 წლის განმავლობაში კუკიაზე, დამწვრობის ცენტრში „ვცხოვრობდი“ — სხვა რა შეიძლება ვუნოდოთ იმ მდგომარეობას, როცა დღედაღამ საავადმყოფოში ხარ და შინ მხოლოდ კვირაში 1 დღე ახერხებ ნასვლას? იმის თქმა მინდა, რომ ამ ხნის განმავლობაში მუდმივად კლინიკაში ყოფნის მიზეზით უამრავი საოცარი ამბისა თუ ტრაგედიის მომსწრე გავხდი. ერთ დღეს რეანიმაციულ განყოფილებაში 5 წლის გოგონა მოიყვანეს. შემდეგ გავიგეთ, რომ თურმე სახლში ნავთქურა (ეს ის პერიოდი გახლდათ, როდესაც დენი თვეობით არ გვქონდა, ბუნებრივ აირზე კი ოცნებაც არ შეიძლებოდა) აუფეთქდათ, რამაც ხანძარი გამოიწვია. ცეცხლი მყისიერად მოსდებია სახლს. გოგონას შეშინებია და საწოლის ქვეშ შემძვრა. სხვა ოთახში მყოფ დედას შვილი ვერ უპოვია. ბავშვი მეხანძრეებმა აღმოაჩინეს — სახეზე ჰქონია ხელები აფარებული და ისე იცავდა თავს ცეცხლისგან. გოგონას მდგომარეობა ურთულესი იყო — მხოლოდ სახე გადარჩენოდა. მთელი სხეული დამწვარი ჰქონდა. კარგა ხანს ებრძოდა სიკვდილს ბავშვი. ექიმებმა მისი მდგომარეობიდან გამოყვანა შეძლეს... თუმცა, გოგონას გადარჩენის სიხარულს

ძალზე დიდი მწუხარებაც ერთვოდა: მას ვერც ერთი კიდური ვერ შეუნარჩუნეს — ძლიერი დამწვრობის გამო ექიმებმა ოთხივე კიდურის ამპუტაცია მოახდინეს. დედა მაინც გახარებული იყო, რომ შვილი ცოცხალი ჰყავდა. მამა კი მოქუფრული დადიოდა და დანაკბილს არ უხსნიდა. ერთ საღამოს, როცა კლინიკაში მხოლოდ მორიგე მედპერსონალი იყო დარჩენილი, რეანიმაციის განყოფილებაში შევიპარე (ჩემი ავადმყოფის დასახედად). ექიმისთვის რაღაც მინდოდა მეკითხა და შემდეგ საორდინატოროს მივაშურე. ოთახში შესული ძალზე უხერხულ სიტუაციაში აღმოვჩნდი: კუთხეში მიყუჟული და აწურული ექიმის წინ ნათიას მამა მუხლებზე იდგა, ექიმისთვის ფეხებზე ხელები ჰქონდა მოხვეული, განძრევის საშუალებას არ აძლევდა და ბლავილით ერთსა და იმავეს იმეორებდა: — გეხვეწე-

ბით, ექიმო, გთხოვთ, ექიმო, შემისრულეთ თხოვნა, გთხოვთ, ექიმო... — თან თვალებიდან ცრემლი სდიოდა და ტირილისგან ხმა უწყდებოდა... თავი ძალზე უხერხულად ვიგრძენი. ვერც წინ გადავდგი ნაბიჯი და ვერც — უკან. ადგილზე გავხევდი, თითქოს ქანდაკებად ვიქეცი. ჩემმა შესვლამ ბავშვის მამა გონზე მოიყვანა — ექიმი ტყვეობიდან გაათავისუფლა, რამდენიმე მეტრით ასე, მუხლებზე მდგარმა, ხოხვით უკან დაიხია, შემდეგ საკუთარ ფეხებზე დაჯდა, ხელები სახეზე აიფარა და უფრო მეტად აქვითინდა. მე და ექიმი ერთდროულად მივედით მასთან, ხელები ილღიებში ამოვდეთ და ნამოვაყენეთ. ფეხზე რომ დადგა, ხელი გაგავშვებინა და კარისკენ წელმონყვეტილი, ლასლასით წავიდა. ექიმმა ბოდიში მომიხადა და ცოტა ხნით სხვა ოთახში გავიდა. უკან დაბრუნებულს თვალები დასიკვებული და ჩანითლებული ჰქონდა. როგორც ჩანს, ტირილით მოიხსა



ნუ ვადაღებ ხვალისთვის იქნას, მაც შეიძლება, დღესვე დაივიწყო



გული. მამაკაცის ტირილს თითქმის არასოდეს შევსწრებოვარ. ახლა კი 2 ატირებული და აცრემლებული მამაკაცი ვნახე ერთდროულად და მივხვდი, ოთახში ჩემს შესვლამდე რალაც საშინელება ხდებოდა. კითხვით სავსე თვალები მივაპყარი ექიმს. — მთხვავა, მისი შვილი მომეკლა, — შუბლი მოისრისა და ისევ აუნწყლიანდა თვალები, — მის სიცოცხლეს აზრი არ აქვს, რა უნდა ქნას გოგომ, რომელსაც არც ერთი კიდური არ აქვს? მოიფიქრე რამე, ისეთი პრეპარატი გაუკეთე, მშვიდად რომ დალიოს სული, ნებისმიერ თანხას გადავიხდი, ოღონდ ჩემმა შვილმა მთელი ცხოვრება არ იტანჯოსო. — დაასრულა სათქმელი და ამოიხსრა. შემძრა მოსმენილი... თავი ვერ შევიკავე და ტირილით გული მოვიოხე. ამ ამბიდან 1 თვის შემდეგ გოგონა რენიმიაციიდან განურჩეს, 2 თვის შემდეგ — საავადმყოფოდან. იმ ოჯახის ტელეფონის ნომერი მქონდა და ხშირად ვკითხულობდი ბავშვის ამბავს... 8 თვის შემდეგ, მორიგი მოკითხვისას კი შევიტყვე, რომ ნათია გარდაიცვალა. ნათესავმა ქალმა მითხრა, რომ საკვებით მოინამლა და დასუსტებულმა ორგანიზმმა მოსამვლა ვერ გადაიტანა“.

კარგად შენიღბული დედინაცვალი

„ეს ამბავი დიდი ხნის წინ დაინყო. შეიქმნა კიდეც ერთი ოჯახი, შეეძინათ 3 შვილი (გოგო და ორი ბიჭი). შემდეგ ეს ოჯახი დაინგრა. დედა თურქეთში წავიდა, შვილები მამამ დაიტოვა და მალე დედინაცვალის მოუყვანა. ქალი ბავშვებს ცუდად ექცეოდა. მალე თვითონაც გოგო შეეძინა, მაგრამ ამანაც არ შეცვალა. ერთხელ უფროსი გოგო გარდერობს ალაგებდა, შემთხვევით შოკოლადი ნახა და პატარა დას მისცა. დედინაცვალმა რომ „დანაკლისი“ აღმოაჩინა, გაგიჟდა, რო-

გორ ახლეთ ხელი ჩემს შენახულ შოკოლადსო და გამოიძება დაინყო, ვინ აიღო. გააღვიძა ბავშვები, ჰკითხა, ვინ აიღო კანფეტებიო. პატარა ბიჭს, დათოს მიადგა — თუ არ მეტყვი ვინ აიღო, ხელებს დაგწვავო. — არ ვიცო, ბავშვმა ტირილი დაინყო. დედინაცვალმა ხელები გახურებულ ღუმელზე დაადებინა და თან დაემუქრა, მამამენს არაფერი უთხრა, თორემ მეტს დაგმართებო. მთელი ღამე გაათენა უფროსმა გოგონამ, ძმას გაათენებამდე ხელებზე სულს უბერავდა. საღამოს ბებიამ სთხოვა დათოს, შეშა შემოეტანა და ბიჭიც წავიდა. შეშა ხელიდან დაუცვივდა ტკივილისგან და მამინ ნახა ბებიამ, რომ ხელები დამწვარი ჰქონდა. — რა გჭირს, შვილოო, — იყვირა ბებიამ. მოატყუა დათომ და როგორც დედინაცვალმა დაარია, ისე უთხრა — „ფეჩში“ რალაც გასკდა და დავინვიო. დათოს უფროს დას უკვე 2 შვილი ჰყავს, მაგრამ დღემდე არ იცის მამამისმა, როგორი ცოლი ჰყავს სახლში. იქნებ ეს მაინც ნაიკითხოს. თეთრო“.

მარიაჟი

„აი, გაიხსნა ქუთაისში საციგურაო მოედანი და ყველა მოსწავლე ცდილობს, როგორმე სკოლიდან დაიძვრიოს თავი და იქ მოხვდეს. სწორედ ამ მიზნით, ბავშვებმა გადაწყვიტეთ, სკოლაში არ წავსულიყავით და ნანატრ ყინულზე გვესრიალა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მოედანი 12 საათზე იხსნება. არ ვიცოდით, სად წავსულიყავით. გვციოდა (წვიმა და ქარი იყო) და შევედით ერთ სადარბაზოში. თურმე იმ სადარბაზოში სამკერვალო იყო. მკერავმა ქალმა გვითხრა, შემოდითო, მაგრამ თავიდან უარი ვუთხარით, მეორედ რომ შემოგვთავაზა, შევედით. ღმერთო, რა კარგი იყო სიტბო, ყავითაც გაგვიმასპინძლდნენ

და წავგახემსეს კიდეც, მე კი ჭკუაზე არ ვარ, ნათხოვარ „აიფონს“ ვამარიაჟებ... ეს მკერავი დადის იქით-აქეთ (სახლი და სამკერვალო გვერდიგვერდ აქვს). ერთხელაც გავიდა, შემოვიდა და... ღმერთო ჩემო, ენა ჩამივარდა! „აიფონის“ ნოუტბუკის ბოლო მოდელი ეჭირა ხელში, მე კი რალაც 100-ლარიანი ტელეფონით ვბლატაობდი, იმ ქალმა კი მაგრად „მომიჯოკრა“. CRAZY GIRL“.

მადლობის მავიერია?

„ეს ამბავი ჯორჯ ბუშის თბილისში ვიზიტის დროს მოხდა. მაშინ თავისუფლების მოედანზე სხვადასხვა ტევადობის ბოთლებით უხვად მოიტანეს წყალი. წყურვილით შენუხებული გოჩაც ბოთლების სიახლოვეს მდგარ გოგონას მიუახლოვდა, რომელიც კისერზე ჩამოკიდებული საშვის გამო უცხოელად მიიჩნია (სინამდვილეში ქართველი თარჯიმანი აღმოჩნდა) და შესტების ენაზე წყალი სთხოვა. იმანაც უსიტყვოდ გაუწოდა ბოთლი. მადლიერმა გოჩამ მადლობის გადახდა ინგლისურად გადაწყვიტა და ცოტა შეყოვნდა. ახსოვდა, რომ „მადლობა“ მთავრდებოდა სიტყვებით — VERY MUCH. დასაწყისიც „უცებ გაიხსენა“ და ღიმილით უთხრა: FUCK YOU VERRY MUCH. ჯ. ხავი“.

„გამათხოვე“ სასიძო და ბუნებრივი მოთხოვნის მსხვერპლი

„გურანდა გამორჩეულად ლამაზი გოგო იყო და ბევრ ბიჭს ატყვევებდა. მათი სიმრავლით ისე იყო გაყოყონებული, რომ ყველაში ნაკლს ხედავდა და ყველანაირად იდეალურ საქმროს ეძებდა. თუმცა, მისი იმედები არ გამართლდა. რჩევა-რჩევასა და ნუნიაობაში 28 წელსაც მიუკაკუნა და თანდათან ბიჭების რაოდენობამაც იკლო. წლებმა მის სილამაზესაც დაატყო კვალი, მაგრამ ძველებური სინატიფე მაინც შერჩა. მშობლებს გურანდას შინაბერად დარჩენის ეშინოდათ და ლამის მუხლებში უვარდებოდნენ შვილს, ოღონდაც გათხოვდი, გაიარ-გამოიარე, იქნებ ვინმე ნახო შენი მოსაწონიო. ყველა მონდომებული იყო მის დაოჯახებაზე. ერთ-ერთი ნათესავი გურანდას შეჰპირდა, კარგ ბიჭს გაგაცნობო. გურან-



ჩაღას სისცი სქესის წამომოსდგენელს ღი ღისხიან, მკერამ მამდრე ძაღას გაშიძიქვს!



დას მშობლებმა ქვა ააგდეს და თავი შეუშვირეს, გინდა თუ არა, ის ბიჭი სახლში დავპატიჟოთ და ჩვენც გავიცნობთო. გურანდას წინააღმდეგობის მიუხედავად, ბიჭი შინ მოიპატიჟეს და გვარიანი პურმარილიც გაუშალეს. მოკლედ, ვანოთი ყველა მოიხიბლა, მაგრამ გოგოს სიხარულის ნატამალიც არ აჩნდა სახეზე. სასიძო მისი მოწყენის მიზეზით დაინტერესდა და ჰკითხა, რა მოგივიდაო? გურანდამ მშობლებისგან მალულად გაუხილა, რომ სხვა მოსწონდა... ისიც უთხრა, რომ იმ ბიჭს მხოლოდ შორიდან იცნობდა და თქმას ვერ უბედავდა. ვანო მართლა გულიანი ბიჭი აღმოჩნდა, გურანდა დაამშვიდა, დახმარებას დაჰპირდა და წავიდა. გურანდამ მშობლები მოატყუა და უთხრა, რომ მას და ვანოს ერთმანეთი მოეწონათ. ვანო მიდგა-მოდგა და გურანდას მონოტონულ ბიჭს დაუახლოვდა, შემდეგ კაცურად „დაებზრა“ და ყველაფერი მოაგვარა, თან გააფრთხილა კიდევ, გურანდა ჩემი ნათესავია, არაფერი აწყენინო, თორემ ჩემთან გექნება საქმეო. შემდეგ კი ერთმანეთს შეახვედრა... აფორიაქებული იყო გურანდა, არც დათო იყო ნაკლებ დღეში. მამაკაცმა სიტყვებს ძლივს მოუყარა თავი. ბევრი ისაუბრეს, ყველა თემას შეეხნენ, თავიანთ ურთიერთობაზე კი აღუმდნენ. ძლივს, როდის, როდის მოაბა დათომ თავი და უთხრა, ძალიან მომწონხარო... შემდეგ კი გურანდას პასუხის მოლოდინში გაირინდა. საბრალო გოგოს კი სულაც არ ჰქონდა მისი თავი. საქმე ის გახლდათ, რომ შარდის ბუშტმა ძალიან შეაწუხა და სირცხვილისგან აღარ იცოდა, რა ექნა... ბოლოს ველარ მოითმინა და წამოხტა, დათოს მიახალა, შორიდან უფრო მომწონდი, მაგრამ სულაც არ ყოფილხარ კარგიო და თავპირისმტვრევით გაეცალა იქაურობას. დათო კი პირდაღებული დატოვა. აი, ასე დაიძვრინა თავი გურანდამ უხერხული სიტუაციისგან, მაგრამ ცუდი ის იყო, რომ კიდევ ერთი შანსი დაკარგა და ისევ მარტო დარჩა. ლუნა“.

ერეკლე მეფის ხმლით დამსხვრეული „გარშოკები“

„ბევრი რამ არის უხერხული და ბევრი ვითარება ჩაგაგადებს უხერხულობაში. უხერხულია, მაგალითად, მე რომ ჩემი ნაცოდვილარის

ნაკითხვას გაიძულებთ; უხერხულია და მინა გამისკდეს ის მირჩვენია, მაგრამ თავს ვერ ვძლიე, ოტიას ავტობიოგრაფიული მოთხრობების ნაკითხვის მეურე გავკადნიერდი და ჩემი მოგონებები მინდა მოგახვიოთ თავს. ბატონი სერგო მხოლოდ ისტორიას გვასწავლიდა. ვიმეორებ — მხოლოდ ისტორიას, უზადოდ და უზადლოდ... მაგრამ დაუვინყარი იყო ზვიად დოლიძის არაჩვეულებრივი გაკვეთილები. ამ ბიჭის, დიხს, დიხს, არ მოგეჩვენათ, ამ ბიჭის გაკვეთილი მოიცავდა არა მარტო ისტორიას, არამედ ზრდილობას, ეთიკას, ზნეობასა და კაცობას. საბჭოთა კავშირის ისტორიას გაცილებით მეტი დრო ეთმობოდა, მაგრამ შემთხვევას არ უშვებდა ხელიდან, საქართველოს წარსულიდან ესა თუ ის ეპიზოდი არ მოეთხრო.

საოცარი ადამიანი იყო. არ უნდა გაგვირვებოდათ, სამინისტროში, თათბირზე მიმავალი, სკოლის ეზოში, მოედანზე კალათურთის მოთამაშე ბიჭებს რომ დაინახავდა, საქალაქდეს ხის ძირში დადებდა, მაჯიდან საათს მოიხსნიდა და თამაშში ჩაერთვებოდა.

დამეთანხმებით, ასეთი ადამიანის გაკვეთილიდან ვერც შატალოზე წახვიდოდე და გაკვეთილის უსწავლეუცი ვერ იკადრებდი მისვლას. რამდენიმე მაღალი ნიშანი მყავდა და გამოძახებას არ ველოდი, მაგრამ ზვიადს რას გამოაპარებდი? — ჯერ გაკვეთილს ავხსნი და მერე ეს ჯეული — ჩემკენ მიუთითა კლასს, — მოგვიყვება საშინაო დავალებასო. თქვენს მტერს, რაც მე მაშინ განვიცადე, მაგრამ რაღას ვიზამდი? თავი ჩავარგე სახელმძღვანელოში (თითქოს რამე შევიდოდა თავში). შენიშნული მაქვს, რატომღაც ასეთი ადამიანის გაკვეთილზე მოგინდება ანგლობა და ცელქობა. ალბათ ქვეცნობიერად გგონია, რომ შენი უგვანო საქციელისთვის არ დაისჯები ან თუ დაისჯები, გაინტერესებს, როგორ დაისჯები. ალბათ ასე დაგვემართა მაშინაც. ვილაცას, მგონი ზაზას, ბურთი ჰქონდა მოტანილი და

როგორც კი ზვიად მასწავლებელმა თვალი მოაცილა, მოხერხებულად გადაუგდო გვერდით რიგში, ლევანს. ამ ჩანადრებამ მშვიდობიანად ჩაიარა, თუ არ ჩავთვლით რამდენიმე ჩაფხუკუნებას. კარგი, მაგრამ ახლა ზაზა საპასუხო „პას“ ელის და ხელით ანიშნებს ლევანს, მალეო. ზვიადი მერხებს შორის აუჩქარებლად დადის და მშვიდად ხსნის ახალ გაკვეთილს, გეორგიევსკის ტრაქტატის შესახებ. აი, შეაქცია ზურგი ლევანს, ამანაც დრო იხელთა და ზაზას ბურთი გადაუგდო. ბურთმა ჰაერში წრე მოხაზა, მაგრამ ადრესატამდე ვერ მიიღწია — მოულოდნელად შემობრუნებული მასწავლებელი მთელი ტანით გადაიხარა და გადაცემა მოხდენილად „ჩაჭრა“. ბურთი ხელში შეათამაშა და გაკვეთილის ახსნა მშვიდად განაგრძო:

— დიხს, ერეკლე მეფემ მიიღო გადაწყვეტილება, ხელი მოეწერა გეორგიევსკის ტრაქტატისათვის... არ დაგავინყდეო, ეს ის ერეკლე მეფეა, რომლის ხმლის ხსენებაც შიშის ზარს სცემდა მტერს და თქვენ წარმოიდგინეთ, რა პატივი იქნებოდა ალა მამამად ხანისთვის ამ ხმლის ხელში ჩაგდება...

ერეკლეს ხმალი მახარაძის (ამჟამად ოზურგეთი) მუზეუმში მქონდა ნანახი და ეს გაუბედავად წამოვიძახე. ზვიადმა არ დაახანა, უმაღლესი გადმომიგდო და მოაყოლა: — აბა, რა იცი, ჩვენც გავგანათლო.

მეც მოუყევი, რაც ვიცოდი. ერთ-ერთ ბრძოლაში ერეკლემ ახლოს რომ ვერ მოიხელთა, შორიდანვე ესროლა ხმალი მტერს და სული გააფრთხობინა, თუმცა ხმალი უმაღლესი ნარსტაცეს და დიდი ძალისხმევად ასჭირდა ქართველ მამულიშვილს, სულთნის ამაღალში სადილად გადაცემული, ფარულად შესულიყო და ერეკლეს ხმალი არა მარტო მეფისთვის, არამედ მთელი ერისთვის დაებრუნებინა-მეთქი. ისიც არ დამვიწყებია მეთქვა, რომ ერეკლემ თავისი ხმალი მეგრულ მთავარს უბოძა წარწერით: „მე, მეფემან ერეკლემან ვუძღვნი ამ ხმალს თავად და-

ყურადღება! თუ გსურთ, თქვენი მესიჯი „გზავნილებში“ დაიბეჭდოს, ტექსტი ვრცელი მესიჯით არ გამოგზავნოთ. ერთი მესიჯი (და არა — ამბავი) მხოლოდ 160 სიმბოლოს უნდა შეიცავდეს. ამიტომ, თუ ამბის მოყოლას ერთ მესიჯზე მეტი სჭირდება, გთხოვთ დაანაწევროთ და ცალ-ცალკე გამოგზავნოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვენი მონათხრობი არ გამოქვეყნდება.



დიანს“, ხოლო ამ უკანასკნელს გურიაში ლაშქრობის დროს სამარცხვინოდ წაართვეს და გურულები დღემდე ინახავენ თავიანთ მუზეუმში. ის აღარ მითქვამს, რომ იმ მუზეუმში ერეკლეს ხმალი ხელში ავიღე, მოვიქნე, მაგრამ ხმლის სიმძიმემ გადამძალა და რამდენიმე საყვავილე მივაფშვენი. მუზეუმის დირექტორმა ლამის მილიცია გამოიძახა, მაგრამ მერე თანამშრომელმა რალაც გადაუჩურჩულა და გაიბადრა კაცი. „აი, ჩვენი ნინიკას ბადიში რო ყოფილა, ელანძე, ვერ თქვით ვინცხამ? კილამ არ გადავაცოლეთ ამ თიხის „გარშოკებსო“? ზვიად მასწავლებელი ყურადღებით მისმენდა, მერე ხელი ხელს შემოჰკრა, ბურთი დამიბრუნეო და კლასს მიუბრუნდა — ვინმე რამეს თუ დაამატებსო? ბურთი ახლა ჭანტურასკენ, უნიჭიერესი ბიჭისკენ გაფრინდა. — მაგი მთელი გაკვეთილი წიგნს იყო მიჯაჭვული და ასეთი რამე არსად წერიასო, — ჩემზე თქვა. კომენტარი ყველას ჩიქოვანმა დაასწრო — მაგი გადაუმონშებელს არ იტყოდა და გვაცალოს გლეხობამ თავადაზნაურობას საქმეში გარკვევაო. ჩიქო მერე მართლა მყავდა იმ მუზეუმში, მაგრამ აღარ დაგვხვდა ის ხმალი იქ. ასე გვითხრეს, ზუგდიდელები შეგვეხვეწენ, თლად ნუ მოგვჭრით თავს, ნუ გაგვასარსალებთო და ქედოუბრუნეთ ჩვენცო.

ამასობაში ზვიად მასწავლებელმა თავისი ყვითელი უბის წიგნაკი მოიმარჯვა, ნიშნები ჩაინიშნა და ხმამაღლად გამოგვიცხადა. მე მომიბრუნდა და — დღევანდელი გაკვეთილის უტოვინარობისთვის სასჯელად ეს ფრიადიც გეყოფათო. ბურთი ხელში შეათამაშა, მოგვაძახა, სპორტდარბაზში გელოდებით და იქ მაჩვენეთ, როგორ იცით ბურთის მიწოდებაო და კლასიდან გავიდა. გავიდა და დატოვა უსაზღვრო სიყვარული, რუდუნება და არავითარი უხერხულობა... მხოლოდ ჩვენს დარცხვინილ სახეებს დასთამაშებდა ონავრული, ანცი ღიმი და უღიბკა“.

მომდევნო ნომრის თემა იქნება — „მაშინ ვიგრძენი მეგობრის მხარე“. ამბები შეგიძლიათ გამოგზავნოთ მესიჯებით ტელეფონის ნომერზე: 5.77.45.68.61 ან მომწეროთ ელფოსტაზე: marorita77@yahoo.com

ვოტო, ხომედმაც ნახნეხა დაკახგა



- „კაცი იმისია, ვინც ძლიერია“.
- „მეგონა, ერთს გადავურჩი და ეს რამდენი ყოფილან? აბა, ძუძუგაი!“
- „ვინც დაიჭერს, იმისია“...
- „შეიგნეთ, არა ვარ ჟორა, არა!“
- „ე ბიჭო, გაიქეცი, თორემ დაგერხა“.
- „ერთი ყველასათვის, ყველა — ერთისათვის“.
- ჩემი დედას გეფიცებით, თუ დამენიოთ“.
- „რა აქვს ამ კაცს მოსანონი, რომ ამდენი ცოლი მოჰყავს?“ მასტერ97.
- „გავიქცევი და ვინც დამიჭერს, იმისი ვიქნები“.
- „იმედგაცრუებული საცოლეები და მატყუარა დონჟუანნი“.
- „რომ დაიღლები, ხომ გაჩერდები? აი, მე კი რა დამიღლის? ამ შანსს ხელიდან ნამდვილად არ გაფუშვებ“. ციცქნა.
- „ოე, ოე, სიძე! რა იყო, ბიჭო, შეგაშინეს ქალებმა? მიდით, გოგონებო, დაიჭირეთ“. თაკო ვეკუა.
- „ჩვენი ლამაზი „ჰომო საპინსი ასეთია — აითესა“ („ასეთია“ წავიკითხოთ უკუღმა). RA-RAINBOW-იასამანი.
- „რიგში ჩადექო, რიგში“... ელე.
- „თუ არ დაენიე, ვერ გათხოვდები“.
- „ნამდვილი მამაკაცები არ გარბიან, ბიიიჭო! ნეტავ წაიქცეოდე და გადაგიარონ ქალებმა“. ნაომი.
- „HELL! ეს რამდენი არიან? ამდენი სად შემოძლია?“ CRAZY GIRL
- „სამოთხიდან გაქცევა“.
- „ნეტა, ძალიან სწრაფად ხომ არ გაფრთხილდები?“
- „საკურთხეველთან მიტოვებული, სასონარკვეთილი ქალები!“ ლუნა.
- „არადა, სანამ ლარიბი ვიყავი, ერთიც არ მომყვებოდა“.
- „100 შინაბერა და ერთი მამაკაცი“.
- „ახალგაზრდა მილიონერი გარბის“. ბორზ.
- „გამატარეთ, ბილეთი მაქვს!“
- „არ მინდა ფინიში!“
- „ყველა ერთად არა და... ცალ-ცალკე არაა პრობლემა!“ THE LITTLE.
- „დამიხედეთ ერთი სიძე ბატონს, რამდენი ქალი ეტანება?! თაფლშია ამოვლებული? ძან კარგ ხასიათზეა, მაგრამ თავს იფასებს... მაკნატუნა“.
- „პატარძლების რბოლა“.
- „ბიჭო, მაინც დაგიჭერენ და გაქცევას რა აზრი აქვს?“
- „უკანასკნელი კაცი დედამინაზე“. თამო.



„რომ ჰყვარებოდი, სოლს არ მოიყვანდა“

„ოჯახის დანგრევის მიზეზი ნუ გახდება...“

„გზის“ №42-ში დაიბეჭდა თათას მესოფი შეგახსენებთ, იგი გვწერდა: „დათუჩა 6 თვის წინ, ინტერნეტით გავიცანი. თავიდან ვითომ, ყურადღებას არ ვაქცევდი, მაგრამ მერე მივხვდი, რომ მიყვარდა. ჰოდა, შეყვარებულები გავხდით. ის ბათუმში ცხოვრობს და ცხადია, ერთმანეთის ნახვას ხშირად ვერ ვახერხებდით, მაგრამ დღის განმავლობაში „ტელეთი“ ხშირად მეკონტაქტებოდა. მართლა ვუყვარვარ და ჩემგან შორს ყოფნას ვერ იტანდა. ჰოდა, დაახლოებით ერთი თვის წინ მთხოვა, — ცოლად გამომეყვიო. უარი ვუთხარო, რადგან მიმაჩნია, რომ საამისოდ ჯერ ძალიან პატარა ვარ. დათუჩამ, სამაგიეროს გადახდის მიზნით, სხვა გოგო შეირთო, მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა, მაინც მეკონტაქტება ხოლმე. მირჩიეთ, როგორ მოვიქცე?“

ისიდა:

„მაგ ტიპს შეეშვი. მერწმუნე, ის შენი სიყვარულის ღირსი არ ყოფილა. შენ რომ ჰყვარებოდი, სხვას არ მოიყვანდა.“

მაცნაცუნა:

„კარგი, რა, მასთან ლაპარაკს როგორ კადრულობ ან რას ელი, რა მოხდება მომავალში? ცოლობა რომ შემოგთავაზა, უთხარი: პატარა ვარო და საყვარლობას რომ შემოგთავაზებს, დიდი იქნები?“

ინტერალი:

„ის კი გეკონტაქტება, მაგრამ საინტერესოა, რაზე ლაპარაკობთ? ისევ არშემდგარ სიყვარულზე? P.S. ჯობია, დარეკვა და შენთან კონტაქტი აუკრძალო.“

ანამარი:

„შეცდომა არ დაუშვა და ოჯახის დანგრევის მიზეზი არ გახდე. შენთან დარეკვაც კი აუკრძალე. იცოდე, ცხოვრება გრძელდება. ის თავის შეცდომას კიდევ ბევრჯერ ინანებს, შენ კი ეცადე, ბედნიერი იყო.“

ანა:

„მასთან ყოველგვარი ურთიერთობა უნდა განწყვიტო. მესმის შენი, თან — ძალიან კარგად, მაგრამ შენთვისვე აჯობებს, თუ ამ ურთიერთობას საბოლოოდ დაუსვამ წერტილს.“

ლაკო 27:

„არ მინდა, ცუდად გამომივიდეს, მაგრამ შენს დათუჩას რომ ჰყვარებოდი, აუცილებლად დაგელოდებოდა. ნამდვილ სიყვარულს წინააღმდეგობების დაძლევა შეუძლია. როგორც თავად ამბობ, — ჯერ პატარა ხარ. ჰოდა, დადგება დრო, როცა ნამდვილ და ლამაზ სიყვარულს იპოვი. და კიდევ, მასთან ტელეფონით ლაპარაკს და მასზე არაფრისმოცემ ოცნებას შეეშვი. დატკბი ცხოვრებით, მხოლოდ კარგზე იფიქრე. ბოლოს და ბოლოს, შენ ხომ წინ მთელი ცხოვრება გაქვს. წარმატებებს გისურვებ, ჩემო პატარავ!“

იაკო, შუთასი:

„რომ ჰყვარებოდი, დაგელოდებოდა, მან კი რა ქნა? — სხვა შეირთო. ალბათ იმ გოგოსაც „ტელეთი“ ელაპარაკებოდა და შენ უარი რომ უთხარი, მას შესთავაზა ცოლობა. არაფერზე ინერვიულო, ასეთ კაცთან ბედნიერებას მაინც ვერ იპოვიდი. ყველაფერს ჯობია, ტელეფონის ნომერი შეცვალო და ის ადამიანი საერთოდ დაივიწყო. ცხოვრებაში წინსვლას და ბედნიერებას გისურვებ!“

ნაზროზიანი:

„მოკლედ, შენნაირები არიან, ყველაფერი იოლი რომ ჰგონიათ და ყველაფერს ვარდისფრად რომ აღიქვამენ, მერე კი ასეთი ქარაფშუტობის გამო თავბრუს იწყებენ... კარგი, რა, ადამიანო, მაგ თავში ჭკუა საერთოდ არ მოგეძევა? ცოლიან ბიჭს ეკონტაქტები და ამაზე ისე ლაპარაკობ, თითქოს ყველსა და პურს ჭამდე. ჰო, იცინე, იცინე: როგორ სასაცილოდაც იქცევი, ისეთი სასაცილო შედარება გავაკეთე, ჩემო თათა, თავმოყვარეობა იქონიე და ახალი ცხოვრება დაიწყე!“

უცნობი:

„თუ სხვა მოიყვანა, ე.ი. ისე არ ჰყვარებიხარ, როგორც გეგონა, მაგრამ მეგობრობას წინ რა უდგას? ოდესმე ნამდვილ სიყვარულსაც იპოვი!“

ლილა:

„გადამრევე შენ! თუ კარგად დაფიქრდები, მიხვდები, რომ მას არ ჰყვარებიხარ და არც შენ გაქვს მის მიმართ გრძობა. თქვენ უბრალოდ, ერთმანეთს შეეჩვიეთ და გეგონათ, სიყვარული გაკავშირებდათ. დაივიწყე ეგ დათუჩა და იცხოვრე შენი“



ცხოვრებით, მის გარეშე. გამოიჩინე თავმოყვარეობა და ცოლიან ბიჭს არ დაელაპარაკო. ის არასერიოზული პიროვნებაა, საკუთარ თავსა და გრძნობებში არაა დარწმუნებული.“

ლუნა:

„ჩემო კარგო, დათუჩას ნამდვილად რომ ჰყვარებოდი, ცოლს კი არ მოიყვანდა, შენ გამო იბრძოლებოდა და დაგელოდებოდა. რატომღაც, მისი არ მჯერა. შენი მხრიდან ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება ის იქნება, თუ იმ ბიჭთან ყველანაირ კავშირს განწყვეტ. ნუ მისცემ უფლებას, გაგასულელოს. მას ხომ უკვე ცოლი ჰყავს, ჰოდა, დაოჯახებულ კაცთან რა გესაქმება? სხვა, ისეთი ბიჭი იპოვე, რომელიც გაგაბედნიერებს. გკოცნი.“

THE LITTLE:

„გირჩე, მასთან ყოველგვარი ურთიერთობა განწყვიტო. ბიჭი, რომელიც „ლოვეს“ მიმართ გაბრაზებას ასე გამოსატავს, არა მგონია, ჯანსაღად მოაზროვნე იყოს. თან არ დაგავინყდეს: ის უკვე ცოლიანია!..“

უცნობი:

„დებილი ყოფილა ეგ შენი დათუჩა. თუ ბიჭი სამაგიეროს გადახდის მიზნით, სხვას შეირთავს, ე.ი. სათანადოდ ვერ გაფასებს, ასეთი ადამიანი კი უნდა „დააიგნორო“.“

ეკა:

„ეს ბიჭები სუფთა „მაჩვიები“ გახდნენ, რა. როგორ შეიძლება, შეყვარებულზე უარი მხოლოდ იმიტომ თქვა, რომ მან ცოლობაზე დროებით უარი გითხრა, თანაც, მხოლოდ და მხოლოდ იმ მიზეზით, რომ ჯერ საამისოდ ძალიან პატარაა?! თათა, შენი ყოფილი „ლოვე“ ყველაფერი ცუდის ღირსია. მეცოდება მისი ცო-“



ლი, რომელსაც ჰგონია, რომ გვერდით ნამდვილი კაცი უდგას, სინამდვილეში კი ნაძირალას მუღლავა. გირჩევ, მას შენთან დარეკვაც აუკრძალო, წინააღმდეგ შემთხვევაში, დაემუქრე: იცოდე, ყველაფერს შენს ცოლს და მშობლებს ვეტყვი-თქო. იმედია, შეგეშვება, შენ კი ახალ სიყვარულს იპოვი. წარმატებები!”

ქაჯანა:

„ნამდვილად რომ ჰყვარებოდი,

ასეთ ნაბიჯს არ გადადგამდა, ცოლს არ მოიყვანდა. ნურაფრის იმედი ნულარ გაქვს. უთხარი, თავი დაგანებოს, მაგრამ თუ მაინც არ შეგეშვება, ტელეფონის ნომერი გამოცვალე. აბა, მისი ცოლის ადგილას წარმოიდგინე თავი. როცა ის გოგო ქმრის ნიკების შესახებ შეიტყობს, გული ძალიან ეტკინება. ჰოდა, დაიმახსოვრე, სხვის უბედურებაზე საკუთარ ბედნიერებას ვერავინ ააგებს.

ჭკვიანი გოგო ხარ და აბა, შენ იცი“.

შორანა:

„რალაც ეჭვი მეპარება იმაში, რომ დათუჩელას უყვარხარ. უფრო მეტიც, ეგ ბიჭი მგონი, ნორმალური არაა და შენთვისვე აჯობებს, თუ ტელეფონის ნომერს გამოცვლი და ქარაფშუტა დათუნასთან ურთიერთობას საერთოდ განწყვეტ. P.S. შენი ყოფილი „ლოვე“ დათუჩა კი არა, გრიზლი დათვია“.



„ჭადრაკში უკან იხევენ, რათა მერე წინ წასვლა შეკლონ“

„გზის“ №42-ში დაიბეჭდა როსტოს მესიჯი. იგი გვწერდა „მასწავლებლებთან პრობლემა შემექმნა იმის გამო, რომ პედაგოგის ქალიშვილი შემიყვარდა. ჰოდა, ახლა მწიგნობარა არა აქვს, გაკვეთილი ვიცი თუ არა, თითქმის ყველა მასწავლებელი ცდილობს (ასე დაუკვეთა მათ ჩემმა მომავალმა სიდედრმა), სული გამიმწაროს. სადმე ერთად თუ დაგვინახავენ, ეგრევე ნიას დედას ურეკავენ და ისიც, გიჟივით მოგვეარდება ხოლმე. არ ვიცი, როგორ მოვიქცე...“ როსტომ მშობლებს მოსთხოვა, სხვა სკოლაში გადამიყვანეთო. თავიდან თანხმობა მიიღო, მაგრამ როცა ამის მიზეზი გაიგეს, გადაუფიქრებიათ: ის ქალი ასე უნამუსოდ როგორ იქცევა, ან ჩვენს ოჯახს რას უწუნიებს? მაღლობა თქვას, იმ გალეულ გოგოს სახლში თუ შემოვუშვებთ. არსადაც არ გადახვალ! თუ უნდათ, თავიანთი შვილი მოაშორონ იქაურობასო. „მოკლედ, ახლა ჩვენი მშობლებიც გადაეკიდნენ ერთმანეთს... მიწიერ, მდგომარეობის გამოსწორების მიზნით, რა ნაბიჯები უნდა გადავდგა?“

„ერთმანეთს გალულად უნდა შეხვდით“

შორანა:

„ის ნაბიჯი უნდა გადადგა, რომელიც შენს ამაყ და ამბიციურ მშობლებს არ ხიბლავს ანუ სხვა სკოლაში უნდა გადახვიდე. ჭადრაკში უკან იხევენ ხოლმე, რათა მერე წინ წასვლა, მიზანთან მიახლოება შეძლონ, თქვენ კი ჯიუტი თხებივით იქცევით. ჯობია, მშობლებთან დიპლომატია გამოიჩინო და სკოლიდან გადასვლის ახალი, მათთვის მომხიბლავი მიზეზი მოიგონო. დროებით განერიდე ასპარეზს, რალაც პერიოდის შემდეგ კი სურვილის დაკმაყოფილებას აუცილებლად შეძლებ. წარმატებები!“

MAN LEGEND:

„ის გოგო „დაიკიდე“ და სწავლას მიხედე. ბევრი კარგი გოგოა და ვინმე სხვა მონახე. იცოდე, მჯობნის მჯობნი არ დაილევა“.

რუხა:

„ამ ხალხმა სულ „გარეკა“, რა. როსტო, ერთს გეტყვი: თუ ერთმანეთი მართლა გიყვართ, არავის მოუსმინოთ. მთავარია, თქვენ რას გრძნობთ ერთმანეთის მიმართ. ისე, თუ მაინცდამაინც იმ გოგოს მოყვა-

ნას აპირებ ცოლად, მე ვიცი ერთი კარგი ადგილი და ისე დაგმაღავთ, ეშმაკიც ვერ მოგაგნებთ“.

ლუნა:

„ოჰ, ეს მშობლები, რა. გირჩევ, შენც და შენმა სატრფომაც მშობლებთან იცრუოთ, ვითომ ერთმანეთთან ურთიერთობა განწყვიტეთ, სინამდვილეში მალულად უნდა შეხვდეთ ერთმანეთს (თუ რა თქმა უნდა, მართლა ასე ძალიან გიყვარს), შემდეგ კი დრო გიჩვენებთ, როგორ მოიქცეთ. მაგრამ იყავით და იცოდეთ, „გბალელშჩიკობთ“.

უცნობი:

„ჩხიკვთა ქორწილი“ ხომ გაქვს ნანახი? ჰოდა, გაიხსენე, როგორც მთავრდება... მთავარია, თქვენი სიყვარული წმინდა იყოს. გისურვებ გამარჯვებას სწავლაშიც და სიყვარულშიც!“

S.V:

„სკოლიდან არავითარ შემთხვევაში არ გადახვიდე. შენს მასწავლებელს თავში ყველაფერი კარგად ვერ ჰქონია. მისი ასეთი საქციელი შეიძლება, ეგოისტობას მივანეროთ,

მაგრამ ასეთი სისასტიკე ნამდვილად ზედმეტია. თუ ნია მართლა გიყვარს, ყველა და ყველაფერი „დაიკიდე“, თუ არა და, ზედმეტ შარს თავი აარიდე. წარმატებებს გისურვებ!“

მაცნაცუნა:

„იქნებ მშობლებს ორივე დაელაპარაკოთ და სთხოვოთ, რომ გაგიგონ. უფროსებმა უნდა შეიგნონ, რომ მათი ასეთი საქციელის გამო თქვენ იჭყლიტებით; ერთმანეთს რომ გადაეკიდონ, ეს თქვენს ურთიერთობაზე ცუდად იმოქმედებს“.

ბიო:

„დედის პოზიცია გასაგებია — სასიძოდ არ მოსწონხარ და გაკონტროლებთ, მაგრამ მისი კოლეგები ამ საქმეში ცხვირს რატომ ყოფენ? ისე, შენი მშობლებიც არასწორად იქცევიან — იმის ნაცვლად, რომ მხარში ამოგიდგნენ და ნორმალური რჩევა მოგცენ, მომავალ ნათესავებს ემუქრებიან და სარძლოს ლანძღავენ. შენს ადგილას, ნიას დავალებდი ხელს და გავიპარებოდი. ჰოდა, გდიონ მერე მისმა და შენმა მშობლებმაც...“

იპა:

„ჩემი აზრით, შენ და ნია მშობლებს უნდა დაელაპარაკოთ და აუხსნათ, რომ თქვენს ურთიერთობაში ჩარევის უფლება არა აქვთ. მერე რა, რომ ნიას დედა მასწავლებელია? რა, მის გოგოს ბიჭი რომ დაჰყვება, ამის დანახვა „უტყდება“? აბა, ის უფრო გაუხარდებოდა, გოგო რომ შეუყვარდეს სხვანაირად? არ მესმის ამ ქალების და მომკალით, რა, როცა ასაკში შედიან, ისე იქცევიან, თითქოს თავად ბიჭებს არც კი ელაპარაკებოდნენ. კი, ბატონო, შეიძლება მათ დაუფუჯროთ კიდეც, მაგრამ ფაქტი ხომ სხვა რამეზე მეტყველებს — აბა, ნია საიდან მოველინა ამ ქვეყანას?!. როსტო, ნიას უთხარი: მშობლების ჯიბრზე უნდა გავიპაროთ-თქო. წარმატებები!“





მოზილი-ზაცია



იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი „მოზილი-ზაციაში“ მოხვდეს, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა GZA გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნით ნომერზე: 8884. ჩემს მობილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ვრცელი მესიჯის გამოგზავნა გასურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ. მისიჯის ღირებულება 50 თეთრი

ქაღაბი



1. დაუმესიჯეთ ჩემს მეგობარ ირმას, დაოჯახების მიზნით. 32 წლამდე ასაკის, უბრალო და სუფთა წარსულის მქონე ადამიანებმა. მან არ იცის ამ სმს-ის შესახებ. ეს ხომ სიურპრიზია?

2. ვარ განათხოვარი. გავიცნობ დაოჯახების მიზნით სერიოზულ მამაკაცს 25-დან 35 წლამდე. ელე.

3. ვარ 26 წლის, კარგი მეოჯახე მანდილოსანი. თავისუფალი. მიპოვეთ.

4. გამოუმესიჯეთ მამაკაცი, რომელიც მატერიალურად დამემხარება. ვარ 35 წლის. დანარჩენი — პირადად.

5. გამოუმესიჯეთ ნორმალური, მარტოხელა მამაკაცი. ვარ 35 წლის. დანარჩენი — პირადად.

6. ჩემს მეგობარს მინდა ჰქონდეს კარგი ოჯახი. არის 49 წლის, გაუთხოვარი, ეკლესიური, განათლებული, დასაქმებული, ოჯახის შექმნის მიზნით გამოუმესიჯეთ!

7. გთხოვთ, მომცეთ მე-18 ნომრის ტელეფონის ნომერი.

8. ვარ განათხოვარი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ მამაკაცს, 30-დან 37 წლამდე. გამოუმესიჯეთ.

9. გთხოვთ, მისცეთ ჩემი ტელეფონის ნომერი „გზა“ 43-ში გამოქვეყნებული, მე-18 მესიჯის ავტორს. მზია.

10. ოჯახის შექმნის მიზნით გამოუმესიჯეთ კახელი მამაკაცი, თბილისიდან ან რაიონიდან. ქვრივი, ინტელიგენტი, 60-65 წლის. ვარ ქვრივი, 2 უმაღლესი განათლებით, დაბინავებული შვილით. ვცხოვრობ ცალკე. ლალი. ტელეფონის ნომერი მობილურის არ გახლავთ, ქალაქის ნომერია.



მამაკაცი

11. ვეხმარები 42 წლის ქალბატონს. ვარ 40 წლის, რუსთაველი მამაკაცი. მსურს ოჯახის შექმნა. თუ გაგიჩნდათ სურვილი, გთხოვთ გამოუმესიჯეთ.

12. გავიცნობ 35 წლამდე ასაკის ქალბატონს, ოჯახის შექმნის მიზნით. თუ არსებობენ ასეთები.

13. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 25-35 წლამდე მანდილოსანს. ვარ 30 წლის, დასაქმებული. ვისაც ოჯახი უნდა, გამოუმესიჯეთ.

14. ვარ 36/190/90, ქერა, მწვანე თვალებით, ევროპული ტიპის მამაკაცი. უკომპლექსო. კარგი ურთიერთობისთვის გავიცნობ ლამაზი გარეგნობის მანდილოსანს.

ყურადღება! გთავაზობთ სიმბოლოებს, რომლის მიხედვითაც „მოზილი-ზაციისთვის“ გამოსაგზავნი მესიჯის ტექსტი უნდა აკრიბოთ. ეს განსაკუთრებულად ეხება საბერძნეთში მცხოვრებ მგზავნელებს, რადგან მათი მესიჯების გაშიფვრა ძალიან მიჭირს. მესიჯი, რომელიც ამ წესის მიხედვით არ იქნება აკრიბილი, არ გამოქვეყნდება!

ა — a	მ — m	ლ — gh
ბ — b	ნ — n	ყ — y
გ — g	ო — o	შ — sh
დ — d	პ — p	ჩ — ch
ე — e	ჟ — zh	ც — c
ვ — v	რ — r	ძ — dz
ზ — z	ს — s	წ — w
თ — t	ტ — t	ჭ — wh
ი — i	უ — u	ხ — x
კ — k	ფ — f	ჯ — j
ლ — l	ქ — q	ჰ — h

სანს. დანარჩენი — პირადად.

15. გთხოვთ, მომცეთ 42-ე ნომრის მე-15 მესიჯის ავტორის ნომერი.

16. ვეხმარები მე-7 ნომერს. ვარ 32 წლის, უცოლო მამაკაცი.

17. გთხოვთ, მომცეთ 41-ე ნომრის მე-10 მესიჯის ავტორის ნომერი.

18. გთხოვთ, მომცეთ 41-ე ნომრის მე-6 მესიჯის ავტორის ნომერი.

19. გავიცნობ მომხიბვლელ ქალს, რომელსაც ექნება ბინა. 25-35 წლამდე. გელოდები.

20. გავიცნობ გულნატკენ, მამაკაცურ სიტბოსა და სიყვარულს მოკლებულ, 20-დან 30 წლამდე ასაკის გოგოს. ვარ დასაქმებული, უბრალო ადამიანი. დამიმესიჯეთ.

21. ვეხმარები ნომერ 42-ში, 24 წლის ელეს. მინდა გავიცნო.

22. გავიცნობ 20-27 წლამდე გოგოს, ოჯახის შექმნის მიზნით. ვარ 28 წლის, ვცხოვრობ რაიონში — ჭიათურაში. ვარ მოსიყვარულე, კეთილი.

23. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ ბუნებით კარგ, პატიოსან გოგოს. ვარ 33 წლის.

24. ვარ 19 წლის, სიმპათიური, დასაქმებული და სპორტსმენი ბიჭი, ბათუმიდან. ვეძებ გოგოს, 18-22 წლამდე, მეგობრული ურთიერთობისთვის. სასურველია — ქალაქელი. ლაშა.

25. გავიცნობ ქალს, შეხვედრებისთვის, 25-35 წლამდე, რომელსაც ექნება ბინა. გელოდები. დანარჩენი — პირადად.

26. გავიცნობ 30 წლის გოგოს, ოჯახის შექმნის მიზნით.

27. ვარ სიმპათიური, სპორტული აღნაგობის, თბილისელი, 30 წლის, უცოლო მამაკაცი. გავიცნობ სუფთა, სასიამოვნო გარეგნობის მანდილოსანს. მომწერეთ.

28. გთხოვთ, მომცეთ „გზა“ №42-დან ქალბატონი მაიას ნომერი — მე-3 სმს-ის ავტორის.

29. ვარ 40 წლის, თბილისელი მამაკაცი. სამეგობროდ გავიცნობ 35-48 წლამდე ასაკის, თბილისელ მანდილოსანს.

30. გავიცნობ ლამაზ, თბილისელ ქალბატონს. ვარ 36 წლის, თბილისელი მამაკაცი.



31. გავიცნობ თბილისში, ლამაზ მან- დილოსანს, ლამაზი, მეგობრული ურთი- ერთობისთვის, 30-45 წლამდე ვარ 35 წლის მამაკაცი.

32. გთხოვთ, მომცეთ „გზა“ 42-ის, მე- 2 მესიჯის ავტორის ნომერი.

33. გავიცნობ 35 წლამდე ასაკის, სიმპა- თიურ ქალს. გელოდები.

34. გთხოვთ, მომცეთ 43-ე ნომრის მე- 2 მესიჯის ავტორის ნომერი.

35. გავიცნობ მამაკაცურ სიტბოსა და სიყვარულს მოკლებულ, გულნატკენ გო- გოს, 20-დან 30 წლამდე, სამეგობროდ. ვარ დასაქმებული, დაგეხმარეთ ყველანა- ირად. დამიმეხივით.

36. ვხმაურები მარის, გურიიდან, 42- ე ნომრის მე-2 მესიჯის ავტორს. მქვია დათო, 25 წლის, დასაქმებული, თბილი- სიდან. გთხოვთ მომცეთ მარის ნომერი.

37. ვცდილობ, დაფუკავშირდე 43-4-ის ავტორს, მაგრამ უშედეგოდ. რა ხდება?

38. 27-ე ნომრის მე-12 მესიჯის ავტო- რი გოგოს ნომერი მინდა.

39. რატომ არ მომწერეთ 27-ე ნომერ- ში გამოქვეყნებული, მე-12 მესიჯის ავტო- რის ნომერი?

40. 27-ე ნომერში გამოქვეყნებული, მე- 3 მესიჯის ავტორი გოგოს ნომერი მინდა.

41. გავიცნობ გოგოს, 20-30 წლამდე.

42. გთხოვთ, მომცეთ „გზის 42-ე ნო- მერში გამოქვეყნებული, მე-4 მესიჯის ავ- ტორის ტელეფონის ნომერი ან მას მიე- ცით ჩემი ნომერი.



სპადასპა

•პატარავ, დედას სიხარულო, როგორ ხარ? რადგან წინა თვეში 5-ში გნახეთ, 3- ში ნახვის უფლება არ მოგვცეს. ამიტომ, მომავალ ოთხშაბათს, 9-ში გნახავთ. ვიცი, რომ მთელი 4 დღით გადასცილდება 1 თვეს, მაგრამ სხვა გზა არაა, დე. მენატრე- ბი ძალიან. ჩვენჯენ ახალი არაფერია, ყვე- ლაფერი ძველებურადაა, რომ გნახავ, მა- შინ გეჭორავები ბევრს. ბიძაშენი ვნახეთ, არა უშავს. მოკითხვა შემოგიტვალა. სა- ბას და ვაჩუხ ზამთრის რალაცები ვუყიდე, კაცური ქურთუკები, ზამთრის ფეხსაცმე- ლები და წვრილმანები. დადის და დაბ- ლატაობს. შენსავით უყვარს ახალი ტან- საცმელი და პრანჭვა. ეს ჯოჯოხეთი რომ დასრულდება, ისე გამოგპრანჭავ, შენზე უკეთესად ჩაცმული არავინ ივლის. აჟუ- რუნე მერე თვალები და იყავი. ჩემი სიამა- ყე ხარ... როდის დამთავრდება ეს ყველა- ფერი, რომ გვერდით მყავდე და ერთად ვაკეთოთ საქმე. მჭირდები, დე... იცი, რო- გორ მჭირდები? ჩემი სიცოცხლე ხარ. თავს გაუფრთხილდი, მალე გნახავთ. უფა- ლი გფარავდეს. გიკოცნი მწვანე და ცი- მიბა თვალებს. დედა.

•ჩემო ცხოვრებაზე, როგორ ხარ? ჩვენ — ძველებურად. სიგიჟემდე მენატრები. ნეტავ, მალე დამიბრუნდე. დროც რა ნე- ლა გადის... საბა ხშირად გკითხულობს და თითქმის ყოველდღე, მამიკოს სურა- თები მაჩვენო, მუზუნება. დავათვალე ერთ, მერე მე ვტირი და ეგ მეფერება. სურა- თებს რომ ვნახულობ, გული მიკვდება, ყოველი დღე მახსენდება, ჩემო ცხოვრე- ბაზე, სულ შენზე ვფიქრობ და სულ მახ- სოვხარ. მალე გნახავ და შორიდან მაინც მოგეფერები. მიყვარხარ ისე, როგორც არასდროს და არავინ. გოგონები ხომ არ განუხებენ (მაგ მხრივ მშვიდად ვარ)? ვი- ცი, რომ მარტო ჩემზე ფიქრობ სულ, როგორც მე — შენზე. როცა ძალიან მო- მენატრები, ვისხენებ ერთად გატარებულ ყოველ დღეს და ვწინარდები. შენც იფიქ- რე კარგი, სიხარულო, ნუ იდარდებ ბევრს. ძალიან მიყვარხარ, ძალიან... ნახვამდის. ნინო.

•666, ჩემო ლამაზო, „სიმპიკატურო“ და „ინტილიგენტო“... როგორ ხარ? რომ გნა- ხეთ, ცოტა დაეწყნარდით. ვენერვიულობ- დით, ცუდად ხომ არააო. დედა ექიმთან მყავდა. ანალიზები ჩავაბარეთ, ხვალ, ოთ- ხშაბათს უნდა მივიდე ექიმთან, პასუხზე. წნევები ისევ აქვს, მაგრამ ექიმმა თქვა, თირკმლის ბრალი არააო. დავადგენთ, რისი ბრალია და ვუმკურნალებ. შენ ხომ კარგად ხარ? ჩვენთან ახალი არაფერია. ისევ და ისევ შრომა, ციყვივით ბორბალ- ში ტრიალი და ყოველდღიურობა... თქვენზე ფიქრი და დარდი. ყველაზე დიდი ტკივი- ლი თქვენ ხართ, ჩვენივენი. ამას წინათ ნინო გამოვგზავნეთ, წამლები რომ შემო- ეგზავნა. დილის 10 საათიდან საღამოს 6- მდე გაიყინა მანდ და ტანსაცმელი ისეთ დროს შემოგზავნა, რომ პასუხს აღარ დაელოდოო, უთხრეს. სხვა გზა არ იყო, დედა მყავდა ექიმთან. ამ დღეებში კიდევ შემოგიგზავნით რამეს. თუ დაეგვიანოთ, არ ინერვიულო, ხომ იცი, აქაც რა დღე- ში ვართ — გადარბენაზე ვართ ყველანი. შენ იცი, სიხარულო, თავს გაუფრთხილ- დი. ამის მეტი ახლა არაფერი გევალება. რომ გამოხვალ, მერე კი ჩვენი პატრონო- ბაც მოგიწევს. სათვალე არსად დაკარგო- იოო! გკოცნი. შენი დეაკო.

•3.198გი, უკვე გორთან ვართ მე და დიტო. მივდივარ და თან მიმყვება შენთან შეხვედრის სიხარული და უზომოდ დი- დი სევდა და ტკივილი. ძალიან მაკლიხარ და როცა გხედავ, ამას განსაკუთრებუ- ლად ვგრძნობ. რა გადაიტანს კიდევ ერთ თვეს შენი მონატრებით? უსაშველოდ გა- ინელება ახლაც, როგორც წინა თვეები გაჭიანურდა. ძალიან მიყვარხარ, ბუტუ- სურ, შენზე მუდმივი ზრუნვის სურვი- ლით გადამაქვს ეს გასაჭირი. მთავარია, თავს გაუფრთხილდი და გქონდეს იმედი. ყველაფერი კარგად იქნება, დალაგდება. არ იჯავრო. თვე.

•3.198 ბუუს, 3 წელიწადში დაღვინ- დებით, რომ მითხარი, რა, 3 წელიწადში გრძნობა და ემოცია შემეცვლება? პირი- კით, ალბათ მონატრება გაცილებით გა-

მანადგურებს. იმედა, 3 წელი არ იქნება და გაცილებით მალე დასრულდება ეს საშინელი პერიოდი... გახსოვდეს, რომ მიყვარხარ და მეყვარები. მენატრები და მეტად მომენატრები. ეს ხუმრობით. გკოც- ნი. შენი თვე.

•3.198 ბუუს, მაქედან რომ გამოვე- დით, გარეთ წვიმდა. ისე ციოდა, სულ კბილები მაკანკანებინა. ახლა ხაშურს მი- ვუახლოვდით და ჩახჩახა მზეა. ძალიან მოენატრები, გი, თვე.

•3.198გი, არ მაძინებს შენზე ფიქრი. დღეს გზამ ისე გაიარა, არც კი გამიგია ფიქრში გართულს, დიტომ კიდევ მკით- ხა, რად ნერვიულობ ასეო. გი, ალბათ შენზე ჯავრი მომიწვლეს. თავს გაუფ- რთხილდი რა, ბუუს. ჩემთვის წარმოუდ- გენელია ამ სიტუაციასთან შეგუება. მგო- ნი, ეს სმს-ებისა და წერილების სიხშირე- შიც გამოიხატება. რომ გწერ, თითქოს შუება მაქვს და ყოველი პარასკევი მეც მიხარია, რადგან ვიცი, რომ ჩემს გზაჯინი- ლებს კითხულობ.

•ლევანჩო, დედი, როგორ ხარ? შენი ძმა და მამა იყვნენ იქ და არ დახვდა და კიდევ მივლენ. შენ რომ დამაბარე, მაშინვე დაფურეკე. მერე თვითონაც დამირეკა, ყვე- ლაფერი აფუხსენი. დღეს შენი და საპატ- რიარქოში მიდის. ტანსაცმელს შემოგიგ- ზავანი, მეორე კვირას. გკოცნი და მიყ- ვარხარ. ლიკამაც მოგიკითხა, ძალიან ენატ- რები.

•ლორი, ძმაო, როგორ ხარ? ძალიან გვენატრები ყველას. მოძღვარი აიყვანეთ უცვილებლად! ოჯახზე არ ინერვიულოთ, ყურადღებას არ მოვავლებთ. ბიჭებისგან მოკითხვა. ვარსიმა.

•თვე, ჩემო საყვარელო თვე, როგორ ხარ? ჩვენ ყველა კარგად ვართ, სანდრიკა ჯერ არ მიმიყვანია ფეხბურთზე, გრიპი მქონდა და იქითა კვირისთვის გადავ- დეთ, ახლა უკვე კარგად ვარ, გენაცვალე ჩემო ერთადერთო, ამ დაპირებებითა და მოლოდინით ბევრი დღე გავიდა, ალბათ უკვე მივუახლოვდით შენი დაბრუნების ძალიან ძვირფას წუთებს. ისე, ძლიერ მე- ნატრები, თე, სიტყვებით ვერ გადმოგცემ, ფიქრი იმაზე, რომ მალე დამიბრუნდები, ყოველ განთიადს ლომილეთ მითენებს, სან- დრის ენატრები ძალიან, ხომ წარმოგიდ- გენია, როგორ ძალიან... ელენე ერთ კვი- რაში ჩამოვა, ლიასთანაა ისევ და ერთად აპირებენ წამოსვლას, შენი და ჩემი დაი- კოები კარგად არიან, ბავშვებმა მოგი- კითხეს დიდი სიყვარულით. აბა, შენ იცი, სიხარულო... სულ ცოტა დარჩა, მიყვარ- ხარ ისე, როგორც არასდროს, მჭირდე- ბი და მენატრება ჩვენი ერთად ყოფნის ყოველი დღე... შენი ბუტია.

•თვე, დღეს 28 ოქტომბერია, მითხრეს, კიდევ გადაიდოო, აღარ ვიცი, რა ვქნა, რით დაგეხმარო, თვე, შენი გამძლეობის იმედი მაქვს, საყვარელო, მე კარგად ვარ, ჩემზე არ იდარდო, არ ვიცი რა გითხრა, მე მჯერა, უფალი არ გაგვწირავს, ყველა- ფერი კარგად იქნება, თვე, სიცოცხლევე ჩემო, სიყვარულო ჩემო, დღეს ძალიან ნალ-



ვლიანი ვარ... მე მხოლოდ შენზე ვდარდობ, ნეტავ, როგორ შეხვდი ამ ამბავს... ხომ არ დამელოდა, ჩემო ერთადერთო? თვე, უყვარხარ და ენატრები შენს ბუტიას ძალიან, ძალიან... მინდა დაგიკოცნო სევდიანი თვალები, ჩაგეხუტო მაგრად, ძალიან მაგრად, მე შენ მიყვარხარ... მენატრები, ჩემო... ბუტია.

• თვე, ჩემო... მხოლოდ ჩემო თვე... როგორ ხარ? ჩვენ ყველა კარგად ვართ, მე და სანდრიკას ყოველდღე რომ გვხვდავდე... იამაყებდი ჩვენი... ვდარდობთ შენზე, ჩვენ ყველა ერთად ვუმკლავდებით ამ განსაცდელს და ასე ველოდებით... ველოდებით შენს დაბრუნებას. აქეთ ახალი არაფერია, ნატას ვთხოვე (ცურვის მასწავლებელს), გამიგე, ვინ არის აქ კარგი მწვრთნელი-მეთქი, გაიკითხა და მიჩვენა. სანდრის ასაკის ბავშვებს იმ დროს ავარჯიშებს, როცა ჩვენ ცურვა გვაქვს. ასე რომ, ვერ შევთანხმდით, რა-ღაცას მოვიფიქრებთ, თეო და მარიკო ჩამოვლენ მალე, ძან საყვარელი გოგოა, ისე ტიტინებს, გაგიჟდები. ჩემები კარგად არიან, ცოტენ და გიო უკვე გამოჯანმრთელდნენ, კარგად გადაიტანეს ოპერაცია, ლუნა რომ მომყავს, იმ დღეს ძალიან ბედნიერი ვარ. ასე მგონია, მე განხულობ. შენი ამბები მოუყევი რა, ყველაფერი მაინტერესებს, ყოველი წვრილმანი. თვე, ის წიგნი, შენ რომ დაგვაბარე, ვერ ვიშოვეთ, ქსელში არ არისო, გენაცვალე ჩემო ცხოვრებაზე, არაფერზე იდარდო, ყველაფერი კარგად იქნება, აუცილებლად... ბიჭები გიოს დაბადების დღეზე კარგად გაერთნენ, ანის თანაკლასელი გოგოები ესტუმრნენ, ახლა ნუციკო ითვლის დღეებს, როდის მოვა ჩემი დაბადების დღეო, ჰოდა ჩვენ ძველებურად ვაგრძელებთ ცხოვრებას. ვფიქრობ, ბევრს ვფიქრობ... ბევრი კითხვა მაქვს... მაგრამ პასუხებს თავადვე ვცემ... ჩემზე არ იდარდო, შენი დაბრუნების იმედით, მე კარგად ვარ, სიცოცხლე ჩემო, გიკოცნი თვალბებს, გისუტებ გულში, გეფერები ბევრს, ძალიან ბევრს, მიყვარხარ... მიყვარხარ... მიყვარხარ... ბუტია.

• 3.198 ძალიან რთულია, ბნელი ფიქრები რომ შემოგიტყვებს და არ გაძინებს, გი. ალბათ ეს ჩემზე უკეთესად იცი. ნეტავ დამანახა მინც შენი თავი. მენატრები, მიჭირს უშენობა. მუდამ იმაზე ვლოცულობ, რომ მალე დამთავრდეს ეს კოშმარი. მე-რე ყველაფერი ნორმალურად იქნება. ლამის 3 საათია, ბუუს, და გნერ. არ მაძინებს შენზე ფიქრი. მიყვარხარ. გკოცნი. თავს გაუფრთხილდი, იმედით იყავი. საკმაოდ მტკიცე სულის ადამიანი ხარ და ჩემი გამხნეება არც გჭირდება, მაგრამ მაინც გახსოვს, რომ გკითხავდი, მუტრუკი რაა-მეთქი? ბრე და ახოვანი ვაჟკაცი... რატომღაც გამახსენდა... ან კიდევ, ფინთად ნუ ხარ-თქო, გაიხსენე, რას მპასუხობდი. მე ვისხენებ და მედიმება ხოლმე. ბუს, მართლა უზომოდ უჭირს უშენოდ თვეს.

• მარიამულ, დამიბეჭდე გთხოვ, რა, „გზას“ დიდი ხანია ვკითხულობ და ყველა ძალიან მიყვარხარ! მაგრამ განსაკუთრებით გურანდას ლოვე, თორნივე გააძე მიყვარს და მიყვარება.

• ბუცა, ივანიშვილის ქონება რად მინდა? მე და შენ 5 მილიონ დოლარს ვიკმარებთ. მთავარია, ბრედ პიტმა ან შენმა საქმრომ არ მომტაცოს შენი თავი. კუნკულა.

• მე მჯერა, მოვა დრო, შენ მოხვალ შორიდან, მოხვალ დათოვლილი, ლამაზი ფიქრებით, მოხვალ და მომიტან ამ ლამაზს სიყვარულს და მერე მე და შენ სულ ერთად ვიქნებით.

• მაი, ბოროტმა ხალხმა არ შეგაშინოს, გული არ გაიტყვო. მიყვარხარ, ყველაფერი კარგადაა, ჩემო იმედო.

• თითქოს სევდამ შემიპყრო, ეს რა სიზმრებს ვხედავ. კუნკულა.

• ვესმაურები ოლეგ გორდუნიანს, ზაფხულის მერე აღარ დაურეკავს.

• სენაკელი ზვიო, შენმა სიყვარულმა დიდი იარაღი დამიტოვა გულში. შენზე ფიქრები დღესაც მტანჯავს. ძალიან მიყვარხარ.

• ხინია, ჩვენ კარგად ვართ. თბილისში იყო ნინო. ვნახოთ, რა იქნება. ილოცე და ღმერთით ყველაფერი იქნება. გკოცნით. გვიყვარხარ და გვენატრები. უფალი გფარავდეს.

• გამარჯობა, ფიფქია. ასეთი უახლოესი ადამიანი რომ დაგედუპება, ძალიან ცუდია. ეგ მეც გამომიცდია და მაგიტომ ვიცი, მაგრამ ცხოვრება გრძელდება. ნერვოზა.

• ლუნა, რა მაგარი ნიკი გაქვს? მთავრესავით ანათებს, რა გქვია? ნერვოზა.

• ახლა სიმინდს ვჭამ, გამწარებული, თან ეს მუცელი ხელს მიშლის დაჯდომა-ადგომაში. მალე იქნება უკვე ჩემი პატარა.

• მე რომ მენატრები ახლა/ შენც თუ გენატრები ისე? აღარ მახსენდება დღე-ღამე/ მხოლოდ შენთან მინდა ისევ./ ცაზე დაკიდულა მთვარე/ დიდი მარტოობის ლოგო./ ისე ედგენება გამვლელს/ როგორც უპატრონო გოგო.../ შენი სიმამაცე მსიბლავს/ მაინც დამირეკე, რატომ?/ ყველას მიატრევის ვიღაც/ რომ ვიღაც არ დარჩეს მარტო/ რაღაც აღარ მოგვცონს უკვე/ ის გახუნებული წლები/ ასაკს კი დღითი დღე ვუკლებთ/ მაინც გვემატება, კლებით/ სშირად ვიღივებით, რადგან/ არ გვსურს შეგვამწიონ დარდი/ ოდნავ განვსხვავდებით მათგან/ „ასათიანზე“ ვინც დადის/ ნუ მისაყვედურებ მეტად/ ჩემი ბრალი იყოს თითქოს/ რომ არ ვარ სულ შენთან ერთად/ ჩვენ ზოგჯერ სასწაულს ვითხოვთ./ ისევ გეკარგები ისე/ ვით ქარში ფოთოლი ხმელი/ ალბათ გადაყვები ნისლებს/ შენ თუ არ ჩამჭიდვ ხელი.../ P.S. სიყვარულს სჭირდება ნიჭი?!/ მე არ ვარ უნიჭო ქალი/ შენ — ჩემი ჭალარა ბიჭი/ მე — შენი პატარა მარი.

• ჩემს მეგობარს ქმარმა დაურეკა, საბერძნეთში, შენი სურათები ვნახე, ძალიან გასუქებულხარ და იქნებ ცოტა დაიკლო,

რას ჰგავხარ? ქმრის ასეთ კომპლიმენტზე ქალს გული მოუვიდა და უყვირა, მთელ ხელფასს თქვენ გიგზავნით, ეს ბერძნები საქმელს მაჭმევენ უფასოდ და აღარც ვჭამო? თქვენი არ ვიცი, თუ გაგეცინათ ამ ამბავზე, მაგრამ იქ ბევრი იმხიარულეს და კიდევ, შეიძლება მალე სიდედრი გავხდე და ძალიან მიხარია. მარი, მიყვარხარ და გკოცნით. გერასიმე.

• დილა მშვიდობისა, მარიამულ! ხომ იცი, სულ მახსოვხარ და მენატრები. მიყვარხარ და გკოცნი! შენი ლუნა.

• მარი, ხატი, ლალი, ელე, თქვენი გაცნობა ძალიან გამიხარდა, დადებითი ემოციით ვარ დღესაც და ალბათ ეს ემოცია დიდხანს გამყვება. დიდი ხანია, ასეთი კარგი დღე არ მქონია. ლაკვასტი.

• მარ, მინდა ჩვენს საყვარელ ფლამინგოს მივულოცო გაბედნიერება და მათ სიყვარულს ღვთის მფარველობას ვუსურვებ! თან ჩვენი საყვარელი ლაკვასტი იყო მეჯვარე. CRAZY GIRL.

• გამარჯობა მარი, არ ვიცი ახლა რა თემა „გზავნილებში“, რადგან სადაც ვარ, აქ არ იყიდება „გზა“, მაგრამ მინდა ერთი ამბავი მოგიყვე, თუ არ დაბეჭდავ, არა უშავს, იმედია, გაგეღივება მაინც. მოკლედ: აფეთქებული ცხვარი გინახავს? არა, ხომ? აი, მატნელებს კი უნახავთ. ერთხელ ერთ-ერთ დღესასწაულზე სალოცავში ცხვრის აყვანა გადამწყობს, იყიდეს ცხვარი, ჩასვეს მანქანის საბარგულში და გაუდგნენ გზას. სალოცავში რომ მივიდნენ, ცხვარიც ამოსვეს საბარგულიდან. იქ ასეთი ნესია: ხევისბერი შესანიშნავად მიყვანილ ცხვარს სანთლით შუბლზე ბუნვს უტრუსავს. ჰოოდა, როცა ხევისბერმა ცხვარს სანთელი შეახო, უცებ: ბუუს! და ცხვარი აფეთქდა. თურმე საბარგულში, სადაც ცხვარი ჩასვეს, ბუნვინით სავსე ბალონი იყო, საიდანაც სითხე ყონავდა და ცხვრის მატყლამა შეინოვა. ამიტომაც აფეთქდა საბარგულო ცხვარი. აი, ასე დაემართათ მატნელებს. მაარ, იმედია, მოგეწონა. მარიანკა.

• გამცილებელი, მე ამ კითხვაზე გიბასუსხე და კიდევ გეტყვი, ჩემო ბატონო: იმისათვის, რომ ენ. საზოგადოება სოლიდარული იყოს, უნდა გააჩნდეს თანაგრძნობის უნარი, რისთვისაც საჭიროა გულის (არა მხოლოდ როგორც ბიოლოგიური ორგანოს) და სულის (არა მხოლოდ მატერიალური სუბსტანციის) არსებობა, ანუ არ უნდა იყოს უსულგულო. თქვენი არ ვიცი და მე როცა ადამიანების მხრიდან ღვარძლს, ბოლმასა და დაუნდობლობას ნაფანქვანობდი, ცრემლები მარჩობდა. ახლა პირიქითაა, ადამიანში სიტბოსა და სიკეთის დანახვა იმდენად მხარებს, რომ მეტრება... დიოგენეს „ფანარია“ ალბათ საჭირო ადამიანის საპოვნელად... ლაკვასტი.

• რამდენი რამ ჩავიდინე, როგორც ნაომმა და ბავშვებმა მაინც იმით დამიმახსოვრეს, რომ მისტერს ვეწხუბე. კუნკულა განაგლდა, ფიფქია გამიხარდა, „გზაში“ SEX BOY აჯავნებს, ბუნცას მთხოვნელი გა-



მოუწინაა, თათი მეფარისელება, ბარამ-ბო შექეჭება, მარიაშული მიყვარს. ნაომი.

• ბნელა... ბნელა ჩემს ოთახში, სადაც ოდითგან სიჩუმე ფანტავს ლამაზ ოცნებას, სადაც მრავალჯერ მიფიქრია, აქ ჰაერიც ოცნებით სუნთქავს, აქ ბევრი ფიქრი უსასრულოა... ოცნებით შექმნილი ზღაპრული სამყარო ლამაზია და ნამიერი. უსასურია იმაზე ფიქრი, რომ ოცნება ოცნებად არ დარჩება და ოდესმე რეალობად იქცევა. ვზივარ სარკველთან, მთვარეზე თითქოს ვერცხლისფრად თოვს და წვეთები გუბებში ხაზავენ რკალებს... მაპატიე, მაპატიე, რომ არ დავბრუნდები...

• მაპატიე, რომ ოდესღაც შენი, მომავალში სხვისი ვიქნები... მაპატიე, რომ ბავშვობის მოგონებად გაქციე...

• და ბნელ ოთახში ისევ სიცარიელე, მარტოობა, სულში ჩამქრალი ჩირაღდნები, უხმო ატირება, ტკივილი, პროტესტის გრძობა და დარდმაც თითქოს ფიფქებად დაინყო თოვა... დალილი, წყლიანი თვალები და იდუმალად ამღერებულნი: „ვერხვის ფოთოლთა თეთრი ლაშქარი“... ოთახში წაშები ქრებიან, თითქოს შორეულმა ფიქრებმა და მოლოდინით დაზარდილულმა სევდამ კოშმარში მომიმწყვდია. მწამებლურ ფიქრთა ბურუსში შევყურებ დარდითელი ფანჯრებს... საკმარისია მშფოთვარე სიჩუმე!!! მელანქოლიას ვნებდები... ვგრძნობ დაგცალე გულიდან და რა? არაფერი — სიცარიელე...

• უკვე სხვას ველი, იმ ერთს, რომელიც არ ჩანს, დაავიანდა... კმარა! უკვე ფიქრიც კმარა... მოვა, უსათუოდ მოვა. საოცარი და მიმნდობი ღიმილით, სათუთი სითბოთი, სიმშვიდით, ვნებით, სიგიჟით, სიყვარულით!!! მოვა, სიყვარული! მოვა! კამრასიტა.

• პატარა ფოთოლი ნაზად ირწეოდა სამხრეთის ნიავის ალურსში. ეკიდა ტოტზე, ქანაობდა აქეთ-იქით. მზურვალე ნიავი კი მას სიყვარულს უხსნიდა. ფოთოლი რბილი იყო, ყვითელი, იგი ალტაცებით სუნთქავდა, თითქოს სიზმრებს ხედავდა. უცებ სიყვარულისგან გაბრუნებული ფოთოლი ტოტს მოსწყვდა. ნელ-ნელა იწყო ქვევითკენ ნასვლა. ტრიალებდა, ქარი კი ისევ სიყვარულზე უმღეროდა. ნელ-ნელა ეშვებოდა ძირს, სულ უფრო და უფრო დაბლა დაეშვა... ბრუნავდა მსუბუქად და თავისუფლად. ქართან სიყვარულის თამაშში გართული, ხან ერთ ბოლოს ასწევდა მგზნებარედ მალა, ხან მეორეს, მერე მთლად გადაიხრებოდა, თითქოს ვალს ეცეკვებოდა. თანდათანობით ტკბებოდა ბედნიერებით. ბრუნავდა, ბრუნავდა, მერე ისევ აფრინდებოდა, ხან მალა ავიდოდა, ხან დაეშვებოდა. ის იტანჯებოდა, მაგრამ მაინც ბედნიერი იყო, რადგან უყვარდა. ნელ-ნელა ასე დაეშვა მიწაზე, ვერც კი შეამჩნია, რომ ახლა ქარისთვის იგი აღარაფერს წარმოადგენდა. ქარს მისი შველა აღარ შეეძლო და იგი უკვე სხვა ფოთოლს ეალერსებოდა. ნაზად, მშვიდად, ფოთოლი დაეცა მიწაზე. მან ვერც კი გაიგო, რომ ამქვეყნად უკვე აღარ არ-

სებობდა... იგი აღარავის სჭირდებოდა... კამრასიტა.

• გადაუღებლად წვიმს, ალბათ ბუნება იზიარებს ჩემს დარდს და ჩემთან ერთად დასტირის ჩემს განმორებას.

• არ მეგონა, თუ შენთან განმორება ასე შემცვლიდა, ასე გამტანჯავდა. ვერ ვხვდებოდი, რომ შენ იყავი ჩემი ცხოვრების თანამგზავრი, რომელზეც მთელი სიცოცხლე ვოცნებობდი, ვნატობდი, ვფიქრობდი. რა მეგონა, თუ ჩვენს შესხვედრას ასეთი დასასრული ექნებოდა? მეგონა, დიდხანს გასტანდა ერთად ყოფნის ბედნიერი წუთები!

• თურმე ვცდებოდი, ყველაფერი უფრო ადრე დამთავრდა.

• ახლა უფრო მეტს ვფიქრობ შენზე, ღმერთს ვთხოვ, დამიბრუნოს შენი თავი და ლამაზი თვალები. მაგრამ ვაი, რომ წარსული არასოდეს ბრუნდება უკან! ვისხენებ შენთან ყოფნის უღამაზეს წუთებს და ახლა ვხვდები, რომ ბედნიერი ვყოფილვარ შენ გვერდით, ბედნიერი და ამაყი. ჩემმა სიამაყემ დამაკარგვინა შენი თავი! ნეტავ, თუ ვიქნებით ოდესმე ერთად? ნეტავ თუ ვიქნები ოდესმე ბედნიერი? იქნებ მაპატიოს ღმერთმა ჩემი მოჩვენებითი გულგრილობა, ზედმეტი სიამაყე და ინებოს ჩვენი ერთად ყოფნა...

• მე სიყვარული ლამაზი მქონდა/ მინდორში სიზმრად წასულ ბალივით/ სულში ფხიზელი და მთვრალი ოდნავ/ და ნიავსავით ოდნავ დალილი/ მე სიყვარული შემკრთალიც მქონდა/ ტაძარში ახლად შესულ ბალივით/ ლოცვის ბურანში დაზრდილი ოდნავ/ და მლოცველივით ოდნავ დალილი/ მე სიყვარული დამფრთხალიც მქონდა/ მთვრალი დამთვრალი კოლხის ცხენივით/ მტარავალი ეჭვით შექმული ოდნავ/ ოდნავ შემცბარი და შერცხვენილი/ მე სიყვარული მოშიშშიც მქონდა/ ღვთისკარზე ახლად შემდგარ ბერივით/ უნაიბეულ ცრემლად და ცოდვად/ წასული დროში და განფენილი/ მაინც... ღმერთივით საეჭვო ოდნავ/ და მოწყენილი ქრისტეს თვალებით/ მის ზეიმს სულში სულ მიმოჰქონდა/ სინაზე, თოვლი და მწვერვალები.../ ახლა ყვავილი მოუსხამს ქონდარს/ ავი სურნელიც ბრუნავს კამისა/ მე სიყვარული ლამაზი მქონდა/ და ყველაფერი მქონდა ლამაზი.

• გაზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს, როცა ყველა მხიარულობს, ყველა სიცხლის ხასიათზეა, უეცრად ტელეფონის ზარის ხმამ შემანყვეტინა მეგობრებთან საუბარი. ყურმილში მისი ვაჟკაცური ხმა გავიგონე და გამიკვირდა, სახლში ხომ არასდროს მირეკავდა. მისი ხმა თითქოს მეუცნაურა. მომესალმა და ნაღვლიანად მითხრა: — ჩვენი გზები გაიყარა, მე უკვე ცოლი მყავს და მგონი, ჩვენი დაშორება საჭირო იქნება. მეტი არაფერი გამოგონია, ფიქრებში წასულს ყურმილი გამივარდა. ნელი ნაბიჯით შევედი ოთახში, ჩემმა მეგობრებმა ლაპარაკი შეწყვიტეს და გაკვირვებით ერთბაშად შემომხედეს. — რა მოხდა? სახზე ფერი არ

გადევს. — მან დარეკა! — მერე, რა სახე ჩამოგტირის? — ისე მითხრა, ჩვენი გზები გაიყარა, ცოლი შეურთავს. უხერხული დუმილი ჩამოვარდა. დუმილი ტელეფონის ზარმა დაარღვია. ხელის კანკალით ავიღე ყურმილი... და ისევ მისი ხმა გავიგონე: — გენყინა? ვერ მიხვდი, ჩემო პატარა სულელო? დღეს ხომ პირველი აპრილია. შენ კი დაიჯერე, მე შენ არასოდეს არ მიგატოვებ. მე შენ მიყვარხარ, გაიგე?



გილოცავ!

• მერაბ, გილოცავ დაბადების დღეს. გისურვებ ყველაფერ კარგს. სიყვარულით, მარი, სანდრო და კატო.

• ხათუნა იობიძე: ჩემო მონატრებულო შვილო, გილოცავ დაბადების დღეს. გისურვებ ჯანმრთელობას და სიხარულით სავსე, ბედნიერი ოჯახის შექმნას. მანანა, საბერძნეთიდან.

• ლაშა გაბინაშვილი: მამა, ძალიან მენატრები და მიყვარხარ. მაპატიე, ყურადღებას რომ ვერ გაქცევ, ახლა გელს ვადგავარ თავზე, მალე გინახულბ. გიო ბაბუს გემძხის უკვე.

• ხათუნა იობიძე, გილოცავთ დაბადების დღეს, გისურვებთ ჯანმრთელობას, სიხარულს, ბედნიერი ოჯახის შექმნას. გფარავდეს ღმერთი. მარი, მანანა, მამუკა და მალხაზი.

• მიშკო და მაია ბერიძეებს: გილოცავთ პატარა ნუციკოს დაბადებას. ჯანმრთელი და სასახელო ქალი გაგზარდოთ. გფარავდეთ ღმერთი. მარი, მანანა, ირმა, მამუკა და მალხაზი.

„მოზილიზაციაში“ ნომრის გაგების შესაძლებლობა დღისა და ღამის ნებისმიერ დროს გაქვთ. საამისოდ, მოზილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა Guli გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, შემდეგ აკრიბოთ „გზის“ ნომერი, ტირე, მესოჯის ნომერი და გაგზავნოთ ნომერზე 8884. თქვენს ტელეფონზე ავტომატურად მიიღებთ სასურველ ტელეფონის ნომერს. მაგალითად, თუ გსურთ, „გზა“ №18-დან გაიგოთ მე-10 მესოჯის ავტორის ნომერი, მოზილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში აკრიბეთ: Guli 18-10 და გაგზავნეთ 8884-ზე. 1 მესოჯით შეგიძლიათ მხოლოდ 1 ნომრის გაგება. ყურნალში არც ერთი ტელეფონის ნომერი აღარ გამოქვეყნდება. 1 მესოჯის ფასია: 50 თეთრი.



ბაიბ-აუბი

ბიძინა გუჯაბიძე: „შვილიშვილებთან ერთად უბაზა ავალ“

ვეერესტი, საგარმატხა, ჯომოლუნგმა... დედამინის უმაღლეს მწვერვალს ნეპალელები საგარმატხას ეძახიან, ტიბეტელები — ჯომოლუნგმას, ხოლო ევროპელებისათვის ეს ბუმბერაზი მთა — ვეერესტია. მართლაც შთამბეჭდავია სიდიდითაც და სილამაზითაც, თუმცა მასზე დიდებული და დასალაშქრავადაც რთული სხვაც არაერთია დედამინაზე. ამის მიუხედავად, ახალბედა მთამსვლელებიდან დანწყებული, გამოცდილი ალპინისტით დამთავრებული, ყველა სწორედ ვეერესტის დაპყრობაზე ფიქრობს.

გოგი ურანგივილი

პირველებმა დედამინის „ქუდზე“ 1953 წლის 29 მაისს ახალზელანდიელმა ედმუნდ ჰილარიმ და ნეპალელმა შერპმა თენსინგ ნორგემ დაადგეს ფეხი. მას შემდეგ ყოველწლიურად სხვადასხვა ქვეყნის მთამსვლელები ცდილობენ მის დალაშქრას, მათ შორის — ქართველებიც. ზოგს უმართლებს, ზოგს — არა, თუმცა დღემდე ათამდე ჩვენმა ალპინისტმა მაინც შეძლო პლანეტის უმაღლესი მწვერვალის დაპყრობა. ერთ-ერთი მათგანია ბიძინა გუჯაბიძე, რომელმაც ორჯერ მიაღწია ამ მწვერვალს. ჰიმალაების გარდა მას პამირის, ტიან-შანისა და კავკასიონის ბევრი სხვა ურთულესი მწვერვლებიც დაუპყრია, მაგრამ თავად მას სიტყვები — „დამორჩილება“, „დაპყრობა“ არ უყვარს. მთას სხვაგვარად უყურებს — მორიდებით, მეგობრულად, სუფთა ადგილად მიაჩნია. ცხოვრებაშიც ასეთია, ღვთისმოსავი, კეთილი და გამტანი. ბიძინასთან შეხვედრა და მასთან საუბარი ყოველთვის საინტერესოა. ამ თვისებების გარდა, კარგი მთხრობელია... საოცარი ადამიანია, მაგრამ კაცია და უშეცდომო არც ის

არის. არა, ამას „შეცდომას“ ვერ დავარქმევ, არც „ახირება“ ივარგებს. უფრო ალბათ, „თავისებურება“ მიესადაგება. ბიძინამ მთებით საკუთარი შვილები „მონამლა“, განსაკუთრებით კი ირაკლი. მესმის, კაცმა, ოთარ ქორქიას მსგავსად, შვილი კალათბურთით დააინტერესო, ან უფროსი მიხეილ მესხის დარად, პატარა მიშაც რომ ფეხბურთელი იყო; ჩვენი ოლიმპიური ჩემპიონის — შოთა ჩოჩიშვილის ბიჭიც ხომ ძიუდოს გაპყვა, მაგრამ — მთამსვლელობა?! საქმე ის არ არის, რომ ვერც ერთმა შვილმა მამას სპორტში ვერ აჯობა, მთა სახიფათოა. ღმერთმა დაიფაროს ყველა ალპინისტიც და არა ალპინისტიც, მაგრამ ბიძინაზე უკეთ ვინ უნდა იცოდეს, რამდენი რამ ხდება იქ, ზევით. ჩემი საუბარიც ბიძინა გუჯაბიძესთან სწორედ ამ თემით დაინყო.

— ჰო, რა თქმა უნდა, ეს მთლად ნორმალური არ არის, მაგრამ ახლად რაღას ვიზამ? პირველად რომ გავიარეთ ძალიან რთული, მე-5 კატეგორიის კლდოვანი მარშრუტი, მე წინ მივდიოდი და უფრო დაცული იყო. ის მარშრუტი მე ჩემს მეგობრებთან ერთად, დაახლოებით 25 წლის წინ



ჩემი მთამსვლელობა ბიბლიოთეკიდან დაიწყო

მაქვს გავლილი. მაშინ ჩვენს ექსპედიციას 5 დღე დასჭირდა. ახლა მე და ირაკლი 18 საათში ავედით და ჩამოვედით. ძალიან ვნერვიულობდი, მაგრამ უკვე არაფერი ეშლება მას, ახლა ის მიდის წინ, ის კვალავს მარშრუტს. ამიტომაც, უფრო ვნერვიულობ. იმას თუ შევძლებ, რომ არ წავეყვ მთაში, მაშინ უფრო ვინერვიულებ. სახლში ჯდომას ისევ ვლობია, ერთად წავიდეთ ექსპედიციაში. მეგობრები ამას არ მიწონებენ, მაგრამ ეს ცხოვრებაა. ისე მოხდა, რომ ირაკლიმ, „დედის ჭიპი“ რომ გადაიჭრა, მას შემდეგ ჩემთან არის ჩამოშლი. არ ვიცი, თქვენი მკითხველი ამას როგორ გაიგებს, მაგრამ ჩემთვის დიდი სიამოვნებაა, როდესაც მარტონი ვართ მთაში.

— **შენ თვითონ როგორ და რატომ გახდი ალპინისტი?**

— როგორ უცნაურადაც უნდა მოგეჩვენოს, ჩემი მთამსვლელობა ბიბლიოთეკიდან დაიწყო. დედაჩემი ბიბლიოთეკარი იყო. ახლაც მასსოვს



სკოლის დიდი ფანჯრები და ახალ-შელეპილი იატაკის სუნი. სახლში, გურიანი კარგი ბიბლიოთეკა გვექონდა. სათავგადასავლო წიგნები მიყვარდა, ბევრს ვკითხულობდი. მეექვსე კლასში უკვე გადაწყვეტილი მქონდა, რომ მოგზაური გავმხდარიყავი, მაგრამ როგორ უნდა მომხდარიყო ეს, არ ვიცოდი. მოგვიანებით, უკვე მერვეკლასელი, მთაში მწყემსად წავედი. ბახმარო, სურების მთები, ცხენი, ნაბადი და — თანდათან შემოვიყვარდა ბუნებაში სიარული. პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სწავლისას კი კურსელებმა გამოაცხადეს, ალპინიზმს ვაწყობო. ასეთი რამ არც წარმომედგინა, ალპინისტები თუ რეალური პიროვნებები იყვნენ, არ ვიცოდი. 1979 წელს პირველად წავედი ყაზბეგში და მას შემდეგ დავრჩი და დავრჩი ალპინიზმში.

— **ბიძინა, თქვენგანვე — ალპინისტებისგან გამიგონია, რომ მართალია, ევერესტი ყველაზე მაღალი მწვერვალია, მაგრამ დასალაშქრავად ყველაზე რთული არ არის. მაშ, რატომაა ყველასათვის პრეტყული ამ მთაზე ასვლა?**

— იცი, კავკასიონზე არის ჩატიანის რომბი — ურთულესი კედელია; მხოლოდ ერთხელ შევძელი მისი გავლა, მაგრამ საზოგადოებამ არ იცის ამის შესახებ. სამაგიეროდ, იციან ევერესტი, თან, ყველაზე მაღალია სასიმალო მწვერვალებს შორის. ამასთან, რაც უფრო ასაკში შედის კაცი, ტექნიკური მარშრუტების გავლა უფრო უძნელდება. ამიტომაც გადადიან სასიმალო კლასში, აქ კი 8848 მეტრი სიმაღლის ეს გიგანტი ყველაზე მიმზიდველია. არავინ იფიქროს, მისი დალაშქრვა ადვილი იყოს. 1999 წელს ბენო ქაშაკაშვილთან, აფი გიგანთან და ლოვა სარქისოვთან ერთად რომ ავედი, მაშინ 40 წლის ვიყავი, კარგადაც მოვემზადე, მაგრამ მეც გამიჭირდა. რომან გიუტაშვილის შემდეგ, საქართველოდან ჩვენ პირველები ვიყავით, ვინც ამის გაკეთება შეძლო. თუმცა მაშინ ვიდუოკამერით ვიღებდი ჩვენს ასვლას. ეს კი საკმაოდ რთულია. წარმოიდგინეთ, 8000 მეტრის სიმაღლეზე, ყინვაში უნდა გადადილო მთების პანორამა ან წინ მიმავალი პარტნიორები. ზურგანთიდან უნდა ამოიღო ვიდუოკამერა, გულის ჯიბიდან — ავუმულატორი, გაიხადო ხელთათმანები, ალადგინო სუნთქვა და ამის შემდეგ შეუდგე გადაღებას. რომ მორჩები, მთელი ეს ოპერაცია ხელახლა უნდა შეას-

რულო, ოღონდ — უკუღმა. ყველაფერ ამას ბევრი დრო მიაქვს. ამის გამო ჩამოვრჩი მეგობრებს და მეგონა, ვეღარც დავეწყოდი. მწვერვალამდე რამდენიმე ასეული მეტრი მრჩებოდა და შეიძლებოდა, იძულებული გავმხდარიყავი, რომ ქვევით დავბრუნებულიყავი. ასეთი შემთხვევები ყოფილა. წინა წელს, მაგალითად, იტალიელ სერჯიო მარტინის 70 მეტრი რჩებოდა მწვერვალამდე, უკან რომ დაბრუნდა. თუმცა ვიცოდი, რომ მეგობრები დაძლეოდნენ. მართლაც, სამხრეთის მწვერვალზე რომ გავედი, ბიჭები იქ მელოდებოდნენ. მწვერვალს რომ მივალწივით, საჭირო იყო ფოტოაპარატით და ვიდუოკამერით გადაღება. უყანგბადობის გამო გონება კარგად ვერ აზროვნებს და ყველაფერს მექანიკურად ვაკეთებდით. დიდხანს იქ ვერ გაჩერდები, დროზე უნდა დაეშვა ქვევით. მახსოვს, ვამბობდი: „მარინა, ბაღნებო, ახლა მთავარია, ეს გადაღებული კადრები ყველა ერთად ქვევით ვნახოთ“. ქვევით დაშვება გამოფიტული ორგანიზმისთვის რთულია. თან, ლოვა სარქისოვი ბრჭყვიალა თოვლის კაშკაშა სითეთრისაგან ორივე თვალით დაბრმავდა, მე — ცალით და მე მომიხდა დაშვებისას მისი ჩამოყვანა.

— **როგორც მახსოვს, ევერესტზე გადაღებული კადრებით ფილმიც გააკეთეთ მაშინ და ფესტივალებშიც მონაწილეობდით.**

— ევერესტის გარდა, სხვა მწვერვალებზეც გავაკეთეთ დოკუმენტური ფილმები და სხვადასხვა ფესტივალში პრინციპულად მივიღეთ, მე — როგორც ოპერატორმა რთული სასიმალო გადაღებისათვის. ახლა აღარ ვიღებ: რთულია, თან, მერე ბოლომდე უნდა მიჰყვე ამ საქმეს. თანხებიც არის ამისთვის საჭირო. ახლა ჩემი მთავარი საზრუნავი — ახალგაზრდები არიან. დაახლოებით ათკაციანი ჯგუფი მყავს, უკვე ჩემზე უკეთ შეუძლიათ მთაში სიარული. უშუალოდ 3-4-ჯერ არიან ნამყოფი, მათ შორის, ერთი გოგონაცაა. 23-24 წლის ბიჭებისთვის ეს საკმაოდ სერიოზული მიღწევაა. ჩემი თაობის ალპინისტები მთელი კარიერის მანძილზე ამას თითო-ორჯერ თუ შეძლებდნენ, მაგრამ ახლა მთამსვლელების აღჭურვილობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა,

ასვლის ტექნიკაც. ამიტომაც, რასაც ამ ახალგაზრდებმა მიაღწიეს, ის მე 30-32 წლის ასაკში მოვახერხე. მათთან ერთად, წელს ახალი მარშრუტი გავიარეთ ჭაუხებში, მწვერვალ „ასათიანზე“ რთული ექსპედიცია გვექონდა — მეექვსე „ა“ კატეგორიის სირთულის. ერთი და-



სამხრეთის მწვერვალზე რომ გავედი, ბიჭები იქ მელოდებოდნენ. მწვერვალს რომ მივალწივით, საჭირო იყო ფოტოაპარატით და ვიდუოკამერით გადაღება


მისთევით მოვახერხეთ მარშრუტის გავლა.

— **ასეთი რთული მწვერვალების დასალაშქრავად რა არის საჭირო: მაგარი გული, ძლიერი მუხლი, ოსტატობა, მთის სიყვარული?**

— იცი, ერთი მეგობარი მყავს, ძალიან კარგი მთამსვლელია, მაგრამ რთული ოპერაციის შემდეგ, რამდენიმე წელი უკვე მთაში ვეღარ დადის, არადა, იქაურობაზე გიჟდება. როდესაც ვხვდები, ვხედავ, რომ მას ჩემზე მეტად უნდა მთაში წასვლა, ძალიან უნდა. ჩემი აზრით, მთავარია სურვილი; როდესაც ასეთი სურვილი გაქვს, მერე ყველაფერს მიაღწევ. მთა სულ სხვა რამეა! ერთხელ, ექსპედიციისთვის ერთი ალპინისტი გვაკლდებოდა და შედარებით მოუმზადებელი მთამსვლელი დავიმბატეთ. ვიცოდი, რომ მორალურად არ იყო მზად. ექსპედიციის დროს ვაკვირდებოდი, ვხედავდი, როგორ იცვლებოდა თანდათან, როგორ მიხვდა, რა მაგარია ცხოვრება!.. აი, სახლში ხარ და შეგიძლია, ონკანი მოუშვა, ერთი ჭიქა წყალი დალიო, მეორე, რამდენიც გინდა. პურს მოიჭრი, შეჭამ. კიდევ მოიჭრი და კიდევ შეჭამ. ლოგინში დაწვები და რამხელაზეც გინდა, იმხელაზე გაშლი ფეხს. გადაბრუნდები ერთ გვერდზე, მერე — მეორეზე. ანუ, რასაც გინდა, იმას გააკეთებ. მთაში კი ამის საშუალება არ არის, საქმელიც შეზღუდული გაქვს, სასმელიც; ზოგჯერ ჰამაკში გძინავს, კლდეზე დაკიდებულს, ანდა, კარავში. სიცვივა, თან, ყოველ წუთს შეიძლება, ზვავი ჩამოწვეს. მშვიდად



ვერ ხარ. სახლში კი ყველაფერ ამას არ აფასებდი. ამ ახალგაზრდისთვის ეს მოხდა პირველად, მაგრამ ჩვენ ხომ წლების განმავლობაში დავდივართ მთაში? ამიტომ, სიმართლე გითხრათ, მთასვლელები ცოტა განსხვავებული ადამიანები ვართ — მოთ-



ზოგჯერ მთაში იმიტომაც მივდივარ, რომ იქ ვილოცო

ხონებით, ფიქრით, მოძრაობებითაც კი. ყოველ შემთხვევაში, ისე გულწრფელად ლოცვას, როგორც იქ, აქ ქვემოთ ვერ ვახერხებთ. უღმერთოც რომ იყოს ადამიანი, ზოგჯერ ისეთ სიტუაციაში ვარდებოდა, რომ ისიც ლოცულობს. იქ რეალურად გრძნობ, რომ ძალიან პატარა ხარ და ზევიდან საყელოთი ვილაცა გიჭერს. ზოგჯერ მთაში იმიტომაც მივდივარ, რომ იქ ვილოცო. ვცდილობ, ქრისტიანულად ვიცხოვრო, თუმცა ძალიან ძნელია, მას ზედა ზღვარი არა აქვს.

— ბიძინა, რამდენადაც ვიცი, სამების ეკლესიის გუმბათზე ჯვარი შენ დაამონტაჟე. არა მგონია, ყველას ჰქონდეს ამის უფლება. ალბათ პატრიარქისგან კურთხევა მიიღე, არა?

— რა თქმა უნდა, უწმინდესთან ადრე ხშირად მქონდა ურთიერთობის საშუალება. სამებადვე სიონის ეკლესიის ჯვარი მოვაოქროეთ. მაშინ საპატრიარქო იქ იყო, მის უწმინდესობას სავარძელს გამოუტანდნენ და გვიყურებდა, როგორ ვმუშაობდით. პირველი ჯვარი კი 1987 წელს მეტეხის ეკლესიაზე მე და მამა ტარიელმა დავამონტაჟეთ. მამა ტარიელი ჩემი ბავშვობის მეგობარია. სხვა სასულიერო პირებიც მყავს მეგობრები. მგონი, ალა მაჰმად ხანმა რომ ჩამოაგდო მეტეხიდან ჯვარი, მას შემდეგ ჩვენ პირველები ვიყავით, ვინც დავადგით ჯვარი. სამების ეკლესიაზე მუშაობა საკმაოდ

რთული იყო. იქვე, გვერდით 130 მეტრი სიმაღლის ანძა იდგა. დემონტაჟი ჩვენ გავაკეთეთ. ჩვენ გარდა ეკლესიის გუმბათზე რესტავრატორებიც მუშაობდნენ. წვიმას რომ ხელი არ შეეშალა, ბრეზენტით შევფუთეთ. ზუსტად იმ პერიოდში თბილისში ძლიერი ქარი იყო. აეროპორტის ახალ შენობას სახურავი ახადა, ჩვენთან კი არაფერი მოხდა.

— სპორტში ოლიმპიური ჩემპიონობა ყველაზე დიდი მიღწევაა. როგორ ფიქრობ — ოლიმპიური ჩემპიონობა უფრო დიდი ტიტულია თუ ევერესტის დალაშქვრა?

— ამ კითხვაზე ასე გიპასუხებ — გააჩნია, ვისთვის არის უფრო მნიშვნელოვანი. თუ საკუთარ თავზე გამარჯვებაზე ფიქრობ, შეიძლება, ევერესტზე ასვლა არც იყოს საჭირო და პატარა მთაც საკმარისი იყოს. ჩემთვის ევერესტი ყველაზე რთული მწვერვალი არ არის. აი, „კ“-2 კი მართლაც ძალიან რთულია. შარშან სულ რამდენიმე ალპინისტმა შეძლო მისი დალაშქვრა, წელს — ვერავინ. მაგრამ იცი, რა არის? თავად ევერესტზე ასვლა იმდენად დიდ ენერჯიას მოითხოვს, რომ სპორტის არც ერთ სახეობაში ისეთ დაღლილობას ვერ მიაღწევ, როგორც მთასვლელობაში. მაგალითად, მქონდა ასეთი შემთხვევა, ჰიმალაებში მანასლუზე ავდიოდი. ძალიან მაგრად ვიარე, წელამდე თოვლში ტრაქტორით მივარღვევდი ბილიკს, მაგრამ ისე დავიღალე მეორე დღეს თავიქვე დაშვებისას ძლივს მოვფორთხავდი. გზას, რომელიც ერთ საათში უნდა გამეგლო, 8 საათი მოვუწდი. ახლა მეორე მხრიდანაც შეგხედოთ თემას — ევერესტი თუ ოლიმპიური ჩემპიონობა? ოლიმპიურ კვარცხლბეკზე გაცილებით მეტი სპორტსმენია ასული, ვიდრე ევერესტზე. პატივს ვცემ ყველა ჩემპიონს, მაგრამ ჩემთვის ევერესტი უფრო მნიშვნელოვანია.

— ბოლოს ისიც მითხარი — როდემდე აპირებ მთაში სიარულს?

— უკვე გითხარი, ჩემს შვილთან, ირაკლისთან ერთად რომ მივდივარ მთაში, თავს ბედნიერად ვგრძნობ. ახლა 52 წლის ვარ. 70-ის რომ გავხდები, ჩემი უფროსი შვილიშვილი 20 წლის იქნება, უმცროსი კი — 18-ის. ჩემი მიზანია, მათთან ერთად ავიდე უშუაზე. თუ მართლაც ვერ შევძელი, იმედია, ირაკლი თავის ბიჭებთან ერთად მომეხმარება. აი, მაშინ კი ჩავთვლი, რომ მთები უკვე საკმარისად მოვიარე და სახლშიც დავჯდები...

დასაწყისი იხ. გვ. 16

ოთახში შემეყვანეს, იქ დამხვდა რაული და ისე თბილად შემხვდა, ზედამხედველები გაცილებული გვიყურებდნენ. მერე სამინისტროს შენობაში ცნობილი ტელეჟურნალისტი, დიმიტრი გულიას შვილიშვილი მელოდებოდა, რომელიც 5 წელი ჩემი სტუდენტი იყო (ამჟამად „ინტერფაქსის“ მოსკოვის განყოფილებაში მუშაობს). გავბედე და კამერას ხელი დავაფარე, — ჩემი პირობები მაქვს-მეთქი. გულიას გაუკვირდა, — რა პირობებიო? — რაულმა იცის-მეთქი. მანაც დაუდასტურა. გიორგი ინტერვიუს „ჩავარდნამ“ გააბრაზა და თავხედურად მელაპარაკა. ნაგვამათდით კიდეც. — რა არ გყოფნიდათ ქართველებს, ყველაფერი თქვენს ხელში იყო! გავბრაზდი და საკადრისი პასუხი გავეცი... ასე გადავჩრი ტელევიზიით გამოსვლას... რაული მერეც ხშირად მაკითხავდა. დღემდე ყურებში ჩამესმის მისი და ზურაბ აგუშავას სიტყვები, — „ვალერიანოვიჩ, ხომ არაფერი განუხებთ?“ იზოლაციაში ბესლან კობახიაც მოვიდა რამდენიმე აფხაზთან ერთად... მას შემდეგ, ციხის თანამშრომლები ჩემ მიმართ უფრო ლობიერები გახდნენ... ერთი სიტყვით, უფლის ნებით, აფხაზთა უღალატობისა და ცნობილ ქართველ მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა თანადგომის წყალობით, გამათავისუფლეს. გადაწყდა — „წითელი ჯვარი“ ადღერში ჩამიყვანდა, იქიდან კი თვითმფრინავით თბილისში ჩამოვედი.

— ამ ყველაფრის შემდეგ, რა გზას ხედავთ ქართულ-აფხაზური ურთიერთობების აღსადგენად?

— შერიგებას ალტერნატივა არა აქვს, მაგრამ მანამდე აფხაზურმა მხარემ ანტიქართული რიტორიკა უნდა შეწყვიტოს და მივიდეს იმ აზრამდე, რომ ეს იყო ძმთაშვილები ომი, სადაც გამარჯვებული არ არსებობს, და მოხდა ქართველების ეთნოწმენდა. ჩემს აფხაზ მეგობრებსა და კოლეგებთან ახლაც მაქვს ურთიერთობა სოციალური ქსელების მეშვეობით და იმავეს ვუბნები, რასაც ციხეში ყოფნისას ვამბობდი. მათი პოზიცია ისეთი კატეგორიული აღარ არის, როგორც ომის დასრულების შემდეგ იყო. აფხაზები ჭკვიანი ხალხია და რუსეთის „ანატომიასაც“ კარგად ჩასწვდნენ. მართალია, შეფარულად, მაგრამ მაინც იგრძნობა რუსეთის მიმართ აგრესია და რაც მთავარია, სინანული, — რას ვერჩოდით ქართველებსო?! ეს კი ჩემი აზრით, ბევრს ნიშნავს...

რა არის ბიო ღვინო
ან
როგორ შევახამოთ
სასიამოვნო
სასარგებლოსთან
?

თქვენს კითხვებს პასუხობენ
პროფესიონალები!

MKURNALI.GE

სამაგისტრო ინფორმაციული

8 მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი 2 მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი 1/4 მოქმედი დიკუნზორებული ექიმი.

www.mkurnali.ge



გონების საპარჯიშო

„გზის“ ერთგული მაითხვალისათვის (პითხვაები)

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გაცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

„პასუხების“ სვამისათვის არ გაგაჩხეთ თვალი

1. იპოვრენე ჯადოსნური წყარო იყო ბერძნულ მითოლოგიაში, რომელმაც ფრთოსანი მერნის, პეგასის ფლოქის დარტყმის ადგილზე ამოხეთქა. რა საოცარი თვისება ჰქონდა მას?
2. ციცერონის თქმით, ბრძენთა მოქმედებას ჭკუა განსაზღვრავს, გონიერთა მოქმედებას — გამოცდილება. რა, განსაზღვრავს, ციცერონის თქმით, სულელის მოქმედებას?
3. ამერიკელები რუსეთს უდავოდ თავის მონინალმდეგედ მიიჩნევენ, მაგრამ არა ნომერ პირველ მონინალმდეგედ. ვის უჭირავს ეს „საპატიო“ ადგილი?
4. დაასრულეთ ბენჯამინ ფრანკლინის სიტყვები: „თევზი და სტუმარი სამ დღეში...“
5. დაასახელეთ ქართველი მუსიკოსი, რომელსაც მხიარული და გულკეთილი ხასიათის გამო ახლობლებმა „ლაითი“ სვანი შეარქვეს.
6. ვის ეკუთვნის სიტყვები: „ნახევრად სიმართლეს ტყუილზე დიდი ძალა აქვს“?
7. რა პროფესიის იყო ჯონათან სვიფტის ნაწარმოების პერსონაჟი ლემუელ გულივერი?
8. რიჩარდ ლომგულმა ჯვაროსნულ ლაშქრობაში ქალების წაყვანა აკრძალა. ვინ იყვნენ გამოწვევები?
9. დაასახელეთ საქართველოს მეფე, რომელმაც ყაზანური თეთრი გიორგაული თეთრით შეცვალა?
10. რა ჰქვია კიმონოს დეკორატიულ სარტყელს?
11. რა არის „პარანგონი“?
12. ვინ იყვნენ განათლებით საღვადორე ალიენდე და ერნესტო ჩეგუვარა?

ანექლოცები



მალაზიის გამყიდველი:
— ბიჭუნა, დარწმუნებული ხარ, რომ დედამ 100 გრამი კარტოფილისა და 3 კილოგრამი კანფეტის ყიდვა დაგავალა?

კაცი მეზობელ ქალს:
— ახალი საწოლი იყიდეთ?
— თქვენ რა, დაინახეთ?!
— არა, გავიგონე!..

მშვიდი საღამოა. აივანზე გამოსულმა მისომ უნებურად წამოიძახა:
— აუჰ, რა მთვარეა, რა ვარსკვლავებია!
— „შენი დედა... შენი დედა... შენი დედა...“, — ჩვეულებისამებრ გამოეხმაურა ექო.

საქორწინო სახლში:
— რამდენი წლის ხართ, ყმანვილო?
— 22-ის.
— რამდენი წლისაა საპატარძლო?
— 15-ის.
— კი, მაგრამ, ეს ხომ ქორწინებისათვის შეუფერებელი ასაკია!
— მეც მაგას ვამბობ, მაგრამ ჩემ უკან რომ კაცი დგას, უზარმაზარი პისტოლეტი აქვს გარჭობილი ქამარში და არაფრის მოსმენა არ უნდა...

— რატომ გაქვს თითზე ძაფი შემოხვეული?
— ცოლმა გამიკეთა, წერილის გაგზავნა რომ არ დამვიწყებოდა.

— გაგზავნე?
— არა, წერილის მოცემა დავიწყდა.

პროკურორი:
— როგორ ვერ მიხვდით, რომ თქვენს ბინაში ქურდები იყვნენ: ნივთები მიყრილ-მოყრილი იყო, ლოგინები ანგრეული, შპალერი ჩამოხეული!...
— მეგონა, ქმარი სუფთა პერანგს ეძებდა...

— რატომ არიან ადამიანები მაიმუნებზე მეტნი? — კითხულობს მასწავლებელი.
— იმიტომ, რომ ხეზე გამრავლება არც ისე ადვილია!

ქირურგი ბანკეტზე სადღეგრძელოს ამბობს:
— ჩვენ, ექიმებს, ბევრი მტერი გვყავს ამ ქვეყანაზე...
ხმა მაგიდიდან:
— და იმ ქვეყანაზე კიდევ უფრო მეტი!..

დედა ქალიშვილს:
— არ გაბედო, მაგ რეგვენს ცოლად არ გაჰყვე!
— კარგი რა, დედა, სულ ცოტა ხნით, რა!

ჭიჭიკია გიჟივით დარბის ქუჩაში და ყველას აგინებს.
— რა გჭირს? — ეკითხება მეზობელი.
— რა და ნახევარი მილიონი დოლარი ვასესხე ბიჭიკიას, სახის პლასტიკური ოპერაცია გაუკეთებია, სადღაც აქ დაეთრევა, მემალეა, მე კიდევ სახეზე ვერ ვცნობ, მაგის დედა ვატირე!





მამა-შვილი კედელზე თაროს კიდებს. მამას ლურსმანი უჭირავს. მოიქნია შვილმა ჩაქუჩი და მამამისს თითში დასცხო. გამწარებულმა კაცმა მთელი ხმით იბლაღლა:

— უხ, მე შენი დედა მ..!
ამ დროს სამწარეულოდან დედამ გამოიხედა:
— ხო, შენ სულ მასე ჰპირდები მაგას!

სკვერში მჯდომი მამაკაცი ბავშვს უყვირის:

— ნუ ისვრი ქვებს, თორემ დედაშენს ვეჭყვი!
— რატომ დედამისს და არა მამამისს? — ეკითხება გვერდით მჯდომი პენსიონერი.
— იმიტომ, რომ მამა მე ვარ!..

ქმარი კურორტზე მიდის დასასვენებლად.

— საქორწინო ბეჭედი რატომ არ გიკეთია?! — საყვედურობს ცოლი.
— ამ სიცხეში?

ბავშვი სილაში თამაშობს, თან რაღაცას ჭამს.

— რას ლეჭავ შვილო, ვინ მოგცა?
— არავის არ მოუცია.
— აბა, სად აიღე?
— თვითონ მოცოცდა.

— ახალგაზრდავ, მე ამ გაჩერებაზე ჩავდივარ, თქვენ? — ეკითხებიან სვანს.

— მე — შემდეგზე.
— მაშინ, მოდი, ადგილები გავცვალოთ.
— ეგ როგორ?.. მე ახლა ჩავიდე და თქვენ შემდეგ გაჩერებაზე ჩახვალთ?

ინტერვიუ მულტიმილიონერთან:
— ბიზნესში ფულის გაკეთების მილიონი ხერხი არსებობს, მაგრამ მათგან ერთია პატიოსანი.

— მაინც რომელი?
— აბა, მე რა ვიცი?!

— რა დაგემართა?
— პირადობის მონაშობა მომპარეს.
— პოლიციაში იყავი?
— ვიყავი... იმათ არ მოუპარავთ...

— მოშე, შენი შვილი გაზეთს ჭამს.
— არა უშავს, ნაკითხული მაქვს!

ახალგაზრდა ქალი ტირილით მივიდა დედასთან.
— რა მოხდა?
— ქმარმა მცემააა!..
— ქმარმა? შენი ქმარი ხომ გუშინ მივლინებაში წავიდა!
— მეც მასე მეგონააა!..

კახელი ცოლთან ერთად ველურებმა დაიჭირეს, ხეზე მიაბეს და გარშემო ცეკვავენ.
— გაუპატიურება არ აგვცდება, — ამბობს ცოლი.
— არა, შეგვჭამენ.
— სულ საჭმელზე როგორ უნდა ფიქრობდე, შე უბედურო.



— რატომ არ გადაარჩინეთ თქვენი ცოლი დახრჩობას?
— მე რა ვიცოდი თუ იხრჩობოდა, ყვიროდა, როგორც ყოველთვის!..

გონების სავარჯიშო

„გზის“ ერთგული მაითხვალისათვის

(პასუხები)

1. პოეტებს შთააგონებდა.
2. აუცილებლობა.
3. ჩინეთს.
4. „ყროლდება“.
5. აჩიკო გულედანი.
6. იოზეფ გებელსი.
7. ქირურგი.
8. მრეცხავი ქალე-ბი. ჯვაროსნები მათზე ამბობდნენ: მრეცხავი ქალი არც ტვირთია და არც — ცდუნებო.
9. გიორგი ბრწყინვალე.
10. ობი.
11. უნაკლო, უზადო ბრილიანტი.
12. ექიმები.

რენიფოსკო მანანა





ჰოროსკოპი

3-9 ნოემბერი

ვიწი



ახალი პროექტები კოლეგებთან ერთად განახორციელეთ. საქმიანი შეხვედრები გელით. უცხოეთიდან სასიამოვნო ამბებს შეიტყობთ.

კუწი



ამ პერიოდში რადიკალური ცვლილებებისგან თავი შეიკავეთ. ყოველდღიური საქმიანობით შემოიფარგლეთ. უქმეებზე ოჯახური სადღილი მოაწყვეთ.

ტყუპი



მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებაზე ყველაფერი კარგად გააანალიზეთ და რჩევა კომპეტენტურ ადამიანებს ჰკითხეთ. ხუთშაბათს წვეულებაზე დაგპატიჟებენ.

კირჩხიბი



მნიშვნელოვანი შეხვედრები შუა კვირასი დანიშნეთ. საქმეები ისე გააანალიზეთ, რომ დასვენება მოასწროთ. უქმეებზე მეგობრებთან შეხვედრა და მხიარულება გელით.

ლომი



ბიზნესში მეტ სარგებელს ნახავთ, თუ იმ პარტნიორსაც გააკონტროლებთ, რომელსაც ყველაზე მეტად ენდობით. მიხედვით ჯანმრთელობას, ჩაიტარეთ პროფილაქტიკური გამოკვლევები.

ქაფი



წარმატების მისაღწევად თავდაუზოგავი შრომა მოგიწევთ. კარგი პერიოდია მივიწყებულ მეგობრებთან ურთიერთობის აღსადგენად.

სასწორი



სამსახურში კოლეგების დაუხმარებლად გაგიჭირდებათ გადაწყვეტილებების მიღება. გაგიუმჯობესდებათ ურთიერთობა საყვარელ ადამიანთან. კვირის მეორე ნახევარი სიურპრიზებით აღსავსე იქნება.

მირიფი



სასიამოვნო შეხვედრები და წვეულებები გელით. ნასვამი საქსე ნუ მიუჯდებით. საქმეებში გაგიმართლებთ, თუ დეტალებსაც ყურადღებით გააკონტროლებთ.

მშვიდდოსანი



წარმატებას მოგიტანთ შემოქმედებითი საქმიანობა. ჯერ საკუთარი საქმეები მოავარეთ და შემდეგ — სხვების. პარასკევს კოლეგებს ბრმად ნუ ენდობით.

ოხის წუბ



დაძაბული პერიოდი გელით. დაგროვილი საქმეების მოგვარება და დასვენების გარეშე შრომა მოგიწევთ. კვირის ბოლო ნათესავებთან ერთად გაატარეთ.

მეწყობი



ახალი იდეები გააანალიზეთ და მათ შესრულებას შეუდგეთ. საქმიანი შეხვედრები და ახალი კონტრაქტების გაფორმებაც გელით.

თევზები



მნიშვნელოვანი საქმეები მომავალი კვირისთვის გადადეთ. ეს პერიოდი საყვარელ ადამიანებსა და შემოქმედებით საქმიანობას მიუძღვნით.

საქორწილო თარიღები და სარუქები

დასაწყისი იხ. „გზა“ №44

14 წელი — აქატის ქორწილი; საუკეთესო საჩუქარია სპილოს ძვლის ნივთები ან აქატის სამკაულები.

15 წელი — ბროლის ქორწილი; ამ თარიღის სახელწოდება შეგახსენებთ, რომ თქვენი გრძნობები ბროლივით სუფთა და გამჭვირვალე უნდა იყოს. ამიტომ აპატიეთ ერთმანეთს წყენა და აჩუქეთ ბროლის ნაკეთობები.

20 წელი — ფაიფურის ქორწილი; ამ დღეს სუფრა ფაიფურის სერვიზით გააწყვეთ. ნებისმიერი ფაიფურის ნაკეთობა საუკეთესო საჩუქარია ამ თარიღის აღსანიშნავად.

25 წელი — ვერცხლის ქორწილი; თარიღი ახლობლების წრეში აღნიშნეთ. ამ დღეს აუცილებლად უნდა იყოს სუფრაზე ვერცხლის ჭურჭელი.

30 წელი — მარგალიტის ქორწილი; ამ დღეს ქმარი ცოლს 30-მარგალიტიან სამკაულს ჩუქნის. მარგალიტს ხშირად ცრემლებსაც ადარებენ. შეეცა-

დეთ, 30 წლისთავზე ცრემლები მხოლოდ სიხარულის იყოს.

35 წელი — ქარვის ქორწილი; ქარვა მზის სიმბოლოა. ამ დღისთვის საუკეთესო საჩუქარი ქარვის სამკაულია.

40 წელი — ლალის ქორწილი; თვალი ცეცხლის სიმბოლოცაა. გისურვებთ, თქვენი სიყვარული ცეცხლის ალივით უნათებდეს გზას თქვენს შვილებს; ათბობდეს მათ და თქვენც ძალებს გმატებდეთ!

45 წელი — საფირონის ქორწილი; საფირონი ერთგულების სიმბოლოა. ქმარი მეუღლეს საფირონიან სამკაულს ჩუქნის.

50 წელი — ოქროს ქორწილი; ეს ნამდვილად ღირსშესანიშნავი თარიღია თქვენს ცხოვრებაში. ნახევარი საუკუნის თანაცხოვრება ბევრს არ შეუძლია. ამ დღეს მეუღლეები საზეიმოდ ცვლიან ახალ საქორწინო ბეჭდებს და ძველ საქორწინო ბეჭდებს შვილებს და შვილიშვილებს ჩუქნიან, მათაც რომ ისევე გაუმართლოთ ცხოვრებაში, როგორც თქვენ.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)



უნიკალური სათამაშოები

• პლუმის დატუნია ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სათამაშოა. ის თაობიდან თაობას მემკვიდრეობით გადაეცემა. უძველესი, 1894 წელს დამზადებული დატუნია ერთ-ერთ ამერიკულ ოჯახში ინახება.

• მომღერალ ელტონ ჯონის საყვარელი სათამაშო იო-იოა. მას ერთ მხარეს ბრჭყვიალა ვარსკვლავები ამშვენებს, მეორე მხარეს კი ბედნიერების მომტანი ტექსტები ჩინურ ენაზე.

• უნიკალური სათამაშო ცხენისარწვეველა ჰქონდა ბერძენი მილიარდერის შვილიშვილს — სოფია ონასისს. სათამაშოს კუდი, ფაფარი და კბილები ნამდვილი ცხენისა ჰქონდა, ხოლო ჩლიქები — კუს ბაკნის.

• არაბი მილიონერის — სუბეილო ზარუნის კოლექციაში ცნობილი ადამიანების მანქანების 2 ათასი მოდელი ინახება. მათ შორის, ინგლისის დედოფლის, რომის პაპისა და ამერიკის პრეზიდენტის — ჯონ კენედის.

• 1939 წელს დამზადებული მიკი მაუსი „კრისტის“ აუქციონზე 83 ათას 650 დოლარად გაიყიდა.

• მსოფლიოში ყველაზე პოპულარული თოჯინა კვლავ ბარბია. არსებობს 30 პროფესიის (მედა, მასწავლებელი), სხეულის 15 მოდიფიკაციის (ფეხმძიმე, უნარ-

შეზღუდული) თოჯინა, ბარბი ლედი დი და მერილინ მონრო. 100 ათას დოლარად გაიყიდა თოჯინა, რომელსაც ნამდვილი ბრილიანტის თვლებით განყობილი კაბა ეცვა.

• ნიუ-იორკში, „სოთბის“ აუქციონზე 10 მლნ დოლარად გაი-

ხელნაკეთი და უნიკალურია.

• ტაია უორნერმა პლუმის სათამაშოების — Beanie Babies გამოშვება წლების წინ დაიწყო. სერიული სათამაშოების უმეტესობა შეზღუდული რაოდენობით, თვეში რამდენიმე ასეული ეგზემპლარი გამოდიოდა. თავდაპირველად თითო სათამაშო 10 დოლარი ღირდა, მოგვიანებით კი მისი ფასი 5 ათას დოლარამდე გაი-



ყიდა ამერიკელი კოლექციონერის — ჯერი გრინის სათამაშოების კოლექცია, რომელსაც ის 50 წელი აგროვებდა. 35.000 სათამაშო 1850-1940 წლებშია დამზადებული. სათამაშოების უმეტესობა

ზარდა. დღესდღეობით, სათამაშოების უმეტესობა კოლექციონერების მფლობელობაშია. უორნერმა თოჯინების გაყიდვით 6 მლრდ დოლარი დააგროვა.

იაპონური სენსაცია

sudoku

„გზის“ წინა ნომერი გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები

2	8	1	6	3	5	4	9	7
6	3	5	4	9	7	8	2	1
9	7	4	1	8	2	3	5	6
7	5	8	3	2	4	6	1	9
4	6	9	8	5	1	2	7	3
3	1	2	9	7	6	5	4	8
5	4	6	7	1	3	9	8	2
1	9	3	2	4	8	7	6	5
8	2	7	5	6	9	1	3	4

1	6	4	2	9	3	7	5	8
8	5	3	6	1	7	9	4	2
7	9	2	5	4	8	1	6	3
4	2	5	1	8	9	3	7	6
9	7	8	3	6	4	2	1	5
3	1	6	7	2	5	4	8	9
2	3	7	8	5	1	6	9	4
6	8	9	4	7	2	5	3	1
5	4	1	9	3	6	8	2	7

5	4	1	8	6	3	7	2	9
6	9	3	4	7	2	8	1	5
8	2	7	5	1	9	4	6	3
2	8	5	3	4	7	6	9	1
7	6	4	2	9	1	3	5	8
1	3	9	6	5	8	2	4	7
9	7	6	1	3	4	5	8	2
3	5	8	9	2	6	1	7	4
4	1	2	7	8	5	9	3	6

* მარტივი

3		2						9
9			8					1
	1	9				3	7	
	2		5				6	
6			1	9				2
	5				6			9
7	4				3			8
	9			5				1
5				9				6

** საშუალო

6				4	9	5		
		4	6					3
5			8			6		
7			5					1
	2		4	6				9
4				1				8
		9			2			7
8					3	5		
	4	5	7					9

*** რთული

8				6			5	
6					7			1
			9					6
		6		2	9			1
		7	5				4	
3			4			6		
7					2			
	3			1				9
	9			7				5

ნომერის ნომერი

ახ ბემობხრეთ!

აკდილ-h სიროფი

ოთხფურცელა მარწყვბალახა, დარფილილი, ადპადოტა ვასიკა, ძირტკბილა

მხანარული ამოსახველავალი საშუალავა

ავსირავს:

- ხველას
- ყელის ტკივილს
- ბრონქოვში ნახველის შეგუბავას

PSP №1
ჩემი ოჯახის ამოთავი
ალფანავალს ბაზ. 148/II

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას. გვერდით მოუღვენებზე დეტალური ინფორმაციისათვის მიმართეთ ექმს.

ავანავა ფარმა ლიმიტალი, ინლოთი

ქურნალი „ისტორიანი“ წარმოგიდგავთ!

ლევან გოთუა

ლევან გოთუას მიერ გადასახლავაში დაწერილი მართვალავის გირული ეპოვავა.

8 წიგნად!

წიგნი I

ბერიტა ვარაში

წიგნი I

„ისტორიანი“ ყოველ ნომერთან ერთად, თვეში ერთხელ შეძლებთ შეიძინოთ „გმირთა ვარაშის“ თითო წიგნი (წიგნის ფასი 3 ლარი)

ქურნალი „კარიბჭე“ წარმოგიდგავთ ყოველ ნომერთან ერთად, ორ კვირაში ერთხელ!

ხლავრად ნავმობი ქველავზე მთავარი წიგნი!

საღმართო ისტორია

წიგნი 2

საღმართო ისტორია

ილუსტრირებული ჰიბლია ჰავძეგუბისათვის

მოკა წიგნო: იაკობ ეოეგუბისათვის

- კავნი და ავალი
 - კავნის დავა და სავითის შოვა
 - კავნისა და სავითის შთამოვავალი
 - კავთა მოღვბის ბარყვნა
 - ნო
 - ნარყვნა
 - ნოის შვილავი
- წიგნის ფასი: 3 ლარი**
(ქურნალთან ერთად: 4 ლარი)

წიგნავის ეს სავინ ივავდავა უწმიდვისა და უნავარის სავართვალის კათოლიკოს-ავბრიარქის ილია II-ის ლოყვა-კურთხავით.



„კვირის პალიტრის“ კოლექცია

„დიდი მხატვრები“

წიგნების სერია რჩეულ ფერმწებებზე - მედიკნები და ისტორიები

წიგნი XXV

ტულუზ-ლოტრეკი

7-დან -14 წლებმზრამდე





მხოლოდ „კვირის პალიტრის“ მკითხველების სპეციალური ფასი 15 ლარი!



ყურადღება უკვე გამოქული ბოლოები ზემოთაა შიშობით წიგნის მალაზიებში!

„კვირის პალიტრის“ წიგნის მკითხველები დაუკავშირდით „ელვაჯი“-ს ტელ: 8(32) 238 26 73 / 8(32) 238 26 74 კურიერი სერვის ყოველ ტომს ადგილზე მოგართმევთ

ფოტოკუჩიონები



1-

659/40



ბილაინი®

ჩართეთ «ბილაინის მეზუ ბათამაშუბაში»

12 იანვრამდე და მოიგეთ:

- თქვენი ახალი ტოიოტა ლანდკრუიზერ 200
- სამი თქვენთვის სასურველი ლაზ ვეგასში, სასტუმრო «ცეზარ პალასში», ყველა სასურველის გფლოტბელს აბრეთვე ბადაეცემა 5000 დოლარში

მონაწილეობისთვის აკრიფეთ *500#0K



კამბისტრანხეა უფასოა
 მომსახურება «მომხმარებელთა ბაზარში» საბაზოლოგის შემთხვევაში ბილაინი არ ბარბინებათ
 ბადაუნის ებრბარბად ყოველი 3 ლარით შემსაბისს მიიღებ ბათამაშუბის 1 ბილაინს
 ბათამაშუბა ბამბარბთაბა 15 იანვარს რუსთაში 2-ის პირდაპირ ეთერში 18:30 საათში
 ნებარბთვის № 19-03/274

www.beeline.g